

# საქართველოს პარლამენტი

ეძღვნება

საქართველოს პირველი  
დემოკრატიული რესპუბლიკის  
80 წლისთავს

ბუჩხამ უჩუნიძე

ეჩის  
ისტორიული  
მეხსიერების  
ღმერთები



ეროვნული არქივის დოკუმენტური ისტორია და კატალოგები



მხატვარი  
ოლღა გორალევიჩი



საქართველოს პარლამენტის საგამომცემლო სამსახური  
დაიბეჭდა შ.პ.ს. „არხატის“ სტამბაში



## თავი I

### ილია ჭავჭავაძის არქივის ნაკვალევზე

ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა:


“ყოველი ერი თავისის ისტორიით სუელდგმულობს. ივია საგანძუ, საცა ერი პოულობს თავისის სუელის ღონეს, თვისის სუელის ბგერას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას...

...ერის დაკვმა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს...

...დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან – მომასწავებელია ერის სულით და ხორციით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წაწყმედისა(კა. წარსული – მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო – მომავლისა!”

ამიტომ ილია აუცილებლად თვლიდა “ყველაზედ უწინარეს, ერის გამოკეთებისათვის დავიწყებულის ისტორიის აღდგენას. გამოღვიძებამ ერისამ უგემურის ძილისაგან აქედამ დაიწყო თავისი დასაწყისი, და ამ გზით გამოფხიზლებულ ერის კეთილდღეობასა და ხელახლად აღორძინებას დღეს ბევრგან წყნის თვალით ვხედავთ... აღდგენა ისტორიისა – ერის გამოცოცხლებაა, გამომხნევეებაა, აწმყოს გაგება და წარმართვია, მერმისის გამორკვევია სიბნელისაგან!”

...ერთი ასეთი “დავიწყებული წარსული” გახლდათ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორია 1918–21 წლებისა, რომელსაც შვიდ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ასე საგულდაგულოდ მიწაში მარხავდა და ერის ხსოვნიდან შლიდა საბჭოთა ისტორიოგრაფია, რათა ერი არ გამოღვიძებულყო უგემური ძილისაგან და ამ საგანძით გამოფხიზლებულს არ ეხრუნა საკეთარ კეთილდღეობასა და ხელახლად აღორძინებაზე!...



\* \* \*

მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი ისევ იღია ჭკვკვადით  
დაიწყო!  
და ეს მოხდა 1979 წელს...

მაშინაც რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ვმუშაობდი და ჩემი სპეციალობა გახლდათ ძველი ქართული მწერლობა და რუსთაველოლოგია. სადოქტორო დისერტაციაც ამ სპეციალობით მქონდა დაცული (1975წ.) და რუსთაველოლოგიის განყოფილების თანამშრომლად ვირიცხებოდი.

...ერთ დღეს მიხმობს ინსტიტუტის დირექტორი, ჩემი მასწავლებელი აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძე და მთავაზობს გადავიდე ტექსტოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელად, რადგან ილია ჭავჭავაძის ახალი აკადემიური გამოცემა (ოცტომეული) მზადდება და შენ უნდა ჩაუდგე სათავეშიო!

ჯერ სახტად დავრჩი, მერე უარზე დავდექი: ძველ მწერლობაში ვმუშაობ, ტექსტოლოგიაში მუშაობის გამოცდილება არა მაქვს და ახალი ქართული ლიტერატურის სპეციალისტიც არა ვარ-მეთქი!


- სწორედ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიკოსი რომ ხარ და საფუძველი იქიდან მოგდევს, ახალ ქართულ ლიტერატურასაც უფრო კარგად აუღებ ადღასო, - ჩვეული სიმშვიდით მომიგო ბატონმა ალექსანდრემ.

...ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ბოლოს დაეთანხმდი და ახალ თანამშრომლებთან ერთად შევუდექით ილიას ოცტომეულის აკადემიურ გამოცემაზე მუშაობას.


უწინარეს ყოვლისა, შევიმუშავეთ ახალი გამოცემის მთავარი პრინციპი (უანრობრივ-ქრონოლოგიური) და გამოცემის პროსპექტი, რის თაობაზე 1979 წლის 30 სექტემბერს გახუთ “კომუნისტში” დაგებულე საგანგებო წერილი “ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის ახალი აკადემიური გამოცემის გამო” და დავსახე ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ატომეულის პავლე ინგოროყვასეული უკანასკნელი ცნობილი გამოცემისაგან (1950-61წ.წ.) სრულიად განსხვავებული პროგრამა.

აი, სწორედ ამ პროგრამის ერთ-ერთი მუხლი ითვალისწინებდა ილიას და მის გარშემო უცნობი საარქივო თუ ლიტერატურული წყაროების გამოვლენას, მათ შორის, სახდვარგარეთ, უცხოურ სიძველეთსაცავებში არსებულ მასალათა მოძიება-დამუშავებას და ახალ აკადემიურ გამოცემაში ჩართვას.

პირველ რიგში, ეურადდება შევასერე ინგლისში, ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლის ბიბლიოთეკაში დაცული გამონეხილი ინგლისელი ქართველოლოგების - და-ძმა მარჯორი და ოლივერ უორდროპების არქივზე, რომელშიც, დევიდ ბარეტის



მარჯორი უორდროპი



ოქსფორდი

კატალოგის მიხედვით, იღია და ოღდა ჭავჭავაძეების უცნობი ნაწერები და მათი ეპოქის ამსახველი არაერთი ახალი საგულისხმო მასალა ჩანდა შესასწავლი და გამოსამწეურებელი!...

\* \* \*

ჯერ ვთქვათ, ვინ იყო დევიდ ბარეტი და რას წარმოადგენდა მისი კატალოგი?

1973 წელს ოქსფორდში, ინგლისურ ენაზე, გამოიცა საკმაოდ სოლიდური სექლტანიანი წიგნი “ბოდლის ბიბლიოთეკის უორდროპთა კოლექციის ქართულ წიგნთა და ხელნაწერთა კატალოგი”, რომლის ავტორი გახლდათ ინგლისელი ქართველოლოგი დევიდ ბარეტი.

და, აი, 1970-იანი წლების შუა ხანებში დევიდ ბარეტი თბილისს გვეწვია. ამ ინგლისელმა, 60 წელს გადაცილებულმა კაცმა, მთელი სიცოცხლე დამოუკიდებლად ქართული ენის დაუფლებას შესწირა, მუშაობდა ოქსფორდში, ბოდლის ბიბლიოთეკაში და თავისი დანახვებით სიცოცხლის დაისხე ძლივს ეღირსა სანატრელი საქართველოს ნახვას!

მახსოვს, როგორი პატივით მიიღო იგი რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ღირეპქტორმა, აკადემიკოსმა ალექსანდრე ბარამიძემ, რომელმაც მაშინ, როგორც ინსტიტუტის სწავლულ მდივანს, დამავალა შემემუშავებინა საპატიო ინგლისელი სტუმრის საქართველოში ელოფნის პროგრამა. საქართველოს სიყვარულში, ქართული მეცნიერებისა და კულტურის სამსახურში გაჭაღარავებულ წარმოსადეგ, დარბაისელ ინგლისელ ქართველოლოგს სახე ბედნიერებისაგან უბრწინავდა...

მეორე დღეს, დათქმულ დროს, სასტუმრო "ივერიაში" მივაკითხეთ, რომ დასახეული გეგმის მიხედვით დაგვეწყო შეშაობა, მაგრამ რაოდენ დიდი იყო წვენი განცვიფრება, როცა ინგლისელი სტუმარი ნომერში არ დაგვხვდა და გამოგვიცხადეს: იგი, წუხელ, როგორც ინგლისის დასვერვის აგენტი, სასტუმროდან გაასახლეს და 24 საათის განმავლობაში საბჭოთა კავშირი უნდა დატოვოს!

თავსარდაცემული გამოვბრუნდი სასტუმროდან, ხოლო ასეთი უსირცხვილო ცილისწამებისგან ჩემსე მეტად თავსარდაცემულ დევიდ ბარეტს ინგლისში დაბრუნებისას ინფარქტი დაემართა და რამდენიმე თვე სიკვდილს ებრძოდა!

...1981 წლის ოქტომბერში, როცა ოქსფორდში ჩავედი სამეცნიერო მივლინებით და რკინიგზის ვაგსალზე ჩემს დასახვედრად მოსულ დევიდ ბარეტს შევხედე, - ადრე ნაცნობი ჭარმაგი, ხალისიანი, წარმოსადეგი, ბრგე ინგლისელის ნაცვლად ნაინფარქტალი, ჯანგატეხილი პენსიონერი შემრნა ხელში.

სინამდვილეში რა გამოირკვა?

ინგლისელი ქართველოლოგის თბილისში სტუმრობის დროს ლონდონში მოსამსახურე რამდენიმე საბჭოთა დიპლომატი (თუ არ ვცდები, ათზე მეტი) ამხილეს შპიონაჟში და რამდენიმე საათში ალბიონის კუნძული დაატოვებინეს. ეს იყო მსოფლიო სკანდალი!

საპასუხო აქციად საბჭოთა მხარემ მიიხედ-მოიხედა და თავის გასამართლებლად - საბჭოთა დიპლომატები კი არ არიან აგენტები, პირიქით, აგენტები წვენთან თქვენ გყავთ შემოგსაენილიო, - თვალი თბილისში მეოფ ინგლისელ ქართველოლოგს დაადგა, ჯაშუშობა დასწამა და 24 საათის განმავლობაში საბჭოთა კავშირიდან გაასახლა!

ასე შეეწირა და კინადამ გადაჰყვა საბჭოთა დიპლომატების ბინძურ საქმეს დევიდ ბარეტი!

\* \* \*

ახლა მკითხველი იკითხავს, და მართალიც იქნება, - რა



დევიდ ბარეტონი, ოქსფორდი, 1981

# CATALOGUE OF THE WARDROP COLLECTION

AND OF OTHER GEORGIAN BOOKS  
AND MANUSCRIPTS  
IN THE BODLEIAN LIBRARY

DAVID BARRETT

ხლოვ. გუგუა უჩაძე

კითხვის წაყოფისკენით

წ. ჯეკ-შაპოთ

David Barrett  
ოქსფორდი, 20/12/1981

დევიდ ბარეტონის კატალოგი, ოქსფორდი, 1973

შუაშია ეს ისტორია იღია ჭაფქავაძესთან ან, მითუმეტეს, ეროვნული არქივის წამოტანასთან?

მოგეხსენებათ, და—ძმა მარჯორი და ოლივერ უორდროპები, ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგები, თავის დროსუე ძალიან ახლოს იყვნენ იღია ჭაფქავაძესთან. ბევრი მისი თხზულებაც თარგმნეს და ფართო მიწერ—მოწერაც პქონდათ ერთმანეთთან, ხოლო ყოველივე ეს მათ არქივში, ოქსფორდში, უნდა ყოფილიყო დაცული, რასედაც მინიშნება იყო ბარეტონის კატალოგში.

იმ დროს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ყუგუნი ხარაძე გახლდათ. მე მას ვთხოვე, როგორმე მოხერხებულიყო წემი მივლინება ინგლისში, ოქსფორდის უნივერსიტეტში იღია ჭაფქავაძის უცნობი მასალების გასაცნობად. მაშინ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში შედიოდა და უცხოეთში მივლინებით წასვლა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული — კუმანიტარული, ისიც ეროვნული (ამ შემთხვევაში — ქართული), მეცნიერებისათვის ვალუტის დახარჯვა





უორღოპეი სტუმრად ილია ჭავჭავაძესთან საგურამოში, 1896 წლის 20 ივლისს. „ილიაობაზე“

მოსკოვში არ ხდებოდა. ამას ფულის “გადაყრას” ეძახდნენ, ყველაფერი ე.წ. “სუსტ მეცნიერებებს” (ფიზიკა-მათემატიკა, ბუნებისმეტყველება...) ხმარდებოდა...


ბატონმა ყვგენი ხარაძემ, როგორც დიდმა ინტელიგენტმა და პატრიოტმა, გუგუთან ახლოს მიიტანა ჩემი თხოვნა, – მან რეკომენდაცია გამოწია საკავშირო აკადემიის მთავარ სწავლულ მდივანთან აკადემიკოს გიორგი სკრიაბინთან, აკადემიკოს კონსტანტინე სკრიაბინის შვილიშვილთან, რომელსაც დედა ქართველი პეაჟდა და, მართალია, გარეგნულად არ ამჟღავნებდა, მაგრამ, თურმე, სისხლი მაინც თავისას შვრებოდა და გული საქართველოსთვის უცემდა...

ეს ფაქიზი ნიუანსი თურმე ბატონ ყვგენის სცოდნოდა და მისთვის ჩვეული ტაქტით აქედან მოუარა – მოსკოვში პირდაპირ აკადემიკოს გიორგი სკრიაბინთან გამგზავნა – სთხოვა ჩემი მიღება, ოფიციალური წერილიც გამოტანა და თან დამარიგა, თუ დაარწმუნებ, იქნება რაიმე გამოვიდესო!

საქმე ისაა, რომ უცხოეთთან ურთიერთობებს და სახლგარგარეთ სამეცნიერო მივლინებებს სწორედ აკადემიკოსი გიორგი სკრიაბინი – როგორც საკავშირო აკადემიის მთავარი სწავლული მდივანი კურირებდა...



აკად. ალექსანდრე ბარამიძე



აკად. გიორგი სკრიაბინი




აკად. ვევენი ხარაძე

1981 წლის გაზაფხულია. ჩავედი მოსკოვში და პირდაპირ აკადემიას მივაღეკი. სკრიაბინის თანაშემწემ, რომელიც აკადემიკოს ჯუმბერ ლომინაძის მეგობარი გახლდათ და ისიც მისგან წინასწარ იყო გაფრთხილებული, მისაღებში მთხოვა, დიდხანს ნუ დაყოვნდებითო! მაგრამ თავად სკრიაბინი შემხვდა ძლიერ გულთბილად (შესახედავად ნამდვილი კაფანდარა იმერელი იყო!), დამსუა და ათი წუთის ნაცვლად სამ საათს მესაუბრა, კაბინეტიდან დიდხანს არ გამომიშვა.

– რა გინდათ ინგლისში? რის გაკეთებას აპირებთ იქ? – ასეთი იყო მისი პირველი შეკითხვა.

მე, რა თქმა უნდა, ვეულაფერი დაწერილებით ავეხსენი: მოუყევეი იღია ჭავეჭავაძე'ზე, და–ძმა უორდროპე'ზე, თქსფორდის არქივზე – მაინც არ მომეშვა, მითხრა, თქვენ არ ჰგავხართ არც პროფესორს, არც სამი შეილის მამას, როგორც ეს თქვენს ავტობიოგრაფიაში ამოვიკითხეო. იგი, ცხადია, ჩემს გარეგნობას გულისხმობდა (გარეგნობამ ერთხელ უკვე კინალამ დამღუპა – 1975 წელს მოსკოვში, “ვაკში” სადოქტოროს არ მიმტკიცებდნენ – ამ “მალნიშკას” დოქტორობა როგორ მიეცეთო!)... მოკლედ, ეს ერთგვარი დაკითხვა იყო, ხომ არ მივდიოდი მე სასლვარგარეთ დასარსენად, მერე მთელი უბედურება და საბჭოეთის რისხვა ხომ სკრიაბინს დაატყდებოდა თავს, რადგან მისი რეკომენდაციით ვიქნებოდი გაგზავნილი...

სამსაათიანი საუბრის შემდეგ, ეს კაცი როგორც იყო დარწმუნდა, რომ მე მართლა მეცნიერული ინტერესები მამომრავებდა და მხოლოდ და მხოლოდ იღია ჭავეჭავაძის უცნობი ნაწერების გულისხმობის მივდიოდი სასლვარგარეთ.



ოქსფორდის უნივერსიტეტი. ბოლდეს ბიბლიოთეკა (ძველი გრავიურა)

გურამ შარაძე



საქართველოს  
გზე და  
სიყვარული  
ალჰონის  
კუნძულზე

(გასალანი იმისთვისაა დანიშნული)



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი — 1986

გურამ შარაძე




უიარღობები და საქართველო

აკადემიკოსი გიორგი სკრიაბინი მაშინ მართლაც ძალიან დამეხმარა (როგორც გაირკვა, მან საქართველოს მაშინდელ ხელმძღვანელობასთან – ედუარდ შევარდნაძესა და გურამ ენუქიძესთანაც შეათანხმა ჩემი მივლინების საკითხი). ხუმრობა საქმე ხომ არ იყო: საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემია მგზავნიდა დიდ ბრიტანეთში, სადაც აკადემიას სამეფო სახოგადოება ჰქვია, იგი დედოფლის საკუთრებაა და იქაური აკადემიის სტუმარი დედოფლის სტუმრად ითვლება.

ჩემი მივლინება შედგა 1981 წლის სექტემბერ–ოქტომბერში. ლონდონში მომიწვევს შეხვედრა აკადემიაში. მომათავსეს სასტუმრო “კენელიში” და გადმომცეს ბარათი, რომელშიც ეწერა, რომ ამ ბარათის წარმომდგენს პროფესორ გურამ შარაძეს უფლება აქვს დაუბრკოლებლად იმუშაოს დიდი ბრიტანეთის იმპერიის მოელ ტერიტორიაზე რომელ არქივშიც მოესურვება!

მე ჯერ ოქსფორდში ვმუშაობდი, უნივერსიტეტის ბოღლის ბიბლიოთეკაში, შემდეგ კი – ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმში. ოქსფორდში გავეცანი უორდროპების არქივს, სადაც მართლაც ვიპოვე ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების თუ მისი ეპოქის ამსახველი არაერთი საგულისხმო უცნობი მასალა, რომელიც შემდეგ ორ წიგნად გამოვეცი: ერთს ჰქვია “ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე” (თბ., 1984), მეორეს – “საქართველოს მსე და სიყვარული ალბიონის კუნძულზე” (თბ., 1986).





ოქსფორდი

როგორ დაუჟკავშირდი ქართულ ემიგრაციას ინგლისში

მაგრამ ამჯერად მთავარი ის არის, რომ ჩემი ოქსფორდში ყოფნა დაემთხვა მკითხველისთვის ზემოთ უკვე გაცნობილი ინგლისელი ქართველოლოგის დევიდ ბარეტის დაბადების 65-ე წლისთავს. ესეც, ალბათ, ბედისწერა იყო, რადგან ამ შემთხვევამ ბევრად განსაზღვრა ჩემი ცხოვრებისა და მუშაობის შემდგომი გზა...

მოგეხსენებათ, ინგლისში, 65 წლის მამაკაცი, ახალი აინშტაინიც რომ იყოს, საათის, წუთის დაუგვიანებლად გადის პენსიაზე. იქ არ არსებობს გამოწაკლისი, როგორც ეს ჩვენთან ხდება. ჰოდა, ასე იყო დევიდ ბარეტის შემთხვევაშიც.

ერთ დღეს (1981 წლის ოქტომბერში, რიცხვი აღარ მახსოვს) შევედი თუ არა ჩემი სასტუმროს ("რანდოლფ-ოტელი") ნომერში, გადმომცეს ოქსფორდის უნივერსიტეტის რექტორის ჰაროლდ მაკმილანის მოსაწვევე ბარათი. ეს ის მაკმილანია, ერთ დროს დიდი ბრიტანეთის იმპერიას რომ მართავდა, როგორც პრემიერ-მინისტრი, ხოლო პრემიერობიდან წასვლის შემდეგ ოქსფორდის უნივერსიტეტის რექტორი გახდა და ახლა სწორედ იგი მეპატიუებოდა უნივერსიტეტის კარის ეკლესიაში დევიდ ბარეტის იუბილესა და პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებულ საღამოზე.

რომ ვთქვა, ჰაროლდ მაკმილანს ჩემი სახელი და გვარი ზედმიწევნით გასეპირებული ჰქონდა-მეთქი, არ ვიქნები მართალი, მაგრამ ბარეტმა რომ გაიგო ჩემი იქ ყოფნა, როგორც მეგობარი, დააპატიუებინა მას ჩემი თავი.

საღამოს, დათქმულ დროზე მივედი ოქსფორდის უნივერსიტეტის კარის ეკლესიაში... მაკმილანმა გამოაცხადა, რომ დარბაზში იმყოფება იმ ქვეყნის წარმომადგენელი, რომელ ქვეყანასაც მთელი თავისი სიცოცხლე მიუძღვნა დევიდ ბარეტმა და ჩემზე მოუთითა. ატყდა ერთი ტაშის ცე და გრიალი... მეც გამოვედი და ჩემს სიტყვაში ბარეტს დიდი მადლობა გადაუცხადე მოწვევისათვის და იმ ღვაწლისათვის, რომელიც მან დასდო ქართულ მეცნიერებას და კულტურას, მთლიანად საქართველოს!



ნოე რამიშვილი

...დავამთავრე სიტყვა და ამ დროს ჩემთან მოდის უცნობი სიმპათიური ჭარმაგი მამაკაცი ქალთან ერთად და მეუბნება:

- ბატონო გურამ, მე გახლავარ დამოუკიდებელი საქართველოს პირველი კოალიციური მთავრობის თავმჯდომარის ნოე რამიშვილის უმცროსი ვაჟი - აკაკი რამიშვილი, პროფესიით ექიმი, ეს კი ჩემი მეუღლე ქალბატონი მათა კვალიაშვილია. ბატონი დევიდ ბარეტი ჩემი მეგობარია და მისი მოწვევით ჩამოვედი დღეს ღონდონიდან!

გავეოცხდი, თან ძალიან გამეხარდა. ერთმანეთის გაცნობისა და მოკითხვის შემდეგ უცებ ბატონმა აკაკიმ მითხრა:

- ჩვენთვის თავდადებულ კაცს ასე ფეხზე დგომელა ხომ არ გავუშვებთ (იგი დარბაზში მოწყობილ ალა ფურშეტს გულისხმობდა!), ყველაფერი რომ მორჩება, ჩვენ, ქართველებმა წავიყვანოთ, ერთი ქართველურად დაველოცოთ და ისე გავაცვილოთ.

რა თქმა უნდა, დავთანხმდი. ბევრი რჩევის შემდეგ იტალიურს ბერძნული ვამჯობინეთ და ის სადამო ბერძნულ რესტორანში გავატარეთ. ბარეტმა ძლიერ მოიღხინა და ქართველების მასპინძლობით ნასიამოვნებმა მომდევნო შაბათს სახლში დაგვაპატიუა.



ნდრო უორდრობთან და აკაკი რამიშვილთან ერთად უორდრობთა სასაფლაოზე სვეტიცხოვესში, 1981



ნდრო უორდრობთან და მაიკო კვალაძეშვილთან ერთად უორდრობთა სასაფლაოზე სვეტიცხოვესში, 198



დავთქვით, რომ შაბათს, ბატონი აკაკი რამიშვილი მეუღლი-  
თურთ ღონდონიდან ჩამომაკითხავდა ოქსფორდში და მეც თან  
წამიყვანდა ბარეტთან სახლში, რომელიც ოქსფორდიდან  
მოშორებით, ჩერნილების საგვარეულო მამულთან ახლოს  
ცხოვრობდა, სადაც საკუთარი სახლ-კარი აქონდა.

ბარეტებთან მისულს ვეღარ გამეგო, ინგლისში ვიყავი თუ  
საქართველოში: სუფრა ქართულ ყაიდაზე იყო გაწყობილი, ოთახში  
პატეფონის ფირფიტებიდან კავსადის, პაჭკორიას და მეგრელიძის  
გუნდების შესრულებით ძველი ქართული ხალხური სიმღერები  
ისმოდა, წიგნების კარადები და თაროები ქართულენოვანი წიგნებით  
იყო გამოტყედილი, თვითონ დევიდ ბარეტი ქართულად ლაპარაკობდა  
და მე უბედნიერესად ვგრძნობდი თავს, რომ ვიყავი იმ ერის  
შვილი, რომლის დიდმა კულტურამაც შორეულ ინგლისში  
საქართველოს უნახავი ინგლისელი კაცი ღამის ქართველად აქცია  
და წმინდა წელის ბრიტანელის ოჯახში მართლაც რომ ქართულის  
კულტი იყო გამეფებული...

ის სადამო არასოდეს დამავიწყდება!

ამ მეორე შეხვედრისას კიდევ უფრო დაუუახლოვედი ბატონ  
აკაკის და მის მეუღლეს, ქალბატონ მაია კვალაიაშვილს  
(პოლონეთში ემიგრირებული ქართველი ოფიცრის მიხეილ  
კვალაიაშვილის ქალიშვილს), რომელიც, სხვათა შორის,  
განათლებით ეთნოგრაფი იყო და ქართული ეთნოგრაფიის  
საკითხებზე მუშაობდა.

შევთანხმდით, რომ, როგორც კი ოქსფორდში  
მოვრჩებოდი ჩემს საქმეს და ღონდონში, ბრიტანეთის  
მუხსეუმში გადავიდოდი სამუშაოდ, აუცილებლად დავეურეკავდი  
და ღონდონში შევხვედებოდი ერთმანეთს.

მართლაც, რამდენიმე კვირის შემდეგ, როგორც კი ჩავედი  
ოქსფორდიდან ღონდონში, მაშინვე სასტუმროდან დავეურეკე ბატონ  
აკაკის. მალე მან თვითონ მომაკითხა მანქანით და სახლში  
წამიყვანა თავისთან. იგი ღონდონის ყველაზე პრესტიჟულ უბანში  
– ჩელსში ცხოვრობდა, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს  
ექს-პრემიერის ვაჟიშვილი.

ბატონ აკაკი რამიშვილის სამუშაო კაბინეტში შესვლის-  
თანავე გავოგნდი: იგი სავსე იყო ქართული ემიგრანტული  
გამოცემებით – ჟურნალ-გაზეთებით, წიგნებით, რომელთა შესახებ  
მე მანამდე წარმოდგენაც კი არ მქონდა (ვიცნობდი მხოლოდ  
ვიქტორ ნოზაძის რუსთველოლოგიურ გამოკვლევებს და მის

ჟურნალ “კავკასიონის”, აგრეთვე, კალე სალიას “ბედი ქართლისას” რამდენიმე ნომერს), რადგან საბჭოთა რეჟიმის დროს მათი ნვენთან შემოტანა და გავრცელება სასტიკად იღვენებოდა... კედელზე ეკიდა ახალ ნაჭერზე მიკერებული სიძველისგან დაფლეთილ-გაცრეცილი ძველი ხალიჩა, რომელიც, თურმე, ნოე რამიშვილს წამოუღია ნოხატაურიდან, მშობლიურ სოფელ სურებიდან და ძვირფას რელიქვიად ინახავდა დედის ნაქსოვს.

სურათი იმდენად მოულოდნელი და თავბრუდამხვევი იყო, რომ ღამის ენა ჩამივარდა. სულმოუთქმელად დავიწვე ჟურნალ-გაზეთების თვალღებება და კითხვა...

– თქვენ მაგის წაკითხვას დიდხანს მოუნდებით, – გამომარკვია ბატონი აკაკის ხმამ და სადილზე მიმიწვია... შემდეგ თავისი ცოლის ნამსითვი “ვეფხისტყაოსანი” მანუქა.

აკაკი რამიშვილის მეუღლე, როგორც გითხარით, პოლონეთში გახიზნული ქართველი ემიგრანტი ოფიცრის ასული იყო და, როცა გათხოვდა, მამამისს წარწერით მსითვად გამოუტანებია პარიზში 1933 წელს მდიდრულად დაბეჭდილი “ვეფხისტყაოსნის” კონსტანტინე ბალმონტისეული სრული რუსული

ლონდონი. ბრიტანეთის მუზეუმი (გ. შარაძის ფოტო)



შოთა რუსთაველი

შოთა რუსთაველი  
ნარცისუ  
აკურუ

ГРУЗИНСКАЯ ПОЭМА

XII<sup>го</sup> ВѢКА

переводъ

К. Д. БАЛЪМОНТА

ИЗД. Д. ХЕИДЗЕ ПАРИЖЪ

1933

„ვეფხისტყაოსნის“

კ. ბალმონტიესული

რუსული თარგმანის

პირველი გამოცემა.

პარიზი, 1933

პოეტური თარგმანი. რუსთაველის პოემის ბალმონტიესული თარგმანი იშვიათობაა, იგი სულ რამდენიმე ცალი დაიბეჭდა პარიზში 1933 წელს გ. ხელაძის სტამბაში. ერთი მათგანი თურმე მაშინ ი. სტალინს ჩაუყარდა ხელში, იგი დაინტერესებული იყო მსოფლიოს გაეგო, თუ რომელი ქვეყნის შვილი მოექცა უსარმაზარი საბჭოთა იმპერიის სათავეში, რომ მისი სამშობლო უძველესი ცივილიზაციის მქონე სახელმწიფო იყო. ამიტომ ადგა და გაამრავლებინა იგი. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ემიგრანტი რუსი პოეტის ნაღვაწი მოსკოვსა და ლენინგრადში ათასობით ტირაჟით დაიბეჭდა 1935–36 წლებში; მალე გაკეთდა სხვა თარგმანებიც, როგორც რუსულ, ისე საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე, ხოლო ხელახლა დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ უორდროპისეული ინგლისური თარგმანი, აგრეთვე, პოემის თარგმანები ბევრ ევროპულ ენაზე... ერთი სიტყვით, მომზადდა ნიადაგი საკავშირო მასშტაბით 1937 წელს „ვეფხისტყაოსნის“

# შოთა რუსთაველი



მაიორ კვალიაშვილი

მაიორ კვალიაშვილის  
ნამუხთი „ვეფხისტყაოსანი“

ჩემი პირველი წიგნი  
შეგიწავლით  
საბჭოთა კავშირის  
მედიის  
მინისტრის  
განყოფილებაში  
მუშაობის  
შესახებ  
მეტი ინფორმაცია  
სადაც  
მეტი ინფორმაცია  
სადაც

ტვირთვას წარმოვსრულებ გუჩამ შარაძეს,

სახლმკურნალო კაბინის დირექტორს,

აფხაზი რამბლერი.

(კორეაში 21 აპრილი 1984წ.)

დაწერის 750 წლისთავის გრანდიოზული იუბილის გადასახდელად, რომელიც გასცდა საბჭოთა კავშირის ფარგლებს და დიდი საერთაშორისო რესონანსი კპოვა. ასე გაიცნო მსოფლიომ რუსთაველის უკვდავი პოემა და ასე გასცდა “ვეფხისტყაოსნის” ავტორის სახელი კავკასიონის ქედს, რომელიც მანამდე საკაცობრიო კულტურის საგანძურში ასე ღირსეულად არ იყო წარმოდგენილი.

...ჰოდა, “ვეფხისტყაოსნის” ეს უნიკალური გამოცემა უშუალოდ მე მინუქა ბატონმა აკაკი რამიშვილმა. წიგნს სამახსოვრო წარწერა აქონდა: “ჩემს მაიკოს მსითვად მამისაგან”-ო.

– ბატონო აკაკი, ამ წიგნს ვერ წავიდე, ასეთ წარწერას რომ ნახავენ, არ გაუკვირდებათ, როგორ მოხვდა იგი ჩემს ხელში? – ვუთხარი ბატონ აკაკის. მანაც აიღო და მეორე წარწერა გაუკეთა ჩემდამი მოძღვნისა. რა თქმა უნდა, დიდი მადლობა გადავუხადე ბა-

ტონ აკაკის და პირადად მის მეუღლეს – ნამსითვი “ვეფხისტყაოსნის” ნემთვის ნუქებაზე თანხმობისათვის, რომელიც დღეს ქართული ემიგრაციის მუხეუმს ამშვენებს, მაგრამ მასპინძელს ბოდიში მოუხადა და მოკრძალებით ვუთხარი: “მე არანაკლებ ეს ემიგრანტული ჟურნალ-გაზეთები და წიგნები მაინტერესებს-მეთქი”.

– შეილო, შენ თავი ხომ არ გაგიწირავს, ამას საქართველოში როგორ წაიღებო, – გაიკვირვა ბატონმა აკაკიმ.

– მე გინდ ვყოფილვარ, გინდ არა, ესენი რომ თან არ წავიდო, თავი ცოცხალი არ მინდა-მეთქი, – განუუცხადა და მართლაც წამოვიღე რამდენიმე ცალი ჟურნალ-გაზეთი და წიგნი.

როგორ გადმოვიტანე ემიგრანტული ლიტერატურა საზღვარზე მაშინ?

ეს მართლაც საინტერესოა!

ლონდონში ყოფნისას მე გავიცანი ბატონი იური კობალაძე – “ვრემიას” კორესპონდენტი ინგლისში და ბატონი ვალერი მაისურაძე – მოსკოვის რადიოს კორესპონდენტი ინგლისში. თუ რა ვითარებაში მოხდა ეს, ამის შესახებ დაწერილებით სხვაგან (“ალია”, “ოპოზიცია”) უკვე ვისაუბრე, აქ მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო საკითხზე შევხერხები:

სამშობლოში წამოსვლის დღე ახლოვებოდა, არადა, აკაკი რამიშვილისგან წამოღებულმა ემიგრანტულმა გამოცემებმა ცალკე ბარგი დამიმძიმეს (ზედმეტი წონის გადასახდელი ფულიც არ მქონდა, მოსკოვში 5 გირვანქა სტერლინგი მომცეს გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის, რომელიც ეკონომიის გზით უკან უნდა დამებრუნებინა) და ცალკე საზღვარზე აკრძალული ლიტერატურის გადმოტანის პრობლემა შემიქმნეს.

პოდა, ვეუბნები იური კობალაძეს ლონდონში: ხომ იცი, სამი შვილი მყავს, რალაცეები ვუყიდე, ამიტომ ბევრი ტვირთი დამიგროვდა, დამატებითი წონის გადასახდელი ფული კი არა მაქვს, იქნებ, პიტროუს აეროდრომზე გამაცილო და ეს თანხა შენ გადამიხადო-მეთქი. ამ დროს კი, როგორც გითხარით, სინამდვილეში, აკრძალული ემიგრანტული ლიტერატურა მომაქვს.

იური კობალაძე დამთანხმდა, გამომევა პიტროუსზე და, როგორც საკავშირო ტელევიზიის პროგრამა “ვრემიას” ტვირთი, ისე გააფორმა ჩემი ბარგი, რომელშიც ემიგრანტული ლიტერატურა მეწყო... აბა, ამ ტვირთს ხელს ვინ ახლებდა მოსკოვში, შერემეტიევოში საზღვრის გადმოლახვისას! არ ვიცი, იურამ თავი მოიტყუა თუ არა, ყოველ შემთხვევაში, მისი წყალობით ასე

ნამოვიტანე პირველად აკრძალული ემიგრანტული ლიტერატურა საქართველოში 1981 წელს! ამის შემდეგ წლების მანძილზე არ შემოწვევია ამ მიმართულებით მუშაობა, რამაც საფუძველი დაუდო 1994 წელს ჩემს მიერ ქართული ემიგრაციის მუზეუმის დაარსებას!

...აი, ასე შემეყარა ქართული ემიგრანტული კულტურისა და ისტორიის “ბაცილა”, და ისიც სიმბოლურია, რომ ამ გზაზე მე იღია ჭავჭავაძის წმინდა სულმა და დიდმა ნათელმა დამაყენა: თუ არა იღია ჭავჭავაძე და მისი თხზულებების ახალი აკადემიური გამოცემა, მე ხომ არც ოქსფორდში ჩავიდოდი უორდროპების არქივში დაცული ილიას უცნობი ნაწერების გასაცნობად, ვერც იქ გამართულ დევიდ ბარეტის იუბილეს დავესწრებოდი და ვერც ამ იუბილესე ლონდონიდან ჩამოსულ აკაკი რამიშვილს შევხვდებოდი და დაეუახლოვდებოდი, რომელმაც მანამდე ჩემთვის თითქმის სრულიად უცნობ ახალ სამეაროს – ქართულ ემიგრანტულ კულტურას მაზიარა...

და, რაც მთავარია, სწორედ მაშინ, 1981 წელს, პირველად აკაკი რამიშვილისგან გავიგე საქართველოს ეროვნული არქივის უცხოეთში მოხვედრის ისტორია და მისი შემდგომი ბედის ამბავი!...



### თავი III

## როგორ და რატომ მოხვდა ეროვნული საგანძური საზღვარგარეთ

ლონდონში მორიგი შეხვედრისას ბატონი აკაკი რამიშვილი მეკითხება: ემიგრანტულმა ლიტერატურამ რომ ასე ძლიერ დაგაინტერესა, ჩვენი ეროვნული არქივის ამბავი თუ იცითო?

მე მხრები ავინუნე და გულახდილად ვაღიარე, რომ ამის შესახებ არაფერი მსმენია-მეთქი.

– ჰოდა, ამ არქივის დიდი ნაწილი დღეს ამერიკაში, ჰარვარდის უნივერსიტეტში ინახება და, თუ 2004 წლამდე არ დაიბრუნა საქართველომ, მერე ამერიკის შეერთებული შტატების საკუთრება გახდებაო.

როგორც კი ლონდონიდან დაებრუნდი, შეეხვდი მაშინდელი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვლადიმერ შვეარდნაძეს და როცა მე მას ვუთხარი “თუ დროზე არ დაგებრუნებთ, არქივი დაგვეკარგება-მეთქი”, “რომელ წლამდე ვადაო” – მკითხა. “2004 წლამდე-მეთქი” – ვუპასუხე: “იცი რა, კერძო, შენ მაგაზე ნუ დარღობ, 2004 წლამდე საქართველოში კომუნისტების სახსენებელიც კი აღარ იქნება და თავიანთ არქივს ასევე შენშევიკები ჩამოიტანენო” – მითხრა.

მივიხედ-მოვიხედე, ასეთი მოულოდნელი პასუხისაგან დაბნეულმა აღარ ვიცვალე საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივანის კაბინეტში ვიჯექი, თუ დაუძინებელ დისიდენტთან საიდუმლო შეხვედრასე...

არ დაგავიწყდეთ – 1981 წელია!

\* \* \*

მეორედ ლონდონში 1984 წელს ჩავედი გიორგი XI-ის ჯვარის ჩამოსატანად. ჩემი ურთიერთობა ბატონ აკაკი რამიშვილთან კიდევ უფრო გაღრმავდა.

ერთ დღეს ბატონი აკაკი მეკითხება – ქეთრინ ვივიენ-ემპტონს თუ იცნობო? – როგორ არა, “ვეფხისტყაოსნისა” და

სიბრძნე-სიცრუისას” ბოლო ინგლისური თარგმანების (ლონდონი, 1977 და 1982 წ.წ.) ავტორს როგორ შეიძლება არ ვიცნობდემეთქი.

– არა, პირადად თუ იცნობო? – გამიმეორა კითხვა ბატონმა აკაკიმ.

– დიახ, თბილისში ერთ-ერთი წამოსვლისას ოჯახშიც კი მეწვია-მეთქი.

– ჰოდა, ქეთრინმა გუშინ უელსიდან დამირეკა და რომ გაიგო თქვენი აქ ყოფნის ამბავი, ძლიერ გაუხარდა და მოხოვა, იქნებ, ბატონი გურამი ისე არ გაუშვათ ინგლისიდან, რომ უელსში არ მასტუმროთ!

საკმე ის არის, რომ ქალბატონი ქეთრინის მეუღლეს ბატონ ეშტონს ვილსონის მთავრობის კაბინეტში ერთ-ერთი მინისტრის პოსტი ეკავა და ლონდონში ცხოვრობდნენ. პენსიაზე გასვლის შემდეგ კი ისინი უელსში, დაბა პრესტენში გადავიდნენ, სადაც ადგილ-მამული და მეუღრო სახლი შეიძინეს და სწორედ იქ მეპატიუებოდნენ...

სიხარულით დავთანხმდი, რადგან გამოსენილი ყურადღების გამო ქართულ კულტურაზე დამაშვრალი ინგლისელი ქალბატონისათვის წემი ღრმა პატივისცემა მხურდა დამედანტურებინა და მეორეც, – უელსის ნახვის საშუალება კიდევ როდისღა მომეცემოდა?


ბატონმა აკაკი რამიშვილმა თავისი მანქანით სასტუმროში გამომიარა და ლონდონიდან უელსისაკენ მიმავალ შორ გზას დავადექით... დროც ბევრი გექონდა და საუბრის ხალისიც... და კვლავ არქივის ბედზე წამოეუბდე სიტყვა ბატონ აკაკის...

\* \* \*

1921 წლის თებერვალია. მე-11 წითელმა არმიამ სერგო ორჯონიკიძისა და სერგეი კიროვის მეთაურობით გადმოლახა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო სახლვარი და თბილისს მოუახლოვდა. საფრთხე დაემუქრა საქართველოს დამოუკიდებლობას, მის თავისუფლებას... განსაცდელშია დემოკრატიული საქართველოს დედაქალაქი!

სინამდვილეს თვალი უნდა გაუსწორონ მაშინდელი საქართველოს მესვეურებმა – როგორც პოლიტიკოსებმა, ისე კულტურისა და მეცნიერების წარმომადგენლებმა... ყველა თავისებურად ფიქრობს სამშობლოს გადარჩენაზე!





გაორგი მეთეორმეტისეული ჯვარი (წინა მხარე). ინახება ბრიტანეთის მუზეუმში




გიორგი მეთერთმეტისეული ჯვარი (უკანა მხარე)



ქორინ ვიიენ-ემონი. „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ ენაზე მთარგმნელი


საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ნოე ჟორდანიას მეთაურობით გადაწყვიტა თავი აარიდოს ახალ სისხლისღვრას (გვეყო, რაც სისხლი დაიღვარა კოჯორთან, ტაბახმელასთან) და ქვეყანაში სამოქალაქო ომის განადგობის საშიშროებას, დაწვას და განადგურებას გადაარჩინოს დელაქალაქი... მათ ემიგრაციაში წასვლა განიზრახეს, რათა შემდეგ პოლიტიკური გზებით, მსოფლიო საზოგადოებრიობის ასრის მომხრობით, მსოფლიო პარლამენტარების, ერთა ლიგის, მსოფლიოს სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის თანადგომით დაებრუნებინათ საქართველოს დაკარგული დამოუკიდებლობა (სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა რომ ვახსენეთ, უნდა გვახსოვდეს, რომ XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას, თავისი ინტერნაციონალეზით, უსარმაზარი ავტორიტეტი ჰქონდა მოელს მსოფლიოში მოხვეჭილი. ის კი არა, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დღესაც ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავთ სოციალ-დემოკრატებს და პირველობაში ეცილებიან მმართველ ქრისტიან-დემოკრატთა პარტიას, ხოლო რაც შეეხება შევედოს, - მოელს მსოფლიოში ყველაზე დაწყობილ და, რაც მთავარია, კონსერვატულ-მონარქისტული წყობის ქვეყანას, - ასი წელია სოციალ-დემოკრატიული მთავრობა ჰყავს სათავეში!). ასე რომ,



ქორინ ვიეინ-ემთონის სახლ-კარი უელსში

აკაკი რამიშვილთან ერთად უელსში ქორინ ვიეინ-ემთონის ბინაზე, 1981





ნოე ჯორდანიას

ჩვენი ქვეყნის სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას იმედი ჰქონდა საქართველოში მომხდარი ბოლშევიკური ოკუპაცია მსოფლიოს მიერ ინტერვენციად შეფასდებოდა და პოლიტიკური გზებით ავალგენდნენ მის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას.

აი, რას ფიქრობდნენ და რატომ გადადგეს ეს ნაბიჯი მაშინდელმა ჩვენმა პოლიტიკოსებმა. ახლა ენახოთ, რას ფიქრობს ქართული მეცნიერების საჭეთმკერობელი დიდი ივანე ჯავახიშვილი!

\* \* \*

მაშინ, მოგეხსენებათ, არ იყო ასე მრავლად სამუშეუმო ნაგებობები საქართველოში. ამიტომ ეროვნული საგანძურის დიდი ნაწილი, გარდა კავკასიის მუშეუმისა და სამხატვრო გალერეისა, თბილისის უნივერსიტეტში ინახებოდა. უნივერსიტეტის შენობის მარჯვენა ფრთის III სართული ძირითადად რამდენიმე სამუშეუმო განყოფილებას ეკავა. მათ შორის იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი სასოგადოების, საისტორიო-საეთნოგრაფიო სასოგადოებისა და საეკლესიო მუშეუმების საგანძური... დიახ, ამ სამუშეუმო განძეულობაში იყო როგორც ქართული ქრისტიანული მატერიალური კულტურის ძეგლები, ისე ჩვენი ძველი ხელნაწერები, მათ შორის “ვეფხისტყაოსნისა”... ამ დროს უნივერსიტეტის რექტორი ბატონი ივანე ჯავახიშვილია, ხოლო ექვთიმე თაყაიშვილი უნივერსიტეტის პროფესორი გახლავთ (იგი უნივერსიტეტის გახსნის დღიდან – 1918 წლის იანვრიდან 3 წლის განმავლობაში კითხულობდა ლექციებს არქეოლოგიაში და მისი სტუდენტები იყვნენ სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი, სერგი მაკალათია, თამარ ლომოური, შალვა ამირანაშვილი...). ისინი მეგობრები არიან, მაგრამ ივანე ჯავახიშვილი განსეუ გადაგა პოლიტიკისაგან, ექვთიმე თაყაიშვილი კი, ასევე დიდი მეცნიერი, ჩართულია პოლიტიკაში: იგი არის საქართველოს პარლამენტის (მაშინდელი დამფუძნებელი კრების) წევრი, ამასთან, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, იგი ეროვნულ-დემოკრატებმა, თავისი პარტიული კუთვით, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილედ გაიყვანეს (მაშინ მოადგილეს ამხანაგს ეძახდნენ). დამფუძნებელი კრების ანუ პარლამენტის თავმჯდომარე არის კარლო ნხეიძე – სოციალ-დემოკრატი, რომლის პირველი მოადგილე ასევე სოციალ-დემოკრატი, ჩვენი გამოსწეილი




սեպտեմբեր 1920



ივანე ჯავახიშვილი

თბილისის უნივერსიტეტი






მეცნიერის გიორგი ლომთათიძის მამა – ალექსანდრე ლომთათიძეა; მოადგილეა, აგრეთვე, როგორც ვოქვით, ექვთიმე თაყაიშვილიც – ეროვნულ-დემოკრატი; ხოლო პარლამენტის მდივანი გახლავთ მომავალში დიდი ქართველი მეცნიერი ქალი, ისტორიკოსი, ქალბატონი ქრისტინე (ნიტო) შარაშიძე...

...ივანე ჯავახიშვილი იბარებს ექვთიმე თაყაიშვილს და ეუბნება: ბოლშევიკები დღეს თუ ხვალ დედაქალაქში შემოვლენ და აქედან მთელ საქართველოს მოედებიან. მე მეშინია, რომ ისინი წყენს სამუხეუმო განძეულობას გაანადგურებენ, ქვეყანას გაძარცვავენ. გავიგე, რომ საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში მიდის და მინდა, როგორმე ხმა მივაწვდინო ნოე ჟორდანიას, რომ თან წაიღონ წყენი სამუხეუმო და ეკლესია-მონასტრების განძეულობა. შენ, ჩემო ექვთიმე, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე (ამხანაგი) ხარ და შენთვის ადვილია ნოე ჟორდანიასთან დაკავშირება, რომ ახლავე შეატყობინო ჩემი ეს თხოვნაო.

მართლაც, ექვთიმე თაყაიშვილი იმ დღესვე ეახლა ნოე ჟორდანიას და გადასცა ივანე ჯავახიშვილის თხოვნა. ნოე ჟორდანიამ დაუძახა მდივანს და იქვე უკარნახა ბრძანების ტექსტი

დაზღვევითი კრების სხდომა. პრეზიდიუმში ექ. თაყაიშვილი, ალ. ლომთათიძე, ქრ. შარაშიძე





კარლო ჩხეიძე



ალექსანდრე ლომთათიძე



კრისტინე შარაშიძე

სამუშეუშო განძეულობის - ქართველი ხალხის ეროვნული საკუთრების დროებით უცხოეთში გატანისა და მის მეთვალყურედ ექვთიმე თაყაიშვილის დანიშვნის შესახებ. ექვთიმეს უარი განუცხადებია უცხოეთში წასვლაზე, მაგრამ მთავრობის თავმჯდომარეს იგი დაურწმუნებია ამ გადაწყვეტილების სისწორეში.

ამ ბრძანებით დაბრუნდა ექვთიმე უკან, გადასცა ივანე ჯავახიშვილს ეს ყველაფერი, რის შემდეგაც დაიწყო სამუშეუშო და საეკლესიო განძეულობის სასწრაფოდ ყუთებში ჩალაგება-დალუქვა. ექვთიმემ ღამით თავის მეუღლეს და უახლოეს მეგობარს ნინო პოლტორაძეკაიას ყველაფერი უამბო. ისიც დაეთანხმა რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებას და მოკლედ რომ მოეჭრათ, ასე აღმონდა ბატონი ექვთიმე თაყაიშვილიც მეუღლითურთ და ეროვნული განძიც ემიგრაციაში...

როგორც ვხედავთ, სამუშეუშო და საეკლესიო-სამონასტრო განძეულობის თუ ხაზინისა და სასახლეების (ზუგდიდის, თბილისის, ბორჯომის) ძვირფასეულობათა სასღვარგარეთ გატანისა და ბოლშევიკური ოკუპაციისაგან მათი ხსნის იდეა, თურმე, ივანე ჯავახიშვილს ჰკუთნებია, ხოლო ექვთიმე თაყაიშვილს ემიგრაციაში წასვლა ადრე ფიქრადაც არ ჰქონია, ის კი არა, ნოე ჟორდანიას ამ წინადადებაზე მას თავდაპირველად ცივი უარიც განუცხადებია!

ეს ხომ სრულიად ახალი ვერსიაა ჩვენი სამუშეუშო განძეულობის და ექვთიმე თაყაიშვილის უცხოეთში მოხვედრის თაობაზე და განსხვავდება (თუნდაც, ნაწილობრივ!) ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე გაბატონებული აზრისაგან (მდრ. შამირანაშვილი, "საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუშეუშო განძეულობა და მისი დაბრუნება", პირველი გამოცემა, თბ., 1968; მეორე გამოცემა, თბ., 1978; რ.მეტრეველი, შ.ბადრიძე "ექვთიმე თაყაიშვილი", თბ., 1962; ე.თაყაიშვილი, "რჩეული ნაწერები, I, თბ., 1968; ა.სურგულაძე, "ექვთიმე თაყაიშვილი", თბ., 1977; ე.უბილავა, "განძეულის გუშაგი", თბ., 1980; გ.ჟორდანიას, "დაბრუნებული საუნჯე", თბ., 1983; ი.მეგრელიძე, "ექვთიმე თაყაიშვილი", თბ., 1989), სადაც ამ საქმესთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილის სახელი საერთოდ არ არის ნახსენები!

კი მაგრამ, საიდან ირკვევა, საიდან ვიცით ყოველივე ეს? რა გვაქვს საფუძვლად, როდესაც ასეთ განსხვავებულ ვერსიას



ვალიკო ნუბინიძე

ვაყენებთ ჩვენი მკითხველის სამსჯავროსზე? პირველწეაროდ ვინ გვყავს მხედველობაში?

ისევ და ისევ დიდი ექვთიმე თაყაიშვილი, რომლის უცნობი მოგონებები ჩაუწერია ვალიკო ნუბინიძეს.

ვინ იყო ვალიკო ნუბინიძე და რამდენად სანდოა მისი ჩანაწერები?

\* \* \*

...1988 წლის 22 აგვისტოს, დილით, თავის ბინაში მკვდარი იპოვეს თითქმის ას წელს მიღწეული მარტოხელა მოხუცი ვალიკო ნუბინიძე – ძველი სოციალ-დემოკრატი, 1924 წლის სახალხო ამბოხების აქტიური მონაწილე, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის თვალსაჩინო წევრი საფრანგეთში... იგი 1926 წლიდან პარიზში ცხოვრობდა – ჯერ მუშაობდა საქართველოს საელჩოში აკაკი ჩხენკელთან, რომელსაც იმ დროს კიდევ სცნობდა საფრანგეთის ხელისუფლება, ხოლო 1933 წლიდან, საელჩოს გაუქმების შემდეგ, სანამ 90 წელი არ შეუსრულდა, ვ.ნუბინიძე პარიზში საცალო ვაჭრობას ეწეოდა, ამასთან არც აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობისათვის გაუნებებია თავი: ორი ათეული წლის განმავლობაში იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის



ექვთიმე თაყაიშვილი ლევილში

პარიზის ორგანიზაციის თავმჯდომარე და სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს წევრი, ხოლო პავლე სარჯველაძის გარდაცვალების შემდეგ, მისი თავმჯდომარე.

გაჩუბინიძე ერთგულ სამსახურს უწევდა მის პარტიულ ბელადს ნოე ჟორდანიას, საკუთარი სახსრებით გამოსცა ნოეს ემიგრაციაში დაწერილი ახალი ნაშრომები (პარიზი, 1956), ამასთან, ნივთიერ დახმარებას უწევდა გაჭირვებაში მცხოვრებ დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს...

გაჩუბინიძის წერილები ხშირად იბეჭდებოდა საზღვარგარეთულ ქართულ სოციალ-დემოკრატიულ პრესაში. ცალკეა აღსანიშნავი საფრანგეთის დედაქალაქში ორ ტომად გამოცემული მისი “მოგონებანი” (პარიზი, 1938, 1953 წ.წ.), რომელიც ერთ-ერთ აუცილებელ პირველწყაროს წარმოადგენს, როგორც ჩვენში რევოლუციური მოძრაობის, ისე საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდისა (1918-1921 წ.წ.) და, განსაკუთრებით, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მოწყობილი 1924 წლის ამბოხების ისტორიისათვის.

სხვა ღირსეულ მამულიშვილებთან ერთად ვალიკო ჩუბინიძე დაკრძალულია ლევილის ქართულ საძმო სასაფლაოზე

(დაწვრილებით იხ. გ. შარაძე, “უცხოეთის ცის ქვეშ”, ტ.3, თბილისი, 1993, გვ. 186–194).


აი, სწორედ ამ ვალიკო ნუბინიძეს ნაუწერია თავის “დღიურებში” ექვთიმე თაყაიშვილის ოთხი მოგონება (იხ. ჟურნ. “ნენი დროშა”, პარიზი, №108, გვ. 73–82), რომელთაგან პირველი სწორედ ჩვენთვის საინტერესო საკითხს ეხება და ამიტომაც მას აქ პირველად მოვიყვანოთ:

“აწ განსვენებული პროფესორი ექვთიმე თაყაიშვილი ადვილად არავის ენდობოდა და თუ გენდობოდათ, მიგიღებდათ გულთბილად, მამაშვილურად, იყო იშვიათი მოსაუბრე და მისგან ყველანი ბევრ რამეს ესწავლობდით, ამიტომ ვცდილობდით მასთან ახლოს ყოფნას და მის ყურადსაღებ სწავლების მოსმენას.

...ეს იყო ომის (იგულისხმება მეორე მსოფლიო ომი, – გ. შ.) დაწყებამდე, საფხულში, ლევილშიდ. ბ–ნი ექვთიმე ჩამობრძანდა ესოშიდ, მშვენიერი სანახაობაა ამ დროს შატოს გარემო მისი ასწლოვანი ვაცხეებით, რომლებიც საამო სურნელებას გამოჰყოფენ ამწვანებულ მდელოზედ. ყველანი ბატონ ექვთიმესაკენ გავეშურეთ და ჩრდილშიდ მისთვის განკუთვნილ საგარძელშიდ მოვათავსეთ.

ბ–ნი ექვთიმე დიდად ნასიამოვნები დარჩა მისდამი ასეთი ყურადღებისათვის. მადლობა გადაგვიხადა და ღიმილით გვითხრა: რა ქვიანა, თქვენ გინდათ რაღაც დამაცდევინოთ და მეც მსურს მოგიოხროთ ერთი მეტად საინტერესო ამბავი ჩვენს მიერ გამოტანილ განძეულობაზედ, რომელსაც თვალის წინივით ვუვლიდი. დიდი ნოეს (ქორდანიას) გადაწვევტილებაზედ იყო დამოკიდებული მისი უცხოეთში გამოტანა თუ ადგილზედ დატოვება, – არც მე და არც ჩვენს მთავრობას ამაზედ არ გვიფიქრია. ეს აზრი ჩვენ შთაგვაგონა ჩემმა მეგობარმა დიდმა ივანემ (ჯავახიშვილმა).


ეს ასე მოხდა: წითელი არმია თბილისს უახლოვდება. მიბარებს ივანე და მეუბნება: ხომ ხედავ, ექვთიმე, მოდის რუსის ჯარი, მონათლული დამოუკიდებელ საქართველოს და სამღვდელოების მტრობით და სიძულვილით, ისინი დაარბევენ და გაძარცვავენ ჩვენს ეკლესიებს, მუზეუმებს და ყველა სასოგადოებრივ დაწესებულებებს; ამიტომ ესლავე შენ უნდა ნახო მთავრობის თავმჯდომარე, გააცნო ჩვენი ეროვნული განძეულობის გაძარცვა–დაღუპვის საშიშროება. ის ესლავე უნდა შეგროვდეს და საქართველოდან დროებით უცხოეთში უნდა გაიტანოს გადასარჩენად.



იოსებ ელიგულაშვილი

მე მაშინვე თანხმობა განუუცხადე ივანეს და სანქაროდ წავედი სასახლეშიდ. იმ დროს შინ ნოეს ნახვა არც ისე ადვილი იყო, მაგრამ მე მან დაუყოვნებლივ მიმიღო, მომისმინა და მაშინვე გამთაძახებინა ჩემი კარგი ნაცნობი და მეგობარი იოსებ ელიგულაშვილი – თანაშემწე ფინანსთა მინისტრის (კონსტანტინე კანდელაკის), კაცი განათლებული, ენერგიული და საქმიანი.

ბატონ ნოემ მას უთხრა: იოსებ, შენ თანამშრომლობ ექვთიმესთან, გეძღვევით სრული უფლება იმოქმედოთ თქვენი შეხედულებისდა მიხედვით განძეულობის შესაკრებად, გაძღვევთ უფლებას ყოველგვარი ტრანსპორტის რეკვიზიციისას და საჭირო თანხებს. იქვე უკარნახა ეს ბრძანება მის მდივანს, ხელი მოაწერა და გადმოძკა: მხოლოდო, – დააყოლა, – ექვთიმე, შენ ინიშნები ამ განძეულობის გამგედ და უცხოეთშიდაც უნდა გამოჰყვე ამ განძეულობას ამ უფლების გამოყენების შენახვით. ასლს განძეულობის აღწერილობისას სათანადო თქვენი და თქვენ მიერ შედგენილ კომისიის ხელის მოწერით დასტოვებთ, სადაც თქვენ საჭიროდ დაინახავთ. მე უარი განვაცხადე უცხოეთშიდ წასვლაზედ, მოვახსენე, – მე ოჯახობას მარტო ვერ დავეტოვებ-მეთქი. ბატონ ნოემ ცივად მიპასუხა: მეუღლესაც წამოიყვან და იქვე უკარნახა მდივანს ბრძანებულება ჩემი დანიშვნისა და იოსების



თბილისი, მთავრობის სასახლე


(ელიგულაშვილის) ჩემს თანაშემწედ დანიშვნისა. ხელი მოგვაწერინა, ასლი მდივანს გადასცა, გვისურვა წარმატება და გეთხრა, – მე ყოველთვის თქვენს განკარგულებაში ვარ, არ მომერიდოთ, – მაგრად ხელი ჩამოგვართვა და დაგვემშვიდობა.

რასაკვირველია, მე დიდი მადლობა მოვახსენე ჩემი და ივანეს სახელით. ჩვენ მაშინვე შევუდექით მეშაობას, ყველანი დიდი მონდომებით გვერდშიდ ამოგვიდგა. რასაკვირველია, დიდი ივანეს (ჯავახიშვილის) დახმარებით და იოსების (ელიგულაშვილის) განსაკუთრებული ორგანიზატორის ნიჭიერებით ჩვენი დავალება ბრწყინვალედ შევასრულეთ”.

\* \* \*

ამის შემდეგ, როგორც ვიცით, 1921 წლის 20–21 თებერვალს, რკინიგზით განძი თბილისიდან წამოიღეს და ქუთაისის გავლით და იქ ახალი ნაწილების (ხაზინის, გელათის მონასტრის) შემომატებით 3 მარტს ბათუმში ჩაიტანეს. ამიერკავკასიაში საფრანგეთის მთავრობის სრულუფლებიანი მინისტრის (დესპანის) და უზენაესი კომისრის აბელ შევალეს დახმარებით ბათუმში ჩატანილი განძი მატარებლიდან 5 მარტს ფრანგულ სამხედრო კრეისერ “ერნესტ რენანსე” გადატვირთეს (აქვე მიუმატეს ბათუმში სხვადასხვა მატარებლით ჩატანილი ბორჯომისა და ლიკანის სასახლეების ქონება) და 11 მარტს






Օճաբանի, Բողոքանի մեղքանի


Էրասեօ






ჯეოჯო

ბორჯღაძე, დავი შიკვინის მიხედვით ნიკოლოზის ძის სახეზე






ლიკაში. დავა მოყვანის ნიკოლოზ მსხვილის ძის სახსლე


ზუგდიდი. დღიანების სახსლე და კანის ეკლესია






Ашхабад

қаланың қалыңдығы






მარსელი

ანდრია დეკანოზიშვილი



ზურაბ ავალიშვილი





პარიზი

კონსტანტინეპოლისკენ გაისტუმრეს, 14 მარტს კი მეორე პატარა გემით ექვთიმე თაყაიშვილმა “ერნესტ რენანს” კონსტანტინეპოლში ჩაუსწრო და საფრანგეთში გასაგზავნი განძი ძველ ფრანგულ სამხედრო სატრანსპორტო გემზე “ბიენ კოაზე” გადაიტანა... ზღვაზე თითქმის 2-თვიანი მომქანცველი მგზავრობის შემდეგ 1921 წლის 10 აპრილს, საღამოს “ბიენ კოა” მარსელის სანაპიროს მიადგა, სადაც დახვდნენ პროფ. სურაბ ავალიშვილი და ანდრია დეკანოზიშვილი; 11 მარტს, დილით გემიდან განძი გადმოალაგეს და საფრანგეთის ბანკის მარსელის განყოფილებაში მოათავსეს, თვითონ კი პარიზში ჩავიდნენ...

\* \* \*

მოგესხენებათ, ემიგრაციაში წასული ჩვენი ეროვნული მთავრობის ჩანაფიქრი არ გამართლდა, პოლიტიკური გზებით ვერ დაიბრუნეს საქართველოს დამოუკიდებლობა, მითუმეტეს, რომ მეორე მსოფლიო ომში გერმანიის ფაშიზმზე სტალინის გამარჯვებამ კიდევ უფრო განამტკიცა ბოლშევიზმი და კომუნისტური რეჟიმი, აამაღლა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო



ი. სტალინისა და შარლ დე გოლის შეხვედრა მოსკოვში საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის ხელშეკრულების დადებისას, 1944 წლის 10 დეკემბერს

ავტორიტეტი, რამაც მთლიანად მოუხპო სამშობლოში დაბრუნების იმედი უორდანიას და მის მთავრობას.

როგორც ვიცით, გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ საფრანგეთის ეროვნულ მოძრაობას ხელმძღვანელობდა გენერალი დე გოლი, რომელიც 1944 წლის 2 დეკემბრიდან 10 დეკემბრამდე მოსკოვს ეწვია, როგორც საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის თავმჯდომარე, შეხვდა ი.სტალინს და სათანადო მოლაპარაკებების შედეგად 10 დეკემბერს დაიდო ხელშეკრულება




სერგეი კონსტანტინოვი



ალექსანდრე ბრუზი

სერგეი მხეიძე



ალექსანდრე ბრუზი





საფრანგეთის რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის კავშირისა და ურთიერთდახმარების შესახებ (იხ. "იზვესტია", 19.XII.1944).

პირად საუბარში სტალინმა აგრძობინა და შეახსენა დე გოლს, რომ საფრანგეთში, კერძოდ, პარიზში ჩატანილია და ინახება საქართველოს ეროვნული განძი (ამის შესახებ დე გოლი მოსკოვში ჩასვლამდეც იყო ინფორმირებული და 1944 წლის 23 ნოემბერს სათანადო განკარგულებაც ჰქონდა გაცემული ქართული საუნჯის დაბრუნების შესახებ, რითაც იგი იქმნიდა ხელსაყრელ პირობებს საბჭოთა მთავრობის მეთაურთან ი.სტალინთან მომავალი მოლაპარაკების წარმატებით დასაგვირგვინებლად) და როგორც შამირანაშვილი წერს, "მისგან დაპირება მიიღო ქონების დაბრუნების შესახებ" (დასახ. ნაშრ., გვ.12). სტალინისა და დე გოლის მოლაპარაკებაზე მიანიშნებს ექ.თაყაიშვილიც (დასახ. ნაშრ., გვ.412-413). ამის შემდეგ მოვლენების განვითარებაზე ახალ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ვ.ჩუბინიძე თავის ზემოთ დასახელებულ "დღიურებში".

ვ. ჩუბინიძე წერს:

ლვეილის ქართული მამული.

უზოს სიღრმეში მოჩანან ნოე ჟორდანიას და ექვთიმე თაყაიშვილი



“...1945 წელს, 15 იანვარს ჩავედი ლევილში პრესიდენტისათვის (ნოე ჟორდანიასათვის) დაბადების დღის მისალოცად. ამ არეულ და გაჭირვებულ ხანაშიდ ის დროებით სოფლად ცხოვრობდა. მივედი მასთან ბინაზედ, ბ-ნი ნოე ბუხართან იჯდა თავის ლეგენდარული შალით ლამაზად ბეჭებზედ წამოსხმული. ჩემი დანახვა ძალზედ ესიამოვნა, მივულოცე დაბადების დღე და გადავეცი ცოტა სანოვაგესთან ერთად 5000 ფრანკი, რომელსაც მე რეგულარულად ამხანაგებში ვუგროვებდი, რადგან ჩვენი პრესიდენტი ხელმოკლედ ცხოვრობდა, ამხანაგები მატერიალურად ვეხმარებოდით. სადილად არ გამომიშვა, მხოლოდ ბოდიში მოიხადა, რომ ხორცი არა აქვს, რადგან მეტად ძვირი და ძნელი საშოვარიყო. სადილობის დროს მითხრა, ერთ საიდუმლოს გაგანდობ; მაგრამ დრომდის არავის არ უნდა უთხრა, ჩვენს განძეულობას საფრთხე მოეღის, ჩვენი განძეულობა საფრანგეთის მთავრობას სურს გადარიცხოს რუსეთის მეფის ვალების ასანაზღაურებელ ფონდშიდ, რომ საფრანგეთმა გაინაღდოს ის ვალები, რომელიც მეფის რუსეთმა სესხით აიღო ამ უკანასკნელისგან. მე და ევგენიმ (გეგეჰკორმა) გადავწყვიტეთ დაუყოვნებლივ ეს ქართველი ხალხის ქონება დაუბრუნდეს მის ნამდვილ მესაკუთრეს – საქართველოს. ჩვენს მიერ გადადგმიულ ნაბიჯებმა დადებითი ნაყოფი გამოიღეს და რამოდენიმე დღეშიდ სისრულეშიდ იქნება მოყვანილი.

ეს განძეულობა ძლივ-ძლივობით გადაეარჩინეთ ჯერ გერმანელებისგან ოკუპაციის დროს, რომლებმაც აუარებელი საფრანგეთის განძეულობა გაიტანეს გერმანიაში და ჩვენს ქონებასაც მიაღწენ. მაგრამ დავემტკიცეთ, რომ ისაა საქართველოს კუთვნილება და არ წარმოადგენს დიდ ღირებულებას. როგორც იქნა მოვიშორეთ. აქვე უნდა აღინიშნოს ჩვენი ფრანგი მეგობრების უაღრესი გაბედული დახმარება. მათ გერმანელებს არ აჩვენეს განძეულობის სრული სია. ამიტომ ამ არეულ დროში მინდა ჩემს სიცოცხლეში დაეუბრუნო ეს ქონება უკლებლივ ჩემს საყვარელ ერს. მე მაწერს ბოლშევიკური ხელისუფლება ამ განძეულობის გაყიდვა-გაფლანგვას და მსურს ქართველმა ხალხმა თავის თვალთ ნახოს, რომ ეს ქონება მას ბარდება უკლებლივ, რომელსაც დაემატა ექვთიმეს მიერ შემოწმებული სამუსუჟმო ნივთები, გაყიდული ევროპაშიდ კერძო პირთა მიერ, რომელიც მიუხედავად ჩვენი სიღარიბისა, მაინც შევისყიდეთ. პარიზში ევგენი (გეგეჰკორი) შენ დაგირეკავს, უნდა უშოვნო მანქანა და ჩამომიყვანო. ეს ამბავი არც ექვთიმემ და არც

აკაკიმ (ჩხენკელმა) არ იციან, და არ უნდა უთხრა. მე და ევგენი ვეძებთ მათ.

მეორე დღესვე ბატონმა ევგენიმ დამირეკა და ჩვენმა ამხანაგმა საშა მეღიავამ თავის მანქანით ჩამოგვიყვანა ლევილშიდ. მისვლისთანავე ბ-ნ ნოემ მითხრა, – სთხოვე ექვთიმეს, რომ ვუცდიო. ბ-ნი ექვთიმე მაშინვე წამომეყა, გაიკვირვა ბ-ნი ევგენი რომ დაინახა და იკითხა: “რა ქვიანა (რატომღაც ამ სიტყვას ის ხშირად ხმარობდა), გლახა ამბავი ხომ არაფერია, ევგენი, ასეთ ამინდში რამ ჩამოგიყვანათ?”

ბატონ ნოემ მოკლედ გააცნო თუ რისთვისაა ჩამოსული ევგენი და რატომ იხმო ის. გააცნო რა საქმის ვითარება, ბატონი ექვთიმე მეტად აღელდა, მით უფრო, ბატონ ექვთიმეს როდესაც ნოემ უთხრა, რომ შენ ამ განძეულობას უნდა გაქვეე საქართველოშიდ. ექვთიმე მედამ ერთგული იყო ბატონ ნოესი და დიდ პატივს სცემდა და მოახსენა: საქმე უკვე გაგითავებიათ და ესხლა მეუბნებით ამ ამბავს? მე, მოხუცებულ კაცს, როგორ მწირავთ? რას იტყვიან შემზედ საქართველოშიდ? ბოლშევიკების ნღობა განა შეიძლება? ამდენი ხანია ამ ქონებას ვინახავთ და ვუვლით, გამოვსტაცეთ ხელიდან ბოლშევიკ ურდოებს ეს ქართული განძეულობა და ესხლა თქვენ სრული ნღობით აბარებთ მოსკოვს ამ ქონებას? რა გარანტია გაქვსთ, რომ მოსკოვი ამ საუნჯეს საქართველოს გადასცემს და თვითონ არ მიითვისებს? არა, რა ქვიანა, მე იქ არ წაყალ, ჩემი ადგილი აქაა, ლევილის სასაფლაოზედ, ჩემ მეუღლე ნინოსთან.

ბატონ ნოემ სიტყვა მისცა ბატონ ევგენის, რომელმაც უთხრა ბ-ნ ექვთიმეს, რომ საქმე გათავებუელია, ხვალ მოვა აქ თქვენ წასაყვანად საბჭოთა წარმომადგენელი ბატონი გუზოუსკი, გაგაცნობსთ საბჭოთა ელჩს ბ-ნ ბოგომოლოვს, სადაცაა თბილისიდან ჩამოვა პროფესორი თავაძე (უნდა იყოს – შალვა ამირანაშვილი, გ.შ.), განძეულობის იმ სიით, რომელიც თქვენ იქ დასტოვეთ და მასთან ერთად შეამოწმეთ, რომ მას არაფერი აკლია და სავსებითაა დაცული. პირველ დღეებშიდ თქვენ გადახვალთ პარიზშიდ, ჩვენი ვადიკო თქვენ აგიღებსთ სასტუმროშიდ ბინას მის მახლობლად და მასთან იქნებით სტუმრად. ყოველივე ხარჯებს ვადიკო იღებს თავის თავზედ: რამდენიმე დღის შემდეგ საბოლოოდ გადახვალთ საცხოვრებლად და სამეუშაოდ საბჭოთა საელჩოშიდ და სათანადო კომისიის ხელის მოწერით შეადგენთ თქმს ქართულ, რუსულ, ფრანგულ ენაზედ და გადმოგვცემთ მის ასლებს ჩვენი არხივის საჭიროებისათვის.



ექვთიმე თაყაიშვილი



ნოე ჟორდანიას ლევილში

ბატონი ექვთიმე ფეხსედ წამოდგა და შემდეგი სიტყვები წარმოთქვა: “ბატონო პრეზიდენტო, ეს თხოვნაა თუ ბრძანება?” ეს უკანასკნელიც ფეხსე აღგა და უპასუხა: ბრძანებაო! მაშინ ბატონ ექვთიმეს თითქოს ცრემლი მოადგა და უპასუხა: არ ვიზიარებ თქვენს აზრს, მაგრამ ბრძანებას ვემორჩილებიო. ბატონ ნოემ მაგრად ჩამოართვა ხელი ბატონ ექვთიმეს და ერთმანეთს გადაეხვივნენ. შემდეგ ბატონ ექვთიმემ ბატონი ევგენი გადააკოცნა და თხოვა, როგორმე, ჩემთვის ტანჯული და განაწამები მეუფლე გადმომისვენეთ საქართველოშიდ. ბატონ ევგენის დაპირება მისცა ბატონმა გუზოვსკიმ, რომ პროფესორის თხოვნას უსათუოდ სისრულეშიდ მოიყვანდა, თვით ელნიც დაპირდა... დასასრულ მოგახსენებთ, რომ ბატონ ნოეს თხოვნით ბატონი აკაკი ჩხენკელიც ჩაიყვანე ლევილშიდ: ბატონი აკაკი დიდად ნაწკენი დარჩა, რომ განძეულობა ბოლშევიკურ საქართველოს გადაეცა და პროტესტი განაცხადა, მაგრამ დიდი ნოეს გადაწყვეტილებას დაემორჩილა”.

განძეულობის დაბრუნებასთან ი.სტალინისა და ნოე ჟორდანიას პირდაპირ კავშირს ადასტურებს აგრეთვე პარიზულ არქივში აღმოჩენილი დამოუკიდებელი საქართველოს ყოფილი შრომის მინისტრის გიორგი ერადის ასეთი წინაწერი:

“ეს ამბავი მე ვიცოდი:

როდესაც დე გოლმა დააპირა მოსკოვში წასვლა სტალინთან მოსალაპარაკებლად, მაშინ ნოე ჟორდანიამ გადაწყვიტა ამ შემთხვევით ესარგებლა: დაიბარა თავაძე (?) და უთხრა, რომ სასწრაფოთ შეეტყობინებინათ სტალინისათვის, რომ საქართველოს განძეულობას ადევს ყადაღა საფრანგეთის მთავრობისაგან. მიუხედავ ასახელებნ, რომ რუსეთს ფული მართებს საფრანგეთის და ამ ვალის დასაფარათ, ეს განძეულობა მის გარანტიათ არის დაკავებულიო.

ნოე ჟორდანიას უთქვამს თავაძესათვის, რომ სტალინი თუ ისარგებლებს და განძეულობის შესახებ სთხოვს, – დე გოლმა მოხსნას ყადაღა, – შეუსრულებსო!

მართლაც ასე მოხდა: სტალინმა სთხოვა დე გოლს. ამან მოსკოვიდან დეკემბით მოახდინა განკარგულება და განძეულობა გაანთავისუფლეს, რის შემდეგაც შეუდგნენ განძეულობის აღწერას და მის გასაგზავნად მომზადებას”.

\* \* \*

ამით არ წყდება ვიუბინიძის წვენი მეცნიერებისათვის უცნობი მოგონებები, რომელსაც აგვირგვინებს მონათხრობი ექვთიმე თაყაიშვილის უკანასკნელი დღეების შესახებ საფრანგეთში, სამშობლოში განძთან ერთად დაბრუნების სამზადისი და მისი გამოთხოვება ქართულ ემიგრაციასთან:

“ბატონ ექვთიმეს უკანასკნელად მე შეეხვდი ჯერ ლევილშიდ, შემდეგ კი ბატონ ნოესთან. ლევილის ქართველობამ მას საქართველოშიდ გამგზავრების (1945 წლის 5 აპრილი, გ.შ.) წინ, გაუშართა გამოსათხოვარი სადილი. ბატონი ექვთიმე ძალიან დელავდა. თვალცრემლიანმა დალია წვენი სადღეგრძელო, გვითხრა რომ წვენ ერთმანეთს ვეღარ ვნახავთ და დიდი გაბედულებით გაგვიცხადა: იქ მე ვიცი დიდი პატივით მიმიღებენ, მაგრამ ისიც ვიცი, რომ მე მათ მუდმივ “დამაშნი არესტში” ვეყოლები თავისუფლებას მოკლებული. მსხვერპლად ვეწირები წემს თავსეად აღებულ მოვალეობას, არასოდეს არ იფიქროთ, რომ მე თქვენ

გღალატობთ! აკანკალებული ხელით თვალცრემლიანმა დალია ჩვენი სადღეგრძელო, დაგველოცა და სასაფლაოზედ წავიდა ყველას თანხლებით მეუღლის საფლაოზედ გამოსამშვიდობებლად (ექ.თაყაიშვილის მეუღლე - ნინო პოლტორაძეკაია გარდაიცვალა 1931 წელს პარიზში და დაკრძალული იყო ლევილის სასაფლაოზე, ამჟამად გადმოსვენებულია თბილისში და ექ.თაყაიშვილის გვერდით განისვენებს დიდუბის პანთეონში, გ.შ.).

რამდენიმე დღის შემდეგ ბატონი ექვთიმე ეწვია დიდ ნოეს (ჟორდანიას) და ახარა, რომ განძეულობას არაფერი არ აკლია, შესანიშნავ მდგომარეობაშია და დაემატა თქვენი მთავრობის მიერ შესყიდული სამუსეუმო ნივთები, რომელიც კერძო პირებს უცხოეთში გაუყიდიათ. თამარ მეფის ქოშები და სარტყელიც, რომელზედაც თქვენ ისე სწუხდით, საპატიო ადგილზედაა.

ბატონი ექვთიმე სუფრასედ მიიწვიეს. მან ფეხზე ადგომით დალია ბატონ ნოეს სადღეგრძელო, შენობით მიმართა და უთხრა შემდეგი:

“ნოე, მე იქ შენი ბრძანებით მივდივარ, იცოდე, მომაწერენ ბევრ რამეებს შენი და ეროვნული მთავრობის წინააღმდეგ თითქოს ჩემს თქმულს. იცოდე, არ დაიჯერო. ამის ნიშნებს უკვე ვხედავ: მე ვიყავი და ვრჩები საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზედ. იქაც და აქაც მუდამ გვერდშიდ ვუდექი ეროვნულ მთავრობას, ვრჩები მისი ერთგული და ვისიარებ სახლვარგარეთ მის მუშაობას, რადგან პირნათლად ასრულებთ დამფუძნებელ კრების დავალებას. მე შენ იცი, რომ მათ მიერ შეთხზულ სიცრუის გასაფანტავად ვტოვებ ანდერძის სახით ყოველივე ახსნა-განმარტებას და ჩემს შეხედულებას ჩვენი ქვეყნის დამპყრობლების შესახებ, რომელიც შეგიძლიათ და ნებას გაძლევთ გამოაქვეყნოთ ჩემი გარდაცვალების შემდეგ ქართველი ხალხის საყურადღებოდ!”

თუ როგორი იქნებოდა ამ ორი სიყრმის მეგობრის გამოთხოვება უცხო მიწასზედ ეს თვითონ მკითხველმა წარმოიდგინოს!

სამწუხაროდ, ამ ორმა პიროვნებამ (ნოე ჟორდანიამ და ექვთიმე თაყაიშვილმა) ისე დაგვეტოვა, რომ არავინ იცის, თუ ვის მიაბარა, ან სად ინახება განსვენებულ პროფესორის ექვთიმე თაყაიშვილის ეს მრავალი სიმართლის მთქმელი უაღრესად ისტორიული, საინტერესო ანდერძი”.

\* \* \*

ჯერჯერობით ეს ანდერძი ვერა, მაგრამ, სამაგიეროდ,



ეხლანდელი ნინოს ძეგლი 'შეგიძლიათ ვინმე ჩვენს თანამემამულეს მოახმაროთ, ხოლო ჩვენ გამძლე ქვის ძეგლი დაგვადგათ წარწერით: Concession a perpetuite და 'შემდეგ: პროფესორი ექვთიმე თაყაიშვილი (1863-19-) და ნინო თაყაიშვილისა (1873-1931). სახელები ფრანგულადაც უნდა იყოს, თუ მოხერხდეს და ნება დაგროთნ ცოტა მოსრდილი დაფნის ჩერგები ჩარგით ოთხივე კუთხეში ძეგლისა.

შენიშვნა: ჩემს სკივრში თეთრეულებთან ინახება კელაპტრის დიდი ხანთელი, რომელიც ჯვრისწერის დროს ვიხმარეთ ეკლესიაში. ნინოს წამოეღო, სიკვდილის 'შემდეგ უნდა დაგვინთონ კუბოს წინო და 'შემდეგ კუბოში ნაგვატანონო. ნინოს ეს სურვილი აგუხრულე და მისი სურვილისამებრ მიხდა მეც ამისრულეთ.

2. ჩემს განძს და ავლადიდებას 'შეადგენს ჩემი საისტორიო და საარქეოლოგიო მასალები, ტექსტები, გეგმები, სურათები და სხვა და აგრეთვე ჩემი ბიბლიოთეკა, რომელიც დიდის ცდით და 'სრუნვით 'შევაგროვე და მივიღე საქართველოდან ამ 22 წლის განმავლობაში. უმეტესი ნაწილი მასალებისა ცალკე პაკეტშია მოქცეული ზედ წარწერით, რა მხარის და ძეგლების მასალებია. ესენი ყველა, თუ აქ 'სოგი რამ უკვე დამზადებული არ გამოიცა, უნდა გაეგზავნოს ტფილისის უნივერსიტეტს, როცა ამისთვის შესაფერისი დრო დადგება, ან უნდა თქვენ თვითონ წაიღოთ, თუ ბედმა საქართველოში დაბრუნება გარგუნათ. ტფილისის უნივერსიტეტს უნდა გაეგზავნოს აგრეთვე ყველა ჩემი პარიზში თუ ევროპაში გამოცემული წიგნები და ბროშურები, ესე იგი სამეცნიერო გამოცემათა ამონაკვებები.

3. რაც 'შეეხება ჩემს ბიბლიოთეკას, ამას ვტოვებ ჩემი ანდერძის ამსრულებელთა განკარგულებაში (მცირე წიგნების გამოკლებით, რაც ტფილისის უნივერსიტეტს უნდა გაეგზავნოს ჩემი იქოური ბიბლიოთეკის შესავსებად, ეს ცალკე სიით იქნება აღნიშნული) 'შემდეგის პირობით: ჩემი ბიბლიოთეკა უნდა გახდეს საფუძველი საფრანგეთის ქართველთა ემიგრაციის ქართულის ბიბლიოთეკისა, რომელსაც უნდა მიემატოს ჩვენი ლეგაციიდან აქ ლევიდში გადმოტანილი წიგნები და აგრეთვე ის წიგნები, რომელთა ემიგრაციის ახალგაზრდობა 'შეიძენს მის შესავსებად (ასეთი განსრახვა უკვე შარშან დაებადა ახალგაზრდობას), ან კერძო ემიგრანტები 'შემოსწირვენ თავის წიგნებს. ლევილის შატოში უნდა დაეთმოს ამ ბიბლიოთეკას 'ზემო ხართულში ის პატარა ოთახი თავის კედლის განჯინებით, რომელშიაც ეხლაც მოთავსებულია



ჩემი წიგნები. უეღო წიგნები უნდა შეიმოსოს ყდით. ამ ბიბლიოთეკიდან სახლში წასაღებად და სახმარად წიგნი არავის არ მიეცემა, გარდა უკიდურესი შემთხვევისა, როცა ამას ნების აღმსრულებელი საჭიროდ დაინახვენ. აქ ყველას ნება ექნება ისარგებლოს წიგნებით, სამაცადინოდ გამოყენებულ უნდა იქმნეს დიდი ზალა ქვემო სართულში. გამგეობა ბიბლიოთეკისა უნდა მიენდოს ბატონ სამსონ ფირცხალავას, ან იმას, ვისაც ნების ამსრულებელი მიანდობენ, თუ რაიმე მიზეზით სამსონმა ეს ვერ შესძლო. როცა ემიგრაციას საშვალეა მიეცემა სამშობლოში დაბრუნებისა, ან ლევილის მამული სალიკეიდაციო გახდება, ან რაიმე სხვა მიზეზის გამო ნების აღმსრულებელი ვეღარ შესძლებენ ლევილში დაცვას ბიბლიოთეკისა, მაშინ ჩემი ბიბლიოთეკა უნდა გადაეცეს პარიზის ცოცხალ აღმოსაველეთის ენების ინსტიტუტს, როგორც შეწირულობა პროფესორ ექვთიმე თაყაიშვილისა”.

...კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, – სწორედ ამაზეა ნათქვამი!

რა იცოდა ექვთიმე თაყაიშვილმა, რომ სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ სხვა ანდერძი ექნებოდა დასაწერი, განძთან და თავის ნივთებთან ერთად 1945 წლის 11 აპრილს საქართველოში დაბრუნდებოდა, ხოლო მის მრავალტანჯულ ბებერ ძველებს 1953 წლის 24 თებერვალს თბილისის მიწა მიიბარებდა, მოგვიანებით კი, მის უსაყვარლეს მეუღლეს – ნინო პოლტორაცკაიასაც ლევილიდან დიდუბეში გადმოსვენებდნენ და მის გვერდით მიუზენდნენ სამუდამო განსასვენებელს!



ეროვნული არქივი პარიზში და მისი ბედი

1945 წლის 11 აპრილს ექვთიმე თაყაიშვილმა ჩვენი ეროვნული საუნჯე – სამუზეუმო, ზუგდიდისა და ბორჯომ-ლიკანის სასახლეების, აგრეთვე, დასავლეთ საქართველოს ეკლესია-მონასტრების განძეულობა საქართველოში ჩამოიტანა, რომელიც დღეს ინახება აკად. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, აკად. ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და აკად. შამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.

მაგრამ ჩამოუტანელი რჩებოდა ჩვენი მეორე ეროვნული განძი – დამოუკიდებელი საქართველოს (1918–1921 წ.წ.) სახელმწიფო არქივი, რომელიც ასევე ბოლშევიკური ოკუპანტებისაგან. განადგურების შიშით, ჩვენს სამუზეუმო და საეკლესიო განძეულობასთან ერთად, ემიგრაციაში წაიღო საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ!

1921 წლის 18 მარტიდან, როცა ეროვნულმა მთავრობამ დატოვა საქართველოს ტერიტორია და იტალიური გემით ბათუმიდან საფრანგეთს (პარიზს) გაიხიზნა, თან წაიღო საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის (1918–1921 წ.წ.) ისტორიის ამსახველი სახელმწიფო-პოლიტიკური არქივი, რომელსაც ემიგრაციაში განაგებდა თვით ეროვნული მთავრობის წევრებისგან (ე.გ.გეგუკორი, კ.კანდელაკი, ა.ჩხენკელი, გ.ერაძე, ნ.ცინცაძე, ს.ასათიანი) შემდგარი კომისია. შემდეგ ნოე ფორდანიას წინადადებით და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის არქივისა და წიგნთსაცავის კომისიის დადგენილებით, საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი შრომის მინისტრი გიორგი ერაძე (1882–1971) დაინიშნა არქივისა და წიგნთსაცავის მომვლელ-შემნახველი კომისიის თავმჯდომარედ და წლების განმავლობაში წარმატებით ასრულებდა ამ მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობას. კომისიის მდივანი იმთავითვე გახლდათ ზაქარია ჩიჩუა (1876–1952).

1944 წლის 1 აგვისტოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგუკორის



კონსტანტინე კანდელაკი

გორგი ურბე



დავით ბაგდასარი

აკაკი წერეთელი





Թորոնտոյի Կոնսուլ



Թորոնտոյի Կոնսուլ

Կոնսուլ Գրիգոր



Կոնսուլ Գրիգոր



ხელმოწერით პარიზის ცოცხალი აღმოსავლური ენების ინსტიტუტს შესაძლებლად წაბარდა ქართული ეროვნული არქივი, რის გამოც იმჟამად ფრანგულ ენაზე შედგენილ ორმხრივ დოკუმენტში ვკითხულობთ:

“ბატონი გეგეჭკორისგან მიღებულია და აღმოსავლური ენების ინსტიტუტის №5 სხვენში მოთავსებულია 20 (გადაშლილია და ზემოდან დაწერილია 21, გ.შ.) ყუთი ქართული წიგნებისა და ქაღალდებისა ომის დამთავრებამდე.

მხოლოდ ბატონებს – გეგეჭკორს, ჟორდანიას, ჩხენკელსა და კანდელაკს მიუწვდებათ ხელი ზემოთხსენებულ დოკუმენტებზე ადგილზე შენახვის განმავლობაში.

მხოლოდ ამ პიროვნებებს შეუძლიათ მოთხოვნა ამ ყუთებისა; თუ ისინი წინააღმდეგი იქნებიან შენახვის ქირის გადახდისა, წარმოდგენილ ყუთებს უკან მიიღებენ”.

(ამავე დოკუმენტს ზემოთ მარჯვენა კუთხეში, კონსტანტინე კანდელაკის ხელით (როგორც ეს ბატონმა მამია ბერიშვილმა აგვიხსნა) ქართულად მიწერილი აქვს: “გამოტანილია 1953 წლის იანვარში დიდი წყალდიდობის გამო”).

როგორც ვიცით, 1953 წლის 11 იანვარს, 85 წლის ასაკში, პარიზში გარდაიცვალა საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას. მისი სიკვდილიდან რამდენიმე თვის შემდეგ, კერძოდ, 1953 წლის 7 სექტემბერს, ლევილში შემდგარა ყოფილი მთავრობის საგანგებო სხდომა, რომლის ოქმში ვკითხულობთ:

“ოქმი

1953 წლის 7 სექტემბერს, საფრანგეთის სოფელ ლევილში შესდგა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი მთავრობის საგანგებო სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ: კონსტანტინე კანდელაკი, აკაკი ჩხენკელი, ევგენი გეგეჭკორი, გიორგი ერაძე, მიხეილ (რაჟდენ) არსენიძე, ნოე ცინცაძე, სოსიპატრ ასათიანი და როგორც დამსწრეები – ნიკოლოზ იმნაიშვილი და ნოე ჟორდანიას მანდატით აღჭურვილი მამია ბერიშვილი.

ამ საგანგებო სხდომის თავმჯდომარედ არჩეული იქნა კონსტანტინე კანდელაკი, რომელმაც წარმოადგინა ლევილის ქართული მამულის და მთავრობის მიერ გამოხიზნული სახელმწიფო არქივის საბოლოო ბედის გადასაწყვეტად ორივე პროექტი ცალ-ცალკე. სათანადო კამათისა და მსჯელობის შემდეგ მცირედი შესწორებებით პროექტის საბოლოო ტექსტი

ერთხმად იქნა მიღებული სახელმძღვანელოდ და ცხოვრებაში გასატარებლად ანდერძ-დადგენილების სახელწოდებით ორივე საკითხზე.

ტექსტის საბოლოო მიღების შემდეგ სხდომამ ერთხმად დაადგინა: რომ ორივე დადგენილება მისი საბოლოოდ შესრულებამდე იქნას შენახული საიდუმლოდ ამორჩეულ ნოტერთან. ამ ორი დადგენილება—ანდერძის საბოლოო შესრულებას საგანგებო სხდომა ავალებს ეგრეთწოდებულ სოციეტეს წევრებს ან წევრების პროკურატორებს შემნახველ ნოტერთან შეთანხმებით და ჩვენს მიერ დასახელებულ ანდერძის შემსრულებელ პიროვნებასთან, რომელიც ჩვენს მიერ სრული ნდობით არის აღჭურვილი. რაც შეეხება მთავრობის არქივის მოვლა—პატრონობას ვაკისრებთ ჩვენს მიერ გამოყოფილ ყოფილი მთავრობის არქივის შემნახველ კომისიას, ხოლო საბოლოო ბედის გადაწყვეტას ანდერძის შემნახველ ნოტერსა და ანდერძის შემსრულებელ პიროვნებას, რომელმაც უნდა შეარჩიოს დრო და მომენტი, როცა შესაძლებელი იქნება არქივის გადაცემისათვის სასურველი პერიოდი.

საგანგებო თათბირის ამ ოქმს ხელს ვაწერთ: კ.კანდელაკი, ა.კახიკელი, ე.გეგეიჭკორი, გიორგი ერაძე, მ.არსენიძე, ნ.ცინცაძე, ს.ასათიანი, რომლებიც საჭიროდ ვთვლით ამ ოქმს თან ერთვოდეს ჩვენივე დადგენილება—ანდერძის ორივე სრული ტექსტი:

ჩვენ დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი მთავრობა ერთსულოვნად ვადგენთ და აუცილებელი სავალდებულოა და აუცილებელ საჭიროდ ვთვლით, მისი ყოველგვარი შესწორებისა და ცვლილებების გარეშე შესრულებას, რადგან ჩვენი დადგენილება წარმოადგენს ჩვენს ანდერძს და რადგან არქივი წამოღებული საქართველოდან წარმოადგენს მომავალი დამოუკიდებელი რესპუბლიკის სრულ საკუთრებას და რადგან არქივი გამოხიზნული იქნა საქართველოს რესპუბლიკის დამპყრობლებისაგან მისი განადგურების თაყიდან აცილების მიზნით. ამიტომ აუცილებელია, რომ როცა დემოკრატიულ საქართველოს შეეძლება მისი მიღება, არქივი უნდა დაუბრუნდეს მის ნამდვილ პატრონს საქართველოს. ჩვენი დადგენილების და ანდერძის შესრულებას ვაკისრებთ, როცა ამისთვის სასურველი დრო დადგება, არქივის შემნახველ კომისიას, ხოლო ანდერძის საბოლოო სისრულეში მოყვანას, ანდერძის შემნახველ ნოტერსა და ანდერძის აღმასრულებელ პიროვნებას, რისთვისაც ის ჩვენგან სრულიად უფლებამოსილია. რადგან საქართველოს დემოკრატიული

რესპუბლიკის ყოფილი მთავრობის მიერ წამოღებული არქივი წარმოადგენს დღევანდელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სრულ საკუთრებას, ის უნდა დაუბრუნდეს მის ნამდვილ პატრონს, მაგრამ ამისათვის საჭიროა და აუცილებელია სიფრთხილე და დიდი დაკვირვება, რომ არქივი დაუბრკოლებლად მივიდეს დანიშნულ ადგილზე. ვინც არქივს ნაიბარებს, ის პირი თუ დაწესებულება უნდა იყოს უფლებამოსილი სათანადო დოკუმენტებით, ოფიციალურად გაფორმებული სახით. დოკუმენტი, რომელიც შესდგება, უნდა იყოს სავალდებულო ორი მხარისათვის.

აი, ის მიუხედავად, რომელიც საჭიროა გადაცემისათვის:

1. ყოველგვარი რეზერვების გარეშე უნდა იქნეს აღიარებული კატეგორიულად, რომ ყოფილი მთავრობის არქივი იქნა გახიზნული ქვეყნის დამპყრობლების მიერ მისი განადგურების თავიდან აშორების დასწავლის მიზნით და არა – გატაცებული, როგორც ხელისუფლება ჭორებითა და ყალბი პროპაგანდით ასაღებს.

2. აშკარად უნდა იქნეს აღიარებული, რომ მთავრობას საქართველოს არქივი არ გაუყიდა და ის არასდროს არ ყოფილა გაქირავებული კომერციული მიზნით, როგორც დღევანდელი მთავრობა ჭორებს ავრცელებს.

3. არქივს დღიდან მისი გახიზვნისა, არ მოკლებია არც მთავრობისა და არც მთავრობის მიერ შექმნილი შემნახველი კომისიის მზრუნველობა, მისი სათანადოდ შენახვისა და მოვლის მიზნით.

4. როდესაც არქივი ინახებოდა საფრანგეთის ნაციონალურ არქივში და ფრანგულ ნაციონალურ არქივთან ერთად მოულოდნელად კატასტროფიული წყალდიდობის დროს ჩვენი არქივიც აღმოჩნდა საფრთხის წინაშე, მთავრობამ მიიღო საგანგებო ზომები არქივის გადასარჩენად და აღსადგენად.

5. არქივის შენახვის, გადატან-გადმოტანის, მოვლისა და სხვა ყველა ხარჯები მთავრობისა და საქველმოქმედო თანხებით იქნა გასტუმრებული, ამიტომ არქივს არავითარი დავალიანება არ აქვს და როდესაც საქართველო გახდება სრულიად დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა და არქივის დაბრუნება გახდება შესაძლებელი, მას არავითარი ხარჯების გაღება არ დასჭირდება.

6. იმ დრომდე, სანამ არქივის გადაცემა არ იქნება ოფიციალურად გაფორმებული და სათანადო აქტით და-

დასტურებული, არც მთავრობის წევრებს და არც საარქივო კომისიას არ აქვს არავითარი უფლება არქივის გადაცემის.

7. არქივის გადაცემის გაფორმების დღემდე არც მთავრობას და არც არქივის შემნახველ კომისიას არ აქვს უფლება შევიდეს მოლაპარაკებაში რაიმე ორგანიზაციებთან – ის იქნება სახელმწიფო არქივი, აკადემია თუ უნივერსიტეტი, რომელსაც არ ექნება მომავალი დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს მთავრობის უფლებამოსილების ოფიციალური მანდატი.

8. მომავალი დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ მანდატით მოსილი კომისია, რომელიც არქივს მიიღებს, უნდა იღვას თავსე გარანტია, რომ არქივი ჩატანილი იქნება თბილისში პირდაპირ მოსკოვსე გაველის გარეშე.

9. საბუთები, რომლებიც სხვადასხვა მიხეხების, გარემოებისა და სიტუაციის გამო არ იქნება არსებული რეჟიმის სასარგებლო, არ უნდა იქნას განადგურებული, არამედ უნდა იქნას დაცული და შენახული ისტორიისათვის.

10. ყოველად დაუშვებლად უნდა იქნას აღიარებული დოკუმენტების ფალსიფიკაცია და თუ ასეთ უმსგავსო საქციელს ექნება ადგილი, დამნაშავე უნდა წარსდგეს საერთაშორისო ინტერნაციონალურ სასამართლოს წინაშე, როგორც ანდერძის არშემსრულებელი, დამრღვევი და დამნაშავე.

11. არქივის დაღუპვისაგან დახდევვის მიხნით ყველა დოკუმენტები, უნდა იყოს გადაღებული მიკროფილმებზე და მიკროფილმების ასლები გადაეცეს საფრანგეთის სახელმწიფო არქივს, პარვარდის უნივერსიტეტის არქივს და ერთიც არქივის შემნახველ კომისიას.

12. იმ შემთხვევაში თუ არქივის დოკუმენტების, რამდენიმე ფურცელი აღმონდება ისეთი, რომლების გამოყენება, მომენტისადა მიხედვით არაა სასურველი ან ურთიერთდასმენა, ან ჯაშქშობის დაბრალება, მათი ოჯახების ერთმანეთზე დაპირისპირების ასაშორებლად ასეთი დოკუმენტები დროებით გვერდზე უნდა იქნეს გადაღებული, რომლებიც ჯერჯერობით ხელთმიუწვდომელი იქნება გამოყენებისათვის.

13. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი მთავრობის არქივის შემნახველ კომისიის წევრებად ითვლება მხოლოდ ის პირები, რომლებიც ჩვენს მიერ წარმოდგენილი 1952 წელს 22 ოქტომბერს, საფრანგეთის სახელმწიფო არქივის დირექტორის ბატონ ანდრე შამსონის სახელსე, მაგრამ თუ სიკვდილიანობის გამო



მათი რიცხვი იქნა შემცირებული, მხოლოდ, აღნიშნული კომისიის დარჩენილ პირებს აქვთ უფლება მისი შევსების კოოპტაციის წესით, სანდო და საქმის მკვლევ პირებით.

14. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი მთავრობის ეს ანდერძი წარმოადგენს მათ გულწრფელ სურვილს და მათ მოვალეობას. ამიტომ ჩამოთვლილი მუხლების დარღვევა და მისი შეუსრულებლობა ჩაითვლება ანდერძის უსურპაციად, რაც სინდისისა და საერთაშორისო მართლმსაჯულების წინაშე ისჯება კანონით.

15. ვინაიდან არქივი წარმოადგენს საქართველოს ეროვნულ ქონებას, ყოვლად დაუშვებლად მიგეგანია მის საქართველოსათვის გადაცემას მიეცეს რაიმე პოლიტიკური, პარტიული ან იდეოლოგიური ხასიათი.

16. ზემოთ ჩამოთვლილი ანდერძ-დადგენილების მუხლების შესრულებას ეთვლით რა ჩვენს სურვილ-მოვალეობად და ვიმყოფებით რა სრულ ჭკუა-გონების დონეზე, ამ ანდერძ-დადგენილებას ჩვენს საკუთარ ხელს ვაწერთ:

კონსტანტინე კანდელაკი, აკაკი ჩხენკელი, ევგენი გეგეჭკორი, გიორგი ერაძე, მიხეილ არსენიძე, ნოე ცინცაძე, სოსიპატრე ასათიანი”.

დაზიანებული არქივი (20 პროცენტი სამუდამოდ განადგურდა!) ფურცელ-ფურცელ გასაშრობად და გადასარჩევად გადატანილ იქნა ლევილში, სადაც ისევ მოხდა სრული კატალოგიზაცია (პირველი ხელნაწერი კატალოგი შეადგინა საარქივო კომისიის მდივანმა ზაქარია ჩიჩუამ) და შესანახად კვლავ ჩაბარდა საფრანგეთის ეროვნულ არქივს.

1958 წლის 22 მარტს, პარიზში, საფრანგეთის ეროვნული არქივების გენერალურ დირექტორთან შარლ ბრებანთან საფრანგეთში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილმა ელჩმა აკაკი ჩხენკელმა (1874–1959) და საფრანგეთში საქართველოს საელჩოს ყოფილმა პირველმა მდივანმა სოსიპატრე (ჭიჭიკო) ასათიანმა (1876–1971) საქართველოს მთავრობის არქივის შესანახად დადეს ხელშეკრულება შემდეგი შვიდმუხლიანი პირობით:

“1. შესანახად მიღებული არქივის სახელწოდება იქნება “SAKAR-GE”;

2. ყუთების რაოდენობა არ უნდა გადაცილდეს ოცს (20);

3. არქივი იქნება შენახული 30 წლის განმავლობაში ჩაბარების დღიდან;

4. დოკუმენტები რჩება ჩამბარებლების (დეპოზიტორების) განკარგულებაში და ვადის გათავებამდე მისი გამოტანა შეიძლება (რამივე საგანგებო შემთხვევის გამო) დეპოზიტორების მოთხოვნით;

5. დოკუმენტები შენახული იქნება უფასოდ;

6. 30 წლის გასვლის არქივი არქივი გადაეცემა თბილისის უნივერსიტეტს;

7. არქივის დეპოზიტორები არიან: კონსტანტინე კანდელაკი, აკაკი ჩხენკელი, გიორგი ერაძე, ნოე ცინცაძე და სოსიპატრე ასათიანი.

თუ ამ ხნის (1958 წლიდან 30 წლის) განმავლობაში ამ კომისიის ერთი ან რამდენიმე წევრი გარდაიცვალა, მათი შემცვლელები დასახელებული იქნება ამ კომისიის წევრთა უმრავლესობის მიერ”.

ამ ხელშეკრულება—დოკუმენტს ხელს აწერენ აკაკი ჩხენკელი და სოსიპატრე ასათიანი”.

მაშასადამე, როგორც ამ დოკუმენტებიდან ირკვევა, 1958 წლის 22 მარტს, საქართველოს მთავრობის არქივის კომისიის შემადგენლობაში შედიან კ.კანდელაკი, აკ.ჩხენკელი, გ.ერაძე, ნ.ცინცაძე და ს.ასათიანი. მაგრამ მოხდა ისე, რომ ავადმყოფობის გამო ს.ასათიანმა ვერ შეძლო მუშაობა და თავისი რწმუნების მანდატი გადასცა მამია ბერიშვილს. ასე რომ, სოსიპატრე ასათიანის (1876–1971) ნაცვლად არქივის კომისიის მუშაობაში 1958 წლიდან ჩაერთო მამია ბერიშვილი.

\* \* \*

...მამია ბერიშვილი 1917 წლის 15 მაისს დაბადებულია გურიაში, სოფელ შუა სურებში. მისი დედა მართა ნოე რამიშვილის და გახლდათ, მამა ნესტორ ბერიშვილი კი შექმლებული გლეხი. ცხრა და—ძმაში მამია ყველაზე უმცროსი ყოფილა. უფროსი ძმა მაღაქია კოჯორთან დაღუპულა 1921 წლის თებერვალში, ხოლო უფროსი დის — ოლღას შეიღები არიან აწ განსვენებული ცნობილი ქართველი მათემატიკოსი, აკადემიკოსი ბორის ხვედელიძე და მედიკოსი დოცენტი გივი ხვედელიძე. მომდევნო ძმა — შალვა 1924 წლის სახალხო ამბოხების აქტიური მონაწილე იყო, თითქმის ორი ათეული წელი ემიგრაციაში დაჰყო, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დიდხანს რეპრესირებული იყო და 90 წელს გადაცილებული 1989 წელს გარდაიცვალა თბილისში. მესამე ძმა — ჭიათურაში მათემატიკის მასწავლებელი ტიტე ბერიშვილი



მამია ბერიშვილი

(სხვათა შორის, მისი მოწაფე გახლდათ აკადემიკოსი სერგი ღურმიშიძე) გერმანელმა ფაშისტებმა დახვრიტეს ვარშავაში 1939 წელს, ხოლო ბიკენტი დაიღუპა ტყვეობაში, რუმინეთში 1943 წელს. მათი მომდევნო და ნინო 1949 წელს გაუთავებელი დაკითხვებისა და წამების შემდეგ დაუხრწვია შინსახკომის მეთაურს რუხაძეს, ხოლო დედა – მართა რამიშვილი 1952 წელს შუა აზიაში გადაასახლეს და 89 წელს მიტანებული ცხრა შვილის დედა სადღაც ყაზახეთის ტრამალებში ჩაჰკლეს... შალვა და გერონტი ბერიშვილების შთამომავლები დღეს თბილისში ცხოვრობენ, ხოლო გადასახლებაში დიდხანს ნაწამები მეცხრე ძმა – ნოე თავისი ოჯახით სურებში დასახლდა და მამაპაპეულ კერას არ აციებდა და ისიც დიდი ხანი არაა, რაც გარდაიცვალა...

ამ საოცრად ტრაგიკული ბედის მქონე ოჯახის ისტორიას უფრო დაწვრილებით და შეუღლამაზებლად გვიყვება მამია ბერიშვილის უფროსი ძმა – ბატონი შალვა ბერიშვილი:

“ჩვენი ოჯახი იყო ახლანდელ ჩოხატაურის რაიონის მთის სოფელ სურებში, ამხანად შუა სურების თემში. მამანემი, უსწავლელი გლეხი, თბლობაში გაზრდილი, არანვეულებრივი მშრომელი, გამჭრიახი და უნარიანი კაცი იყო. დედანემიც ისეთივე გამრჯელი და ძალიან კარგი ოჯახიდან იყო და მათ მართლაც იმ დროისათვის კარგი ოჯახი შექმნეს. მამანემი სხვა საზოგადო და სასოფლო



შალვა ბერიშვილი

საკმეების ინიციატორი იყო და მისი თაოსნობით, ჯერ კიდევ რევოლუციამდე, ჩვენს სოფელში ააშენეს დიდი შენობა ორკლასიანი სასწავლებლისათვის, რომელშიც შემდეგ საშუალო სკოლა გაიხსნა, დაარსებული იქნა კოოპერატივი და გაიხსნა სამკითხველო. ააშენეს საფერშლო პუნქტის სახლიც. ამ საკმეებში ჩვენც, მისი შვილები, როცა წამოვიზარდეთ, ევხმარებოდით მამაჩვენს რევოლუციის შემდეგ. მხოლოდ 1918 წელში ააშენეს ფოსტის სახლი და 1920 წელს გახსნეს აფთიაქი, რაც მოხდა ჩვენი უშუალო ინიციატივით. გასაბჭოების შემდეგ, მარტო კლუბი გახსნეს და ისიც ეკლესიის შენობაში, რომელიც თემში წამოიტანეს, სხვა იქ არაფერი გაკეთებულა. შემდეგ, მოგვიანებით, გაუხსნიათ საავადმყოფო ჩვენი სოფლის მღვდლის სახლში, ისიც მოუტანიათ თემში.

როცა შვილები წამოვიზარდეთ (ჩვენ ცხრანი ვიყავით, შვიდი ვაჟი და ორი ქალი, ამათში რვა უმაღლესი განათლებით), გვერდში ამოვუდექით მშობლებს და ევხმარებოდით მათ ყველა საკმეში. კერძოდ, საფხულის არდადეგების დროს ჩვენ ვმწყემსავდით საქონელს სასაფხულო საძოვრებზე, ჩვენ საქონელი ბლომად გვეყავდა.

ამ შედარებით კარგი და ძლიერი ოჯახის დაცემა და მისი უბედურება დაიწყო ჩემი პირველი საიდუმლო მოგზაურობის

შედეგად საფრანგეთიდან საქართველოში (მე ემიგრაციაში ვიყავი 1924 წლის დეკემბრიდან), რასაც ადგილი ჰქონდა 1930 წლის ზაფხულზე. ჩემი აქ ყოფნა მაშინ ორგანოებს არ გაუგიათ და საქმეების დამთავრების შემდეგ, მშვიდობიანად დავბრუნდი უკან. ეს გაიგეს მომდევნო 1931 წელს (ის კი უფრო მოხდა ემიგრაციიდან). მე მაშინ სახლში არ მივსულვარ და არც მამა მინახავს, მაგრამ დაიჭირეს ყველა ჩემიანი, გარდა დედისა და დებისა, ისინი იმხანად სოფელში არ ყოფილან. მამანემი და ორი ძმა გადაასახლეს, მხოლოდ ორი უმცროსი ძმა – ბიკენტი და მამია არ იყვნენ სრულწლოვანები და თითო-თითო წელი იყვნენ პატიმრობაში (ყველაზე უფროსი ძმა კი დაიღუპა გასაბჭოების დროს 1921 წლის თებერვალში, როგორც ჯარისკაცი). უბედური მამანემი ავადმყოფობის გამო დაბრუნებულა 1935 წელს, მაგრამ გარდაიცვალა ერთ თვეში. ის ორი ძმა პატიმრობაში და გადასახლებაში იყვნენ 25-25 წელიწადი. ისინი დაბრუნდნენ ხრუშჩოვის მიერ განხორციელებული ამნისტიის ნიადაგზე, დიდი გაჭირვების შემდეგ. მათში ერთი აგრონომი იყო, ის გარდაიცვალა 1984 წელს, როცა მწოლიარე ვიყავი და ისე გარდაიცვალა, რომ ერთმანეთი არ გვინახავს. მეორე მისი მომდევნო კი ცოცხალია, 80 წელს მიტანებული და ამხანად სოფელშია. მან აღადგინა ჩვენი უბედური მშობლების გაპარტახებული ოჯახი და იქ ცხოვრობს. ჩემი მომტანი – ძმა, ტიტე ბერიშვილი მე გამეყა მაშინ უცხოეთში სწავლის მისაღებად, თორემ ალბათ, მასაც დააპატიმრებდნენ. ნეტავი არ გამეყოლოდა და ეგებ ქე გადარჩენილიყო. ის მასწავლებელი იყო ჭიათურაში და ძალიან კარგი სახელი და გავლენა ქონდა. აკადემიკოსი სერგო დურმიშიძე მისი მოწაფე ყოფილა და თავის მოგონებებში ის მასსეც წერს სათაურით “მასწავლებელი”. ის ძალიან ნიჭიერი და ენერგიული კაცი იყო. მე უკან ვბრუნდებოდი სტამბულიდან, მე ვარშავაში უნდა გამეელო და ჩემი ძმა პირდაპირ საფრანგეთში წავიდა და მის იქ ყოფნის დროს მოხდა ბიძანემის ნოე რამიშვილის მკვლელობა (მე მხოლოდ დასაფლავების დღეს ჩავედი) და მას ისე შეჩვენდა იქაურობა, რომ იქ არ მოიცადა და წამოვიდა პოლონეთში; რომ მოეცადა, ეგების გადარჩენილიყო. მან იქ წარჩინებით დაამთავრა ვარშავის პოლიტექნიკური და მის სადიპლომო შრომას დოქტორის ხარისხი მიენიჭა. ამის შემდეგ დანიშნეს ვარშავის გაზის ქარხნის ლაბორატორიის გამგედ და იქ ეწეოდა მეცნიერულ გამოკვლევებს. გააკეთა უცნებელი გაზი და მიიღო პრემია. სხვა გამოგონებაც ქონდა და დიდი

აგტორიტეტით და გავლენით სარგებლობდა, როგორც პოლო-  
ნელებში, ისე იქ მეოფე ქართველებში, ბევრს ეხმარებოდა და  
მფარველობდა. როცა მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, რაც  
პიტლერულ გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის 1939 წლის  
23 აგვისტოს პაქტის დადებას მოჰყვა, პოლონეთი სულ მალე  
დაიპყრო პიტლერის ჯარებმა. მხოლოდ ვარშავამ გაუწია მათ  
წინააღმდეგობა და ის აღუაშემორტყმულ იყო კარგა ხანს. როცა  
ისიც აიღეს, დააპატიმრეს ჩემი უბედური ძმა, რადგანაც ის  
გაზს აძლევდა აღუაშემორტყმულ ქალაქს. მის გარეთ ყველა  
ინჟინერი დროულად გახიზნულიყო და მარტო ჩემი ძმა  
დარჩენილიყო ხელმძღვანელებიდან. როცა გესტაპოს გაუგია, რომ  
ის არ იყო პოლონელი და ქართველი აღმოჩნდა, უკითხავთ მის  
შესახებ ფაშისტი და მათი დიდი ხნის აგენტის და უკვე მათი  
გესტაპოს თანამშრომელისთვის, ყოველად დაკარგული ქარ-  
თველისთვის. მას უთქვამს, რომ ტიტე ბერიშვილი მათი  
მოწინააღმდეგეა და საბჭოების თანამგრძობიო და ამიტომ ვერ  
ვიკისრებ მის შესახებ რაიმე შეამდგომლობასო... ასე მუხანათურად  
გაიმეტა იმ შეწყვნილებულმა ის უბედური ჩემი ძმა, როცა კარგად  
იცოდა თუ რა ბედი ელოდა მას. ეს საშინელი საქმე კი მან  
ნაიღინა იმის გამო, რომ ჩემმა ძმამ არ შეირთო მისი ქალიშვილი.  
ან როგორ შეირთავდა, როცა იცოდა, თუ ვინ იყო მისი მამა  
და მთელი ოჯახი. ისე, რომ შეერთო, გადარჩებოდა. ჩემი ძმა  
გესტაპომ დააპატიმრა; იმის გარდა იმ ოხერ გესტაპოს აგენტს,  
11 ქართველის სია ქონია მიცემული გესტაპოსათვის, ვინც მას  
არ მოწონდა და ყველანი ისინი დაუხვრეტიათ ჩემს ძმასთან ერთად.  
იმათში იყვნენ: ძველი სოციალ-დემოკრატი, კატორღაში ათი წელი  
ნამყოფი ვასო ათაბეგაშვილი, სოცფედერალისტი ფარმაცევტი ესე  
კეჭაყმაძე (ისინიც მან გამოაცხადა საბჭოების მომხრეებად და  
მათ მოწინააღმდეგედ), მღვდელი ფერაძე. ის კი პირდაპირ საბჭოთა  
ორგანოების აგენტად გაუსაღებია და სხვები ვინ იცის, რად...

ასე დაიღუპა ჩემი უბედური ძმა ტიტე ბერიშვილი, ის იყო  
ჩემი მომტანე, ძალიან კარგი, ენერგიული და ნიჭიერი პიროვნება,  
უადრესად კეთილი ხასიათის ადამიანი. მე რომ არ გამყოლოდა,  
ეგების იგივე გადარჩენილიყო, თუ გადაასახლებდნენ მაინც. აკი  
გადარჩნენ და დაბრუნდნენ ორი ძმა... მათ გარდა დაიღუპა ჩემი  
უმცროსი ბიძა დედის მხრით ვასილ რამიშვილი, ის, ჩემი  
საქართველოში ჩამოსვლისას, ვნახე ჩვენს სასაფხულო საძოვრებზე.  
ეს გაუგიათ და გადაუსახლებიათ არხანგელსკში და იქ მალე  
გარდაიცვალა.

მეექვსე ძმა – ბიკენტი მამიას უფროსი, რომელიც მამიასთან ერთად თითო წელი იჯდა ჩემს საკმეზე, დაიდუპა რუმინიაში 1942 წლის დასაწყისში, როგორც სამხედრო ტყვე, რომელიც ყირიმში ჩავარდნილა სხვა ბევრს ქართველთან ერთად. ეს ჩვენთვის სამწუხარო ამბავი ასე მომხდარა: პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ, ის ორივე ჩვენი უმცროსი ძმა ბიკენტი და მამია, უბედურ დედასთან ერთად, უვლიდა ჩვენს ოჯახს, თან სწავლობდნენ საშუალო სკოლაში. დები კი თბილისში ცხოვრობდნენ. უფროსი გათხოვილი იყო და უკვე ორი შვილი – ვაჟები ეავდა. ქმარიც ექიმი იყო და თვითონაც. მისი მომტანე უმცროსი დაც თბილისში იყო და ის კიდევ სწავლობდა და თან მსახურობდა. უმცროსმა ძმებმა, როგორც იყო, დაამთავრეს საშუალო სკოლა და ორივე მოწყობილან სამედიცინო ფაკულტეტზე და დიდის გაჭირვებით და უმცროსი დის დახმარებით, რომელიც მათი გულისათვის არ გათხოვიდა, ერთადვე დაუმთავრებიათ ის ფაკულტეტი 1940 წელს. საფხულობით სოფელში ხე-ტყის მასალას ამზადებდნენ, იმას ყიდდნენ და უმთავრესად ასე წვალებით მიუღიათ უმაღლესი განათლება. ომის დაწყებისას ორივენი მოხალისედ წასულან ჯარში, თორემ ისე მათ არ წაიყვანდნენ, რადგანაც ორი ძმა გადასახლებაში იყვნენ და მე – მესამე – ემიგრაციაში. ნეტავი არც წასულიყვნენ და ამით ჩვენს უბედურ ოჯახს ასცდებოდა ის განსაცდელი და უბედურება, რაც მას თავზე დაატყდა 1949 და 1952 წლებში და თვითონაც გადარჩებოდნენ.

ტყვედ ყირიმში ორივე ძმა ერთად ჩავარდნილან, მაგრამ როგორც ექიმები, სხვადასხვა ნაწილში ყოფილან და უფროსი ბიკენტი რუმინიაში მოხვედრილა ლაგერში და მგონი დაჭრილიც ყოფილა და მალე იქვე გარდაცვლილა. იქ გერმანელებს მოუთხოვიათ ქართველების ცალკე გამოყოფა, მაგრამ ჩემს ძმას და სხვებსაც ამაზე უარი უთქვამთ. მეორე ძმა მამია სხვა ჯგუფში მოხვედრილა და დიდი წვალების შემდეგ, როგორც იყო მიუღწევია საფრანგეთში და იქ მოუხერხებია დაკავშირებოდა ფრანგების წინააღმდეგობის ორგანიზაციის ერთ ჯგუფს და, მათი დახმარებით, მაროკოში წასულა, რადგანაც ქართველ ფაშისტებს მოუთხოვიათ პიტლერის ჯარში წასულა. იქ ის შესულა ფრანგების ჯარების უცხოეთის ლეგიონში და მსახურობდა ექიმად. დემობილიზაციის შემდეგ ისევ საფრანგეთში დაბრუნებულა, დაუწვია მუშად მუშაობა (საფრანგეთში უცხოელ ექიმებს პრაქტიკის უფლება არ აქვთ), შემდეგ დაქორწინებულა და დაუწვია მზადება საქართველოში საიდუმლო

მგზავრობისათვის. ეს გაუმხელია ნოე ჟორდანიასათვის. მაგრამ ის უარზე ყოფილა და უთქვამს, რომ შალვა დაიკარგა ე.ი. მე და შენც დაიკარგებო. ამასე მამიას უპასუხია, რომ მას უნდოდა სწორედ ჩემი ამბის გაგება და ამიტომ განიხრახა ისეთი მგზავრობა, მაგრამ ჟორდანია მაინც არ დათანხმებულა. ამის შემდეგ მამიას უთხოვია, მისთვის ნება მიეცა სტამბულში წასვლის და იქედან შევეცადები მის ამბის გაგებასა და თვითონ მე არ გადავალ საქართველოშიო. ამის დასამტკიცებლად უთქვამს ჟორდანიასათვის, რომ ცოლსაც თან წავიყვანო და ამის შემდეგ, ამასე ის დათანხმებულა, მაგრამ კატეგორიულად მოუთხოვია საქართველოში არ გადახვიდყო. მამიაც წამოსულა ცოლით სტამბულში. იქ უშოვნია ბინა, დაუტოვებია თავისი ცოლი. იქ უშოვნია ორი მეგზური და 1949 წლის ზაფხულზე გადმოსულან საქართველოში და მისულან სახლში ჩვენს უბედურ დედასთან. ცოლისთვის კი უთქვამს ახლოს მივიღივარ საქმეზე და მალე დავბრუნდებიო. იმან კი რა იცოდა, როგორ სახიფათო საქმეზე მიდიოდა (სწორედ, იმ დროს იქ თბილისიდან ჩასული ყოფილა, დედის სანახავედ, ჩემი უბედური უმცროსი და. ის რენტგენოლოგი იყო ფიზიო-თერაპიულ საავადმყოფოში და დიდის პარტივისკემით სარგებლობდა). როცა მამია, თავისი მხლებლებით, ჩვენს სახლთან ახლომდებარე ტყეში დაღამებას უცდიდა, რომ სახლში ბნელში მისულიყვნენ, შეხვედრიათ ჩვენი ერთი მეზობელი ტყის მცველი და მისთვის ჩამოურთმევიათ სიტყვა, რომ მათ ნახვას არ გაამხელდა. მამია მისულა სახლში, უკითხავს ჩემს შესახებ. ჩვენებს უთქვამთ, ხმებია, თითქოს, ცოცხალია, მაგრამ პარტირობაში არისო. დადლილებს განუხრახავთ ორი-სამი დღე დასვენება და უკან წასვლა. მოთავსებულან მარანში, რომელიც დიდი სახლიდან ცოტა მოშორებით იყო, დედის ახლოს. მაგრამ ის მეზობელი გამომდგარა უნამუსო, წასულა რაიონში და ამოუყვანია მილიცია და ისინი ადგილობრივი შეიარაღებული ხალხი, სულ (მათ, მგონი, ერთმანეთი კიდევ დაუჭრიათ, მამიას და მის მხლებლებს თოფი არ უსვრიათ) 50 თუ 60 კაცი, მეორე თუ მესამე საღამოს ალყა შემოურტყამთ მარანისათვის და პირდაპირ აუტყხიათ სროლა... მარანში მეოფნი დელით გაქცეულან, ჩასულან სუფსასზე, გასულან და სრულიად უკნებლად შესულან ტყეში. მამია მიმხვდარა, რომ გაცემული იყო იმ მეზობლიდან, რომელიც ტყეში შეხვდა, მაგრამ არ შეხერებულან მასთან ანგარიშის გასწორებისათვის და მშვიდობით დაბრუნდნენ თურქეთში და სტამბოლში. მაგრამ აქ კი დატრიალებულა საშინელი ამბავი, რომლის მსხვერპლნი გახდნენ



ჯერ უბედური ჩემი და და შემდეგ საწყალი დედანი. ეს მეტად სამწუხარო ამბავი კი ასე მოხდა:


ის უბედური ჩემი და, იმ დღესვე დაუტუსაღებიათ, როცა მამია და მისი მხლებლები გაიქცნენ და ნაუყვანიათ თბილისში და მეორე თუ მესამე დაკითხვაზე თავისი ხელით დაუხრჩვია იმ შეჩვენებულ რუხაძეს. შემდეგ კი უთქვამთ, თითქოს თავისი ხელით დაიხრჩო თავით, მაგრამ შემდეგ, როცა მას (რუხაძეს), რაფაკას და სხვებს ასამართლებდნენ, ესეც ქონია წაყენებული ბრალდებად. ეს საშინელი ამბავი მამიასაც გაუგია სტამბოლში და განუსრახავს იმ ჩვენი დაკარგული მეზობლის მოკვლა; ამ მიზნით ის მომდევნო 1950 წელს, კიდევ გადმოსულა საქართველოში, მას ერთი იგივე მხლებელი ხლებია, მეორე კი სხვა. ღამე მიპარებიან იმ მეზობლის სახლს და როცა ბომბი უნდა შეეგდო ფანჯარაში, გაუგონია სახლში ბავშვის ტირილი და თავი შეუკავებია. ისე გაბრუნებულან უკან, რომ უბედურ დედანიდან არ მისულან. ასე რომ, ამ მგზავრობამ და წვალებამ ტყვილა წაიარა. ამ მგზავრობის შესახებ მერე მოგვიანებით მამია პირდაპირ მწერდა თავის წერილში. მგონი, 1967 თუ 1966 წელში. მგონი, ამ მეორე მისი მგზავრობის შესახებ აქაურ ორგანიზაციებსაც ქონდა ცნობა.

იმ ჩემი უბედური დის, ნინას დაღუპვას სულ მალე, 1952 წელში, მოჰყვა კიდევ ერთი საშინელი ამბავი, უბედური დედანების დაღუპვა. ეს კი მოხდა იმ ცნობილი დიდი გასახლების შედეგად, რასაც ადგილი ქონდა 1952 წლის ზამთარში, მგონი, დეკემბერში და როცა მრავალ სხვებთან ერთად გაასახლეს ჩემი უბედური უძცროსი და ოლია ხვედელიძე-ბერიშვილი თავისი ორი შვილით (ცოლშვილიანებით (მისი შვილიშვილი მაშინ იყო 6 თუ 7 წლის) ისინი გაასახლეს ყაზახეთში, საშინელ პირობებში. როცა ისინი გადაუსახლებიათ, ვიღაცას შეჩვენებულს უბედური დედანიც მოგონებია, რომელიც მარტოდმარტოდ, უპატრონოდ იყო სოფელში (ორი ძმა ხომ დიდი ხანია გადასახლებაში იყვნენ), მოგონებიათ და კიდევ გადაუწყვეტიათ მისი გასახლებაც. ის კი მაშინ იყო 89 წლის, ერთი თვალი დაფსებული ქონდა და მეორეთი ძლივს ცოტას ხედავდაო, მითხრეს. ქე მაინც იმოდენა ადამიანობა გამოეჩინათ, რომ ჩაეყვანათ თბილისში და თავისიანებთან ერთად გადაესახლებინათ, რომ პატრონი ყოლოდა. გადაუსახლებიათ იგი სადღაც ყაზახეთში თუ უსბეკეთში და თითქოს ადგილზე მიუყვანიათ ინვალიდების სახლში და იქვე მალე გარდაცვლილა ის უბედური. სხვა ჩვენების, რომლებიც ყველანი გადასახლებულნი იყვნენ,

ყა'სახეთში უბედური დედანემის გადასახლებაც გვიან გაუგიათ და მიუხედავად იმისა, რომ თვითონაც ძალიან რთულ პირობებში იყვნენ, დაუწყიათ მისი ძებნა, მაგრამ ვერაფერი გაუგიათ, თანაც სახელი შეცვლილი ქონია – მართას მაგიერ მარია თუ მარინე დაუწვრიათ. ჩვენებს განთავისუფლების და დაბრუნების შემდეგაც მიუღიათ სომეები, მაგრამ ვერ გაუგიათ თუ სად გარდაიცვალა და სად იყო დასაფლავებული, რომ მისი ნეშთი მაინც წამოეტანათ. მხოლოდ მაშინ გაუგიათ, რომ სახელი ქონდა შეცვლილი. უკეთ, ეს მისი რეაბილიტაციის დროს მომხდარა.

უბედური დედანემი, ამრიგად, უკვე მეოთხე იყო ჩვენი უბედური ოჯახიდან, ისე რომ დაიღუპა, მისი საფლავიც არ არის ცნობილი, როგორც ძმების – ტიტეს, ბიკენტის და დის, ნინასი, რომელიც იმ დაკარგულ რუხაძეს დაუხრჩვია. ვინ იყო ის მხეცი, რომელმაც ისეთი ყოვლად უმწეო მოხუცი დააპატიმრა და წაიყვანა მისი სახლიდან, ამას არავინ ამხელს. როცა ის უბედური დედანემი გაუსახლებიათ, სულ მალე მე'სობლები შესევნიან მის ოჯახს და ისე გაუძარცვიათ და გაუპარტახებიათ, რომ იქ მარტო სამსარეულო სახლი დარჩენილა და ისიც ცარიელი... ჩვენ მართლაც კარგი მოწყობილი ოჯახი გვქონდა. იმ უბედურ დედანემს ყველაფერი შეუნარჩუნებია. დიდი წაბლის სახლი გვედგა, ორსართულიანი, თავისი ფართო აივნებით, ქვემოთ ოთხი თვალი, ზემოთ ხუთი და ის სავსე ყოფილა ავეჯით, ქვეშაგებით და თეთრეულით, ქვეყნის ჭურჭელი, ჩვენი წიგნები და სხვა ბევრი რამეები. და ეს ყველაფერი დაუტაცებიათ. შემდეგ მიდგომიან შენობებს და ყველაფერი დაუნგრევიათ, დიდი სახლი თემში გადაუტანიათ მასწავლებლების სადგომით; დიდი ორსართულიანი ხელა (სამ მხარეზე ლამფების ფარდულები ქონდა ჩალისათვის და საქონლის საკვებისათვის) ქვეშ ძროხების ახორი და ცხენის თავლა, ცალკე იდგა თხებისა და ღორების ბინა, დიდი დაღობილი სიმიანდის ხარო, ესენი ყველაფერი დაეშალათ და წაეღოთ. მარანი კი, ის კარგა მოსრდილი სახლი იყო, წაუღიათ ლანჩხუთის რაიონში, სადაც კოლმეურნეობას სამთრობით საქონელი ყავდა, მწვემსების ბინათ. საწნახელი სულ წაუღიათ, ერთი ყველაზე დიდის გარდა, ის კი შეშად დაუპიათ, ჭურები ბევრი გვქონდა. ზოგი წაუღიათ და დანარჩენი სულ დაუმტრევიათ. ხეხილი ბევრი გვქონდა, ის სულ დაუნეხიათ – თუთის ხეები და თხილი – შეშად. რაც ახლომახლო ნიგე'სები იყო, ჩვენ კი ბევრი გვქონდა, სულ დაუჭრიათ და ავეჯის მასალად გაუყიდიათ. ასე რომ, სულ გაუნანაგებიათ და გაუპარტახებიათ

იქაურობა და საქონელს სულ გაუყვრანებია იქაურობა. როცა, ხრუშჩოვის მიერ განხორციელებული რეაბილიტაციით, გადასახლებული ძმები ჩასულან, იქ მათში უფროსს, ის აგრონომი იყო, გული წახვლია იქაურობის მნახველს და მეორეს ძლივს მოუბრუნებია. აბა, იქ რა გაანერებდათ. მარტო სამსარეულო სახლი და ისიც ცარიელი ყოფილა. ორივენი წამოსულან, დამე მახლობელ სოფელში ბიძაშვილებთან გაუთევიათ, დედის მხრით, რამიშვილებთან და განშორებთან იქაურობას. აგრონომი ძმა გარდაბნის რაიონში მოწყობილა თავის პროფესიაზე და შემდეგ დმანისის რაიონში გადასულა და იქ იყო პენსიაზე გასვლამდე. იქ გარდაიცვალა 1984 წელს. მეორე, მისი მომტანე, სოხუმში წასულიყო ვიღაც ნაცნობთან და იქ დაუწვია მუშაობა, იქ რამდენიმე წელი დაუყვია. როგორღაც გაეგო ჩემი მისამართი და მეც მეხმარებოდა. როგორც გაეიგე, ჩემი უფროსი გადანასახლები და, თავისი შვილებით და რძლებით, მოსვენებას არ აძლევდა წერილობით იმ ძმას სოხუმში რომ იყო, და თხოვდა წასულიყო ჩვენს სოფელში და დაეწყო უბედური ჩვენი ოჯახის აღდგენა. ბოლოს დათანხმებულა და როცა ცოტა ფული მოუგროვებია, წახულა სოფელში და იმ მეტად რთულ პირობებში, როცა იქ სამსარეულო და ცარიელი სახლის მეტი არაფერი არ იყო, შესდგომია მართლა ძალიან რთულ საქმეს. დიდი სახლი დაუბრუნებიათ სასამართლოს დადგენილებით და გადმოუტანიათ თემიდან. თანაც ცოლი შეურთავს კარგი, მშრომელი ადამიანი და მისი ძმებისა და ერთი ბიძაშვილის დახმარებით, მახლობელი სოფლიდან, ნელნელა აღუდგენიათ იქაურობა და შედარებით გვარიანი კარგი ოჯახი შეუქმნიათ. იმდენმა ნაწვალებმა კაცმა არანვეულებრივი უნარი და ენერჯია გამოიხინა, რომ თავის მეზობლებს არაფერში არ ჩამოუვარდებდა და სოფი მათგანი დარცხვენილადაც კი თვლის თავს. ერთ მეზობელს, სხვათა შორის, ერთი რკინის ლოჯინი და ერთი მაგიდა დაუბრუნებია. ახლა 80 წელს არის მიტანებული, მაგრამ ამ აღდგენილ ოჯახს კარგად უძღვება, ერთი შვილიც ყავთ, მხოლოდ გოგო. ჩემი ძმისშვილი, მამიას ვაჟი საფრანგეთიდან, პირველადაც იყო იქ და ახლაც რომ იყო, ძალიან მოწონს იქაურობა. იმ ძნელ საქმეში იმ ძმას ფულით დამხმარე თითქმის არავინ არ ყავდა, გარდა იმ უბედური უფროსი დისა, როცა მსახურობდა, მაგრამ ისიც ცოტათი. ის ძალიან ძნელად განიცდიდა უბედური დედისა და დის ისეთ საშინელ ბედს და გარდაიცვალა 1981 წელს. დისშვილები, ბავშვობისას, იქ ჩვენს სოფელში იზრდებოდნენ და ძალიან უყვარდათ იქაურობა, მაგრამ



მამია ბერიშვილი ლევილის ქართულ სამკითხველოში (გ. შარაძის ფოტო)


დახმარებით იმ ამისათვის, შესამჩნევი არაფერი გაუკეთებიათ, გარდა იმისა, რომ ნახმარ ტანსაცმელს აძლევენ და ესეც კარგია...” (შ.ბერიშვილი, “შეუღამა’სებელი ფურცლები”, გ.შარაძის პუბლიკაცია, გახ. “თბილისი”, 1 ივლისი, 1993 წ. №120)

...არც მამიას დასდგომია კარგი დღე: 13 წლის სურბეგლი ემაწვილი 21 თვე და 5 დღე თბილისის სუკის საპატიმროებში კეოლიათ გამომწყვდეული, შემდეგ გამოუშვიათ. საშუალო სკოლა თბილისში ექსტერნად დაუმთავრებია, 1934 წელს უფის სამედიცინო ინსტიტუტში შესულა, ორი წლის შემდეგ სწავლა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში გაუგრძელებია და 1941 წელს, ინსტიტუტის კურსდამთავრებული ომში გაუწვევიათ. სევასტოპოლში ტყვედ ჩაყარდნია, აქედან პოლონეთში ჩაუყვანიათ, ხოლო ნოე ჟორდანიას შემწეობით 1943 წელს საფრანგეთში მოხვედრია. აქ იგი მოხალისედ შესულა ფრანგულ ჯარში და ორი წელი ფაშისტების წინააღმდეგ უბრძოლია. ამჟამად მამია ბერიშვილი ლევილში ცხოვრობს, წლების მანძილზე



მარჯვენად: ქისტანა ბერიშვილი, სუცა რამიშვილი, ნათელა ყორღანია, კურამ შარაძე  
 ლევლი, 1989

ქართული ხალხების გამოყენის კატალოგი, ხაერანგუი, 1997 წლის ოქტომბერ-დეკემბერი  
 მოაწყო ტაყერ ბერიშვილმა






ტიერ ბერიჩვილი



ტიერ ბერიჩვილის ქალიშვილები მის ვაჟებთან ერთად დადიანის მემორიალში, ლაგოა 1989

ტიერ ბერიჩვილის შვილები დადიანის მემორიალში, ლაგოა 1989



ASSOCIATION FRANCAISE CULTURELLE  
ET D'AMITIE AVEC LE PEUPLE GEORGIEN

**Thierry Berichvili**

3 et 5 rue de Saint Pierre

91220 Brétigny-sur-Orge

Tél: 60.84.59.15

**განუგებოთ სპონსორებს**

ლევილის ქართული კერის ასოციაციის თავმჯდომარე იყო (1986 წელს მან ამ პოსტზე შეცვალა "ლევილის დედა" – ნამეცია ბერძენი-შვილი-გოგუაძისა). 1959 წლიდან საქართველოს ხოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელი ბიუროს უცვლელი მდივანია. პედაგოგი ფრანგი შეუდგენ ქალბატონი ქრისტინა, რომელსაც ადგილობრივი ფრანგები "მადამ ბერის" (ქალბატონ ბერი-შვილს) ეძახდნენ. იგი მსარში ედგა ბატონ მამია ბერი-შვილს, აწარმოებდა ქართული ასოციაციის ფრანგულ თქმებს, ერთგულად უვლიდა ლევილის ქართველთა ხაში ხასაფლას. მათი შვილი ტიერ ბერი-შვილი ლევილთან ახლოს, დაბა ბრეცინში ცხოვრობს ცალ-შვილით: უფროს ვაჟს რემი ჰქვია, უმცროსს – ფაბიენი. ერთსანს ბიჭები ქართული ენის სასწავლად, ხანამ ცოცხალი იყო. ბრეცინიდან ლევილში დადიოდნენ ქალბატონ ღიდა შარაშიძე-ნოზაძესთან... ბატონი ტიერ ბერი-შვილი თავისი სამშობლო-საქართველოს ერთგული პატრიოტია, რასაც მოწმობს მის მიერ დაარსებული ფრანგულ-ქართული კულტურული და მეგობრული ურთიერთობების ასოციაცია "გაუმარჯოს საქართველოს", რომლის პრეზიდენტიც თვითონ არის და ხშირად აწეობს გამოფენებს და სხვა კულტურულ დონისმიძებებს

მამია ბერძენი-შვილი ლევილის ქართულ სტამბაში 1989 (გ. შარაძის ფოტო)





Յուսեփ Գրիգորի  
Լուսին Գրիգորի



Հայկո Արմաշեանի  
Գրիգոր Սեփարեանի





საფრანგეთში ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და კულტურის უკეთ  
პოპულარიზაციის მიზნით (სულ უკანასკნელად მოაწყო ძველი  
ქართული ხალხების გამოფენა საფრანგეთში).

აი, ეს მამია ბერიშვილი გახდა გიორგი ერადის გადადგომის  
(1969 წ.) შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის  
მთავრობის არქივის კომისიის თავმჯდომარე...

\* \* \*

ახლა მივუბრუნდეთ ისევ არქივის ისტორიას.

1958–59 წლებში ზედიზედ გარდაიცვალა მთავრობის საარქივო  
კომისიის ორი თეალსაჩინო წევრი – ყოფილი ფინანსთა მინისტრი  
კონსტანტინე კანდელაკი (1883–1958) და ყოფილი ელჩი საფრანგეთში  
აკაკი ჩხენკელი (1874–1959), რომელთა შესაცვლელად როგორც  
დეპოზიტორები, 1959 წლის 17 აპრილს წარადგინეს ახალი წევრები  
– პავლე სარჯველაძე და ლევან ფაღავა. მაშასადამე, 1959 წლიდან  
კომისია წარმოდგენილია ასეთი შემადგენლობით: გიორგი ერადე  
(თავმჯდომარე), ნოე ცინცაძე, სოსიპატრე ასათიანი (მამია  
ბერიშვილი), პავლე სარჯველაძე, ლევან ფაღავა. ამით გარდა,  
კოოპტაციის წესით, კომისიის წევრად მიიღეს მიუნხენში მცხოვრები  
კარლო ინასარიძე. საარქივო კომისიის ეს შემადგენლობა 1969  
წლამდე უცვლელი დარჩა.

1969 წლის 23 მარტს ლევილში მოუწვევიათ საარქივო  
კომისიის გაფართოებული სხდომა, რომელზეც საარქივო კომისიის  
თავმჯდომარე გიორგი ერადე ოფიციალურად გადადგა და საარქივო  
კომისიის ახალ თავმჯდომარედ აირჩიეს მამია ბერიშვილი, ხოლო  
კომისიის ორ ახალ დამატებით წევრად – ვალიკო ჩუბინიძე (1891–1988)  
და გრიგოლ (გრიშა) ლომაძე იქნენ შეყვანილნი.

ამ კრების ოქმში ვკითხულობთ:

“1969 წელი, 23 მარტი, სოფელი ლევილი.

დამოუკიდებელი საქართველოს ყოფილ მთავრობის არხივის  
მომკვლელ მეპატრონეთ კომისიის წევრთა კრება, რომელიც შესდგა  
ნაშუადღევს 3 საათზე, კომისიის თავმჯდომარე – გიორგი ერადის  
ბინაზე.

დაესწრნენ: 1. გ. ერადე, 2. პ. სარჯველაძე, 3. ლ. ფაღავა, 4.  
მ. ბერიშვილი, 5. ვ. ჩუბინიძე, 6. ნ. ცინცაძე; ავადმყოფობის გამო  
ვერ დაესწრო ს. ასათიანი.

დღის წესრიგი: 1.მდგომარეობა არხივის; 2.არხივის შემნახველ-მომვლელ კომისიის წევრთა უფლება-მოვალეობა იქმნეს ახლავე განსაზღვრული; 3.იქმნეს ახლავე დანიშნული წევრი შემცველელი ლევილში არსებული არხივის მომვლელ-მეპატრონე კომისიის თავმჯდომარე; 4.კრებაზე წაკითხულ იქნას ტექსტი პირობის; 5.არჩეულ იქნეს ორი წევრი კომისიის და მიეცეს მათ მანდატი კომისიის სახელით, რათა წავიდნენ, სადაც წევნი არხივი ინახება და შეამოწმონ.

უწყებაში მოხსენებული დღის წესრიგი კრებამ დაამტკიცა, რის შემდეგაც კომისიის კრებას გ.ერაძემ გააცნო არხივის დღევანდელი მდგომარეობა.

1969 წლის 23 მარტი.

წევნი წევრი წევრი მთავრობის და ლეგაციის დოკუმენტები საფრანგეთის ნაციონალურ არხივში 11 ყუთი დოკუმენტებით. თანახმად პირობისა უნდა შეინახონ 30 წელიწადი (იხილეთ პირობის წერილი). წევნი გვაქვს უფლება შეგვინახონ 20 ყუთი. 1968 წლის 10 ივლისს კიდევ წევრი 5 ყუთი, კიდევ შეგვიძლიან წევრი 4 ყუთი.

კრებამ დაადგინა: დაევალოს არსებულ წიგნთსაცავ-არხივის გამგეობას გაამსაღონ არხივში გასაგზავნად 4 ყუთი დოკუმენტებისა, რომელშიც აწკია გადარჩეული.

საჭიროდ ვცნობთ, სანამ წევნი წავივლებთ გადარჩეულ ყუთებს არხივში, წინასწარ გავგზავნოთ ერთი ან ორი წევრი კომისიისა და ნახონ რა მდგომარეობაშია ის 11 ყუთი, რომელიც დიდი ხანია იქ არის, თუ საჭიროდ დარჩეს, გავხსნათ ერთი ან ორი ყუთი სანახავათ თუ როგორ არის შენახული, - წევნი არც ამას უნდა დავერიდოთ.

არხივი და ბიბლიოთეკა, წიგნთსაცავის კომისიის კრებამ დაადგინა, რომ მე წევრი და დანიშნულმა კაცმა აიღოს თავის თავზე მოვლა-პატრონობა იმ უფლება-მოვალეობით, რითაც მე ვსარგებლობდი. ეს პიროვნება იყო და არის მამია ბერიშვილი.

რადგან ადგილობრივ არხივის წიგნთსაცავის გამართვას და მოვლას დასჭირდება თანხა, ამიტომ გამგემ შეადგინოს სერულე დაახლოებით ხარჯთაღრიცხვა და წევრთან ერთად შეუდგეს ამ თანხების შოვნას.

დადგენილი იქნა, რომ მ.ბერიშვილი, რომელიც დანიშნულია წევრი ადგილზე, დაინიშნოს წიგნთსაცავ-ბიბლიოთეკა-არხივის გამგეთ. წავიბაროს, რაც კი არხივში გვაქვს. მე ამ საქმიდან ვიქნები განთავისუფლებული.

Georges ERADZE  
10, rue Jules Ferry  
91 - LEUVILLE SUR ORGE  
Château de Leuville

Leuville sur Orge, le 22 Octobre 1969

Monsieur André CHAMSON  
de l'Académie Française  
Directeur Général des  
Archives de France  
Direction des Archives  
S.T. 4743

Monsieur le Directeur,

J'ai bien reçu votre lettre du 27 Juillet dernier et je vous prie de bien vouloir m'excuser de ne y avoir répondu plus rapidement pour cause de maladie.

Donc pour répondre à votre demande j'ai l'honneur de vous informer que par suite du décès de Messieurs KANDELAKI Constantin et TCHENKELI Akaki, dépositaires des archives du Gouvernement de Géorgie, le 17 Avril 1959 nous avons désigné pour les remplacer et leur succéder, comme dépositaires des dites Archives; Messieurs PAGAVA Léon, 3, rue Adolphe Chérioux à Issy les Moulinaux et SARDJVELADZE Paul, 19, rue D'Odessa à Paris 14°.

Aujourd'hui nous vous présentons une nouvelle liste complète des membres du comité dépositaires des Archives du Gouvernement de Géorgie, composée de Messieurs :

ERADZE Georges - 10, rue Jules Ferry à LEUVILLE SUR ORGE (91)  
TSINTSADZE Nodé - 288, rue de Vaugirard à PARIS (13°)  
ASSATIANY Sossipatre - 8, rue Ad. Focillon à PARIS (14°)  
PAGAVA Léon - 3, rue A. Chérioux à ISSY LES MOULINEAUX (92)  
SARDJVELADZE Paul - 19, rue d'Odessa à PARIS (14°)  
TCHOUBINIDZE Valérien - 241, rue de la Croix Nivert à PARIS (15°)  
BERICHVILI Mania - 16 bis, rue Jules Ferry à LEUVILLE sur ORGE (91)  
LOHADZE Georges - 4, rue Rip. Boulogne à SCEAUX (92).

Avec nos excuses renouvelées pour le retard apporté à notre réponse, nous vous prions d'agréer, Monsieur le Directeur, l'assurance de nos sentiments très distingués.

C. ERADZE.

გ. ერადზე

გიორგი ერადის წერილი ბ-ნ ანდრე შამსონისადმი საქართველოს ეროვნული არქივის შესახებ.  
1969 წლის 2 ოქტომბერი

არხივის მონმეღელ კომისიის სახელით: გიორგი ერადი".  
გ.ერადი არ დაკმაყოფილებულა ამ ოქმით და 1970 წლის 4  
ივნისს არქივის საკმეში ნაუკერებია ახალი საბუთი:  
"არხივის საკმეში.  
ერთი კარგი მოხდა, რომ ოქვენის დახმარებით ჩემს მაგივრათ



ვალიკო ჩუბინიძე

დანიშნული იქნა არხივის გამგეო მამია ბერიშვილი.

ამ დადგენილების შემდეგ მე მას ექხმარები, სანამ ეველაფერს წესრიგში მოიყვანდეს და ჩაიბარებს, თუმცა, ფაქტიურად ახლაც მას აბარია.

მე მიხდოდა არხივის კომისიისათვის გამეცნო არხივის ძველი და ახალი ანგარიშები.

გ.ერაძე  
4/VI.1970".

ამას გარდა, გიორგი ერაძემ არ დააყოვნა საფრანგეთის ეროვნული არქივების გენერალური დირექტორისათვის – ანდრე შამსონისათვის 1969 წლის 22 ოქტომბერს ოფიციალურად ეცნობებინა საქართველოს მთავრობის არქივის შემნახველი კომისიის ახალი შემადგენლობა: გიორგი ერაძე, ნოე ცინცაძე, სოსიპატრე ასათიანი, ლევან ფაღავა, პავლე სარჯველაძე, ვალიკო ჩუბინიძე, მამია ბერიშვილი, გრიგოლ (გრიშა) ლომაძე.

მაღე კომისიას გამოაკლდა ორი ძველი ავტორიტეტული წევრი – 1971 წელს გარდაიცვალნენ გიორგი ერაძე და სოსიპატრე ასათიანი.

ასე რომ, მამია ბერიშვილმა განაგრძო გიორგი ერაძის სიცოცხლეში საარქივო კომისიის 1969 წლის 23 მარტის კრების გადაწვეტილებით დაკისრებული მოვალეობის აღსრულება. მასვე

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ დაუტოვა 1949 წლის 8 მარტს ვანეში (პარიზთან ახლოს) ფრანგულ ენაზე შედგენილი, მის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედად ასმული ასეთი შინაარსის მანდატი:

“ვანეი, 1949 წლის 8 მარტი

მე, ქვემოთ ხელის მომწერი, ნოე ჟორდანია, საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარე, ვნიშნავ ბატონ მამია ბერიშვილს საქართველოს ეროვნული მთავრობის წარმომადგენლად და ამ უფლებით, ის სრული უფლებამოსილია აწარმოოს მოლაპარაკებები აღნიშნული მთავრობის სახელით მისი უმაღლესობის ბრიტანეთის მთავრობასთან და აგრეთვე ყველა ქვეყნის სხვადასხვა პოლიტიკურ უწყებებთან და პირებთან ყველა ეროვნულ და პოლიტიკურ საკითხებზე, რომელიც ეხება საქართველოს.

საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია”.

1974 წლამდე არც საქართველოს ეროვნული არქივი იყო გაყოფილი და არც მისი შემნახველი კომისია. წყალდიდობისგან პარიზში დაზიანებული არქივის დიდი ნაწილი კი შევლას ითხოვდა!

და აი, თითქმის 17 წლის დაგვიანებით, ნვენს ეროვნულ არქივს მშველელად მსოფლიოში სახელგანთქმული პარვარდის უნივერსიტეტი მოეკვლინა!..




ეროვნული არქივი პარვარდში

ჯერ ორიოდე სიტყვა პარვარდის უნივერსიტეტისა და ბიბლიოთეკის შესახებ:

პარვარდის უნივერსიტეტი ამერიკის შეერთებული შტატების უძველესი და უმდიდრესი უმაღლესი სასწავლებელია. იგი თავდაპირველად, როგორც კოლეჯი, დაარსდა 1636 წელს ქვემბრიჯში (მასანუსეტისის შტატი), ქ.ბოსტონთან ახლოს (მისგან პეოფს მდ.ნარლსი), განათლებული სასულიერო პირების მოსამსახდელად. მასანუსეტისის მმართველის ბეი კოლონის ბრძანებით, 1639 წელს ეწოდა ინგლისიდან ემიგრირებული მინისტრისა და ხელოვნების ბაკალავრის, პასტორ ჯონ პარვარდის (1607-1638) სახელი, რომელმაც კოლეჯს უანდერძა თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა და ქონების დიდი ნაწილი. 1678 წლამდე ჯონ პარვარდის ნაწიქარი წიგნები გახლდათ კოლეჯის ყველაზე დიდი შენაძენი. ამ წიგნებიდან მხოლოდ რამდენიმედა შემორჩა დღემდე. 1764 წლის 24 იანვარს მომხდარ ხარძარს 5000-მდე წიგნიდან მხოლოდ 404 გადაურჩა. თუმცადა, ეს ხანძარი გახდა საბაბი პარვარდის კოლეჯის მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში მოქცევისა: ჯონ პენკოკმა 1300 წიგნი გადასცა საწიქრად, ნიუ ჰემფშირის პროვინციის მიერ გადებული თანხით 700 წიგნი იქნა შეძენილი, აგრეთვე მრავალი კოლონისტი, განსაკუთრებით, ბოსტონელები დაეხმარნენ ბიბლიოთეკას წიგნებითა თუ ფულით. უკვე 1766 წლისათვის ბიბლიოთეკაში 4350 წიგნი ირიცხებოდა. 1841 წელს აშენებულ იქნა გორ პოლი, პირველი ნაგებობა პარვარდში, რომელიც განკუთვნილი იყო მხოლოდ და მხოლოდ ბიბლიოთეკისათვის.

მე-18 საუკუნის გასვლამდე კოლეჯში ძირითადად ისწავლებოდა ბიბლია და ძველი ენები, საუკუნის მიწურულს კი დაიწვეს ახალი ენებისა და მათემატიკის სწავლება. პარვარდის კოლეჯი მაინც პრივილეგირებულთა საშუალო სკოლად რჩებოდა, რომელშიც იღებდნენ 14 წლის მოწაფეებს. კოლეჯის უნივერსიტეტად გარდაქმნა ფაქტიურად მოხდა მე-19 საუკუნის I მეოთხედში, როდესაც პარვარდის კოლეჯს შეუერთეს სამელიცინო (დაარსდა



პარვარდის უნივერსიტეტის კომპლექსი

1810 წ.) და იურიდიული (დაარსდა 1817 წ.) ფაკულტეტები, შემოიღეს ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიის, ქიმიის, გეოლოგიის და სხვა საგნების სწავლება. მე-19 საუკუნის შუა ხანებიდან მოყოლებული პარვარდის უნივერსიტეტი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების კულტურული და მეცნიერული ცხოვრების ცენტრი. გარდა უამრავი ფაკულტეტისა, უნივერსიტეტს გააჩნია მსოფლიოში ცნობილი ასტრონომიული ობსერვატორია და სხვადასხვა მუზეუმები (ზოოლოგიის, გეოლოგიის, სამხატვრო და სხვ.), ხოლო მის ბიბლიოთეკაში ამჟამად დაცულია 11 მილიონზე მეტი ნაბეჭდი წიგნი, რომელთა შორის არის გუტენბერგის მიერ მეინცში 1455 წელს დაბეჭდილი ბიბლია. პარვარდის უნივერსიტეტის წიგნები განთავსებულია 100-მდე ბიბლიოთეკაში, რომელთაგან უდიდესია პარი ელკინს ვიდენერის მემორიალური ბიბლიოთეკა. მის ჭერქვეშ ინახება 3.2 მილიონი წიგნი. გვირაბებისა და ხიდების საშუალებით იგი უერთდება სხვა წიგნთსაცავებს, როგორცაა პოუტონის, ლამონისა და პიუსის ბიბლიოთეკები (დაწვრილებით იხ. R.Kenneth E.Carpenter, The First 350 Years the Harvard University Library, Cambridge, 1986).

აი, სწორედ ერთ-ერთ მათგანში, პოუტონის ბიბლიოთეკაში, ინახებოდა 1974 წლიდან ჩვენი ეროვნული არქივი.




პარვარდის ძველი უნივერსიტეტის ეზოში

\* \* \*

პოუტონის ბიბლიოთეკა გაიხსნა 1942 წელს და გახლდათ წიგნების, მანუსკრიპტებისა და სპეციალური კოლექციებისათვის აშენებული პირველი ნამდვილი ბიბლიოთეკა ამერიკის უნივერსიტეტში. შენობა უნივერსიტეტს გადასცა არტურ ა.პოუტონ-უმცროსმა, რომელმაც დაამთავრა პარვარდი 1929 წელს. განყოფილებები მოიცავს ნაბეჭდ წიგნებს, ხელნაწერებს, ბეჭდვითი და გრაფიკული ხელოვნების ნიმუშებს, თეატრალურ კოლექციას.

პოუტონის ბიბლიოთეკის 500000 ნაბეჭდი წიგნი და მილიონობით მანუსკრიპტი მოიცავს უკანასკნელი 550 წლის ბეჭდვით და რამდენიმე ასეული წლის ხელნაწერ ნიმუშებს, მათ შორის, X საუკუნის იშვიათი მინიატურებით შემკულ ქართულ ბიბლიას (აღწერილია რ.ბლეიკის მიერ). ხელნაწერთა კოლექციებში გვხვდება როგორც შუა საუკუნეებისა და რენესანსის ეპოქის ნიმუშები, ისე ცნობილ პირთვნებათა (მაგალითად, ჰუგო ფონ პოფმანსტალისა და დეკ ტროცკის) პირადი არქივები... პოუტონი გახლავთ პირველადი საცავი მე-19 საუკუნის ამერიკული ლიტერატურული რენესანსის ისეთი






ძველი სარეზარდი (გრაივიურა)

ძველი სარეზარდი (გრაივიურა)






ქრისტიანობის სიმბოლო



ძველი ქრისტიანული (გრაჯოვრა)

ძველი ქრისტიანული სასახლის დანახვა (გრაჯოვრა)





სარვარდის უნივერსიტეტის ვილენერის ბიბლიოთეკა

*C A T A L O G U S*  
LIBRORUM  
BIBLIOTHECÆ  
Collegij Harvardini  
Quod est  
CANTABRIGIÆ  
IN  
Nova Anglia.



BOSTONI NOV. ANGLORUM:  
Typis B. Green, Academicæ Typographi. MDCCXXIII.

სარვარდის ძველი ბიბლიოთეკის  
კატალოგი

მნიშვნელოვანი წარმომადგენლების ხელნაწერებისა და პირადი წერილებისა, როგორებიც არიან ემერსონი, ლონგფელო, მეღვილი და ლიკინსონი... ამერიკულ მწერლებთან ერთად აქ მოთავსებულია ინგლისელი, ფრანგი, იტალიელი და გერმანელი. მწერლების მანუსკრიპტები. ცნობილ ავტორთა კოლექციები მოიცავს თხზულებებს ერაზმ როტერდამელის, პრეტინოსა და რონსარიდან დაწეებული კიტხის, რილკესა და პუშკინით დამთავრებული... მოსალოდნელზე მეტია პორტუგალიური, ესპანური, თანამედროვე ბერძნული და აღმოსავლეთ ევროპის ლიტერატურათა ნიმუშების რაოდენობა, მათ შორის, პესოას, სერვანტესისა და კაეაფის კოლექციები. ფილოსოფია და მეცნიერება წარმოდგენილია მრავალი ავტორისა და დარგის კოლექციებით, აგრეთვე, დიდი მოცულობის ნაბეჭდი მუსიკალური თხზულებების ნიმუშებით. პარვარდის თეატრალური კოლექცია განუმეორებელია თავისი სიმდიდრით ინგლისური და ამერიკული თეატრისა და დეკის ყველა ასპექტის მომცველი ნიმუშებისა...

კემბრიჯში, პარვარდის უნივერსიტეტის კოუტონის ამ უმდიდრეს ბიბლიოთეკაში დაიდო სწორედ ბინა საქართველოს ეროვნულმა არქივმა 1974 წელს.

საინტერესოა, როგორ მოხდა ეს?

ჯერ მოვეუსმინოთ ამ საქმის ინიციატორს, პარვარდის უნივერსიტეტის პროფესორს რინარდ პაიპსს:

“საქართველოს ეროვნული არქივის პარვარდში, კოუტონის ბიბლიოთეკაში მოხვედრა სამი ადამიანის ურთიერთშეთანხმების შედეგი გახლდათ. ესენი იყვნენ ნოე ცინცაძე – ქართული ემიგრაციის წამყვანი ფიგურა პარიზში, დუგლას ბრაიანი – პარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკარი და მე – პარვარდის პროფესორი.


როგორც მე მახსოვს, ცინცაძემ პირველმა აღნიშნა არქივის გადაცემის შესაძლებლობა ორმოცდაათიანი წლების ბოლოს, როდესაც მე ერთი წელი ვცხოვრობდი პარიზში. მე ვფიქრობ, რომ მან მე მომმართა იმ უურადღების გამო, რომელიც მე გამოვიჩინე საქართველოს მიმართ ჩემს პირველ წიგნში “საბჭოთა კავშირის შექმნა” (1954) და ჩემი ზოგადი სიმპათიის გამო საქართველოსა და მასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ. მე დავეუკავშირდი ბრაიანს, რომელმაც გამოხატა ცოცხალი ინტერესი.

მიუხედავად ამისა, მოლაპარაკებები არქივის გადაცემაზე გაჭიანურდა 17 წლით. მე ვფიქრობ, რომ იყო ასრთა სხვაობა პარიზელ ქართველთა შორის იმის თაობაზე, თუ რაოდენ



პოტონი

პოტონის ბიბლიოთეკა, რომელშიც ინახებოდა საქართველოს ეროვნული არქივი 1974 წლიდან



მიზანშეწონილია ეს ნაბიჯი და ვინ იქნება პასუხისმგებელი . ბოლოს დაახლოებით 1973–1974 წლებში ცინცაქმ მაცნობა, რომ ყველა პრობლემა მოგვარებულია და ყველაფერი მზად არის 17 ყუთის გადასახიდად კემბრიჯში. ბრიანთან საკითხის განხილვის შემდეგ მე თავად ვესწრებოდი დოკუმენტების ნატვირთვას თვითმფრინავში (მე მაქვს ამ მომენტის ფოტოსურათი). არქივის ჩამოტანისთანავე კემბრიჯში, ბრიანმა დაავალა ბატონ გიორგი ნაკაშიძეს კლასიფიკაცია დოკუმენტებისა, რომელიც მოითხოვდა ქიმიურ დამუშავებას, რადგანაც ძლიერ დასიანებული იყო”.

\* \* \*

რახან სიტყვა პროფესორ რინარდ პაიპსზე ჩამოვარდა, როგორც პარიზში 1950–იან წლებში წყაღდილობის გამო დასიანებული საქართველოს ეროვნული არქივის დიდი ნაწილის პარვარდში გადატანის მთავარ ინიციატორზე, ურიგო არ იქნება ჩვენს მკითხველს უფრო ახლოს გაეაცნოთ იგი.

მაშ, ვინ არის რინარდ პაიპსი?

გამოხენილი ამერიკელი ისტორიკოსი და პოლიტოლოგი, პარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული სოვეტოლოგი რინარდ პაიპსი დაიბადა 1923 წლის 11 ივლისს, პოლანეთში, ჩიეჟინში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში საცხოვრებლად ჩავიდა 1940 წელს, ხოლო ამ ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო 1943 წელს. 1940–43 წლებში სწავლობდა ოპიოს მასკინგუმის კოლეჯში, 1945 წელს დაამთავრა კორნელის უნივერსიტეტი და მიიღო პუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის წოდება, ხოლო 1950 წელს პარვარდის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ხდება ფილოსოფიის დოქტორი.

ჰყავს მეუღლე, ქალბატონი ირენ-ვეგენია როტი და ვაჟიშვილები დანიელი და სტივენი.

ბატონმა რინარდ პაიპსმა სამეცნიერო მოღვაწეობა ჯერ კიდევ ორმოცდაათიან წლებში დაიწყო და უკვე 1958 წლიდან გახლავთ ისტორიის პროფესორი. სხვადასხვა დროს მუშაობდა ამერიკის შეერთებული შტატების წამყვან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში: 1962–64 წლებში იყო რუსეთის კვლევის ცენტრის თანადირექტორი, ხოლო 1968–73 წლებში ამ ცენტრის დირექტორი. ამას გარდა ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ-საგამომცემლო მოღვაწეობას; 1973–78 წლებში იყო სტენფორდის კვლევითი



პროფესორი რინარდ პაიპსი

ინსტიტუტის უფროსი კონსულტანტი, 1980 წელს რეიგანის ჯგუფის წევრი, 1981–82 წლებში აღმოსავლეთ ევროპისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობების ცენტრის დირექტორი და ეროვნული უშიშროების კონსული, 1988 წელს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობების ოპერატიული ჯგუფის თავმჯდომარე, ხოლო 1992 წელს რუსეთის კონსტიტუციურ სასამართლოზე გახლდათ ექსპერტი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გახმაურებულ პროცესზე. 1997 წელს იგი გახდა ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საპატიო კონსული.

ბატონი რინარდ პაიპსი გახლავთ წევრი მსოფლიოში ისეთი სახელგანთქმული გამოცემების სერიებისა და გამომცემლობებისა, როგორცაა “ენციკლოპედია ბრიტანიკა”, “ინტელექტუალკაპიტალი”, “სტრატეგიული მიმოხილვა”, “საბჭოთა ებრაელების ურთიერთობები”, “სტრატეგიული გამოკვლევების ჟურნალი” და სხვ.

პროფესორ რინარდ პაიპსის მსოფლიოში დიდ სამეცნიერო აღიარებას მოწმობს ის ფაქტი, რომ იგი არსებულია პოლონეთის ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის უცხოელ წევრად, ნობელის მშვიდობის ინსტიტუტის საგაზაფხულო ლექციების სპიკერად, ამერიკის ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის საბჭოს წევრად, სილეზიის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად და კიდევ ბევრი სხვა

უნივერსიტეტისა და კოლეჯის საპატიო დოქტორად. პროფესორი რინარდ პაიპსი გახლავთ ავტორი სხვადასხვა დროს ინგლისურ ენაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოცემული თხუთმეტამდე ფუნდამენტური მონოგრაფიის ავტორი, რომლებიც თარგმნილია მსოფლიოს წამყვან ენებზე: გერმანულად, იაპონურად, ფრანგულად, იტალიურად, რუსულად, ესპანურად, შვედურად, ჩეხურად, უნგრულად, რუმინულად, პორტუგალიურად... დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს: “რუსეთის მიმოხილვა” (1989 წ.), “აშშ – საბჭოთა კავშირის ურთიერთობები სახელმწიფოთაშორისი დაძაბულობის შესუსტების ერაში” (1985 წ.), “რუსეთი ძველი რეჟიმის ქვეშ” (1974 წ.), “რუსეთის რევოლუცია” (1990 წ.), “რუსეთი ბოლშევიკური რეჟიმის ქვეშ” (1994 წ.), “კომუნისმი: გამქრალი სული” (1993 წ.)... გარდა მონოგრაფიებისა და ორიგინალური გამოკვლევებისა პროფესორმა რინარდ პაიპსმა აღმოაჩინა, თავი მოუყარა და გამოსცა მეტად საინტერესო ისტორიული დოკუმენტების კრებულები, მათ შორის: “უცნობი ღენინი: საიდუმლო არქივიდან” (1996 წ.), “საბჭოთა სტრატეგია ევროპაში” (1976 წ.), “რევოლუციური რუსეთი” (1968 წ.), “რუსეთის ინტელიგენცია” (1961 წ.) და სხვა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ პროფესორ რინარდ პაიპსის ღრმა და სოლიდურმა მეცნიერულმა გამოკვლევებმა საბჭოთა კავშირის და კომპარტიის ისტორიის შესახებ, მოამზადა სერიოზული ნიადაგი საბჭოთა კავშირის დაშლისა და კომპარტიის ავტორიტეტის შერყევის საქმეში.

რაც მთავარია, და ჩვენთვის ამ შემთხვევაში განსაკუთრებით საინტერესო, პროფესორ რინარდ პაიპსს განუხსომელი, დაუფასებელი ამაგი მიუძღვის საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის (1918–1921 წ.წ.) ეროვნული მთავრობის არქივის გადარჩენის საქმეში.

აკი წერდა კიდევ ამის შესახებ აწ განსვენებული ვიქტორ ხომერიკი:

“პროფესორმა რინარდ პაიპსმა უდიდესი სამსახური გაუწია ჩვენს ეროვნულ საქმეს, მისი შემწეობით შევძელით დამოუკიდებელი საქართველოს ხანის არქივის მოთავსება უსასყიდლოდ პარვარდის უნივერსიტეტში, მისი უანგარო დახმარებით შესრულებულ იქნა ყველა დასიანებული დოკუმენტების გაწმენდა, აღდგენა, მიკროფილმების გადაღება, რომელიც დიდ ხარჯებს მოითხოვდა და რომელიც მან გააღებინა უნივერსიტეტს. ერთხელ კიდევ საჯაროდ ჩვენი დიდი მადლობა ქართული საქმის ამ უმწიკვლო მოამაგეს და





ნოე ცინცაძე

ხელშეკრულება  
პარვარდის უნივერსიტეტსა და  
საქართველოს ეროვნული არქივის  
დაცვის კომისიას შორის, 1974

ქართველების განუყრელ მეგობარს პროფესორ რინარდ პაიპსს”  
(იხ. ვ. ხომერიკი, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის არქივი,  
ჟურნ. “ჩვენი დროშა”, პარიზი, 1987, №110, გვ.94).

\* \* \*

რადგან პროფ. რინარდ პაიპსი თავის მოგონებაში  
დასიანებული ქართული არქივის პარიზიდან პარვარდში გადატანის  
ერთ-ერთ მთავარ ინიციატორად “ქართული ემიგრაციის წამყვან  
ფიგურას პარიზში” ნოე ცინცაძეს მიიხსენებს, ვფიქრობთ, ჩვენი  
მკითხველისათვის საჭირო იქნება უფრო დაწვრილებით მოვეუთხროთ  
მის შესახებ. მით უფრო, რომ არქივის შემნახველი სამთავრობო  
კომისიის თავმჯდომარის ბატონ მამია ბერიშვილის თაობაზე შემოთ  
უკვე ვესაუბრეთ მკითხველს. ახლა კი გავეცნოთ საარქივო კომისიის  
ერთ-ერთ წამყვან ფიგურას ნოე ცინცაძეს:

...1978 წლის 23 სექტემბერს პარიზში გარდაიცვალა და 29  
სექტემბერს ლევილის ქართულ სასაფლაოზე დაკრძალეს  
დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის უკანასკნელი წევრი  
ნოე ცინცაძე.

HARVARD UNIVERSITY LIBRARY  
CAMBRIDGE, MASSACHUSETTS 02138

27 March 1974

The Commission appointed by the Government  
of the Independent Republic of Georgia  
Center, Laville  
Lansville, Dept 91  
France

Gentlemen:

The Harvard University Library (hereinafter called the "Library"), acting on behalf of the President and Fellows of Harvard College, wishes to receive from the Commission appointed by the Government of the Independent Republic of Georgia laws in force from 1918 to 1927 (hereinafter called the "Commission"), as a temporary deposit, the collection of documentary materials known as the Georgian Archive. This collection (hereinafter called the "Documents") consists of the Archive of the Georgian Social-Democratic Labor Party from the date of its founding in 1905; the Archive of the Government of the Republic of Georgia from 1918 to 1927; and materials relating to the Georgian revolution from 1921 to the present. The Documents are contained in twenty wooden chests, each measuring approximately 65 x 30 x 30 centimeters.

The Library understands that the Documents are offered as a deposit for a period of thirty years from the date of their arrival in the Library. After the expiration of this period and on receipt of written instructions from the Commission or their authorized representative, the Library will transfer the Documents to the Georgian Archive of Archives. The Commission, for its part, will keep the Library continuously informed of any amendments, the identity of their successors, and the official address of the organization. In the event the Commission are unable, or fail, to send written instructions to the Library requesting the return of the Documents at the end of the thirty-year period, the Library shall retain the Documents in trust for the best judgment as to best means of action which would best serve the purposes of the Commission.

On receipt of the Documents, the Library will proceed to a preliminary inventory of the Documents. The Library will undertake to make the Documents available to all of the members of the Commission and to any other person named by the Commission. The Library will give to the Commission, and the Library will have the right to retain a complete alphabetical list of the Documents. The list of contents, classification, and numbering of the Documents will be prepared on the basis of a "Subject Checklist" which is a special order recommended by the Commission and accepted by the Library. The specialist will also advise on the location of missing parts of the

Documents under special restrictions. Documents not placed under special restrictions by the Library will be administered and made available to researches according to rules governing the use of manuscripts in the Harvard University Library approved by the President and Fellows of Harvard College on 10 February 1968, a copy of which is attached to this Letter of Agreement.

In the event that it becomes unavoidable or impracticable for the Library, in its judgment, to return the Documents within the thirty-year period, the Library will notify the Commission and return the Documents or otherwise dispose of the Documents at the instructions of the Commission.

The Library shall exercise due care while it has custody of the Documents, but in no event shall the Library have any liability for the loss, theft or destruction of the Documents, or any damage thereto at any time while in transit or while at Harvard.

If this Letter of Agreement, which shall be approved by the Law of the Government, generally sets forth the understanding, please indicate your acceptance on the enclosed copy at the place provided, and return the signed copy to us.

Sincerely yours,  
*Walter D. Howe*  
Walter D. Howe  
Harvard University Library  
for the President and Fellows of  
Harvard College

Accepted on:  
Le Président  
Le Vice Président  
*N.K. Eimundze*  
*PAUL SARDJUELDZE*

La Commission du Gouvernement  
de la République Démocratique  
de Géorgie

Date: Le 16 Juillet 1974

ნოე ცინცაძე დაიბადა 1886 წელს და დიდხანს - 92 წელი იცოცხლა. იგი უმაღლესი განათლებით ფიზიკოს-მათემატიკოსი იყო და დამოუკიდებლობის ხანაში საქართველოს განათლების მინისტრის ამხანაგი (მოადგილე) გახლდათ.

ახალგაზრდა სემინარიელი თავიდანვე სოციალისტურ მოძრაობაში ჩაება და როდესაც განახლებულ საქართველოს დამოუკიდებლობის ხანა დაუდგა, ნოე ცინცაძე უყოყმანოდ მის აღმშენებელთა რიგებში ჩადგა: "მთავრობის წევრი ახალგაზრდული გატაცებით შეუდგა მასზე დაკისრებულ სახალხო განათლების მოწყობას. მძიმე იყო რუსეთიდან დატოვებული, ნახევრად გარუსებული სკოლების ქართულ მკვიდრ ნიადაგზე დაფუძნება. პედაგოგიურ ძალებთან ერთად მან შეძლო, მძიმე პირობებში, დაბრკოლებათა გადალახვა; საქართველოს მოეფინა ქართული სკოლები, სათანადო ქართული სახელმძღვანელოებით. მისი ინიციატივით, ევროპაში სწავლა-განათლების მისაღებად გამოიგზავნა რამდენიმე ათეული ახალგაზრდა.

არ დაგვინდო მტერმა!

ძალადობით მოსტაცა ერს დამოუკიდებლობა...

როცა საქართველოში რუსეთის წითელი ჯარი შემოიჭრა და რუსეთის მთავრობამ, მეორეჯერ ასი წლის განმავლობაში,



პაულე სარჯველაძე



ვიქტორ ხომერიკი

მიუხედავად დადებული ხელშეკრულებისა, მოსკო საქართველოს დამოუკიდებლობა, ნოე ცინცაძე გადავიდა არაფლეგალურთა რიგებში და უშიშრად იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. ამისათვის ის, სხვებთან ერთად დაპატიმრებულ და მეტეხის ციხეში იქნა ჩასმული.

უნდა გენახათ ნოე ცინცაძე მეტეხის ციხეში; ყველას ამხნევებდა და აიმედებდა. როცა 62 პოლიტიკურ ტყვეს საქართველოდან გადასახლება გადაუწყვიტეს, ნოე იმ ხელმძღვანელთა რიცხვში იყო, რომელიც წინ აღუდგა “წყეას” განსრახვას და როცა დამით, რუსის ჯარის ნაწილი თავს დაესხა ციხეს, სიბნელეში გაისმა ხმა რუსის ოფიცრისა: “რუსეთის კომუნისტური პარტიის და კომინტერნის სახელით გიბრძანებთ გამოსხიდეთ, ვისაც მისჯილი გაქვთ გადასახლება!” – ნოეს წინასწარ პქონდა დავალებული და საკნიდან უპასუხა: “წყენ არ ვცნობთ არც თქვენს პარტიას, და არც კომინტერნს! დაუყოვნებლივ გაიყვანეთ თქვენი ჯარი!”.

წყენმა მკითხველმა შედეგი იცის: მოსკოვის ერთ-ერთ სადგურზე, 62 პოლიტიკურ ტყვეს, (მათ შორის იყვნენ: კალისტრატე სალია, გიორგი ნაკაშიძე...), ევროპაში გადასახლება მისჯილთ, “წყეამ” მოტყუილება მოუნდომა, დაპირებისამებრ უცხოეთში

გაგზავნის მაგიერ, “ბუტირის” ციხეში გადაყვანა გამოუცხადა. აქაც გამოინდა ნოეს გმირული სული და გამბედაობა. კრემლის წარმომადგენელს განუცხადა: “თქვენ შეგიძლიათ ხიშტებზე აგვაგოთ – ცოცხლებს აქედან ვერ გაგვიყვანო!”...

...ემიგრაციაში ნოე ცინცაძე 1922 წლის დასაწყისში მოხვდა – გერმანიაში გადასახლებულ სამოცკაციან ჯგუფთან ერთად. რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში იგი განცალკევებით იღვა მთავრობის წრეების პოლიტიკური მუშაობისაგან. ნოე ცინცაძე უფრო ი.წერეთლის ჯგუფთან იყო დაკავშირებული. ემიგრაციის საკუთრივ ქართულ პოლიტიკურ საქმიანობაში მისი აქტიური წარუვა ეგრეთწოდებულ “პარიზის ბლოკის” დაარსებიდან იწყება. იგი ფრიად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა რადიო “თავისუფლების” საქმიანობაში და ამ დროიდან იწყება მისი როლის გაზრდაც ქართულ პოლიტიკურ მოღვაწეობაში, განსაკუთრებით ეგზეგეტორის გარდაცვალების შემდეგ გახდა მნიშვნელოვანი...

...უცხოეთში, სხვებთან ერთად, აღმართა მან ბრძოლის დროშა ქართველი ერის სუვერენული უფლებების დასაცავად, მოტაცებული თავისუფლების აღსადგენად.

უმთავრესი მუშაობა მას მოუხდა რუსეთის მიერ წაგრული ერების წარმომადგენლებთან; გახდა მათი ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარე. აქ ნოე იყო უკომპრომისო დამცველი ქართველი ერის უფლებებისა... ყველანი მას მისწერებოდნენ, მისგან მოითხოვდნენ რთული და მძიმე საკითხების გარკვევას, რისთვისაც მას შეელოდა ცოდნა და გამოცდილება, ყველასაგან შემწნეული ნიჭი განგებისაგან ბოძებული, თავისებური ხასიათი მას მატებდა ენერგიას, დაუცხრომელი შრომის უნარს.


“ნოე ცინცაძე შეუერთდა იმ თავის თანამებრძოლ მეგობრებს, რომლებმაც მხრებით ატარეს საქართველოს დამოუკიდებლობა” – წერდა ქართული ემიგრანტული პრესა ნოე ცინცაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ წერილებსა და ნეკროლოგებში (იხ. ნოე ცინცაძე, ჟურნ. “სენი დროშა”, პარიზი, 1978, №91, გვ.3-5; მ.ქავთარაძე, ნოე ცინცაძე, ჟურნ. “ივერია”, პარიზი, 1978, №20, გვ.16; მ.ხუნდაძე, ნოე ცინცაძე, ჟურნ. “თავისუფლების ტრიბუნა”, პარიზი, 1978, №23, გვ.18).

\* \* \*

ახლა მივუბრუნდეთ პროფ. რინარდ პაიპის მოგონებას



ნოე ცინცაძე და პავლე ხარჯველაძე პარიზის აეროპორტში საქართველოს ეროვნული არქივის სერვარდში გალაგზაენის დროს. 1974



პროექტორი რიხარდ კაიში, ნიუ ცინცაქი და პეულე სარჯუელაძე პარიზის  
აეროპორტში საქარბოკლოის ქრონული არქივის ასეჯანდში გადაგზავნის დროს. 1974



პარიზის აეროპორტი. საქართველოს ეროვნული არქივის ყუთები თეიოსტერინავში  
ნატეირთვის წინ პარვარდში გადასაგზავნად. 1974



პარიზის აეროდორტი. საქართველოს ეროვნული არქივის თემატიკისაგან ჩატვირთვა  
პარეარდში გადასაგზავნად. 1974



ქართული არქივის პარვარდში გადატანის თაობაზე. ჩვენს მიერ მოპოვებული პირველწყაროები მას დოკუმენტურად ადასტურებენ.

პირველ რიგში მოვიტანო პარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის, კოლეჯის საბჭოს წევრის ბატონ დუგლას ვებრაიანის წერილს, რომელიც მას 1974 წლის 27 მარტს კემბრიჯიდან გამოუგზავნია საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობის მიერ დანიშნული კომისიის წევრებისათვის საფრანგეთში, ლევილში:

“პარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა  
კემბრიჯი, მასაჩუსეტსი 02136  
1974 წლის 27 მარტი

საქართველოს დამოუკიდებელი მთავრობის მიერ დანიშნული კომისია, ლევილი, ორჟე 91. საფრანგეთი.

ბატონებო! პარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, (შემდგომში წოდებული – “ბიბლიოთეკა”), პარვარდის პრეზიდენტისა და საბჭოს წევრების გადაწყვეტილებით, თანახმაა დროებით მიიღოს შესანახად საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობის (1918–1921) კომისიისაგან (შემდგომში “კომისია”) დოკუმენტების კრებული ცნობილი, როგორც საქართველოს რესპუბლიკის არქივი. დოკუმენტების კრებული (შემდგომში “დოკუმენტები”) შეიცავს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის არქივს მისი დაარსებიდან – 1893 წლიდან, საქართველოს რესპუბლიკის არქივს 1918–1921 წლებში და საქართველოს ემიგრაციის მასალებს 1921 წლიდან დღემდე. დოკუმენტები შენახულია ოც ხის ყუთში დაახლოებით 80X50X50 სმ.

ბიბლიოთეკისათვის მისაღებია, რომ დოკუმენტები ბარდება მას დროებით, ოცდაათი წლით მიღების მომენტიდან. ამ ვადის გასვლის შემდეგ და კომისიისაგან ან მისი ავტორიტეტული წარმომადგენლისაგან წერილობითი ინსტრუქციის მიღებისთანავე, ბიბლიოთეკა გადასცემს დოკუმენტებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას. თავის მხრივ კომისია ვალდებულია მუდმივად აცნობოს ბიბლიოთეკას თავისი წევრების შემადგენლობა და ოფიციალური მისამართი. იმ შემთხვევაში, თუ კომისია ვერ შეძლებს წერილობითი ინსტრუქციის გადაცემას, ოცდაათწლიანი ვადის გასვლის შემდეგ ბიბლიოთეკას შეუძლია დაიტოვოს ან იმგვარად გადაწყვიტოს დოკუმენტების ბედი, როგორც საჭიროდ ჩათვლის, კომისიის ინტერესების გათვალისწინებით.

დოკუმენტების მიღებისას ბიბლიოთეკა მოახდენს ამ დოკუმენტების კლასიფიცირებასა და კატალოგირებას. ამავე დროს ბიბლიოთეკამ უნდა გამოყოს სახსრები დოკუმენტების სრული მიკროფილმების გასაკეთებლად. როდესაც ეს გააკეთდება, კომისია მიიღებს პოზიტივის სრულ ასლს, ხოლო ბიბლიოთეკა დაიტოვებს ორიგინალს. დოკუმენტების მოწესრიგება, კლასიფიკაცია, და ფოტოგრაფირება მოხდება კომისიის მიერ მოწვეული ქართველი სპეციალისტების დახმარებით. ეს სპეციალისტები აგრეთვე გადაწყვეტენ სოგიერთი დოკუმენტის შესლულული დაშვების (საიდუმლო) დოკუმენტად გამოცხადების საკითხს. დოკუმენტები, რომლებიც არ იქნება შესლულული დაშვების დოკუმენტების სიაში, მისაწვდომი იქნება მეკლევართათვის პარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წესების შესაბამისად, რომლებიც მიღებულ იქნა პარვარდის პრეზიდენტისა და საბჭოს წევრების მიერ 1968 წლის 19 თებერვალს და რომელიც დართულია ამ დოკუმენტთან.

იმ შემთხვევაში, თუ ოცდაათწლიანი ვადის განმავლობაში ბიბლიოთეკისათვის შეუძლებელი გახდება არქივის შენახვა, მან უნდა აცნობოს კომისიას და დააბრუნოს იგი ან მოიქცეს სხვაგვარად კომისიის მითითების შესაბამისად.

პარვარდი ვალდებულია ყოველი ღონე იხმაროს დოკუმენტების კარგად შენახვისათვის, მაგრამ იგი იხსნის პასუხისმგებლობას დოკუმენტების დაკარგვის, გაფუჭების ან მოპარვის შემთხვევაში, გადასიღვის ან პარვარდში შენახვის დროს.

თუ კი თანხმობის მემორანდუმი, რომელიც დამოწმებული იქნება მასაჩუსეტსის იურისტის მიერ, სწორად ასახავს ჩვენს საერთო ინტერესებს, გთხოვთ გამოხატოთ თქვენი თანხმობა და გამომიგზავნოთ დოკუმენტის ხელმოწერილი ასლი.

პატივისცემით, დუგლას ვ.ბრაიანი.

პარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი, კოლეჯის საბჭოს წევრი”.

მართლაც, 1974 წლის 16 ივლისს საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის სამთავრობო კომისიის სახელით პარვარდიდან მიღებული დუგლას ვ.ბრაიანის ეს დოკუმენტი დაუმოწმებიათ ახლა ჩვენთვის უკვე ნაცნობ ნოე ცინცაძეს და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს თავმჯდომარეს პავლე სარჯველაძეს.

ამის შემდეგ უკვე არაფერი უშლიდა ხელს, რათა არქივი

შეერთებულ შტატებში გადატანილიყო, რის თაობაზე ახლა უკვე ქართულ მხარეს მოუესმინოთ. საფრანგეთის ქართული სათვისტომოს ერთ-ერთი მესვეური, აწ განსვენებული ბატონი ვიქტორ ხომერიკი მოგვითხრობს:

“წლების მანძილზე საქართველოს მთავრობის არქივი ინახებოდა საფრანგეთის ეროვნული არქივების “შენობაში”, მაგრამ “სამწუხაროდ, ამ დაწესებულებას არ გააჩნდა სათანადო ბიუჯეტი წვენი არქივის მოვლისა და დაცვისათვის დროთა განმავლობაში”, ამიტომ “ზნელ საწყოებში ქაღალდი ზიანდებოდა, ამას თან დაერთო საწყოებში წყლის შესვლა წყალდიდობის გამო. საჭირო გახდა გამოძებნა უფრო კეთილმოწყობილი და სახსრიანი არქივთ-საცავის. კომისია დაუკავშირდა სხვადასხვა დაწესებულებებს. ყველაზე უფრო სრულყოფილი და უკანასკნელი ტექნიკით შეიარაღებული აღმოჩნდა ჰარვარდის უნივერსიტეტის წიგნთსაცავი, გაიბა კავშირი მის ხელმძღვანელობასთან. მოლაპარკებას აწარმოებდა აწ განსვენებული ეროვნული მთავრობის წევრი ბატონი ნოე ცინცაძე. მის დაუღალავე დაკვირვებულ უბადლო ზრუნვას უნდა ვუმაღლოდეთ, რომ საბოლოოდ, 16 ივლისს 1974 წელს დაიდო ხელშეკრულება ჰარვარდის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობათან წვენი მოთხოვნების სრული მიღებით... ამ ხელშეკრულების თანახმად, დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული არქივი ინახება დროებით მოსავლელად და დასაცავად ჰარვარდის უნივერსიტეტის წიგნთსაცავში, მისი სრული ბატონ-პატრონია საარქივო კომისია და მისი თავმჯდომარე, რომლის ნებართვის გარეშე არქივს ვერაფერ ვერ შეეხება. 30 წლის ვადის გასვლის შემდეგ არქივი უბრუნდება მის ნამდვილ პატრონს – საქართველოს სამეცნიერო აკადემიას.

...1974 წელს არქივი გადატანილ იქნა ჰარვარდის უნივერსიტეტში. პროფესორმა გოგი ნაკაშიძემ წაატარა მისი კლასიფიკაცია, შეადგინა ინგლისურ ენაზე სრული კატალოგი არქივისა და მისი მეთვალყურეობით, ამერიკელმა სპეციალისტებმა გაწმინდეს და აღადგინეს დაზიანებული მოლ-მოკიდებული ყველა დოკუმენტი, აუცილებელი გახდა მათი “განკურნება” სპეციალურ ლაბორატორიებში, რამაც გამოიწვია 50.000 დოლარის ხარჯი. თანახმად ხელშეკრულებისა, ჰარვარდმა მიიღო აგრეთვე ვალდებულება გადაეღო ორმაგი ასლი მიკროფილმების სახით ყველა დოკუმენტის. ეს დაჯდა დამატებით 35.000 დოლარი და რადგან უნივერსიტეტის ფონდს აღარ გააჩნდა სამყოფი თანხა,



პროფესორი გიორგი ნაკაშიძე

დამატებითი ხარჯი ამერიკაში მცხოვრებმა ქართველებამ დაფარა. მთელი ეს მუშაობა დამთავრდა 1978 წელს აგვისტოში. პარვარდმა პირნათლად შეასრულა ეოველი მუხლი შეთანხმებისა და იმავე წელს გადმოგვიგზავნა პარიზში მეორე წყება მიკროფილმებისა, რომელიც შეიცავს ამერიკაში შენახულ არქივის მთელ დოკუმენტებს. ეს მიკროფილმი ინახებოდა წლების განმავლობაში პარიზული ბანკის ორ დიდ სეიფში, თავმჯდომარის პირად ხარჯზედ, სანამ ის არ იქნა მოთავსებული პარიზის უნივერსიტეტის წიგნთსაცავში.

მიკროფილმები მეტად სათუთია, მისი უვნებლად შენახვა მოითხოვს მუდამ მეარ განსაკუთრებულ ტემპერატურას, მის წასაკითხავათ და გასაშუქებლად საჭიროა სპეციალური ძვირფასიანი აპარატები... ჩვენდა საბედნიეროდ, დიდი ძიებისა და მოლაპარაკების შემდეგ, პარიზის უნივერსიტეტის საერთაშორისო თანამედროვე დოკუმენტაციის ბიბლიოთეკამ თანხმობა მოგვცა და წაიბარა შესანახად ჩვენი მიკროფილმები 1986 წლის 16 მაისს.

ამრიგად, მოგვარებულ იქნა რა ეროვნული არქივის უზრუნველყოფა დასიანებისაგან როგორც პარვარდში, ისე პარიზში, შესაძლებელია მკვლევარებისათვის ამ არქივის გაცნობა და შესწავლა წინასწარ თხოვნის შეტანით საარქივო კომისიაში" (იხ.



აკად. ელენე მეტრეველი

ვ.ხომერიკი, დამოუკიდებელ საქართველოს მთავრობის არქივი, ჟ."ჩვენი დროშა" №110, პარიზი, 1987, თებერვალი, გვ.90-93).

ასე რომ, 1974 წელს პარევარდში პარიზიდან საქართველოს მთავრობის არქივი მოღიანად კი არ გადაუტანიათ, არამედ მხოლოდ ნაწილი და ისიც სარესტავრაციოდ და დროებით შესანახად და არა გასაყიდად, როგორც ამას ა.აველიანი წერდა (იხ. ა.აველიანი, იყიდება ისტორია, "კომუნისტი", 15.III.1986), რამაც ჩვენი საზღვარგარეთელი თანამემამულეების დიდი გულისტკივილი და სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ა.აველიანის ამ ავადსახსენებელ წერილს თავის დროს ღირსეული პასუხი გასცა აკად. ელ.მეტრეველმა (იხ. ელ.მეტრეველი, რა ბედი ეწია არქივს? "კომუნისტი", 9.XII.1987). აკად. ელ.მეტრეველი მაშინ წერდა:

“სრულიად ბუნებრივია ის გარემოება, რომ ჩვენი საზოგადოებრიობის განსაკუთრებულ ყურადღებასა და ინტერესს უმაღლვე მიიპყრობს ხოლმე ყოველივე ახალი ფაქტი თუ მოსაზრება, როცა იგი მეტნაკლებად საქართველოს ისტორიის ცალკეულ მონაკვეთებს, ჩვენი ეროვნული კულტურის საქმესა და ბედ-იღბალს ეხება.

ასე მოხდა, როცა გასეთმა “კომუნისტმა” შარშან 15 მარტის

ნომერში გამოაკვეყნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საერთაშორისო კავშირის დარგში სწავლული მდივნის ამირან ავალიანის წერილი “იყიდება ისტორია”. მკითხველთა განსაკუთრებული შეშფოთება და გულისტკივილი გამოიწვია წერილის იმ ადგილმა, რომელიც გვაუწყებდა, რომ ვიღაც უცხო და ჩვენი ქვეყნის მიმართ მტრულად განწყობილი პირის ხელში ჩაგარდნილა საქართველოს მენშევიკური მთავრობის არქივი, ესე იგი, ჩვენი ქვეყნის ოთხწლიანი (1917–1921) ისტორიის პირველწეაროები, რომლებშიც საქართველოს ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული, იდეოლოგიური ვითარება და უცხოეთთან ჩვენი ურთიერთობაა აღწესხული.

ამით გამოწვეულ გულისტკივილს ისიც აძლიერებდა, რომ წერილის ავტორი ნათქვამს დასძენდა: “ქართველი ხალხის საკუთრება, მისი ქვეყნის ისტორიის საბუთები ამერიკულ პროფესორს ცხრაკლიტულში აქვს გამოკეტილი და, წარმიდგინეთ, თვით ამერიკელ მეცნიერებსაც კი არ აძლევს მათზე მუშაობის შესაძლებლობას”.

განგლო დრომ, ახლა საშუალება გვაქვს ვაუწყოთ ჩვენს სასოგადოებრიობას, გასეთ “კომუნისტის” მკითხველებს, რომ უცხოეთში გატანილი არქივის მდგომარეობა, თურმე, ჩვენდა სასიხარულოდ, არც ისე საგანგაშო და სავალალო ყოფილა, როგორც ამას ააველიანი აღწერდა.

ამ არქივს 1921 წლის აქეთ საგანგებოდ შექმნილი კომისია განაგებს. იგი დიდხანს ინახებოდა საფრანგეთის ეროვნული არქივების შენობაში. ამ დაწესებულებას არ აქონდა სათანადო ბიუჯეტი საიმისოდ, რომ რიგიანად მოეწყო და დაეცვა აღნიშნული საარქივო დოკუმენტები. ბნელ, მოუწყობელ საცავში დროთა განმავლობაში ზიანდებოდა არქივი. ამას თან დაერთო ისიც, რომ წყალდიდობისას საწყობი დაიტბორა.

საქმე გადადებას ვეღარ ითმენდა, ასეთ მდგომარეობაში არქივის აქ განერება არამც და არამც არ შეიძლებოდა.

და აი, არჩევანი პარვარდის უნივერსიტეტის წიგნთსაცავზე შეხერდა, რაკი მას სხვებთან შედარებით ნაბარბუელი დოკუმენტების მოვლა-პატრონობის გაცილებით უკეთესი ტექნიკური პირობები აქონდა.

1974 წლის 16 ივლისს გაფორმდა კიდევ შესაბამისი ხელშეკრულება (ჩვენს ხელთ არის მისი პირი) უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან.

ხელშეკრულების თანახმად, არქივი მოსაუღელად და შესანახად პარვარდის უნივერსიტეტს გადაეცა დროებით, და არა სამუდამოდ. ამის შემდეგაც მის სრულ ბატონ-პატრონად და გამგებლად კვლავინდებურად სარქივო კომისია რჩებოდა და რჩება, და არა სხვა ვინმე. კერძოდ, კომისიის უნებართვოდ ამ საბუთებით სარგებლობის უფლებაც არავის აქვს. ასე რომ, აღნიშნული არქივი არც არავის გაუყიდნია და არც დაუგირავებია.

ინტერესმოკლებული, ალბათ, არც ის უნდა იყოს, რომ პარვარდის უნივერსიტეტში გადატანის შემდეგ პროფესორმა გოგი ნაკაშიძემ მოახდინა არქივში დაცული მთელი მასალის კლასიფიკაცია და ინგლისურ ენაზე შეადგინა სრული კატალოგი.

მისივე მეთვალყურეობით ამერიკელმა სპეციალისტებმა გაწმინდეს დასიანებული საბუთები. აუცილებელი გახდა მათი “მეკურნალობა” საგანგებო ლაბორატორიებში.

ხელშეკრულების თანახმად, პარვარდმა ივალდებულა აგრეთვე, მიკროფილმების სახით შეექმნა დოკუმენტების ორმაგი ასლი. რაკი უნივერსიტეტს საამისო თანხა არ აღმოაჩნდა, დამატებითი ხარჯი ამერიკაში მცხოვრებმა ქართველებამ დაფარა.

მთელი ეს სამუშაო 1978 წლის აგვისტოში დამთავრდა.

უნდა ითქვას, რომ პარვარდში ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველი მუხლი სუსტად შეასრულეს და იმავე წელს პარიზში გადაიგზავნა მიკროფილმების მეორე წყება, რომელიც შეიცავს ამერიკაში შენახული არქივის ყველა დოკუმენტს. მიკროფილმები ერთხანს პარიზის ბანკში იყო, შემდეგ კი პარიზის უნივერსიტეტის წიგნთსაცავში გადაიტანეს.

ასე რომ, ახლა პარვარდის უნივერსიტეტსა და პარიზის უნივერსიტეტის თანამედროვე საერთაშორისო დოკუმენტაციის ბიბლიოთეკაში სარქივო კომისიის თანხმობით მკვლევარებს საშუალება აქვთ მიკროფილმების მეოხებით გაეცნონ არქივს.

არ შეიძლება დიდი პატივისცემითა და მადლიერების გრძნობით არ აღინიშნოს ის დიდი რუდუნება და პროფესიონალიზმი, სპეციალისტებმა რომ გამოიჩინეს ჩვენთვის ესოდენ ფასეული დოკუმენტების აღდგენისა და ფოტოასლების გადაღების დროს”.

\* \* \*

საქართველოს ეროვნული არქივი კემბრიჯში ჩავიდა 1974 წლის აგვისტოში და ოცდაათი წლის ვადით შენახულ იქნა

პარვარდის უნივერსიტეტის პოუტონის ბიბლიოთეკაში.

როგორც ითქვა, აქ პირველ რიგში მოხდა წყაღდილობისგან დაზიანებული არქივის გაწმენდა და რესტავრაცია, რისთვისაც პარვარდის უნივერსიტეტმა გაიღო 50.000 დოლარი. 1974–76 წლებში საგანგებოდ ამ საქმისათვის მოწვეულმა პროფესორმა გიორგი ნაკაშიძემ კი მოახდინა არქივის კლასიფიცირება და შეადგინა აღწერილობა–ნუსხა ინგლისურ ენაზე, რის შემდეგაც გადაღებულ იქნა მიკროფილმები. არქივის აღწერილობისა და მიკროფილმების გადაღების თანხები – 35.000 დოლარი გაიღო აშშ-ის პუბლიკარული მეცნიერების ნაციონალურმა ფონდმა და ნაწილი კიდევ – ამერიკელმა ქართველებმა. არქივის მიკროფილმების გადაღება დასრულდა 1978 წლის აგვისტოში.

პროფ. გ.ნაკაშიძემ 1974–76 წლებში ჩატარებული აღწერილობითი მუშაობის საფუძველზე საქართველოს ეროვნული არქივის პარვარდული ნაწილი დაჰყო 39 თემატურ ჯგუფად, რომლებიც განლაგდა 81 ყუთში შემდეგი თანმიმდევრობით:

1. რუსეთის დიდი რევოლუცია და სიტუაცია კავკასიაში ბოლშევიკების მოსვლამდე (ყუთები 1,2);
2. კავკასია და თურქეთი 1918–1919 წწ. (ყუთი 3);
3. ამიერკავკასიის ფედერაცია და დამოუკიდებელი საქართველო (ყუთები 4,5,6,7);
4. დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმიანობა (ყუთები 8,9);
5. დამოუკიდებელი საქართველოს ფინანსთა, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროები (ყუთები 10,11,12);
6. დამოუკიდებელი საქართველოს მიწათმოქმედების სამინისტრო (ყუთები 13,14,15);
7. დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული გვარდია (ყუთები 16,17,18);
8. ტრაპიზონის სამშვიდობო კონფერენცია, ამიერკავკასიის ფედერაციის დასასრული, დამოუკიდებელი საქართველო და მისი ურთიერთობები თურქეთსა და გერმანიასთან (ყუთი 19);
9. საქართველო, ინგლისის სამხედრო ძალები ამიერკავკასიაში, რუსეთის თეთრი არმია (ყუთები 20,21,22,23);
10. საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი (ყუთი 24);
11. საქართველოს დედგეგაცია პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე (ყუთები 25,26,27,28,29,30);
12. საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა პარიზში (ყუთი 31);



13. საქართველოს წარმომადგენლობა რომში (ეუთი 32);
14. საქართველოს წარმომადგენლობა ბერლინში (ეუთი 33);
15. საქართველოს წარმომადგენლობა კონსტანტინოპოლში (ეუთი 34);
16. საქართველოს წარმომადგენლობა ბერნში (ეუთი 35);
17. ურთიერთობები საქართველოს, ჩრდილოეთ კავკასიას, უკრაინას, პოლონეთს, ბელარუსიას, ბალტიისპირეთსა და სკანდინავიის ქვეყნებს შორის (ეუთი 36);
18. დამოუკიდებელი საქართველო და საბჭოთა რუსეთი (ეუთი 37);
19. საქართველო საბჭოთა ოკუპაციის ქვეშ – წარმომადგენლობა პარიზში (ეუთები 38,39,40,41,42);
20. საქართველოს გარეშე წარმომადგენლობა კონსტანტინოპოლში (ეუთი 43);
21. ბოლშევიკების მიერ ოკუპირებული საქართველო და საქართველოს შიდა წარმომადგენლობა კონსტანტინოპოლში (ეუთი 44);
22. საქართველოს წარმომადგენლობა ლონდონში (ეუთი 45);
23. საქართველოს წარმომადგენლობა ვარშავაში (ეუთი 46);
24. საქართველოს წარმომადგენლობა ბერლინში (ეუთი 47);
25. საქართველოს დევნილი მთავრობის უცხოეთში საქმიანობა (ეუთები 48,49,50,51,52,53);
26. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბიურო სასლვარგარეთ (ეუთები 54,55,56);
27. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია და მეორე ინტერნაციონალი (ეუთი 57);
28. ერთა ღიგა და საქართველო დამოუკიდებლობისა და ოკუპაციის პერიოდში (ეუთები 58,59);
29. სიტუაცია ოკუპირებულ საბჭოთა საქართველოში (ეუთი 60);
30. მიმოწერა საქართველოს დევნილ მთავრობასა და ოკუპირებულ ქვეყანაში მოქმედ იატაკქვეშა პარტიებს შორის (ეუთები 61,62,63);
31. საქართველოს დევნილი მთავრობის ფინანსური ხარჯები (ეუთები 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71);
32. საბუღალტრო წიგნები (ეუთები 72, 73);
33. კარლო ჩხეიძის მიერ დატოვებული ხელნაწერები, ნოე რამიშვილისა და გრიგოლ ვეშაპელის მკვლევლობასთან დაკავშირებული დოკუმენტები (ეუთი 74);

HARVARD UNIVERSITY LIBRARY  
CAMBRIDGE, MASSACHUSETTS 02138

22 September 1976

Dear Mr. Tolstaidze:

Pursuant to our conversation of 17 September 1976, I would like to make the following suggestions which will be an agreement between us in addition to the understandings expressed in our Letter of Agreement of 27 March 1976.

The Georgian Archive will remain closed to scholars until it has been completely microfilmed. During this period and thereafter the Archive will continue to be open to members of the Library staff in the performance of their duties as librarians. Professor Richard Pipes will also have access to the Archive as will certain other members of the Harvard faculty who have received your permission or the permission of your deputy. Upon completion of the microfilming and for a period of ten years the Archive will be opened to scholars under rules governing the use of manuscripts in the Harvard University Library approved by the President and Fellows of Harvard College on 19 February 1966 (a copy of which is attached to the Letter of Agreement of 27 March 1976) with the additional provision that those scholars who desire access to the Archive must have not only the permission of the appropriate officer of the Library but also written permission from you or your authorized deputy.

At the conclusion of this ten-year period the Archive will be opened to scholars under the Library's rules, and scholars will not be required to apply for permission to you or your deputy.

One carton of material has been segregated and contains material that is especially sensitive. This material will be restricted and will not be made available to any scholars for a period of ten years after the Archive has been microfilmed. This restriction does not apply to members of the Library staff in

HARVARD UNIVERSITY LIBRARY

Mr. S. K. Tolstaidze -2- 22 September 1976

performance of their duties. At the conclusion of this period this material will be opened to scholars under the same rules as the rest of the Archive.

If these suggestions are acceptable to you, please indicate your agreement on the enclosed copy of the above provided, and return the signed copy to me.

Sincerely yours,

*Donald W. Ryskind*  
Donald W. Ryskind  
Director

Agreed to:

*S. K. Tolstaidze*  
S. K. Tolstaidze

Date: 22 Sep 1976

Mr. S. K. Tolstaidze  
Chateau Lovellia  
Leoville, Orga 61  
France

საქართველოს ბიბლიოთეკის დირექტორის დეკლარაცია ბრაიანის 1976 წლის 22 სექტემბრის წერილი ნოე ცინცაძესადმი

34. აშშ-ის ურთიერთობები საქართველოს დეკლარაცია მთავრობასთან (ყუთი 75);
  35. კავკასიის რესპუბლიკების დეკლარაციის წარმომადგენლების კონფერენციის იდეა (ყუთი 76);
  36. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას გამოსვლები, სტატიები, ოფიციალური და პირადი კორესპონდენცია (ყუთები 77, 78);
  37. კ. გვარჯალაძის, დ. შარაშიძის, კ. კანდელაკის და კ. საბახტარაშვილის პირადი და ოფიციალური კორესპონდენცია, გამოსვლები და სტატიები (ყუთი 79);
  38. ქართული და უცხოური პრესა საქართველოს შესახებ (ყუთი 80);
  39. სხვა ხელნაწერები (ყუთი 81);
- არქივის აღწერილობის დასრულების შემდეგ კარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორმა დეკლარაცია ბრაიანმა ნოე ცინცაძეს 1976 წლის 22 სექტემბერს მისწერა:

პატივცემულო ბატონო ცინცაძე:

ჩვენი 1976 წლის 17 სექტემბრის საუბრიდან გამომდინარე, მსურს შემოგთავაზოთ რამოდენიმე წინადადება, რომლებიც შეთანხმებული იქნება ჩვენს მიერ დამატებით იმ საკითხებთან, რაც აღწერილი იყო ჩვენს 1974 წლის 27 მარტის თანხმობის მემორანდუმში.

ქართული არქივი დახურული იქნება მკვლევართათვის, სანამ არ მოხდება მისი სრულად გადაღება მიკროფილმებზე. ამ პერიოდის განმავლობაში და შემდგომაც არქივი ღია იქნება ბიბლიოთეკის თანამშრომელთათვის მათი უშუალო საბიბლიოთეკო საქმიანობის შესასრულებლად. პროფესორი რიჩარდ პაიპსი აგრეთვე უფლებამოსილია გაეცნოს არქივს, ისევე როგორც პარვარდის ფაკულტეტის სხვა წარმომადგენლები, რომლებსაც ექნებათ თქვენი ან თქვენი წარმომადგენლების ნებართვა. მიკროფილმების გადაღების შემდეგ და ათი წლის განმავლობაში არქივი ღია იქნება მეცნიერთათვის შესაბამისად პარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მანუსკრიპტების მოხმარების წესებისა, რომლებიც დადგენილი იქნა პარვარდის კოლეჯის პრეზიდენტისა და სამეცნიერო საბჭოს წევრთა მიერ 1968 წლის 19 თებერვალს (ამ დადგენილების ასლი თან ერთვის 1974 წლის 27 მარტის თანხმობის მემორანდუმს). ამასთან ერთად, მკვლევარმა, რომელსაც სურვილი აქვს გაეცნოს არქივს, უნდა წარმოადგინოს თქვენს ან თქვენი წარმომადგენლის მიერ გაცემული წერილობითი ნებართვა.

ამ ათი წლის შემდგომ არქივი ღია იქნება მკვლევართათვის ბიბლიოთეკის წესების შესაბამისად და მათ აღარ მოეთხოვებათ თქვენი ან თქვენი წარმომადგენლის ნებართვა.

ერთი ყუთი, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვან მასალებს მოიცავს, გამოყოფილ იქნა. ეს მასალები შესლუდული იქნება და მიკროფილმების გადაღების შემდგომ ათი წლის განმავლობაში არ იქნება ნებადართული მკვლევართათვის. ეს შესლუდვა არ ვრცელდება ბიბლიოთეკის თანამშრომლებზე მათი საქმიანობიდან გამომდინარე. ათი წლის გასვლის შემდეგ ეს მასალები გახსნილ იქნება მკვლევართათვის იმავე წესებით, როგორც არქივის დანარჩენი ნაწილი.

თუ ეს წინადადებები თქვენთვის მისაღებია, გთხოვთ თანდართულ ასლზე მინიშნებულ ადგილას დაადასტუროთ თქვენი თანხმობა და ხელმოწერილი ასლი დამიბრუნოთ.

პატივისცემით,

დუგლას ე. ბრაიანი

დირექტორი

თანახმა ვარ,

ნ. კ. ცინცაძე

22 სექტემბერი 1976

ბატონი ნ. კ. ცინცაძე

ლევლის შატო

ლევლი, ორჟი 91

საფრანგეთი”.

1978 წლისთვის საქართველოს ეროვნული არქივის წყალდიდობისგან დასიანებული ნაწილის გაწმენდა-რესტავრაცია, მთელი მასალის კლასიფიკაცია, ზოგადი აღწერილობა ინგლისურ ენაზე და მიკროფილმებზე გადაღება უკვე დასრულებული იყო.

1978 წლის 15 თებერვალს ნოე ცინცაძე ლევლიდან ასეთი შინაარსის წერილს უგზავნის კემბრიჯში ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორს ბატონ დუგლას ებრაიანს:

“დიდი ხანია არ შემიწუხებიახართ ბატონო ბრაიან, მაგრამ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ თქვენ ისევე გაწუხებს ქართული არქივის საკითხი, როგორც ჩვენ. მოუთმენლად მოველით მის დაგვირგვინებას მიკროფილმებზე გადატანით. ნებას ვაძლევ ჩემს თავს შეგეკითხოთ ბ-ნო ბრაიან, რა მდგომარეობაშია ეხლა ეს საქმე?

ამასთან თანდართულს გაახლებთ, მართალია, დაგვიანებით, საქართველოს მთავრობის საარქივო კომისიის სიას.

როგორც თქვენ შენიშნავთ, ეს სია ორ ნაწილად იყოფა (“ტერიტორიალურად” და კვალიფიკაციის მიხედვით). ერთი ნაწილი, მობინადრე შეერთებულ შტატებში, 3 პირისაგან შესდგება. ერთ მათგანს – გ.საღდასტანს, თქვენ პირადად იცნობთ. ის იქნება, ასე ვთქვათ, “ტრეიდ იუნიონი” კომისიის დანარჩენ წევრებთან და თქვენთან.

მეორე ნაწილი კომისიისა შესდგება 4 წევრისაგან. მათი მუდმივი რეზიდენცია ევროპა არის, – საჭიროების მიხედვით, თქვენი თუ ჩვენი მხრით, კონტაქტი ადვილად ამუშავდება და არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს.

მაშ, თქვენ ამასთან ერთად გაახლებთ აღნიშნულ სიას სათანადო მისამართებით:

Dear Mr. Tolson:

I have your letter of 1 August for which I thank you. I shall take note of Mr. Victor Barnhill's special position on the Georgian Government's Archives Committee and bear with it in mind that you intend him to be your successor as President of the Committee. Of course I am particularly pleased to hear that you are continuing as President yourself.

I am also most interested in what you tell me about Mr. George Chantelides. If he ever finds it convenient for him next to visit the Harvard Library I would be happy to meet with him as usual. I am sure, Professor Piper. Please ask him to call on me.

Let me present to you one fairly small question. As you know, the filing of the Archive is essentially complete, and should be receiving a positive appraisal this Autumn. We are getting ready to make our film available to scholars, but for the next ten years they will only be available to those persons who have your permission in writing. My question concerns the possibility that Mr. Chantelides propose. Should this be restricted like the Archive itself, or can we make it freely available to scholars as a survey of the collection? We are feeling in that it would be a useful tool in helping researchers to decide whether or not to make application to you and it would not, I think, cause any harm to make it available. Nevertheless, I will be governed in this by you and am familiar with the actual contents of the Archive. Please let me know your opinion.

Again, Mr. Tolson, please accept my very best wishes.

Sincerely yours,  
  
George V. Barnhill  
Director

Mr. B. S. Tolson  
Chairman of the Committee  
1918 Lummis Ave. Wash. D.C.

დუგლას ბრაიანის 1978 წლის 5 სექტემბრის  
წერილი ნოე ცინცაძისადმი

ბელშეკრულება პარიზის უნივერსიტეტსა და  
საარქივო კომისიის შორის არქივის  
პრეზერვაციული ნაწილის მიკროფილმების  
შენახვაზე. პარიზი, 1986 წლის 16 მაისი

- |                  |   |          |
|------------------|---|----------|
| 1. გ. ზაღდასტანი | I |          |
| 2. გ. გაბლიანი   | I | აშშ-ში   |
| 3. იხ. დაჯონია   | I |          |
| <hr/>            |   |          |
| 4. მ. ხუნდაძე    | I |          |
| 5. ვ. ხომერიკი   | I | ევროპაში |
| 6. მ. ბერიშვილი  | I |          |
| 7. კ. ინასარიძე  | I |          |

ბ-ნი გ. ნაკაშიძე - კომიტეტის კონსულტანტი".

არ გასულა ბევრი დრო, რომ 1978 წლის 6 ივლისს ნ. ცინცაძე ახალ წერილს უგზავნის დუგლას ბრაიანს, რომელშიც ევროპაში მცხოვრებ მ. ხუნდაძის ნაცვლად საარქივო კომიტეტის წევრად შეყვანილია არგენტინაში მცხოვრები გ. ნაკაშიძე, რომელიც მანამდე მხოლოდ კომიტეტის კონსულტანტად ითვლებოდა. აი, ეს წერილიც:

"ნ. კ. ცინცაძე  
დევილის შატო  
91310 - დევილი ს/ორეი  
საფრანგეთი

**CONTRAT DE DÉPÔT**

Entre les soussignés, Monsieur Michel MARET, Président de l'Université de Paris 8, Monsieur Joseph FLE, Directeur de la Bibliothèque de Documentation Internationale Contemporaine d'une part,

Monsieur Victor HOMEREL, Président du comité des Archives de gouvernement géorgien, et Monsieur Gouri ZALDASTANI, Vice-Président de ce comité, d'autre part.

ont été faites les conventions suivantes :

Le S.O.I.C. accepte de prendre en dépôt les microfilms des Archives de la République Indépendante de la Géorgie, qui datent au moins de 1918 à 1977, ainsi que les Archives du parti social-démocrate de Géorgie, depuis sa fondation en 1923 et des documents concernant l'émigration géorgienne après 1971.

Ces Archives, dont les originaux sont conservés à la Bibliothèque de l'Université de Harvard aux États-Unis, sont gérés par le comité des Archives de Gouvernement Géorgien dont le siège se trouve au Collège de l'Université de l'Université de l'Ohio, 9210 Lincoln Ave. Cope.

Les membres de ce comité sont les suivants :

1. M. Gouri ZALDASTANI Vice-Président - Oxford, New-Hampshire 02777 U.S.A.
2. Dr Gouri GABIANI - 2500 Payne Road, Quincy MA02169 U.S.A.
3. M. Isaac GABRIELIAN - 43-D 42nd Street Long Island N.Y.C. U.S.A.
4. Prof. George FRANKLIN - 77 East 85, Street 10021 N.Y.C. U.S.A.
5. M. Mania MICHAKELI - 18 rue Jules Ferry, 9310 Montreuil sur Oise
6. Dr Kote MASHADZHI - 8 Boulevard Garmier 8, Marbach 72 (Allemagne Fédérale)

Les microfilms en question, ainsi que les permis de comité des Archives de Gouvernement Géorgien, sont remis convenu à la S.O.I.C. jusqu'à la libération de la Géorgie ou jusqu'à l'indépendance définitive, toutefois, si la Géorgie recouvre son indépendance, le comité s'engage à leur restituer sans possibilité d'être réutilisés d'autres copies à la S.O.I.C.

Le dépôt est effectué par S.O.I.C. dans sept huit boîtes de microfilm, numérotées de 1 à 707, après leur classement. Il s'agit essentiellement des chercheurs selon les règlements établis par la S.O.I.C. et pendant une période de cinq années, à partir de ce jour, avec l'accord du comité, représenté par son Président ou leurs pouvoirs délégués par lui ou à défaut par deux membres du comité.

Les boîtes numérotées 707-708 et 707, portant ce range le nom "S.I.R.C.D.", contenant des documents particulièrement sensibles, ne seront rendus publics, sauf avis contraire du comité, qu'après une période de six années.

Pour l'utilisation des microfilms, le comité restitue à la S.O.I.C., l'ensemble des Archives et l'accès à la communication aux chercheurs.

Le Président du comité des Archives de Gouvernement Géorgien Mandat la S.O.I.C. en tant que notre représentant de la commission de comité.

En cas de décès du Président, le Vice-Président prendra en succession en attendant la désignation de nouveau Président.

Dans le but de reconnaître à la S.O.I.C. le soutien et l'information sur la Géorgie, le comité dépose volontairement d'autres Archives que la S.O.I.C. pourra réutiliser et ne pourra réutiliser, mais les originaux restent la propriété du comité, ce dernier assure, en son nom, l'entretien, les copies de la S.O.I.C. ainsi que toutes les autres.

La S.O.I.C. accepte par ailleurs, de fournir sans frais, des photocopies de certains documents, à la demande de l'Université de l'Université de l'Ohio, 9210 Lincoln Ave. Cope, et de reproduire des documents avec accord à la réglementation en vigueur à la S.O.I.C. et à l'appellation de comité.


Paris, le 16 mai 1986

Michel MARET  
Président de l'Université Paris 8

Victor HOMEREL  
Président du comité des Archives  
de Gouvernement Géorgien



Joseph FLE  
Directeur de la S.O.I.C.



Gouri ZALDASTANI  
Vice-Président du comité

ბატონ დ. ბრიაანს  
პარკვარდის უნივერსიტეტის  
ბიბლიოთეკა  
კემბრიჯი, მასაჩუსეტსი 02138  
ა.შ.შ.

ლეკელი, 1978 წლის 6 ივლისი

პატივცემულო ბატონო ბრიაან,

ცოტაოდენი დაგვიანებით გიგზავნით საქართველოს მთავრობის არქივის კომიტეტის წევრთა ხიას. როგორც იხილავთ, ეს ხია გაყოფილია ორ ჯგუფად იმისდა მიხედვით, თუ სად ცხოვრობენ კომიტეტის წევრები.

სამი წევრი ცხოვრობს შეერთებულ შტატებში. ერთერთი მათგანი გახლავთ ბატონი ზაღდასტანი, რომელსაც თქვენ პირადად იცნობთ. იგი იქნება დამაკავშირებელი კომიტეტის ყველა სხვა წევრს შორის.

თხი წევრი მედმივად ცხოვრობს ვეროპაში. საჭიროების შემთხვევაში ადვილად შესაძლებელია ამ ორი ჯგუფის ერთიერთ-დაკავშირება. ეს არ წარმოადგენს რაიმე პრობლემას.

ქვემოთ იხილავთ სახელებისა და მისამართების სიას.  
პატივისცემით,  
ნ. კ. ცინცაძე.

საქართველოს მთავრობის არქივის კომიტეტის წევრები:

1. გივი ზაღდასტანი, 201 რენდოლფ ავენიუ, მილტონი მასაჩუსეტსი (აშშ)
2. გივი გაბლიანი, 25000 პეისენ როუდი, ქუინსი, ილინოისი (აშშ)
3. ისიდორე ლაქონია, 45-25 42-ე ქუჩა, სემისაიდი 11104, ნიუ იორკი (აშშ)
4. ვიქტორ ხომერიკი, (ქართული სათვისტომოს ამჟამინდელი პრეზიდენტი) ლევილის შატო, 91310 ლევილი ს/ორჟი (საფრანგეთი)
5. მამია ბერიშვილი, ლევილის შატო, 91310 ლევილი ს/ორჟი (საფრანგეთი)
6. კარლო ინასარიძე, I ინგლიშ გარტენი, 8 მიუნხენი 22 (დასავლეთ გერმანია)
7. გიორგი ნაკაშიძე, (კომიტეტის წევრი და კონსულტანტი) გალო 1577, ბუენოს აირესი, არგენტინა.

**N.B. საქართველოს მთავრობის არქივის კომიტეტის ხელმძღვანელობა იმყოფება საფრანგეთში, ლევილის შატოში, 91310 – ლევილი ს/ორჟი.”**

სულ რაღაც ერთი თვის შემდეგ, 1978 წლის 2 აგვისტოს ნოე ცინცაძე კვლავ ახალ წერილს სწერს დ.ბრაიანს, რომლის მიხედვით, გარდაცვალების ან სერიოზული ავადმყოფობის შემთხვევაში საარქივო კომიტეტის თავმჯდომარეობას ავალებს ვიქტორ ხომერიკს, ხოლო ახალ წევრად ამატებს სორბონის უნივერსიტეტის პროფესორს, ცნობილ მეცნიერ-კავკასიოლოგს გიორგი შარაშიძეს:

“ნ. კ. ცინცაძე  
ლევილის შატო  
91310 ლევილი ს/ორჟი  
საფრანგეთი

ბატონ დ. ბრაიანს  
ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა  
კემბრიჯი, მასაჩუსეტსი 02138  
ა.შ.შ.

პატივცემულო ბატონო ბრიაან,

დიდი მადლობა თქვენი 19 ივლისის წერილისათვის. ცოტაოდენი პრობლემა წარმოიშვა ჩემი წერილის მიღებასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა საქართველოს მთავრობის არქივის კომიტეტის წევრთა ნამონათვალს, და მე მსურს ამ სიტუაციის გარკვევა.

მე კვლავაც განვაგრძობ არქივის კომიტეტის ხელმძღვანელობას მანამდე, სანამ ჩემი ჯანმრთელობა მომცემს ნებას. ჩემი სიკვდილის ან სერიოზული ავადმყოფობის შემთხვევაში ჩემს მოვალეობებს იკისრებს ბატონი ვიქტორ ხომერიკი. ბატონი ხომერიკი კომიტეტის წევრი გახლავთ, აგრეთვე იგი საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი და საფრანგეთში ქართული სათვისტომოს პრეზიდენტია.

ამასთან ერთად მე მსურს სიაში მაღალკვალიფიციური მეცნიერის შეყვანა, რომელიც მოემსახურება და ორგანიზებას გაუწევს არქივის შესწავლას. ეს გახლავთ ბატონი გიორგი შარაშიძე, საქართველოს ცივილიზაციის პროფესორი და აგრეთვე აღმოსავლური ენების სკოლის პროფესორი. ბატონ შარაშიძეს კარგად იცნობს პროფესორი რინარდ პაიპსი.

კიდევ ერთხელ მადლობას მოგახსენებთ თქვენ და თქვენს კოლეგებს.

პატივისცემით,

ნ. კ. ცინცაძე.”

ამის შემდეგ არ გასულა ორი თვეც, რომ ნოე ცინცაძე 23 სექტემბერს გარდაიცვალა. მართალია, ამ ახალი კომისიის შექმნამ ბევრი ახალი ორგანიზაციული სიძნელე წარმოიშვა კომისიის წევრთა ფუნქციებისა და უფლება-მოვალეობების განაწილების მხრივ (შდრ. ჟურნ. “მებრძოლი საქართველო”, პარიზი, 1987, თებერვალი, №2 (20), გვ.50-52; “მებრძოლი საქართველო”, პარიზი, 1987, მაისი, №3 (21), გვ. 34-39; “მებრძოლი საქართველო”, პარიზი, 1988, მაისი, №5 (23), გვ.35-38), მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის არქივის შემნახველი როგორც ძველი სამთავრობო (პარიზის) კომისიის, ისე ახალი (პარეარდის) კომისიის წევრები ნამდვილი ქართველი პატრიოტები იყვნენ, რომლებიც ერთგულ ჭირისუფლებად და გუშაგებად ედგნენ ეროვნულ განძს!



არქივის პარვარდული ნაწილის ევროპაში დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის მიზნით მისი მიკროფილმები პარიზში ნამოიტანეს და თავდაპირველად ინახებოდა პარიზული ბანკის ორ სეიფში, ხოლო 1986 წლის 16 მაისს პარიზის მეათე უნივერსიტეტის თანამედროვე საერთაშორისო დოკუმენტაციის ბიბლიოთეკას (ნანტერში) გადასცეს შესანახად, რის თაობაზე დაიდო ასეთი შინაარსის ხელშეკრულება:

“ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა შ ე ნ ა ხ ვ ა ს ე

ქვემოთ ხელისმომწერი, ერთის მხრივ – ბატონი მიშელ იმბერტი, პარიზის X უნივერსიტეტის პრეზიდენტი, ბატონი ეოზეფ ჰუ, თანამედროვე საერთაშორისო დოკუმენტაციის ბიბლიოთეკის დირექტორი და მეორეს მხრივ – ბატონი ვიქტორ ხომერიკი, ქართული სამთავრობო არქივების კომიტეტის თავმჯდომარე და ბატონი გივი სალდასტანი, ამ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

B.D.I.C. (ფანამედროვე საერთაშორისო დოკუმენტაციის ბიბლიოთეკა) იძლევა თანხმობას მიიღოს შესანახად დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის არქივების მიკროფილმები, რომელიც იყო ხელისუფლებაში 1918–1921 წლებში და ასევე საქართველოს სოციალ–დემოკრატიული პარტიის არქივი, მისი დაარსების დღიდან – 1893 წლიდან და საბუთები ქართულ ემიგრაციასთან დაკავშირებით 1921 წლიდან.

ეს არქივები, რომელთა ორიგინალები ინახება ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ამერიკის შეერთებულ შტატებში, იმყოფება საქართველოს სამთავრობო არქივების შემნახველი კომიტეტის გამგებლობაში, რომელიც მდებარეობს შემდეგ მისამართზე: 91310 ლევილ სიურ ორჟ, ლევილის შატო.

ამ კომიტეტის წევრებია:

1. ბატონი გივი სალდასტანი, თავმჯდომარის მოადგილე – ორფორდი, ნიუ-ჰემფშირი 03777, აშშ
2. დოქტორი გივი გაბლიანი – 2500 ფეისენ როუდი, ქვინსი 62301 ქვინსი ილინოისი, აშშ
3. ბ-ნი ისიდორ ღაჟონია – 45–25 42–ე ქუჩა ლონგ აილენდი 11104 ქ. ნიუ-იორკი, აშშ
4. პროფესორი გიორგი ნაკაშიძე – 22 ისთ 89–ე ქუჩა, ქ. ნიუ-იორკი, აშშ

5. ბ-ნი მამია ბერიშვილი - 10 ეიულ ფერის ქუჩა, 91310  
ლევინ სიურ ორეი

6. დოქტორი კარლო ინასარიძე - 1 ენგლიშ გარტენ 8,  
მიუნხენი 22, გერმანია

თავმჯდომარე ვიქტორ ხომერიკი - ლაკრეტელის ქ. 26,  
75015 პარიზი.

ზემოაღნიშნული მიკროფილმები რჩება საქართველოს  
მთავრობის საარქივო კომიტეტის საკუთრებად, მაგრამ შენახული  
იქნება თანამედროვე საერთაშორისო დოკუმენტაციის ბიბლიოთეკაში  
საქართველოს საბჭოთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებამდე;  
მიუხედავად ამისა, თუ საქართველო მოიპოვებს თავისუფლებას,  
კომიტეტი იღებს ვალდებულებას გააკეთოს ყოველივე აუცილებელი,  
რათა ეს მიკროფილმები დარჩეს ბიბლიოთეკაში.

მინაბარი შედგება 208 (ორას ოცე) მიკროფილმების  
ყუთისაგან, დანომრილი 1-დან 207-მდე და მათი კლასიფიკაციის  
შემდეგ ნებისმიერი მოკვლევისათვის დაშვებულია მიკროფილმებით  
სარგებლობა ბიბლიოთეკის შიდა რეგლამენტის მიხედვით და  
ხუთი წლის ვადით ამ დღიდან მოყოლებული, კომიტეტის  
თავმჯდომარის ან მის მიერ დელეგირებული ნებისმიერი  
პროფესორის, ან კომიტეტის ორი წევრის მიერ ნებადართული  
პროფესორისათვის.

ყუთებს ნომრით 205-206 და 207 აქვს წითელი წარწერა  
"RESTRICTED" და შეიცავენ განსაკუთრებულად მნიშვნელოვან  
საბუთებს და მათი გამოქვეყნება შესაძლებელი იქნება მხოლოდ  
კომიტეტის ნებართვით ათწლიანი ვადის გასვლის შემდეგ.

მიკროფილმებით სარგებლობისათვის, კომიტეტი გადასცემს  
ბიბლიოთეკას არქივების სიას და აძლევს უფლებას მას აცნობოს  
იგი მკვლევარებს.

საქართველოს სამთავრობო არქივების კომიტეტის თავ-  
მჯდომარე წააყენებს საქმის კურსში ბიბლიოთეკას კომიტეტის  
შემადგენლობის ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

თავმჯდომარის გარდაცვალების შემთხვევაში, თავ-  
მჯდომარის მოადგილე შეცვლის მას ახალი თავმჯდომარის  
არჩევამდე.

ბიბლიოთეკაში საქართველოზე მაქსიმალური ინფორმაციის  
შეგროვების მიზნით კომიტეტი გადასცემს ბიბლიოთეკას ასევე  
სხვა არქივებსაც მიკროფილმების დასამზადებლად, მაგრამ  
ორიგინალები დარჩება კომიტეტის საკუთრებად და ამ უკანასკნელს,

საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია გაიტანოს ეს საბუთები ბიბლიოთეკიდან წინასწარი სამთვლიანი შეტყობინებით.

ბიბლიოთეკა იძლევა თანხმობას, უფასოდ შეასრულოს გარკვეული საბუთების ფოტოასლები კომიტეტის თავმჯდომარის ან მისი ორი წევრის მოთხოვნის საფუძველზე. საბუთების ნებისმიერი გამრავლება მოხდება ბიბლიოთეკის შიდა რეგლამენტის თანახმად და კომიტეტის თანხმობით.

პარიზი, 1986 წლის 16 მაისი

მიშელ იმბერტი,  
პარიზის X უნივერსიტეტის  
პრეზიდენტი  
ხელმოწერა

ვიქტორ ხომერიკი,  
საქართველოს მთავრობის  
არქივების კომიტეტის  
თავმჯდომარე  
ხელმოწერა

ჟოზეფ ჰუ,  
საერთაშორისო თანამედროვე  
დოკუმენტაციის ბიბლიოთეკის  
დირექტორი  
ხელმოწერა

გივი ზალდასტანი,  
კომიტეტის თავმჯდომარის  
მოადგილე  
ხელმოწერა".

ასეთმა გადაწყვეტილებამ 1987 წელს მთავრობის არქივის შემნახველი კომისიის თავმჯდომარის ბატონ მამია ბერიშვილის მხრიდან უკმაყოფილება გამოიწვია (იხ. მბერიშვილი, განცხადება მთავრობის საარქივო კომისიის გამგისა, ჟურნ. "მებრძოლი საქართველო", პარიზი, 1987, მაისი, №3 (21); მისივე, ბატონ ვიქტორ ხომერიკს – განმარტება მთავრობის არქივის გამგისა, 1988 წლის აპრილი, ჟურნ. "მებრძოლი საქართველო", პარიზი, 1988, მაისი, №5 (23), გვ. 35–38; შდრ. მისივე, ჩემი პასუხი, ლევილი, 1988 წლის სექტემბერი).

მიუხედავად ამისა, 1988 წლის ივლისში, ბატონ ვ.ხომერიკის ხელშეწყობით, არქივის პარვარდული ნაწილის მიკროფილმების ერთი ეგზემპლარი საქართველოშიც ჩამოიტანეს (ეს საქმე განახორციელა იუნესკოს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დეპარტამენტის თანამშრომელმა, ჩვენმა თანამემამულემ აწ განსვენებულმა ზურაბ გელეევამ) და დღეს დაცულია საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივში.

ყოველივე ამის შესახებ ბატონმა ვ.ხომერიკმა 1989 წლის 15 მარტს პარიზიდან წერილობით აცნობა პარვარდის უნივერსიტეტის

პოუტონის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა კურატორს ბატონ როდნი გ.დენისს:

“ძვირფასო ბატონო დენის,

...ძნელი დასაჯერებელია, რომ ათ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ქართული არქივი თქვენს ბიბლიოთეკაში იმყოფება. ბატონ ნოე ცინცაძის სურვილის თანახმად, არქივის მიკროფილმები ამჟამად ხელმისაწვდომია სასოგადოებისათვის. გასულ სექტემბერს ჩემი თქვენთან სტუმრობისას ბატონმა გივი ზაღდასტანიშვილმა და მე მოგახსენეთ ეს ამბავი.

თბილისის უნივერსიტეტმა მოითხოვა ჰქონოდა არქივის ჰარვარდული ნაწილის მიკროფილმების საკუთარი ასლი; საარქივო კომიტეტმა გადაწყვიტა დაეკმაყოფილებინა ეს მოთხოვნა და გაგზავნა იმ მიკროფილმების ასლები, რომლებიც პარიზში იმყოფებოდა (ოღონდ, დასაცავად გადაეცა არა თბილისის უნივერსიტეტს, არამედ, როგორც სემოთ უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივს, გ.შ.).

ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ დღევანდელი სიტუაცია ნამდვილი ისტორიული კვლევის ჩატარების საშუალებას იძლევა. საბედნიეროდ, ჩვენში ჯერ კიდევ ცოცხალი არის რამდენიმე პიროვნება, რომლებსაც შეუძლიათ არასწორი ინფორმაციის გაქარწყლება.

გულთბილი მოკითხვით  
გულწრფელი თქვენი.  
ვიქტორ ხომერეიკი  
1989 წლის 15 მარტი.  
პარიზი“.

\* \* \*

მაშასადამე, ჩვენ უკვე დანამდვილებით ვიცოდით საფრანგეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩვენი ეროვნული არქივის ორივე ნაწილის დედნების სუსტი ადგილსამყოფელი – პარიზი (ლევკილის ქართული მამული, ბ–ნ მამია ბერიშვილის განკარგულებაში) და ბოსტონი (ჰარვარდის უნივერსიტეტი, პოუტონის ბიბლიოთეკაში) და მათი იქ შენახვის პირობები.

ამის შემდეგ უკვე დავიწყეთ საქართველოში მისი დაბრუნების გზების ძიება...



კალისტრატე სალია

ნინო სალია

\* \* \*

მანამდე კი მკითხველს მსურს მოვახსენო, რომ, როგორც ახლა ირკვევა, ეროვნული არქივის სამშობლოში დაბრუნება ჩვენამდე თურმე ჯერ კიდევ 1972 წელს უცდიათ პოეტ-აკადემიკოს ირაკლ აბაშიძეს და პროფ. ილია ტაბაღუას, მაგრამ ეს ცდა მაშინ წარუმატებელი გამოდგარა და უშედეგოდ დამთავრებულა მოვესმინოთ ამის შესახებ, აი, რას წერს პროფ. ი.ტაბაღუა უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებულ მოგონება-ნარკვევში:

“საქართველოს სახელმწიფო არქივი, რომლის შესახებაც აგ გვექნება ლაპარაკი, 1921 წლის მარტში უცხოეთში გახიზნულმა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ თან წაიღო პარიზში და შესანახად წააბარა საფრანგეთის ხელისუფლებას. იგი ინახებოდა პარიზში, მესამე რაიონში დე ფრანკ-ბურჟუას ქ. №60-ში საფრანგეთის ეროვნული არქივის შენობაში. ამ ეროვნულ არქივში ბევრჯერ მიმუშავია, დაწყებული 1961 წლიდან და არქივის თანამშრომლებს არა ერთხელ უთქვამთ ნემთვის, რომ ამ შენობის ერთ-ერთ ოთახში თქვენი ქვეყნის არქივი ინახებოდა. მაგრამ მაშინ ცხადია, ამ არქივთან მისვლასე ლაპარაკიც სუდმეტი იყო. იმასაც

მეუბნებოდნენ, რომ არქივი მოუვლელია და ფუჭდებაო...

...1972 წლის დასაწყისში პარიზიდან პროფესორ კალისტრატე სალიას წერილი მივიღე. იგი მწერდა: “საქართველოს არქივი მიიმე მდგომარეობაშია: ლპება და ნადგურდება (ერთ-ერთი წყალდიდობის დროს არქივში წყალი შესულა). ამბობენ, რომ ეს არქივი მოსაყვლელად და შესანახად შეიძლება ამერიკის შეერთებულ შტატებში წაიღონ. აქ მცხოვრებმა სოგიერთმა ქართველმა მირნია შემეტყობინებინა ეს შენთვის, რათა ამის შესახებ აცნობო საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას და იქნებ მიიღონ ზომები ამ არქივის საქართველოში დაბრუნების შესახებ.”

პროფ. კ.სალიას ეს წერილი გავაცანი რესპუბლიკის მაშინდელ ხელმძღვანელობას (კერძოდ, ბატონ ვასილ მჭავანაძეს), რომელმაც მაშინვე მიიღო ზომები და სულ მოკლე ხანში გადაწყდა ამ მიზნით პარიზში მივლინებით გაეგზავნათ ერთი კვირით ორი პიროვნება: მწერალი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე და ამ სტრუქტურების ავტორი. ჩვენ ისღა გვრჩებოდა, რომ წასახვლელად მოემზადებულიყავით. ჩვენ შევიმუშავეთ გეგმა, რათა პარიზში ჩასვლისთანავე დაუყოვნებლივ შეედგომოდით მუშაობას. მაგრამ უკვე საფხული დადგა და ამ დროს შეიძლებოდა პარიზში ვერ გვენახა ის ხალხი, ვისთანაც ჩვენ შეხვედრები გვჭირდებოდა. ამიტომ წასვლა გადავდევით სექტემბრამდე. ამასობაში მოსკოვიდან წერილი მოვიდა, იუნესკოს ხაზით სამი თვით ჩემი სამეცნიერო მივლინების შესახებ. ეს ჩვენი საქმისათვის კარგი იყო, ვინაიდან ჩვენი მივლინება პარიზში მეტად მოკლევადიანი იყო და თუ მე ადრე წავიდოდი, შემძლო წინასწარ მომეგვარებინა სოგიერთი საკითხი. ეს ასეც მოხდა: 1972 წლის 1 სექტემბერს მე უკვე პარიზში ვიყავი. შევხვდი ბატონ კალ.სალიას და ქალბატონ ნინო სალიას, ბატონ ლევან ფადავას (ნოე ჟორდანიას სიძე) და სხვ. საბჭოთა კავშირის ელჩი საფრანგეთში ბატონი პამბრასიმოვი საქმის კურსში ჩავაყენე.

7 ოქტომბერს პარიზში ჩამოვიდა ბატონი ირაკლი აბაშიძე. ჩვენ შევხვდით ჯერ საბჭოთა კავშირის საელჩოს მრწველს კულტურის დარგში პროფესორ ი.გ.ბორისოვს, ხოლო შემდეგ ელჩს პამბრასიმოვს. ელჩი დაგვიპირდა დახმარებას და გვითხრა, რომ თუ საკითხი დადგებოდა ხარჯებზე, იგი მზად იყო ეს ხარჯები საელჩოს ეკისრა.

10 ოქტომბერს ბატონი ირაკლი და მე გავემგზავრეთ ლევილში (დაახლოებით 40 კმ პარიზიდან), სადაც ქართველები

ცხოვრობდნენ. წინა დამით დამირეკა ბატონმა ლევან ფალავამ და მითხრა, რომ ლევილში ჩვენი მასპინძელი იქნებოდა ბატონი ვახტანგ მაჭავარიანი, რომელიც იქ ცხოვრობდა. ბატონი ვახტანგი ჩვენ დაგვხვდა ლევილში. თავისთან მიგვიპატიჟა სადილზე (იქ ერთი მთავარი სახლია, რომელსაც “შატოს” უწოდებენ). სადილზე მოვიდნენ ბატონები ნოე ცინცაძე – ემიგრაციაში მყოფი საქართველოს მთავრობაში მინისტრის ყოფილი ამხანაგი, ახლა არქივის კომისიის წევრი (იგი ამ კომისიის თავმჯდომარე არასოდეს არ ყოფილა), ვიქტორ ნოზაძე, ვიქტორის ძმა გიორგი ნოზაძე მეუღლითურთ. სადილმა შედარებით მშვიდობიანად წაიარა, თუმცა ხანდისხან ატმოსფეროს ძაბავდა ბატონ ვიქტორის აშკარა შეურაცხყოფელი რეპლიკები საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელებისა და პირადად ბატონ ირაკლის მიმართ, მაგრამ ბატონი ნოე ჩაერეოდა საუბარში და განმუხტავდა დაძაბულობას. სადილზე არქივზე ლაპარაკი არ ყოფილა.

სადილის შემდეგ გავედით გვერდით ოთახში – ბატონ ვიქტორ ნოზაძის ბინაში. აქ დაიწყო მოლაპარაკება არქივის შესახებ. ბატონმა ნოემ მოისმინა ჩვენი ახრი საქართველოში არქივის დაბრუნების შესახებ, მაგრამ ჯერჯერობით სდუმდა. ხმაურობდა ბატონი ვიქტორი. მან სასტიკი უარი განაცხადა არქივის საქართველოში დაბრუნებაზე და დასძინა: ამაზე ლაპარაკიც უედმეტიაო. მე ვიცოდი, რომ ბატონი ვიქტორი არ იყო არქივის კომისიის წევრი და ბატონ ნოეს სხვათაშორის შეენიშნე: რატომ აქტიურობს ასე ბატონი ვიქტორი, ის ხომ კომისიის წევრი არაა–მეთქი (ბატონ ვიქტორს მე კარგა ხანია ვიცნობდი). ბატონმა ვიქტორმა შემომხედა და გაიღიმა. ბატონმა ნოემ ღიმილით მიპასუხა: იგი ჩვენი მრჩეველიაო. ბატონმა ვიქტორმა განაცხადა: არქივი აქ უკვე აღარ არის, იგი ამერიკაშიაო. ამაზე ბატონი ირაკლი აღშფოთდა: საქართველოს არქივი ამერიკელებს როგორ მიეცითო. მე ვიცოდი, რომ ეს ასე არ იყო, მაგრამ დუმილი ვამჯობინე. ბატონმა ნოემ კი ღიმილით განაცხადა: ამერიკაში კი არა შევიცარიანაშიაო, თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს ჩვენი საუბრისათვის და დასძინა: საერთოდ ჯერ ადრეა ლაპარაკი ამ არქივის საქართველოში დაბრუნებაზეო. ამის შემდეგ ჩვენმა თანამოსაუბრეებმა მიუთითეს იმაზე, რომ ამ არქივში არის მასალები, რომელთა გამოყენება შეეძლოთ საქართველოში ემიგრაციაში წასული მთავრობის წინააღმდეგ. ბატონმა ვიქტორმა კი თქვა, რომ თუ ისინი ჩვენ არქივს მოგვცემდნენ, ჩვენ მას თბილისში ვერ ჩავეიტანდით, მას მოსკოვში წაგვართმევდნენ და იქ დატოვებდნენ.

საუბარი დიდხანს გაგრძელდა. ჩვენ რა შევთავაზეთ მათ? ჩვენ ვუთხარით: დავიქირავებთ პარიზში სპეციალისტ – არქივისტებს. არქივს დააღაგებენ, აღწერენ, კატალოგს შეადგენენ, გადაიდებენ მიკროფილმებს; გნებავთ თქვენ დაგიტოვებთ მიკროფილმებს და ჩვენ ქაღალდებს წავიდებთ ან პირიქით; თუ გნებავთ ცალკე გამოყავით ის დოკუმენტები, რომელთა მოცემა ჯერჯერობით არ გინდათ და დაიტოვეთ; ან კიდევ, ახლა მოგვეცით მთავრობის არქივი, ხოლო პარტიული არქივი რამდენ ხანსაც გინდათ დაიტოვეთ. ამასთანავე ვუთხარით, რომ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს ჩვენ ვკისრულობდით. თუ საკითხი დადებითად გადაწყდებოდა, ჩვენ შევთავაზეთ არქივთან ერთად საქართველოში წამოსულიყო მათი წარმომადგენელი, რომელიც თბილისში არქივს ჩააბარებდა საქართველოს მთავრობის წარმომადგენელს. ყოველივე ეს აღიბეჭდებოდა კინოფირსზე, რომლის ერთ ეგზემპლარს მათი წარმომადგენელი წაიღებდა. ყოველივე ეს საჯაროდ გამოცხადდებოდა გაზეთებში და ტელევიზიაში. შემდეგ მათი წარმომადგენელი პარიზში დაბრუნდებოდა. აქაც ყველა ხარჯს ჩვენი მხარე კისრულობდა.

ჩვენი ეს წინადადებები მათ არ მიიღეს და ამრიგად, ჩვენი მისია უშედეგოდ დამთავრდა. 14 ოქტომბერს ბატონი ირაკლი თბილისში გაფრინდა, მე კი პარიზში დეკემბრამდე ვრჩებოდი. ამიტომ არ შემიწყვეტია არქივის თაობაზე ქართველებთან შეხვედრები. კალ.სალიასა და ლევან ფაღავასთან საავადმყოფოში ვინახულეთ არქივის კომისიის ერთ-ერთი წევრი ბატონი მიხეილ სტურუა (იგი მიიმედა ავად იყო, მალე გარდაიცვალა). მან გვითხრა, რომ ის თანახმაა არქივი დაუბრუნდეს საქართველოს და მზადაა ამაზე წერილობით თანხმობა მისცეს კომისიას. ვნახეთ სხვებიც, მაგრამ საერთოდ, ჩვენი ცდები უშედეგოდ დამთავრდა” (ი.ტაბაღუა, საქართველოს არქივის დაბრუნება საქართველოში, იხ. კრებ. “საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან”, ტ.1, თბ., 1994, გვ.256–259).

როცა პარიზში (ლუვილში) 1972 წელს ი.აბაშიძე-ი.ტაბაღუას ჩასვლიდან და მოლაპარაკებიდან არაფერი გამოსულა, რამდენიმე წლის შემდეგ პროფ. ი.ტაბაღუას უცდია ამჯერად 1974 წლიდან პარკარდში გადატანილი საქართველოს ეროვნული არქივის დიდი ნაწილის გაცნობა, მაგრამ არც ამ ცდას მოუტანია რაიმე რეალური შედეგი. მოუუხმინოთ კვლავ პროფ. ი.ტაბაღუას:

“სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ როცა პარიზში,



საქართველოდან ასე დაშორებულ ადგილას, ქართული ეროვნული საქმე კეთდებოდა ან უნდა გაკეთებულიყო, საჭირო იყო მეტი ეროვნული გრძნობებით მოქმედება, ერთიანობა, თანადგომა და არა ინტრიგები, რაც სამწუხაროდ იქაურ ქართველებსაც და აქაურ ქართველებსაც ახასიათებთ. მათ არ ესმით, თუ რამდენად სასარალოა ეს ეროვნული საქმისათვის. შური, ბოროტება, ინტრიგა... ბატონ პავლე სარჯველაძის მოქმედებაც სოფჯერ, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, გაუგებარი იყო.

კარგად მახსოვს: 1976 წელს პარიზში ვიყავი სამეცნიერო მივლინებაში. არქივებში ვმოქმედებდი. ვიცოდი, რომ საქართველოს არქივი უკვე პარვარდის უნივერსიტეტში იყო წადებული. პარიზიდან მიწერ-მოწერა მქონდა პარვარდის უნივერსიტეტის ჩემ კოლეგა ისტორიკოსებთან, მათ შორის, პროფ. რ.პაიპსთან. როგორც ჩანს, პროფ. პაიპსიდან გაიგეს პარიზელმა ქართველებმა, რომ მე დაინტერესებული ვიყავი პარვარდის უნივერსიტეტში საქართველოს არქივის მდგომარეობით. როდის გაიხსნებოდა ის სამუშაოდ ისტორიკოსებისათვის და სხვ. მაგრამ იქ წასვლაზე მაშინ არც კი ვფიქრობდი. ეს შეუძლებელიც იყო მაშინ.

ამ საქმით ჩემი დაინტერესება გაუგია ბ-ნ პ.სარჯველაძეს და პარვარდის უნივერსიტეტში დეპეშა გაუგზავნია: პროფ. ი.ტაბაღუა თუ იქ ჩამოვა, არქივში სამუშაოდ არ დაუშვათო. იქიდან პასუხი მიუღია, რომ ტაბაღუას არ უთხოვია ამ არქივში სამუშაოდ დაშვებაო. ყოველივე ეს ცნობილი გახდა პარიზში ქართველთა შორის. ბ-მა პ.სარჯველაძემ უხერხულად იგრძნო თავი. ტელეფონზე დამირეკა და შეხვედრა მთხოვა, ბოდიში მოიხადა. მე უარი ვუთხარი შეხვედრაზე. მან საქმეში ქ-ნი ნინო სალია ჩარია, მაგრამ ქ-ნ ნინოს უთქვამს, რომ ბ-ნი იღია ძალიან დაკავებულია, არქივებში და ბიბლიოთეკებში მოქმედებს და არ ცალიაო, ხოლო თქვენ კი, ის რაც გაგიკეთებიათ, არ უნდა გაგეკეთებინათო. უნდა იცოდეთ, რომ ბ-ნი იღია ტაბაღუა ეროვნულ საქმეებს აკეთებს და მას ხელის შეშლა კი არა, ხელის შეწყობა უნდაო. მათ შორის ეს საუბარი ტელეფონით ყოფილა, ბ-ნ კალე სალიას მოუსმენია, ჩაუწერია და როცა შემდეგ შევხვდი ქ-ნ ნინოს და ბ-ნ კალეს, ბ-მა კალემ წამიკითხა თავისი ჩანაწერი...

ასეთია სოციერთი ცნობა საქართველოს მთავრობის არქივთან დაკავშირებით, რაც მინდოდა ქართველ მკითხველს სცოდნოდა" (ი.ტაბაღუა, ისევ საქართველოს არქივის შესახებ, რომელიც საფრანგეთში ინახებოდა, იხ. კრებ. "საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან", ტ. III, თბ., 1996, გვ. 52-53).

**როგორ დავუკავშირდი ქართულ ემიგრაციას საფრანგეთში**

ასე რომ, როგორც დაერწმუნდით, ეროვნული არქივის საქართველოში დაბრუნება 1970-იან წლებში სრულიად უიმედო და სასოწარკვეთილ მდგომარეობაში იყო...

და აი, მოულოდნელად, 1980-იან წლებში იმედის სხივი გამოკრთა!

...1986 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში, ფოსტით, ზედიზედ მივიღე ორი ფრიად საყურადღებო ამანათი-ბანდეროლი, რომელშიც ჩემთვის მანამდე სრულიად უცნობი კაცი თავის მღელვარე ბიოგრაფიას მაცნობდა და დაჟინებით მოხოვდა შეხვედრას. ბოდიშს მიხდიდა, რომ ხანდასმულობისა (უკვე 90 წელს იყო მიტანებული!) და ჯანმრთელობის მიძიმე მდგომარეობის გამო (ფეხის მოტეხისა და გართულების გამო დავდრომილი იყო!) პირადად არ შეეძლო ჩემთან მოსვლა, თან დაწვრილებით მიხსნიდა თავის მისამართს ბარათისათვის დართულ პოსტ-სკრიპტუმში, რომელსაც ასე აბოლოვებდა: “აქვე გწერთ ჩემს მისამართს (თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, II კვარტალი, III კორპუსი, ბინა 55), მხოლოდ, როცა მოხვალთ, დარეკეთ ორჯერ და დაიცადეთ, თუ კარს მალე არ გააღებენ, რადგანაც თუ სახლში მარტო ვიქნები, მე მიგვიანდება კარებამდე მოსვლა.”

რალა გამანერებდა!

მეორე დღესვე ვაჟა-ფშაველას გამზირზე ვეწვიე უცნობ მასპინძელს. კარი დიდი გაჭირვებით (მაშინ ჯოხით ჯერ კიდევ ახერხებდა ფეხსე დადგომას და ოთახში გაველას!) გამიღო მაღალმა, ხმელ-ხმელმა, იშვიათი სილამაზის მამაკაცმა. სახესე საოცარი ნათელი გადასდიოდა, ჯანგატეხილობის მიუხედავად, ხმა ჰქონდა გაუბსარავი, მკეპარე და შეუპოვარი, აჯანყებული სული - ბობოქარი და უდრეკი; ნატიფ ნაკეთებსა და მიმოხვრაში ეტეობოდა სიქველე და რაინდობა: ჩემს წინ იდგა 1924 წლის სახალხო ამბოხების ერთ-ერთი უკანასკნელი მოპიკანი, ძველი ემიგრანტი და პოლიტიკური მოღვაწე, ნოე რამიშვილის დისშვილი, ლევილში მოღვაწე მამია ბერიშვილის უფროსი ძმა, ხანგრძლივი



შალვა ბერიშვილი

და საინტერესო ცხოვრებაგამოვლილი ბატონი შალვა ბერიშვილი! იმ დღიდან დაემეგობრდით. მისი ოჯახის ჭირსა და ღხინს ვიზიარებდით, მის სათნო მეუღლესა და ერთადერთ ასულს გვერდში ვედექით და 1989 წლის სექტემბერში, ნათესავებთან და ახლობლებთან ერთად, თბილისის მიწას მივაბარეთ სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის დაუცხრომელ ბრძოლაში დამაშურალი ეს უანგარო პატრიოტი და ჭეშმარიტი მამულიშვილი!..

\* \* \*

ახლა იმის შესახებ, თუ რას მწერდა და რისთვის მეძებდა ბატონი შალვა ბერიშვილი:

“...მე მჭირდება ვინმეს დახმარება მეტად სერიოზულ საქმეებში, რომელიც უნდა დავაყენო სვენი ქვეყნის ხელმძღვანელობის წინაშე. ასეთ პირად ავირჩიეთ თქვენ. გიცნობთ მხოლოდ გასეთებიდან, როგორც იმ ძალიან საინტერესო წერილების ავტორს... სხვათა შორის, ვიცნობდი ერთს თქვენს მოგვარეს ფილიპე შარაძეს, რომელსაც ახალგაზრდობაში დამწვარ სოც-ფედერალისტს ვეძახდით...” (იხ. შ.ბერიშვილი, შეულამაზებელი ფურცლები, “თბილისი”, 30.VI.1993, №119).

ამის შემდეგ ბატონი შალვა მატყობინებდა ამ “მეტად სერიოზული საქმეებიდან” სამ მთავარ საკითხს, რომლებზეც საჭირო იყო სომეხების მიღება და ჩემი დახმარება. აი, ისინიც:

1. “მთავარი და პირველია ის ანაბარი, რომელიც ჟორდანიას მთავრობის დროიდან ინგლისის ბანკშია, რომ ის არ დაეკარგოს საქართველოს... იმ ანაბარის საქმეში მონაწილეობა ქონდა მიღებული იმ ოლივერ უორდროპს, რომელიც მაშინ ინგლისის ელჩი იყო საქართველოში, რომლის შესახებ და მის დასე მარჯორისე თქვენ ისეთი დიდი და საინტერესო შრომა გასწიეთ. ის მაშინაც საქართველოს კეთილდღეობაზე სრუნავდა. თქვენმა იმ წერილებმა უორდროპებზე მაფიქრებინა, მომემართა თქვენთვის დახმარება აღმოგეჩინა ჩემთვის ამ ჩვენი ერისათვის საჭირო საქმეში... იმედი მაქვს ჩემს არჩევანს თქვენ გაამართლებთ...”

2. “მეორე საკითხია უკვე გახშიანებული იმავე ნოე ჟორდანიას მთავრობის დროინდელი არქივის საქმე, რომელიც უცხოეთშია და რომლის შესახებ ამ ცოტა ხნის წინათ გასეთ “კომუნისტშიც” იყო არასწორი წერილი (იგულისხმება ა. ავალიანის წერილი, გ. შ.). ის არც გაყიდულია და არც დაკარგული. ეს კი დასტურდება ჯერ ჩემი ძმის მამიას წერილით, ამა წლის [1986] 10 მარტის თარიღით, რომელშიც სიტყვა-სიტყვით აი, რას იწერება: “რაც შეეხება არქივის საკითხს, რაც მაქ უთქვამთ, მართალი არ არის, რადგან მისი გაყიდვის ან დაკარგვის საკითხი კი არ გვედგა წინ, არამედ მისი გადარჩენის, რადგან ქაღალდები დაძველდნენ და საჭიროებდა წამლობას. ამიტომ გადავეცით ჰარვარდის უნივერსიტეტს, რომ გადაეღო მიკროფილმები ორ ეგზემპლიარად, ერთი მათთვის და ერთი ჩვენთვის, რაც მათ პირნათლად შეასრულეს და მიკროფილმები აქ გვაქვს. რაც შეეხება დედნებს. ის ჩვენია და როცა გვინდა წამოვიღებთ, მაგრამ გარანტიით, რომ ქაღალდები იქნება ნაწამლები და არ გაფუჭდება. ასე რომ, აქ არ გვაქვს რაიმე დარკოლება.”

...ჩემი ძმა მამია იმთავითვე მომხრე იყო და არის, რომ ის არქივი დაუბრუნდეს საქართველოს. დიდ ხანს ის მის ხელში იყო ლოვილში და ის უვლიდა გიორგი ერაძესთან ერთად. მხოლოდ შემდეგ ის გადაიტანეს პარიზში, რადგანაც ლოვილში არ იყო მისთვის მოხერხებული ბინა. იმ საკითხში მას მომხრეებიც ყავდა, მაგრამ მათ, სამწუხაროდ, ხელი ეშლებოდათ აქედან, თორემ ეს საქმე დიდი ხანია მოგვარებული იქნებოდა და აქ ჩამოტანილი...



კოტე ჩოლოყაშვილთან ერთად პარიზში. 1987

ამის გამო ასე გართულდა ეს საქმე...”

3. “მესამე საკითხი კი ეხება თვით ჩვენი მამულის “შატოს” მომავალ ბედს, რომელიც ლოვილშია, საფრანგეთში, ის რომ არ დაეკარგოს საქართველოს, რაზედაც თითქმის ყველა თავის წერილში იწერება და მაგონებს ამის შესახებ ჩემი ძმა მამია. ახლაც დაუბარებია მისი შვილისათვის ტიერისთვის, საჭიროა ამ საქმეს აქედანვე მიექცეს ყურადღება და დაისვას საკითხი თავის დროზე მისი ჩვენი უნივერსიტეტისათვის გადაცემის შესახებ, როგორც ჩვენი სტუდენტების სახლი. ჩემი ძმის წერილი ხელთ მაქვს და მასში სათანადოდ გაშუქებულია ეს საკითხი, მხოლოდ აუცილებელია ამ საქმეშიც არ იქნეს დაშვებული ისეთი შეცდომები, რაც მოხდა არქივის შესახებ.

...ყველა ამის შემდეგ გადავწყვიტე ასეთ რთულ პირობებში მეოფმა კაცმა მოგმართოთ თქვენ დახმარებისათვის და დიდის გაჭირვებით ვწერ ამ წერილს იმ იმედით, რომ თქვენ იცისრებთ ამ საქმეში ჩარევას!”

მართლაც, ბატონმა შალვამ ფასდაუდებელი სამსახური გამიწია ამ წერილში და გაცნობის შემდეგ პირად საუბრებში მოწოდებული ძვირფასი ცნობებით, და რაც მთავარია, მან აღმანთო პარიზში აუცილებლად წასვლისა და ლევილში ბატონ მამია ბერიშვილთან გაცნობისა და შეხვედრის დაუოკებელი სურვილით, რათა ბოლომდე მიმეყვანა მის მიერ ზემოთ ჩამოთვლილი “მეტად სერიოზული საქმეები”, და პირველ რიგში, ჩვენი ეროვნული არქივის სამშობლოში დაბრუნებისთვის მოგვება თავი!

და აი, 1987 წელს საფრანგეთში გამგზავრებულ ქართველ მეცნიერთა დიდ ჯგუფში მეც ჩავერთე. თან მიმქონდა ბატონ შალვა ბერიშვილის სარეკომენდაციო ბარათი მის უმცროს ძმასთან ბატონ მამია ბერიშვილთან შესახვედრად და დასაახლოებლად.

პარიზში ჩასვლისთანავე სასტუმროს ნომრიდან დავეურეკე ლონდონში ჩემს ძველ ნაცნობსა და უფროს მეგობარს ბატონ აკაკი რამიშვილს (ბატონი მამია ბერიშვილის ლევილ ბიძაშვილს). ტელეფონში ჩემი ხმა რომ გაიგონა და პარიზში ვიყავი ჩასული რომ გაიგო, ბატონმა აკაკიმ სიხარული და აღფრთოვანება ვერ დაფარა და ახლავე გადმოვფრინდები ლონდონიდანო – შემომთავაზა (ჩვენს საუბარს ისმენდა და ამას დამიდასტურებს ჩემთან ერთად სასტუმროს ნომერში მცხოვრები ჩვენი გამოსენილი ისტორიკოსი და იარაღთმცოდნე ბატონი კოტე წოლოყაშვილი) და თუ რაიმე პრობლემა გაქვთ პარიზში დაგეხმარებითო. მე ძლიერ ვთხოვე არ შეწუხებულყო, ვთხოვე კი არა, შევეხვეწე და შევეკვადრე, რადგან ვიცოდი ბატონი აკაკის გულწრფელობის ამბავი და ის მართლაც უკან არ დაიხეცდა. ოღონდ, გავუმხილე თქვენს მამიდაშვილთან ბატონ მამია ბერიშვილთან ვაპირებ შეხვედრას—მეთქი.

ცოტა ხნის შემდეგ ბატონ მამიასაც დავეურეკე ლევილში და შევთანხმდით, რომ მეორე დღეს იგი პარიზში ჩამომაკითხავდა და აქ შევეხვებოდით ერთმანეთს.

დათქმულ დროს მე და ბატონი მამია მართლაც შევეხვდით ერთმანეთს პარიზში და ერთმანეთის მიმართ ნდობითა და პატივისცემის გრძნობით განვიმსჭვალეთ (ამაში, რა თქმა უნდა, უდიდესი და გადამწყვეტი როლი ითამაშა ბატონი შალვა ბერიშვილის სარეკომენდაციო ბარათმა, ხოლო ბატონი



ლევლის შატო (გ. შარაძის ფოტო)

ქართველი კვებრანტები ლევლისში (გ. შარაძის ფოტო)





ლეილის ეზო (გ. შარაძის ფოტო)

ქრთველი ეპგრანტები ლეილში (აჩბრძო: გიორგი წარსული)







ლიდა და გიორგი ნოზაძეები ლეკელში თავიანთ ხალხში 1989

ექტორ ხიმშიაძე და პეკელი ვაშაძე



დ. ნოზაძისა და ნ. კურაძისა შვილებთან ცხრელთან





ნუცა თაყაიშვილი და ორესტ გორდეღაძე

სტუმრად ნინო ხალიძთან. პარიზი, 1989



ვაკლან ხაბუკიანი





Бобер Логан



მედიკოსი ივანე ჯავახიშვილი და მწიგნობარი ნიკოლოზ მამიაშვილი

მამიასათვის მისი სიტყვა, რომ იტყვიან, კანონი იყო, რადგან ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში ყველასათვის და, მით უმეტეს, უმცროსი ძმისათვის კარგად იყო ცნობილი ბატონი შალვას პატიოსნება, მიუდგომლობა, პრინციპულობა და შეუვალი ავტორიტეტი) იმდენად, რომ საღამოს ღვევილში წამიყვანა, ოჯახში დამპატიჟა და ღვევილის ძველ ქართველ ემიგრანტებსაც (ლიდა და გიორგი ნოსაძეები, პავლე ვაშაძე, კოლია სარალიძე, სიმონ კეკელიძე, ჯაბა ხაბულიანი, ნუცა და ორესტ გორდელაძეები, ნიკო ურუშაძე, რუბენ გვერტაძე...) გამაცნო. შევთანხმდით, რომ მალე საგანგებო სამეცნიერო მივლინებით მარტო ჩავიდოდი ღვევილში სამუშაოდ...

\* \* \*

ეს სანატრელი დღეც მალე დადგა!

1989 წლის 26 სექტემბერს შარლ დე გოლის აეროპორტში ნუცა და ორესტ გორდელაძეები დამხვდნენ და მათი თავაზიანი დახმარებით პირდაპირ ღვევილს გავეშურე ისე, რომ პარიზში არც კი გავსწერებულვარ.

ამჯერად საფრანგეთში მიმავლინა საქართველოს სასლვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებამ, ხოლო საფრანგეთის მხრივ მასპინძლობას მიწევდა ახლადშექმნილი ფირმის “არის-ნინოს” პრეზიდენტი ბ-ნი შალვა თაყაიშვილი (ეს ის ფირმაა, ქ-ნმა ნინო სალიამ მაშინ რომ დააარსა, რისთვისაც თავისი ფონდიდან სამმილიონნახევარი ფრანკი გამოჰყო, რათა ხელი შეეწყო საქართველოს კულტურული და ეკონომიკური გაძლიერებისათვის).




ლევინის ქართული მამული და მისი ისტორია

...ლევინი პარიზთან ახლომდებარე დაბაა, რომელიც ფრანგულ საისტორიო წყაროებში ჯერ კიდევ XII საუკუნის დამლევინიდან ლუნვილად იხსენიება. XV საუკუნიდან იგი უკვე ლევინად იწოდება და ოლივიერთა სამარკიზოს წარმოადგენს. შემდეგ იგი მარკიზ რიომის ხელში გადავიდა, რომელმაც მამული მიიყიდა ნოაის კომტს, ხოლო საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ კომუნა გახდა. მესამე რესპუბლიკის დროს, 1884 წლის 5 აპრილს გამოცემული კანონის ძალით ლევინის გამგებელი გახდა კომუნის მუნიციპალიტეტი. დღესაც მას ადგილობრივი თვითმმართველობა (მერია) განაგებს ხმოსნების დახმარებითა და მონაწილეობით. ლევინის შატო მიწის იმ ნაკვეთზეა, ახლა რომ პარკს ეძახიან, საუკუნოვანი ცაცხვის ხეივნებით, ბაღ-ბოსტნებითაა დაფარული და აღრინდელი გალავანი აკრავს. შატო საკმაოდ ძველი და დიდი შენობაა (ორი სართული მანსარდით), ლუი მეცამეტისდროინდელი სტილისა. სწორედ ეს გალავნიანი პარკი და შატოა დღეს ლევინის ქართული მამული (უფრო დაწვრილებით იხ. ლ.ფაღავა, ლევინის ისტორია, კრებ. "ლევინობა", პარიზი, 1987, გვ. 6-7).


ლევინის ქართული მამულის ისტორია 1922 წლიდან იწყება. როგორც ცნობილია, 1921 წლის მარტში საფრანგეთს გაიხიზნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა. ქართული მამულის ასოციაციის თავმჯდომარის მამია ბერიშვილის თქმით, "დაბინავდა რა საფრანგეთში, პარიზში, საქართველოს ეროვნულმა მთავრობამ ნოე უორდანიას მეთაურობით გადაწვეიტა ვეიდა პატარა მამული, რომელიც თავშესაფარი იქნებოდა ქართველი პოლიტიკური ლტოლვილებისათვის და საქართველოს განთავისუფლების შემდეგ საქართველოს საკუთრებად დარჩებოდა. ამ მიზნით, 1922 წლის 24 ივნისს, ნიკოლოზ ჯაყელისა და ბენია ჩხიკვიშვილის სახელზე შეიძინეს ის პატარა მამული, რომელსაც დღეს ლევინის "ქართული კერა" ეწოდება.

ახლახან საქართველოში ჩამოტანილ ეროვნული არქივის



ლეველის მკრია

ლეველის შატო





ლავრის ეკლესია




21. LEUVILLE sur-ORGE (S.-et-O.)  
La Rue Bordet



ძველი ლავილის ქუჩა

ძველი ლავილის ხეივანი

LEUVILLE-sur-ORGE (S.-et-O.) L'Église E. M.






ძველი ლევილის ქუჩა და მოქალაქეები

ძველი ლევილის ქუჩა და მოქალაქეები




20. LEUVILLE-sur-ORGE (S.-et-O.) - La Maison DUFOUR



ძველი ლევილის ქუჩა

ძველი ლევილის მაღაზიები



პარიზულ ნაწილში აღმოჩნდა ამ საქმესთან დაკავშირებული ორი მეტად საყურადღებო დოკუმენტი.


ამათგან პირველი წარმოადგენს 1922 წლის 2 ივნისს შედგენილ ოქმს, რომელშიც მოთხრობილია ლევილის მამულის პირველი დათვალიერებისა და მისი შექმნის პირობებზე მოლაპარაკების შესახებ:

### “ოქმი

2 ივნისს 1922 წ. ჩვენ ქვემოთ ამის ხელის მომწერო, დამფუძნებელ კრების თავმჯდომარე ნ.ჩხეიძემ და თავმჯდ. ამხანაგმა ე.თაყაიშვილმა, წევრმა გრ.ვეშაპელმა და მთავრობის წევრებმა ნ.რამიშვილმა, კ.კანდელაკმა და კ.საბახტარაშვილმა, თანახმად მთავრობის და დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმის შეერთებულ სხდომის დადგენილებიდან, ვინახულეთ რა მამული, ნაჩვენები ბ-ნ ბელფონის (agent) მიერ სოფ. მონვილში, ქალ. რუანის ახლოს, შეუადგინეთ შემდეგი ოქმი:

1.მამული მდებარეობს კომუნა მონვილის შეუავულ ადგილას, ადგილობრივ ეკლესიის გვერდით, კომუნალურ სკოლის, ფოსტა-ტელეგრაფის, სავაჭროების და სხვა ადგილობრივ დაწესებულებათა გვერდით; რკინის გზის სადგური (მონვილი) მდებარეობს მამულიდან 10-15 წუთის ქვეითათ სასიარულო მანძილზე, ქ.რუანს კი სოფ. მონვილი ახლავს 16 კილომეტრზე.

2.მამული შეიცავს დაახლოებით რვა პექტარ მიწას (პატრონის განცხადებით); მთელი ეს მამული მოთავსებულია ერთ ფარგალში და მას საზღვრავს ერთი მხრივ პატარა მდინარე (რომელზედაც სხვათა შორის ამ მამულისავე საზღვარზე მუშაობს წისკვილი), მეორეს მხრივ უელის გ'სა (La Ronte Nationale), ხოლო დანარჩენ ორის მხრივ სხვების მამული. მთელი მამული შემორაგულია სამი მხრით ზოგან ქვის და ხის გალავნით, ხოლო ზოგან ეგრედ წოდებულ მცენარეულ ღობით; თვით მამული შიგნითაც დაყოფილია ღობით რამდენიმე ნაწილად, სხვა და სხვა კულტურის მიხედვით: პარკი, საბალახე-მინდორი (prairie), ბოსტანი (რამდენიმე ადგილს), ხეხილის ბაღი, მფრინველთა ეზო და სხვ. მინდორში არსებობს საკმაოდ მოზრდილი ბალახი; პარკი წარმოადგენს სხვადასხვა გვარი ხეებით. სავე ადგილს, რომელთა შორის ყურადღებას იქცევს დიდი ხნის მუხა, წაბლი, ცაცხვი და სხვ; ხეხილის ბაღი შეიცავს რამდენიმე ასეულ ძირ ვაშლის ხეს, რომელიც უმთავრესად ნაყოფის მომცემია. ბოსტანი (სამ



ბენია  
ჩხიკვიშვილი

ადგილასაა გაშენებული), რომლისათვისაც ჩვენის აზრით, საკმაოდ ნაყოფიერი მიწაა, ამ უმად არ არის საკმაოდ დამუშავებული, მაგრამ მოწყობილი კი არის სამუშაოთ (სხვათაშორის ერთ ნაჭერზე გამოყვანილია წყალსადენი). არის აქვე პატარა არანჟურვა.

3. უმთავრესი შენობა არის საცხოვრებელი სახლი, რომელსაც ადგილობრივ ძველ “შატოს” ეძახიან. ეს სახლი წარმოადგენს ძველი ტიპის და ძველ ნაშენ ქვის ორ სართულიან (ჩვენებურათ) შენობას მანსარდით. სახლი შეიცავს: 14 კარგოთახს, ნაწილობრივ პარკეტის იატაკით და ზეთის საღებავით შეღებილ კედლებით და რამდენიმე კიდევ პატარა ოთახს (ათამდის); ორივე სართული და ყველა ოთახები ნათელია; დიდი ნაწილი სახლისა თბება ცენტრალურ გასათბობით; აქვს ორი სამსარეულო; სასმელი წყალი გამოყვანილია ადგილობრივ წყარო-ჭიდან, სახლში არის რამდენიმე კორიდორი და ამნაირად ოთახებიდან თავისუფალი გამოსავალი; თვით სახლში არის ორი შესავალი (подъезд). შიგნით სახლი საერთოდ კარგი მოვლილის შთაბეჭდილებას ახდენს, ხოლო სოგან ჭერი არის გაბზარული, განსაკუთრებით მანსარდაზე. სასოგადო შთაბეჭდილება ისეთია, რომ სახლი, თუმცა ძველი ნაშენია, მაგრამ საცხოვრებლად კარგია და შესაძლებელია სოგიერთ ნაწილებს (ჭერში) დასჭირდეს ცოტაოდენი შეკეთება.

4. მამულში არის სხვა შენობებიც, სახელდობრ: ეგრეთ წოდებული მებაღის ბინა, რომელიც შეიცავს შივდ საცხოვრებელ ოთახს; პატარა სახლი ერთ-ერთ ბოსტანში ორ-ოთახიანი; თავლა ცხენისა და ძროხებისათვის, ჩალის და თივის შესანახი განყოფილებით; საქათმე, საკურდღლე, ეტლის შესანახი ბინა და სხვ; ეზოში არის აგრეთვე საყინულე ქვის სარდაფი და სამრეცხავო და ხილის სახმობი.

5. ნაწილი საცხოვრებელ სახლისა (ხუთი პატარა ოთახი სამსარეულოთი) გაქირავებულია სამი წლის ვადით; გაქირავებულია აგრეთვე პატარა ნაჭერი საბოსტნე ადგილისა (600-700 მეტრი) და სახლი მებაღის. ყველა ამ გაქირავებულ ბინებიდან და საბოსტნიდან შემოდის დაახლოებით წელიწადში 2500 ფრანკი.

6. გადასახადი(სახელმწიფო და კომუნალური) დღეს არის დაახლოებით, პატრონის ჩვენებით, 500-600 ფრანკი წელიწადში.

7. ბინებში არის ფეხისადგილები და მრავალი საკუჭნაოები, მაგრამ არ არის ვანები, გაზი და არც ელექტრონი; ელექტრონის

გამოყვანა ადვილათ შესაძლებელია, რადგან იგი არსებობს უკვე ახლო მდებარე სახლებში. არსებობს სამი ჭა საქანაყით.

8. მოელ მამულს პატრონი აფასებს 130 ათას ფრანკათ; შესაძლებლათ სცნობს ფულის ნაწილ-ნაწილად გადახდას.

კომისიის სასოგადო აზრი იმის მიხედვით, თუ რაც მამული ერთად თუ ცალ-ცალკე კომისიის წევრებს დაუთვალა იერებიათ საფრანგეთის სხვადასხვა კუთხეში, ისეთია, რომ მამული უსათუოდ ღირს ამ ფასათ და ჩვენთვის გამოსადეგია. ყოველ შემთხვევაში, კომისია იმ გზას ადგას, რომ საჭიროა კიდევ ვაჭრობა მამულის პატრონთან ფასის დასაკლებად.

გადაწყდება რა ამ მამულის შექენა პრინციპიალურად, ამასთანავე და საქმის დაბოლოვებამდე დეტალურად შემუშავებული უნდა იქმნეს წესი მამულის ექსპლოატაციის და ხარჯთაღრიცხვა მამულისათვის.

ნ. ჩხეიძე

ექვთიმე თაყაიშვილი

ნ. რამიშვილი

კ. საბახტარაშვილი

ბენ. ჩხიკვიშვილი

ბ. ვეშაპელი

კ. კანდელაკი”.

მეორე დოკუმენტი 1922 წლის 24 ივნისს ლევილის მამულის მფლობელებად ნიკოლოზ ჯაყელისა და ბენია ჩხიკვიშვილის გაფორმების ხელწერილს წარმოადგენს:

“24 ივნისი, 1922 წელი, ქ. პარიზი. ჩვენ ქვემოთ ამისა ხელის მომწერი, ნიკოლოზ იოსების ძე ჯაყელი და ბენიამინ გრიგოლის-ძე ჩხიკვიშვილი, ვაძღვეთ ამ ხელწერილს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას იმაში, რომ:

1) მამული, რომელიც შექენილია ჩვენ ორის სახელზე კომუნა ლოვილში, დეპარტამენტი სენ-უაზი საფრანგეთში და აღნიშნულია ნოტარიულ აკტში, შედგენილში ქმონლერიში, ნოტარიუს პოპლენის მიერ, ნაყიდი არის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ფულით და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის საკუთრებას შეადგენს; სახელდობრ: მიწა, სულ ხუთი ნაჭერი, სომით დაახლოებით ხუთი ჰექტარი, სადგომი სახლი, სამეურნეო შენობები, ყოველგვარი ინვენტარი მოძრავი და უძრავი და სხვა ყოველივე, რაც აღნიშნულ მამულში იმყოფება.

2) ყოველგვარი შემოსავალი აღნიშნულ მამულიდან და ყოველგვარი განკარგულება მამულის შესახებ ეკუთვნის საეკლესიო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას და ჩვენ ვაღიარებთ ვართ დავემორჩილოთ ყოველივე მის განკარგულებას მამულის შესახებ, ე.ი. მამულის ან რაიმე იმის ნაწილის ექსპლუატაციის წესის, გაქირავების, დაგირავების, გაყიდვის, გადაცემის შესახებ და სხვ.

3) არც ჩვენ პირადად და არც ჩვენს მემკვიდრეებს უფლება არა გვაქვს ვისარგებლოთ აღნიშნულ მამულით ან იმის შემოსავლით; არა გვაქვს უფლება არც ნაწილობრივ და არც საეკლესიო მამულის გაქირავების, დაგირავების, გაყიდვის, განუქების, ან სხვა რაიმე განკარგულებისა მამულის შესახებ.

4) ხოლო ჩვენ მოვალენი ვართ მთავრობის მოთხოვნისამებრ დავდეთ ყოველგვარი ხელშეკრულება გარეშე პირებთან ან დაწესებულებებთან ამ მამულის შესახებ და დავიცვათ მამულის ინტერესი ყოველ კერძო პირთა და დაწესებულებათა წინაშე და ვიმოქმედოთ ისე, როგორც მოითხოვს მთავრობის ინტერესი და თანახმად მისი, მთავრობის, ან მისი კანონიერ წარმომადგენლის მოთხოვნისა, მაგრამ იმ პირობით, რომ ყოველგვარი ხარჯი მამულზე გაწეული მთავრობის განკარგულებით მთავრობის მიერ უნდა იყოს დაფარული.

5) უსრუნველსაყოფად მთავრობის უფლებისა აღნიშნული მამულის სრულ საკუთრებაზე ჩვენ ვაძლევთ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას თამასუქს ახ ორმოცდაათი ათასი ფრანკის ღირებულებისას.

ნიკოლოზ ჯაყელი  
ბენია ჩხიკვიშვილი”.

1922 წლის 26 ივნისს შეკრებილან საქართველოს ეროვნული მთავრობის წევრები, რომელთა სხდომას მიუღია შემდეგი დადგენილება (ეს დოკუმენტიც არქივის პარიზულ ნაწილში აღმოჩნდა):

“მოისმინეს: ფინანსთა მინისტრის კ. კანდელაკის მოხსენება, რომ 24 ივნისს ლევილის მამულის ნასყიდობა ხელმოწერილია ნიკ. ჯაყელის და ბენ. ჩხიკვიშვილის მიერ, რომელთაც ჩამოერთვა შინაური საბუთები მთავრობის სახელზე.

დაადგინეს: მიღებულ იქმნას ცნობათ და მიენდოს მამულის კომისიას, რათა საბუთების ნოტარიუსიდან მიღების შემდეგ ოფიციალური საბუთებიც იქმნას შედგენილი მამულის მთავრობის საკუთრებად უსრუნველყოფისათვის.



მოისმინეს: მოხსენებები მამულის მოწეობის და იმის საწარმოო თანხების შესახებ: 1.ნ.რამიშვილის მოხსენება მამულის კომისიის სახელით, რომ საჭიროა რემონტისა, ავეჯეულობისა, ბოსტნისა და წარმოებისათვის სულ 125 ათასი ფრანკი (რომელთაგან – 80 ათასი საწარმოო თანხა); 2.ნ.ჩხეიძის მოხსენება – დასკვნა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სახელით, რომ მამულისათვის გადადებულ 150 ათას ფრანკის გარდა საჭიროა კიდევ გადადებული იქმნას 57 ათასი ფრანკი რემონტისა, ავეჯეულობისა და წარმოებისათვის;

მოისმინეს: ფინანსთა მინისტრის ახრი, რომ ყოველივე ზემოთ აღნიშნულ ხარჯების დასაფარავად, უკვე გადადებულ 150 ათას ფრანკს უნდა მიემატოს 18 ათასი (თვრამეტი ათასი) ფრანკი.

დაადგინეს: მიღებულ იქმნა რა სახეში, რომ მამულის ყიდვა ყოველგვარ დასამტკიცებელ ხარჯებით არ აღემატება 112 ათას ფრანკს, დადგენილ იქმნას:

გადაიდოს მამულში ჩასახლებულ პირთა განკარგულებაში: ა)ყოველგვარ რემონტისათვის, გაზის გამოსაყვანად და აუზების შესაკეთებლად, სამზარეულოების და ფეხის ადგილების დამატებით მოსაწყობათ და სხვ. – 15 ათასი ფრანკი;

ბ)ავეჯეულობის შესაძენად და გასათბობ საშუალებების მოსაწყობად – 14 ათასი ფრანკი (ამ თანხაში უნდა შევიდეს ღონდონის ღეგაციაში არსებულ ავეჯეულობის ფასი, დაახლოებით რვა ათასი ფრანკი, თუ ეს ავეჯეულობა იქმნა გამოყენებული);

გ)ბოსტნის და ბაღის გასაწმენდათ და საექსპლოატაციოთ – 12 ათასი ფრანკი;

დ)ყოველგვარ დანარჩენ წარმოების მოსაწყობად 30 ათასი ფრანკი: ამნაირად მამულზე სულ უნდა დაიხარჯოს არა უმეტეს ას ოთხმოცდა სამი ათასი (183000) ფრანკისა, რომელთაგან 150 ათასი ფრანკი უკვე იყო გადადებული წინანდელ დადგენილებით; ამასთანავე მამულში მოწყობილი წარმოება აღნიშნულ თანხის მიხედვით უნდა ფარავდეს ყოველგვარ ხარჯს მამულის მოვლით და იქ მოწყობილ წარმოებით გამოწვეულს, ესე იგი: მუშა-მოსამსახურეთა ჯამაგირებს, საჭირო ინვენტარის შექმნას, ბინის მოვლას, სახელმწიფო და კომუნალურ გადასახადებს, დაზღვევას, ბინების მოვლას, გათბობა-განათებას და სხვ.

მოისმინეს: ფინანსთა მინისტრის მოხსენება მამულით სარგებლობის წესების შესახებ.

დაადგინეს: წარმოდგენილი წესები მამულით სარგებლობის

შესახებ მოწონებულ და დამტკიცებულ იქმნას.”


...”ჩქარა ცვლილება მოხდა, როცა ბენია ჩხიკვიშვილი სადღაც ბაქსა და როსტოვს შორის დახვრიტეს (ბ.ჩხიკვიშვილი ჩამოვიდა საფრანგეთიდან საქართველოში და მონაწილეობა მიიღო 1924 წლის ცნობილ ამბოხებაში – გ.შ.), მთავრობა იძულებული გახდა მოენახა რაღაც ახალი სისტემა მამულის მმართველობისა...” (მ.ბერიშვილი, ლევილის ქართული მამული, “ლევილობა”, პარიზი, 1987, გვ.6).

და აი, 1928 წელს შეიქმნა საქართველოს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის (სოციალ – დემოკრატთა, ეროვნულ-დემოკრატთა და სოციალისტ-ფედერალისტთა) წარმომადგენლების 7-წევრიანი კომისია, სახელდობრ, საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას, საფრანგეთში საქართველოს ელჩის აკაკი ჩხენკელის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე რამიშვილის, საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილის, ეროვნულ-დემოკრატის, პროფესორ ექვთიმე თაყაიშვილის, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ვეგენი გეგეჭკორის, საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტიის ლიდერის სამსონ ფირცხალაყას და საქართველოს ფინანსთა მინისტრის კონსტანტინე კანდელაკის შემადგენლობით, რომელთაც 1928 წლის 30 აპრილს, პარიზში დაწერეს ასეთი ერთობლივი ანდერძი (აღნიშნული დედან-ლოკუმენტის პირი გადმოგვცა ბ-ნმა მ. ბერიშვილმა, რომელსაც აქვე ვაქვეყნებთ):

“ოც და ათი აპრილი ათას ცხრაას ოცდარვა წელი, ქალ. პარიზი. ჩვენ ქვემოთ ამისა ხელის მომწერნი: ნოე ჟორდანი, აკაკი ჩხენკელი, ნოე რამიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ვეგენი გეგეჭკორი, სამსონ ფირცხალაყა და კონსტანტინე კანდელაკი – ვაძლევთ ამ ხელწერილს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას იმაში, რომ:

1. მამული, მდებარე სოფ. ლევილში (Leuille s/orge) საფრანგეთში, სენის და უაზის დეპარტამენტში და ცნობილი სახელწოდებით “Chateau de Leuille” (“ლევილის შატო”), რომელიც შექმნილია საჯარო ვაჭრობაზე 10 თებერვალს, 1927 წ. საზოგადოების “Foyer Georgien”-ის (“ქართული კერის”) მიერ, რომლის წევრნი ვართ ჩვენ, ზემოთ აღნიშნულნი პირნი, ნაყიდი არის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ფულით და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკუთრებას შეადგენს; სახელდობრ, მიწა ზომით დაახლოებით





ნოე ჟორდანიას  
 აკაკი წახეკელი  
 ნოე რამიშვილი  
 ექვთიმე თაყაიშვილი  
 ვაჟა-ფშაველას  
 სამსონ ფირცხალავას  
 კონსტანტინე კანდელაკის





ავტორი აქვეყნებს თავი გაანგებულ  
 "Foyer გლეხი"-ს ნიშნულს ის იმ  
 უნებულებად ავტორს იმის შესახებ ვერ  
 ვიცი არა მხოლოდ სიბერე-რად ვიხსენ  
 არა ის იმის შესახებ ვადიუბიკაციას  
 ვიხსენებ. ა. ყუარყუაძის სპონსორის  
 "Foyer გლეხი"-ს ნიშნულს.

1. ბ. ყ. მ. მ. მ. მ.

2. ა. ხ. ხ. ხ. ხ.

3. ვ. ზ. მ. მ. მ.

4. ა. ვ. მ. მ. მ. მ. მ.

5. ა. ყ. ყ. ყ. ყ.

6. ს. ვ. ჯ. ა. მ. მ.

7. ვ. ა. მ. მ. მ.

ხუთი პექტარი, სადგომი სახლი, სამეურნეო შენობები, ავეჯი, ინვენტარი და სხვა ყოველივე, რაც აღნიშნულ მამულში იმყოფება, გარდა იმ საგნებისა, რაც იქ მდგმურთა მიერ საკუთარი ხარჯით არის შექმნილი.

2. ყოველგვარი შემოსავალი აღნიშნული მამულიდან და ყოველგვარი განკარგულება მამულის შესახებ ეკუთვნის საგსებით საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას და ჩვენ ვაღიარებულნი ვართ დავემორჩილოთ ყოველივე მის განკარგულებას მამულის შესახებ (ე.ი. მამულის ან რაიმე იმის ნაწილის ექსპლუატაციის შესახებ, გაქირავების, დაგირავების, გაყიდვის, გადაცემის შესახებ და სხვ.) და სასოგადოების "Foyer Georgien"-ის დადგენილებებში აღნიშნულ მთავრობის დადგენილებების თანახმად ვიმოქმედოთ;

3. არც ჩვენ პირადად და არც ჩვენს მემკვიდრეებს უფლება არა გვაქვს ვისარგებლოთ აღნიშნულ მამულით ან იმის შემოსავალით გარეშე სასოგადოების "Foyer Georgien"-ის დადგენილებისა.

4. ჩვენ მოვალენი ვართ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მოთხოვნებივსამებრ დავდოთ ყოველგვარი ხელშეკრულება გარეშე პირებთან თუ დაწესებულებებთან ამ მამულის შესახებ, დაცვით ამასთანავე "Foyer Georgien"-ის წესდებისა, და დავემორჩილოთ მთავრობის მოთხოვნებებს, როგორც ეს აღნიშნულია სეკით §2-ში, გარნა ყოველგვარი ხარჯი მამულზე გაწეული ჩვენ პირადად არ უნდა გვეკისრებოდეს, არამედ ანაზღაურებული უნდა იქნას თვით მამულის შემოსავლისა ან მთავრობის მიერ.

5. უზრუნველსაყოფად მთავრობის უფლებისა აღნიშნულ მამულის სრულ საკუთრებაზე ჩვენ ვიდღევით სასოგადოების "Foyer Georgien"-ის სახელზე ვექსილს თითოეული ჩვენთაგანი ოცდა ხუთი ათასი ფრ. (Fr.25.000). "Foyer Georgien"-ი ამ ვექსილს საქართველოს დემოკრატიული ერსპუბლიკის მთავრობის მოთხოვნებით საჭიროების დროს გადასცემს მთავრობას ან მის მიერ ნაჩვენებ პირს; ხოლო თუ რომელიმე ჩვენგანი თავს გაანებებს "Foyer Georgien"-ის წევრობას ან იმ შემთხვევაში თუ მამული სხვა პირზე გადავიდა, ამის და მიხედვით სასოგადოებიდან გასული პირი ან ეველა ჩვენ განთავისუფლებულნი ვართ ვექსილიდან და ყოველგვარ მოვალეობიდან მთავრობის და "Foyer Georgien"-ის წინაშე.

1. ნოე ჟორდანი, 2. აკ. ჩხენკელი, 3. ნ. რამიშვილი, 4. ექვთიმე თაყაიშვილი, 5. ევგენი გეგუჭკორი, 6. ს. ფირცხალავა, 7. კ. კანდელაკი".



ამ ხელწერილის დადებიდან თითქმის ოცი წლის შემდეგ ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში, ეტყობა, ასრთა სხვადასხვაობა წარმოქმნილა მამულის იურიდიულ მესაკუთრეობაზე, რის გამოც საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას 1945 წლის 6 მაისს მთავრობის წევრებს – ვეგენი გეგეჭკორს, კონსტანტინე კანდელაკსა და აკაკი ჩხენკელს ღვევილიდან სწერდა (ეს ბარათიც არქივის პარიზულ ნაწილში ვიპოვეთ):

“ 6.05.45.

ლიოვილი

ევ. გეგეჭკორს,

კ.კანდელაკს,

აკ. ჩხენკელს

ჩემი მომართვის საპასუხო წერილი თქვენგან მივიღე, რამაც მე არ დამაკმაყოფილა. თქვენ უარს ამბობთ მამულის ჩაბარებაზე მის ფაქტიურ პატრონის – მთავრობისათვის და იურიდიულ და ფაქტიურ მეპატრონეთ აღიარებთ “კერას”. ამ მოსასრების მთავარი და ერთად ერთი საბუთია “კერას” არსებობა, რომლის უფლება დაცულია კანონით. ე.ი. იურიდიული უფლება ყოფილა საფუძველი ფაქტიური პატრონობის. საიდან მიიღეთ ეს ახალი ამბავი – არ ვიცი. არასოდეს ასეთი შეხედულობა მამულზე ჩვენს შორის არ ყოფილა, არც მაშინ როცა მისი იურიდიული პატრონი ორი კერძო პირი იყვენ. თქვენი წერილიდან სჩანს, რომ “სასოგადოების” საკუთრების უფლება გაცილებით უფრო მაგრათ არის დაცული, ვინემ კერძო პირის. ნამდვილათ კი საკვებით წინააღმდეგი მდგომარეობაა. კერძო საკუთრება უფრო დაცულია კანონით, ვინემ “სასოგადოებათ”, ის უყადლოა, მუდმივია, ხოლო “სასოგადოების” ქონება ვადიანია; მაგ. “კერას” დარჩა კიდევ ათი წელიწადი, ოცი უკვე გავიდა. ფორმალურ მესაკუთრეს ჩვენი მამულისა შეეძლო ერთ თვეში ჩვენი გამოდევნა მამულიდან, ხოლო ახლანდელ კერძო პირს ჩვენი გამოდევნა არ შეუძლია.

ამ ნაირათ, თქვენი საბუთი არის მხოლოდ ფორმალური, მოკლებული ფაქტიურ შინაარსს. ფორმის დაცვა ყოველთვის შეუძლია ჟერანს, მთავრობის გადაწყვეტილება გაატარეს კერძო პირის წინაშეც. მე არ ვარ სრულიად ასეთის შინაურული კომბინაციის წინააღმდეგი. და თუ მაინც ძველ წესს არ მოშორდებით, ეს ნიშნავს ჩემს გამორიცხვას “კერიდან”, ვინაიდან იმ სხდომას, სადაც მოწოდებული იქნება სკანდალის ავტორი, მე არ დავესწრები. ეს ნიშნავს აგრეთვე

მამულის “კერის” წვერთა საკუთრებათ აღიარებას, რაიცა კარებს უხსნის თეთვეულს მოიხმაროს თავისი წილი, როგორც მოეპრიანება. ნ. ჟორდანია”.

მას შემდეგ 30 წელი გავიდა და ამ ხნის განმავლობაში ლევილის მყუდრო საეანეში მრავალმა ქართველმა ლტოლვილმა პპოვა თავშესაფარი. შატოს გარდა, ქართველთა ამ ექსპექტარიან მამულში დგას სხვა კოპწია ნაგებობანი, რომელთა ერთ ნაწილში ქართული სტამბა და წიგნთსაცავია, დანარჩენი კი საცხოვრებლად არის გამოყენებული, ხოლო ძველი შენობების ნაწილი უსახსრობის გამო მიტოვებულია და აღდგენას საჭიროებს.

ყოველივე ამის გამო 1976 წლის 15 ივნისს კვლავ შეკრებილა ლევილის ქართული მამულის შემდგომი ბედის გამოსარკვევად აქაური სასოგადოების წამყვანი წარმომადგენლები, რომელთა სხდომის ოქმში ვკითხულობთ:

“1976 წლის 15 ივნისს შედგა სოფელ ლევილის ქართული მამულის “სოსიეტესა” და ასოციაციის ადმინისტრაციის შეერთებული სხდომა, რომელზედაც დაესწრნენ საქართველო ეროვნული მთავრობის წევრი ბატონი ნოე ცინცაძე, ასოციაციის ადმინისტრაციის თავმჯდომარე ქალბატონი ნამეტია გოგუაძისა, “ქართული კერის” წევრები: ქალბატონი ნუცა რამიშვილი, ბატონები ნიკო ურუშაძე, ლევან ფაღაქია, ირაკლი ჯაფარიძე და ასოციაციის ადმინისტრაციის წევრები: ბატონები გიორგი ნოსაძე, ვიქტორ ხომერიკი და მამია ბერიშვილი.

სხდომის დღის წესრიგი:

ქართული მამულის საბოლოო იურიდიული უფლების დადგენა.

“კერის” გამგე ბატონი პავლე სარჯველაძე აცხადებს, რომ “სოსიეტეს” წევრი ქალბატონი მათიკო სტურუა ვერ ესწრება კრებას, მაგრამ ის წინასწარ თანხმობას აცხადებს ყველა დადგენილებაზე, რაც იქნება მიღებული სხდომის მიერ.

ამის შემდეგ ბატონი პ.სარჯველაძე ახსენებს სხდომას საქართველოს ეროვნული მთავრობის პრეზიდენტის მიერ დატოვებულ საბუთებს, რომელიც ადასტურებს, რომ მამული შექმნილია საქართველოს რესპუბლიკის ფულით და ის წარმოადგენს საქართველოს ქონებას. ამ დოკუმენტს ხელს აწერენ ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი, კონსტანტინე კანდელაკი, ევგენი გეგეჭკორი, აკაკი ჩხენკელი, ექვთიმე თაყაიშვილი და სამსონ ფირცხალავა.



ნამეტია ბერძენიშვილი

ამ დოკუმენტის კიდევ ერთხელ გაცნობის შემდეგ კრება ერთხმად ადგენს:

1. მიღებული იქნეს ყოველგვარი ზომები, რათა შემოხსენებულ პირთა ანდერძი შესრულებულ იქნას;

2. ამისთვის გამოინახოს ისეთი იურიდიული ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს მამულზედ ქართველი ერის უფლებას.

საქართველოს ეროვნული მთავრობის წევრი: ნ.ოე ცინცაძე  
“კერის” ასოციაციის თავმჯდომარე: ნამეტია გოგუაძისა

“ქართული კერის” სოსიეტეს წევრები: ნიკო ურუშაძე, ირაკლი ჯაფარიძე, ლევან ფაღავა, ნუცა რამიშვილი

“ქართული კერის” ასოციაციის გამგეობის წევრები: ვიქტორ ხომერიკი, გიორგი ნოსაძე, მამია ბერიშვილი

“ქართული კერის” გამგე: პაულე სარჯველაძე”.

\* \* \*

...სწორედ აქ მელოდებოდა ლევილის ქართული მამულის ასოციაციის თავმჯდომარე ბ-ნი მამია ბერიშვილი.

იმ ჩასვლაზე თითქმის ორი თვე დაკვაყი ლევილში... ბატონ მამიასა და მის მეუღლე ქრისტინთან, აგრეთვე ვაჟთან-ტიერთან ჩვენი მეგობრობა მაშინ კიდევ უფრო განმტკიცდა. მათთან ერთად ყოველდღიურ მზრუნველობას არ მაკლებდნენ შალვა თაყაიშვილი (რომელმაც, სხვათა შორის, თავისი მამისეული ბინა დამიტმო), ნუცა თაყაიშვილი და ორესტ გორდელაძე, ლიდა და გიორგი ნოსაძეები, ეთერ და გიორგი წერეთლები, ჯაბა და ყაკლინ ხაბულიანები, პაულე ვაშაძე, სიმონ კეკელიძე, ნიკო ურუშაძე, რუბენ გვეტაძე, იქვე მეზობელ დაბა ლინაში მცხოვრები მიხეილ ქავთარაძე... ის კი არა, მიუნხენიდან ლევილში საგანგებოდ ჩამომაკითხეს კარლო ინასარიძემ და ეთერ საღირაშვილმა თავის ამერიკელ მეუღლესთან პროფესორ რთი დე ლონთან ერთად, რომლებმაც საყურადღებო პირადი და საოჯახო არქივები ჩამომიტანეს... პარიზში დროდადრო ჩასვლისას და იქაურ წმ. ნინოს სახელობის ქართულ ეკლესიაში წირვა-ლოცვისას ან ცალკეულ ოჯახებში სტუმრობისას თუ ძმები ანთაძეების ქართულ რესტორანში შეხვედრებისას გავიცანი ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლები - სოფიო და თეო კელიები, ირენ ბაგრატიონი, თამარ ალშიბაია-პატარიძისა, თინა, გულიკო და ოთარ პატარიძეები, დები მდივნები, რესო და ლია ვოდე-გოგიტიძეები, ლევან ფაღავა, ნათელა ყორღანი, ნუცა



სტუმრად მისეულ ქეთარაძესთან და მის ქალიშვილთან. სოკელი ღინა (დევიდთან ახლოს)

სტუმრად ფელექს ვარლამიშვილის მეუღლესთან — ზინე ბინდურობან მხატვრის სახელობაში მარცხნივ — ნიკო მამულაიშვილი. პარიზი






დედა-მეილი თამარ და ოთარ პატარაძეები კარსხი

სტუმრად ნიკო ბურის ქალიშვილთან ირუნ ბაგრატიონთან. კარსხა







ქართული რესტორანი „ოქროს ვერძი“. პარიზი  
„ოქროს ვერძის“ მკვლევარნი თაიბარხან ანთაძე  
ქართული ეზივრანტები „ოქროს ვერძში“

თინა ჰატარაძე-ინასარაძისა და  
კარლო ინასარაძე. პარიზი

მარი-ქრისტინა თაფაშვილისა და  
ნუცა რაშიშვილი. პარიზი

სტუმრად „ქართული სახლის“ მკვლევარნი  
რასაზ პაპუაშვილითან პარიზი







მარჯვნიდან: როდამ ცომაია, ეთერ საღირაშვილი და პროფესორი დე ლონი

მარია მერიკო



გულიკო პატარიძე



რამიშვილი, ნინო სალია, მია დადიანი, ვიქტორ ხომერიკი, პროფესორი გიორგი შარაშიძე, ნიკო ჭავჭავაძე, რამა'ს პაპუაშვილი, 'სურაბიშვილების ბრწყინვალე ოჯახის წარმომადგენლები, ფრანგული თეატრისა და კინოს ვარსკვლავი მარია მერიკო-ალიხანაშვილი, ნიკი მამულაშვილი, ფელიქს ვარლამიშვილის მეუღლე - ზირე ბინდერი...

ლევების ბიბლიოთეკასა და არქივში ვნახე უნიკალური ქართული ემიგრანტული გამოცემები და ეურნალ-გაზეთები, რომელთა უმრავლესობანი ბ-ნ მამია ბერიშვილისა და ბ-ნ კარლო ინასარიძის თავა'სიანი ნებართვით სამშობლოში წამოვიღე... ამას გარდა, ბ-ნ მამიასა და ბ-ნ კარლოსთან ერთად შევუდგეით ლევების ქართული მამულის საქართველოსათვის გადმოცემის როული საკითხების მოგვარებას...

\* \* \*

მესამედ ლევის 1991 წლის ზაფხულში ვეწვიე!

1989 წლის ოქტომბრიდან თითქოს არც ისე დიდი დრო იყო გასული, მაგრამ მას შემდეგ აქ მაინც ბევრი რამ დამხვდა შეცვლილი:

პირველი, რაც გალაენის კარიბჭეში შესვლისას უმაღ თვალში მეცა ის იყო, რომ მამულის შუაგულ ეზოში ადრე მწკრივად მდგარი საუკუნოვანი ექვსი უსარმაზარი ცაცხვის ხე ახლახან გრიგალს მოეგლიჯა და ეზო გულსაკლავად მოეტიტვლებინა. მაგრამ ყველა'სე დიდი დანაკლისი მაინც ის გახლდათ, რომ ამ ორი წლის მანძილ'სე ლევილში ზედისუფდ დაეკარგეთ შესანიშნავი ქართველი პატრიოტები: ადარაა მშვენიერი ქალბატონი ლიდა შარაშიძე-ნო'საძისა, ამიერიდან აქ მოსულს ვეღარ შემოგანათებს მისი უბერებელი ზღვისფერი თვალები! ან სადღაა მისი უკეთილშობილესი და უტკბილესი მეუღლე ბატონი გიორგი ნო'საძე - უმცროსი ძმა ნეენი დაუვიწყარი ვიქტორ ნო'საძისა... ლევების ეზოში ვეღარ ვხედავთ მუდამ თავისი განუყრელი ხელჯოხითა და თეთრი ფინიათი მოსეირნე პავლე ვაშაძეს - 1924 წლის სახალხო ამბოხების მონაწილეს, ნეენი საყვარელი სახალხო მსახიობის მიხეილ ვაშაძის ძმას... ვერც დარბაისელ და სორბა კოლია სარალიძეს მოკრავთ ახლა აქ თვალს, ხოლო ოცდაათხი წლის ამბოხების კიდევ ერთი მონაწილე ჯაბა ხაბუღიანი ხომ აქაურობის ნამდვილი მშვენიკბა იყო: ქართული რაინდობა და ევროპული ჯენტლმენობა




ლევილის ცაცხები (გ. შარაძის ფოტო)

საოცრად ბუნებრივად იყო შერწყმული ამ ხანდაზმულ მამაკაცში! მუქი პიჯაკის, თხელძირიანი შავი ფეხსაცმლებისა და შინდისფერყელსახვევიანი თეთრი გახამებული პერანგის გარეშე ესოში გამოსული მე იგი არ მინახავს... გეგონებოდათ, საცაა ეტლი ჩამოდგება და მეცხრამეტე საუკუნიდან გადმოსულ ამ მომხიბვლელ ჯენტლმენს სადღაც მეჯლისზე გააქანებსო!


...ისე შეუმჩნეველად გაიარა იმ ოცდაათმა დღემ (30 ივნისიდან 29 ივლისამდე), რომ ბევრი რამის გაკეთება, ასე მგონია, მაინც ვერ მოვასწარი: არ იქნა და, კვლავ ვერ ჩავედი სოშოში ქართველ ემიგრანტთა იქაური უკანასკნელი მოპიკანების სანახავად და ერთ დროს ძლიერი სოშოს ქართული კოლონიის არქივის გასაცნობად. სოშო კი არა, აგერ უკვე მესამედ ვარ ლევილში და ვფიქრობ, ხეირიანად თვით ლევილის არქივისა და წიგნების ნახვაც ვერ მოვასწარი...

...მთავარ სასრუნავად ჩემთვის კვლავ ლევილის ქართული




ლველის სასულაოს შესასვლელი (გ. შარაძის ფოტოები)

კოკი დადიანის საფლავი ლველში



ქაქუცა წილობაშვილის საფლავი ლველში



მამულის ბედი რჩებოდა. პირველ რიგში, საჭირო იყო შემოთმობიანი ანდერძის ახალი ვადით გაგრძელება, რისთვისაც მამულის გამგეობას აკლდა ანდერძის სამი ხელმომწერის, აწ განსვენებულ კონსტანტინე კანდელაკის, ექვთიმე თაყაიშვილისა და სამსონ ფირცხალავას მემკვიდრეთა თანხმობა. საქმეს ისიც ართულებდა, რომ როგორც ვიცით, კ. კანდელაკს, ე. თაყაიშვილსა და ს. ფირცხალავას პირდაპირი შთამომავლობა არ დარჩენიათ. ამიტომ ლევილის ქართული მამულის გამგეობის თავმჯდომარემ ბ-ნმა მამია ბერიშვილმა მთხოვა, როგორმე საქართველოში მეპოვა მათი უახლოესი მემკვიდრენი ძმისშვილების სახით. საბედნიეროდ, მე მათ ვიცნობდი. კონსტანტინე კანდელაკის უმცროსი ძმის, ცნობილი ტროპიკოლოგის სიმონის ასული გახლავთ დოცენტი ნატალია კანდელაკი (პროფესორ ლევან ავალიანის მეუღლე), ექვთიმე თაყაიშვილის პირდაპირი შთამომავალია ძმის მხრიდან ნუნუ თაყაიშვილი, ხოლო სამსონ ფირცხალავას ძმისწულია ქართული წიგნის ამაგდარი დარეჯან ბენიამინის ასული ფირცხალავა (მწერალია რურუას მეუღლე). როცა მათ გაიგეს ლევილის მამულის გასაჭირი, უყოყმანოდ თბილისის სანოტარო კანტორაში გააფორმეს თანხმობა ანდერძის გაგრძელების თაობაზე და გამატანეს ბ-ნ მამია ბერიშვილისათვის გადასაცემად, რათა ამ უკანასკნელს წარედგინა ის ფრანგი ნოტარიუსისათვის, რაც შევასრულე კიდევ. მართლაც ამ იურიდიულმა დოკუმენტებმა გაჭრეს და ბ-ნ მამია ბერიშვილს დიდი სამსახური გაუწიეს ლევილის მამულის ქართველთათვის დასანარჩუნებლად (აქვე ვსარგებლობ შემთხვევით დიდი მადლობა გადავუხადო ქალბატონებს ნ. კანდელაკს, ნ. თაყაიშვილსა და დ. ფირცხალავას ამ პატრიოტული ნაბიჯისა და თანადგომისათვის).

ლევილის ქართული მამულის მომავალზე დიდი როლი უნდა ეთამაშა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბ-ნ სვიად გამსახურდიას წერილს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ფრანსუა მიტერანისადმი, რომელიც თან მიმქონდა (იგი გამოქვეყნდა გაზეთ “საქართველოს რესპუბლიკაშიც” – 29.VI.1991). აი, ის წერილიც, რომელიც ადრესატს ჩაბარდა:

“საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ფრანსუა მიტერანს.

ბატონო პრეზიდენტო!

1921 წელს, მას შემდეგ, რაც საქართველო ოკუპირებული იქნა საბჭოთა რუსეთის მიერ, ქართულმა

Pouvoir

Je, soussignée, Madame Natalia KANDELAKI-la dernière et seule descendante de Monsieur Constantin KANDELAKI demande a Monsieur Maria BERICHVILI-mon homme de confiance de commencer les pourparlers avec les autorités géorgiennes sur la transmission du Chateau de Leuille Sur Orge a l'Etat géorgien-son vrai propriétaire. D'après moi les conditions favorables pour cela existent déjà.

Fait a Tbilissi  
Le 21 novembre 1996

Signature: *N. Kandelaki*

10 декабря 1996 г. *Н.И. Черныш*  
государственный нотариус *г. Тбилиси*  
уларственный нотариальный пункт г. Тбилиси  
от подписи г-ж. *Наталья Канделаки*  
при присутствии *г-ж. Мария Беричвили*  
Зарегистрировано в реестре № *10-11/96*  
Выдана нотариальная надпись № *409/96*  
гос. нотариат




ხელწერილი

მე. ქვემოთ ხელისმომწერი დარეჯან ფირცხალავა - სამსონ ფირცხალავას ერთადერთი პირდაპირი შემკვიდრე, ვთხოვ ჩემი ნდობით აღჭურვილ პირს - ბატონ ტიერი ბერიშვილს, საქართველოს ხელისუფლებასთან მოლაპარაკების დაწყებას ლევილ სიურ ორეის მამულის ნამდვილი მფლობელისათვის - საქართველოს ხელისუფლებისათვის დაბრუნების შესახებ. ჩემის აზრით, ამისათვის სასურველი პირობები უკვე არსებობს.

შედგენილია თბილისში  
1996 წლის 21 ნოემბერს

ხელმოწერა: დარეჯან ფირცხალავა




## ხელწერილი

მე, ქვემოთ ხელისმომწერი ნუნუ სიმონის ასული თაყაიშვილი - ექვთიმე თაყაიშვილის ერთადერთი პირდაპირი მემკვიდრე, ვთხოვ ჩემი ნდობით აღჭურვილ პირს - ბატონ მამია ბერიშვილს, საქართველოს ხელისუფლებასთან მოლაპარაკების დაწყებას ლევილ სიურ ორეის მამულის ნამდვილი მფლობელისათვის - საქართველოს ხელისუფლებისათვის დაბრუნების შესახებ. ჩემის აზრით, ამისათვის სასურველი პირობები უკვე არსებობს.

შედგენილია თბილისში  
1996 წლის 21 ნოემბერს

ხელმოწერა: ნ. თაყაიშვილი

1996 წ. 10 ნოემბერი, თბილისი  
ნუნუ სიმონის ასული თაყაიშვილი  
10-11491  
4 ნოემბერი







საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია

მთავრობამ თავშესაფარად საფრანგეთი აირჩია, რომელმაც თავის მხრივ მას ფართოდ გაუღო გული და კარი.

1922 წელს საქართველოს მთავრობამ შეიძინა პატარა მამული ლევილში (სენისა და უაზის დეპარტამენტი) პარიზთან ახლოს, სადაც აგრეთვე მდებარეობს ქართული სასაფლაო, ლევილის მუნიციპალური სასაფლაოს გვერდით, და იქ, ამჟამად განისვენებენ ქართველთა ნეშტები.

დღეს, როდესაც საქართველო იბრძვის თავისუფლებისათვის და არჩეული ვარ პრეზიდენტად, მე გთხოვთ, ბატონო პრეზიდენტო, გამოიჩინოთ კეთილმოსურნეობა და დაიცვათ მამულის ტერიტორიული მთლიანობა და ხელშეუხებლობა, როგორც ქართველთა ისტორიული ნაცვაყუდელისა საფრანგეთში. იგი მომავალში ჩვენი ერების დაახლოების კერა უნდა გახდეს.

მივესალმები საფრანგეთს და მის მარადუამ სტუმართმოყვარე მიწა-წყალს. გამოვთქვამ იმედს, რომ ის კვლავ დაუჭერს

მხარს წყენი ორი ხალხის მეგობრობასა და კავშირს.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი  
"ზვიად გამსახურდია  
1991 წლის 26 ივნისი."

აქვე შევნიშნავ, რომ ამ წერილის გადაცემისას ელისეს სასახლეში მახლდა წყენი პარიზელი თანამემამულე, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის პირველი თავმჯდომარის და შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე რამიშვილის ქალიშვილი ნუცა რამიშვილი.

გარდა ლევილის მამულის საქმისა, წყენ გავაგრძელეთ 1989 წლის შემოდგომაზე ლევილში დაწეებული მოლაპარაკება არქივის სამთავრობო კომისიის ორ წევრთან – ბატონებთან მამია ბერიშვილთან და კარლო ინასარიძესთან, რომელიც კვლავ საგანგებოდ ჩამოვიდა მიუნხენიდან. ხანგრძლივი საუბრების შემდეგ 1991 წლის 11 ივლისს მივაღწიეთ მათთან ასეთი შეთანხმების პროექტს:

"1991 წლის 11 ივლისს, ლევილში, შედგა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საარქივო კომისიის საინიციატივო ჯგუფის სხდომა, რომელსაც დაესწრნენ კომისიის წევრები – მამია ბერიშვილი და კარლო ინასარიძე. საკონსულტაციოდ სხდომას დაესწრო პროფესორი გურამ შარაძე.

სხდომამ განიხილა ეროვნული მთავრობის არქივის აწმყოსა და მომავალი ბედის საკითხები.

არქივი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

1. პარვარდის უნივერსიტეტში შენახული არქივი (მთავარი ნაწილი);

2. ლევილის არქივი (მცირე ნაწილი);


3. ნოტარიუსთან შენახული არქივ-დოკუმენტები;

4. გაბნეული არქივები.

განიხილეს რა აღნიშნული საკითხები, მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილების პროექტი:

1. ეროვნული მთავრობის არქივის ყველა ნაწილი არის საქართველოს საკუთრება.

2. პარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში შენახული არქივის დედნები – საარქივო კომისიასა და პარვარდის ბიბლიოთეკას შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად – საქართველოს გადაეცეს რაც შეიძლება მოკლე ხანში, თუ გარანტირებული იქნება შესაბამისი პირობები არქივის საქართველოში გადატანისა და შენახვისათვის. სადღეისოდ,



მამია ბერიშვილის, კარლო ინასარიძისა და გურამ შარაძის ხელშეკრულების პროექტი. პარიზი-ლეველი, 1991 წლის 11 ივლისი

“პარვარდის არქივის” მიკროფილმები ინახება – ერთი პირი პარიზში, მეორე პარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და მესამე – საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში. ამრიგად, პარვარდული ნაწილის სამეთვალყურეოდ გამოყოფილმა კომისიამ შეასრულა თავისი მისია და ამის შემდეგ პარვარდში დაცული არქივის დედნების საქართველოსათვის გადაცემის უფლებამოსილება შედის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის არქივის შემნახველი კომისიის კომპეტენციაში.

3. ლევილის არქივი (მცირე ნაწილი) უნდა იქნას გადაღებული მიკროფილმებზე ოთხ ცალად, რომელთაგან ერთი გაიგზავნოს პარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, მეორე საფრანგეთის არქივში, მესამე – საქართველოში, მეოთხე კი დარჩეს ლევილის ქართულ მამულში. “ლევილის არქივის” ორიგინალები გადატანილ იქნას საქართველოში არაუგვიანეს 2004 წლისა, თუ მისი უშიშროების საკითხი მოგვარებული იქნება.

4. "ნოტარიუსთან შენახული არქივ-დოკუმენტები" რჩება ეროვნული მთავრობის საარქივო კომისიის უფლებამოსილების ქვეშ. მისი გადაცემა-გამოქვეყნების ვადას განსაზღვრავს მასში თავმოყრილი ცალკეული დოკუმენტების იურიდიული სტატუსი. ნოტარიუსთან არქივ-დოკუმენტების შენახვის ხარჯები დაფარულია 2005 წლამდე.

5. ეთხოვოს საქართველოს დღევანდელ მთავრობას – თავის მხრივ შექმნას ეროვნული მთავრობის საარქივო კომისია სამი-ოთხი კაცის შემადგენლობით, რომელიც აწარმოებს მოლაპარაკებას ეროვნული მთავრობის საარქივო კომისიასთან (ლეველი) აღნიშნული საკითხების იურიდიული და ფაქტიური მოგვარების მიზნით. რადგან ეროვნული მთავრობის კომისიას (ლეველი) არავითარი ფულადი სახსრები არ გააჩნია, ყველა ხარჯები (მიკროფილმირება და სხვა) უნდა გაიღოს საქართველოს მთავრობამ. ყველა აღნიშნულ საკითხებზე მოლაპარაკება უნდა სწარმოებდეს ეროვნული მთავრობის კომისიასა (ლეველი) და საქართველოს მთავრობის კომისიას (თბილისი) შორის, რომლის დროს საჭიროდ მიგვაჩნია ეროვნული მთავრობის (ლეველი) ყველა წევრის თანხმობა.

6. აღნიშნული საკითხების მოგვარების ყველა იურიდიული და ფაქტიური ნაბიჯი ისე უნდა იქნეს შეთანხმებული, რომ ალგვილ იქნას ყოველგვარი საშიშროება არქივის (თუ არქივების) შენახვის, გადატანის თუ მიკროფილმების გადაღების საქმეში.

7. ეროვნული მთავრობის საარქივო კომისიამ იზრუნოს "გაბნეული არქივების" (სტამბოლის არქივი, სოსიპატრე ასათიანის არქივი, ვასო წულაძის და სხვა) თავის მოსაყრელად, რომ ეს არქივები გადაცემულ იქნას საქართველოსათვის.

8. საქართველოს დღევანდელი მთავრობის მიერ გამოყოფილმა საარქივო კომისიამ ხელი უნდა მოაწეროს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ე.წ. "ოთხმეტ მუხლს" – ეროვნული მთავრობის არქივის შესახებ.

9. ეს "პროექტი" ძალაში შევა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საარქივო კომისიის საგანგებო კრების მოწვევისა და მასზე კომისიის ყველა წევრის ხელმოწერის შემდეგ.

10. ეროვნული მთავრობის ყველა არქივი საქართველოს უნდა გადაეცეს 2004 წლამდე.

ამ "პროექტს", ამონაწერის სახით 1991 წლის 11 ივლისს ხელს აწერენ ეროვნული მთავრობის საარქივო კომისიის

ბატონ ედუარდ შვეარდნაძეს  
პარლამენტის თავმჯდომარეს - სახელმწიფო მეთაურს

დიდიად პატივცემულო ბატონო ედუარდ !

რამოდენიმე წელიწადია რაც საფრანგეთში დიდი უფლებები გადაეცა ქალაქის გამგეობებს. ამიტომაც საშიშროება არსებობს მანამ სანამ ლევილის ქართული მამული არ დაუბრუნდება საქართველოს.

ლევილის ქალაქის გამგეობას გეგმაში აქვს ქართული მამულის პარკი გამოიყენოს სხვადასხვა გასართობებისა და სპორტიული მიზნებისთვის.

ჩვენ კავშირი გვაქვს ამ რაიონის გარემოს კეთილმოწყობის მთავარ ინსპექტორთან. ის მონღოებურია მხარი დააკვიროს გარემოს დაცვის სამინისტროში, რომ « შატო » პარკი ხელშეწყობდეს იმის ლევილის ქალაქის მართველობის მიერ ».

მისი რჩევით ლევილის პარკის ხელახლებობას (protection) გააძლიერებს თუ გვეუბნება საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა .

თუ თქვენთვის მისაღები იქნება ამ ეროვნული საქმის მხარდაჭერა, ძალიან ძალღობელი უქნებით თუ თქვენ გამოგზავნით მოკლე მიმართვას ფრანგულ ენაზე შემდეგ მისამართზე :

MONSIEUR LE MINISTRE DE L'ENVIRONNEMENT ,  
10 Avenue Carnot , 94234 CACHAN Cedex , France

ვიცით რომ იმ დროს როცა საქართველოს ყოფნა არ ყოფნის საკითხი თქვენზედ არის პირადად დამოკიდებული და თქვენთვის ყოველი წუთი ძვირფასი და საჭიროა . მაგრამ თუ თქვენ დაგვეხმარებით ამ ჩვენს წინაშე წამოჭრილ საჭირო საქმის გადაჭრაში, და ამისთვის იმოყნით რამოდენიმე წუთს, დავრჩებით თქვენს წინაშე საშუალოდ დავალებული .

აკაკი რამიშვილისა და მამია ბერიშვილის წერილი საქართველოს სახელმწიფო მეთაურის ედუარდ შვეარდნაძისადმი. პარიზი-ლუვილი, 1993 წლის 27 სექტემბერი (1 გვერდი)



კომისიის მუშაობის პერიოდში, ხელისუფლების მეთაურმა ე.შევარდნაძემ 1993 წლის 31 მაისს მიიღო პარიზიდან იმავე წლის 5 მარტს გამოგზავნილი ფრიად საყურადღებო და სასიამოვნო ბარათი:

“ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

პარლამენტის თავმჯდომარე-სახელმწიფოს მეთაურს.

პატივცემულო ბატონო ედუარდ!

თქვენი დიდებული ინიციატივა მიგვაჩნია დროულად და ღრმად ნასიამოვნები დავერწით. უპირატესობას ვანიჭებთ შემდეგ საკითხებს:

1. ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში და საფრანგეთის პროვინციებში განისვენებენ ქართველები. სასურველი იქნება, მათი ოჯახის წევრების თანხმობით, ისინი გადმოსვენებული იყვნენ ლევილის ძმათა სასაფლაოზე, აგრეთვე, საჭიროა რესტავრაცია დასიანებული საფლაკების.

2. სასურველია ლევილის მამულის პირვანდელი სახის შენარჩუნება. ამის იურიდიულ და ფიზიკურ შესანარჩუნებლად ჩვენ თავიდანვე ვიბრძვით. მიუხედავად ამისა, საჭიროა შატოს და დამხმარე შენობების ძირითადი განახლება.

3. კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესი ილია II-ის მიერ უკვე მოწონებულია ლევილის მამულში არსებული შენობა გადაკეთებულ იქნეს სალოცავად.

4. ყოფილი მთავრობის ანდერძის მიხედვით, რომელიც ჩვენთვის სავალდებულოა, არქივი, ისევე როგორც ლევილის მამული, წარმოადგენს საქართველოს სრულ საკუთრებას.

არქივი მიბარებულია ჰარვარდის უნივერსიტეტში. მის ხელშეკრულებას ვადა გაუდის 2004 წელს. მანამდის მისი საქართველოში დაბრუნების იურიდიული და პრაქტიკული საკითხები უნდა იქნეს გაფორმებული.

დარჩენილი ნაწილი არქივის ინახება კომისიის განკარგულებაში და ისიც წარმოადგენს საქართველოს სრულ საკუთრებას. მისი ბედის შესახებ შესაძლებელია ახლავე დაეიწყოთ მოლაპარაკება. ეს არქივის ნაწილი საჭიროებს პრესერვაციას, გადარჩევას, კლასიფიკაციას და მიკროფილმების გადაღებას.

ამის კეთილსინდისიერად დაგვირგვინებისათვის საჭიროა გულწრფელი თანამშრომლობა.

გთხოვთ, ბატონო ედუარდ, მიიღოთ ჩვენი უღრმესი მადლობა და პატივისცემა.

აკაკი რამიშვილი  
ლეველის ქართული მამულის  
“სოსიეტეს” გამგე

მამია ბერიშვილი  
მთავრობის არქივის შემნახველი  
კომისიის თავმჯდომარე

5.03.1993 წ.”

პასუხმაც არ დააყოვნა:

“ლეველის ქართული მამულის “სოსიეტეს” გამგეს  
ბატონ აკაკი რამიშვილს  
მთავრობის არქივის შემნახველი კომისიის თავმჯდომარეს  
ბატონ მამია ბერიშვილს

პატივცემულო ბატონებო!

ჩემთვის ფრიად სასიამოვნო იყო თქვენი ამა წლის 5 მარტის  
წერილის გაცნობა, რომლითაც მთავრობის არქივისა  
და ლეველის მამულის, აგრეთვე ქართული ემიგრაციის სხვა  
საჭირობო საკითხების დროულად და კონსტრუქციულად  
გადაწყვეტის საქმიან წინადადებებს.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტთან ერთად  
გადავწყვიტეთ იენისის ბოლო დეკადაში საფრანგეთს გამოვგზავნოთ  
სამთავრობო დელეგაცია იუსტიციის მინისტრის ბატონ კონსტანტინე  
კემულარიას ხელმძღვანელობით, რათა ადგილზე უშუალო  
მოლაპარაკება აწარმოოს თქვენს წერილში დასმული საკითხების  
მოსაგვარებლად.

სამთავრობო დელეგაციის ჩამოსვლის შესტ თარიღს ცალკე  
გაცნობებთ.

იმედს გამოეთქვამ, რომ ლეველის ქართული მამულის  
გამგეობა და მთავრობის არქივის შემნახველი კომისია, საერთოდ,  
საფრანგეთის ქართული სათვისტომო საქართველოს სამთავრობო  
დელეგაციასთან გულწრფელი თანამშრომლობით ყველაფერს  
გააკეთებს ჩვენი საერთო ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ.

მოხარული ვარ ერთხელ კიდევ დაგიდასტუროთ ჩემი  
თქვენდამი ღრმა პატივისცემა და საუკეთესო სურვილები.

ედუარდ შევარდნაძე

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე,  
სახელმწიფოს მეთაური”.

ამას გარდა, საფრანგეთის დედაქალაქში გაიგზავნა მეორე  
წერილიც:



“მის აღმატებულებას, საფრანგეთის რესპუბლიკის  
პრეზიდენტს

ბატონ ფრანსუა მიტერანს

ღრმად პატივცემულ ბატონო პრეზიდენტო!

მაქვს პატივი უდიდესი პატივისცემის გრძნობით აღვნიშნო, რომ საქართველოსა და საფრანგეთს მრავალსაუკუნოვანი კულტურულ-ლიტერატურული, პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი და მეცნიერული ურთიერთობები აკავშირებთ. განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ამ ურთიერთობამ 1918-21 წლებში, როცა აღდგა საქართველოს დამოუკიდებლობა და იგი ერთ-ერთმა პირველმა ცნო საფრანგეთმა. მაგრამ 1921 წლის თებერვალში ჩვენმა ქვეყანამ დაკარგა ასე ნანატრი თავისუფლება და საქართველოს ეროვნული მთავრობა და პარლამენტი იძულებული გახდა ემიგრაციაში გახიზნულიყო. სწორედ მაშინ საფრანგეთი აღმოჩნდა ის ქვეყანა, რომელმაც შეიფარა ლტოლვილი ქართული ეროვნული მთავრობა და პარლამენტი, აგრეთვე, ცნობილი ქართველი პატრიოტი მოღვაწენი და ქართული ეროვნული სამუსეუმო განძიუელობა, რომელიც გენერალ დე გოლის დახმარებით, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, უკლებლივ დაუბრუნდა ჩვენს სამშობლოს.

საფრანგეთში თავშეფარებულმა საქართველოს ეროვნულმა მთავრობამ თან გაიტანა ეროვნული არქივი, რომელიც დღეს პარიზში ინახება, ხოლო პარიზთან ახლოს დაბა ლევილში 1920-იან წლებში შეიძინა მამული და შატო. საფრანგეთში შეიქმნა ერთ-ერთი ძლიერი და მრავალრიცხოვანი ქართული სათვისტომო, რომელსაც დიდი წვილილი შეაქვს ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობების განმტკიცებაში.

ქართველმა ხალხმა 70-წლიანი შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ კვლავ მოიპოვა დამოუკიდებლობა და გახდა 1918-21 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე, რომელიც მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოსთან ერთად ცნო საფრანგეთის რესპუბლიკამ თბილისში თავისი საელჩოს გახსნით. ასე რომ, საქართველოსა და საფრანგეთის რესპუბლიკებს შორის დაიწყო ახალი ურთიერთობების ერა, როგორც ორ დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოს შორის, რომელთაც დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ.

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტსა და მთავრობას განსრახული აქვს ამა წლის ივნისში საფრანგეთში გამოგზავნოს

სამთავრობო დელეგაცია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის ბატონ კონსტანტინე კემულარიას ხელმძღვანელობით ეროვნული არქივის სამშობლოში დაბრუნებისა და ლევილის მამულთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად.

იმედი გვაქვს თქვენი კეთილგანწყობისა და ამ საქმეში თქვენი თანადგომისა.

მიიღეთ ჩემგან გულწრფელი სალამი და საუკეთესო სურვილები.

ედუარდ შევარდნაძე  
საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე,  
სახელმწიფოს მეთაური  
25.05.93 წ."

მართლაც, 1993 წლის ივნისის ბოლოს, იუნესკოში საქართველოს გაწევრიანებასთან დაკავშირებით, პარიზში ჩავიდა საქართველოს სამთავრობო დელეგაცია (მასში მეც შევედი), რომელმაც იმავე წლის 7 ივლისს დაბა ლევილში ქართული ემიგრაციის თვალსაზრისით წარმომადგენლებთან და ლევილის ქართული მამულის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკების საფუძველზე გააფორმა შემდეგი შინაარსის შეთანხმება (სტილი დაცულია):

### “ კ ო მ უ ნ ი კ ე

ქ.პარიზი, მამული ლევილი  
ჩვენ ქვეით ხელისმომწერი ვადასტურებთ, რომ როგორც ერთი მხრივ ლევილის მამულის უძრავ სამოქალაქო სასოგადოებას “ქართული კერა”-ს წევრების სახელით ბატონი აკაკი რამიშვილი და ქ-ნი ნათელა ჟორდანიას, მეორეს მხრივ, საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლები, იუსტიციის მინისტრი ბ-ნი კოტე კემულარია, თბილისის უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი ბ-ნი როინ მეტრეველი, საქართველოს პარლამენტის წევრი ბ-ნი გურამ მუნაიძე, სრულიად ქართველთა კონგრესის პრეზიდენტი ბ-ნი რეზო ჩხეიძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი მთავრობის 7 წევრის, ბატონების ნოე ჟორდანიას, აკაკი ჩხენკელის, ნოე რამიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, ვეგენი გუგუჯკორის, სამსონ ფირცხალავას და კონსტანტინე კანდელაკის ხელისმომწერით, 1928 წლის 30 აპრილს შედგენილი ანდერძის პირობებს, რომ ლევილის მამული არის ნაყიდი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის





მთავრობის მიერ და ეკუთვნის საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას. 1958 წელს სასოგადოების კრებამ დაამტკიცა ერთხმად, რომ ლევილის მამული გადაცემოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ამასთან, უნდა იქნეს გათვალისწინებული შემდეგი პირობები: ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაცია: სრული დემოკრატიზაცია და ადამიანის უფლებების დაცვა, აგრეთვე ლევილის მამული უნდა გამოცხადდეს საქართველოს ელნის სასაფხულო რეზიდენციად, იმ პირობის უცილობელი დაცვით, რომ ლევილის ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს ემიგრანტების, მათი ოჯახის წევრების უფლებები, მათი სიცოცხლის ბოლომდე იქნეს შენარუნებული. ეს პირობები გავრცელდება პარიზში მცხოვრებ ემიგრანტ ქართველებზე, რომელნიც სარგებლობენ ბინებით ლევილის მამულის ტერიტორიაზე. ლევილის მამულის გამგეობამ და საქართველოს მთავრობამ არ უნდა დაუშვან ლევილის ტერიტორიაზე ბინის დაკავების ახალი შემთხვევები. პირველი მხარე იღებს თავისთავზე ვალდებულებას, მიაწოდოს საქართველოს რესპუბლიკას ლევილის მამულის ნასყიდობის და სხვა (მამულის გამგებლობასთან და ფლობასთან დაკავშირებული) დოკუმენტების ფოტოკოპირები. მეორე მხარე, კისრულობს ვალდებულებას დოკუმენტების პირების ანალიზის მიხედვით აწარმოოს ლევილის მამულის საქართველოსათვის გადაცემის მოსამზადებელი სამუშაოები. საქართველოს რესპუბლიკის კომისია თავს იღებს დააყენოს საკითხი საქართველოს მთავრობისა და ხელისუფლების წინაშე ნოე უორდანიას, ნოე რამიშვილის და სხვების სახელების უკვდავოფის შესახებ.

ლევილის მამულის გამგეობის სახელით	საქართველოს რესპუბლიკის სახელით
აკაკი რამიშვილი	კოტე კემულარია
ნათელა უორდანია	გურამ მუნიაიძე
	რეზო ჩხეიძე”.

ამ მეტად მნიშვნელოვანი შეთანხმების მიღწევას ორი თვის შემდეგ ლევილიდან მოჰყვა კვლავ ბატონების აკაკი რამიშვილისა და მამია ბერიშვილის 1993 წლის 23 სექტემბრის საყურადღებო წერილი ბატონ ე. შევარდნაძისადმი:

“ბატონ ედუარდ შევარდნაძეს  
პარლამენტის თავმჯდომარეს-სახელმწიფოს მეთაურს  
დიდად პატივცემულო ბატონო ედუარდ!

დიდად პატივცემულო ბატონო ელუარდ!

რამოდენიმე წელიწადია, რაც საფრანგეთში დიდი უფლებები გადაეცა ქალაქის გამგეობებს. ამიტომაც საშიშროება არსებობს მანამ, სანამ ლევილის ქართული მამული არ დაუბრუნდება საქართველოს.

ლევილის ქალაქის გამგეობას გეგმაში აქვს ქართული მამულის პარკი გამოიყენოს სხვადასხვა გასართობებისა და სპორტული მიზნებისათვის.

ნეენ კავშირი გვაქვს ამ რაიონის გარემოს კეთილმოწყობის მთავარ ინსპექტორთან. ის მონდომებულია მხარი დაგვიჭიროს გარემოს დაცვის სამინისტროში, რომ “შატოს პარკი ხელუხლებელი იყოს ლევილის ქალაქის მმართველობის მიერ.”

მისი რჩევით, ლევილის პარკის ხელუხლებლობას (protection) გააძლიერებს თუ გვექნება საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა.

თუ თქვენთვის მისაღები იქნება ამ ეროვნული საქმის მხარდაჭერა, ძალიან მადლობელი ვიქნებით თუ თქვენ გამოგზავნით მოკლე მიმართვას ფრანგულ ენაზე შემდეგ მისამართზე:

Monsieur le Ministre de L'Environnement,  
18 Avenue Carnot, 94234 Cachan Cedex, France

ვიციტ, რომ იმ დროს, როცა საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი თქვენზედ არის პირადად დამოკიდებული და თქვენთვის ყოველი წუთი ძვირფასი და საჭიროა, მაგრამ თუ თქვენ დაგვეხმარებით ამ ნეენს წინაშე წამოჭრილ საჭირო საქმის გადაჭრაში და ამისთვის იშოვნით რამდენიმე წუთს, დავრჩებით თქვენს წინაშე სამუდამოდ დავალებული.

გისურვებთ, ბატონო ელუარდ, ჯანმრთელობას და იმ მიზნების განხორციელებას, რაც თქვენზეა პირადად დამოკიდებული.

ულრმესი პატივისცემით

აკაკი რამიშვილი,  
ლევილის ქართული მამულის  
სახოგადოების გამგე

მამია ბერიშვილი,  
ლევილის ქართული მამულის  
ადმინისტრაციის თავმჯდომარე

27.9.93 წ.

10 Rue Jule Ferry, 91310 Leuville sur Orge, France”.

კინასარიძის სიტყვებით, “დღეს ღვევილის ქართული მამულის, ეროვნული კერის ბატონ-პატრონია ორი ორგანო, რომელთა წესდება, ე.ი. უფლება-მოვალეობა განსაზღვრულია იურიდიულად და დადასტურებულია სათანადო ფრანგული ორგანოების მიერ. ეს ორი ორგანოა -

1.”მესაკუთრეთა ასოციაცია”, რომელშიც შედიან აღნიშნული შვიდი პირის (იგულისხმება ნ.ჟორდანიას, ა.ნ.ხენკელის, ნ.რამიშვილის, ექ.თაყაიშვილის, ე.გუგუშვილის, ს.ფირცხალავას, კ.კანდელაკის, გ.შ.) მემკვიდრეები, და

2.”Foyer Georgien”-ის საზოგადოება, რომლის ადმინისტრაციული, ე.ი. მმართველი ორგანოა ქართული კერის ადმინისტრაცია, რომელშიც არსებულია ათი კაცი.

ამჯერად ღვევილის ქართული მამულის “მესაკუთრეთა ასოციაციისა” და ადმინისტრაციის პრეზიდენტია ბატონი ექიმი აკაკი რამიშვილი, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის ნოე რამიშვილის შვილი, ხოლო მისი მთადგილეა ნოე ჟორდანიას ქალიშვილი, ქალბატონი ნათელა ჟორდანიას; სვენი მოვალეობაა შევუწყობთ მათ ხელი მათ საქმიანობაში, რომ ღვევილის ქართული მამული გადაეცეს მის კანონიერ მესაკუთრეს - საქართველოს” (იხ. ჟურნ. “მებრძოლი საქართველო”, №22(40), გვ.46).

ყოველივე ამის შემდეგ ბ-ნი კინასარიძე დაასკვნის: “სვენი წმიდათაწმიდა მოვალეობაა ამ ქართული კერის არ მარტო მოვლა-პატრონობა, არამედ, ამასთანავე, მიზანდასახული მოქმედება, რომ ღვევილის ქართული მამული გადავიდეს საქართველოს, ქართველი ხალხის საკუთრებაში, რომ იგი საუკუნეების შემდეგაც, დარჩეს ქართველთა, განსაკუთრებით, სტუდენტთა ერთ-ერთ ცენტრად უცხოეთში, რაც იმავე დროს, ფრანგი და ქართველი ერების ერთ-ერთი მეგობრობის სიმბოლოც იქნება” (იქვე, გვ.47).

მიუხედავად ასეთი წინგადადგმული ნაბიჯებისა, საქმე მაინც ადგილიდან არ იძვროდა...



ეროვნული არქივის პარიზიდან სამშობლოში დაბრუნება

და აი, 1996 წლის 23–30 მარტს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბატონ ზურაბ უვანიას ხელმძღვანელობით, ახლადარჩეული საქართველოს პარლამენტის დელეგაცია ოფიციალური ვიზიტით ეწვია საფრანგეთს. ამ დელეგაციის ერთ-ერთი წევრი მეც გახლდით.

საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი პარლამენტარიზმის მდიდარი ტრადიციების მქონე ქვეყანაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რომელიც მოასწავებდა, რომ საქართველო მყარად იმკვიდრებს ადგილს მსოფლიო ხალხთა თანამეგობრობაში, საფრანგეთი მიესალმება საქართველოში სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა და დემოკრატიის განვითარების პროცესს, მხარს უჭერს საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს.

საქართველოს საპარლამენტო დელეგაციამ, პირველ რიგში, მონახულა ლევილის ქართველთა სასაფლაო, სადაც განისვენებენ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და პოლიტიკური ემიგრაციის წევრები.

ბატონმა ზურაბ უვანიამ გვირგვინით შეამკო ნოე უორდანიას საფლავი.

“ზენ აქ ვართ, რათა ქედი მოვიხაროთ იმათი საფლავების წინაშე, ვინც დააფუძნა პირველი რესპუბლიკა, პირველად დააარსა ცნება “ქართული დემოკრატია”, – აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

ლევილის ქართველთა სასაფლაოს მონახულების შემდეგ ლევილის შატოს პირველ სართულზე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დარბაზში დელეგაციას გულთბილი შეხვედრა მოუწვევს საფრანგეთის ქართული სათვისტომოს წარმომადგენლებმა, მათ შორის, საარქივო კომისიის თავმჯდომარემ მამია ბერიშვილმა, საარქივო კომისიის წევრმა კარლო ინასარიძემ, სათვისტომოს თავმჯდომარის ბატონ ნოდარ ოდიშელიძის ხელმძღვანელობით.

ლევილში ქართული სათვისტომოს წარმომადგენლებთან





ნოე უორდანიას საფულავთან ლევილში. 1996 წლის მარტი



საფრანგეთის ქართული საოცისტოძის  
პრეზიდენტის ნოდარ ოდიშორას  
გამოსვლა ლევილში  
ზურაბ უჯანიასთან შეხვედრისას.  
1996 წლის მარტი



ზურაბ ჟეიჯია და გურამ შარაძე ლეგიონის ქართულ სამკობხელოში. 1996 წლის მარტი



საფრანგეთის ეროვნული  
ასამბლეის თავმჯდომარესთან  
ფილიპ სეკურთან მიღებაზე  
პარიზი. 1996 წლის მარტი

შეხვედრას დელეგაციის წევრებთან ერთად ესწრებოდნენ ქეთევან ბაგრატიონი, საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბერნარ ფასიე და საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთში გონა ნოგოვაძე.

“ჩვენ მივესალმებით საქართველოს პარლამენტის ოფიციალური დელეგაციის პირველ წამობრძანებას ლევილის მამულში. ჩვენთვის ეს დაუვიწყარი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა”, – ერთხმად აღნიშნეს ქართული სათვისტომოს წარმომადგენლებმა.

“საფრანგეთის ქართული სათვისტომო საქართველოს განუყოფელი ნაწილია! მათ, ვინც ათეული წლების განმავლობაში შეინარსუნეს ქართული ემიგრაციის წმიდათა–წმიდა იდეალები, უნდა მიენიჭოთ საქართველოს საპატიო მოქალაქის წოდება და ის სტატუსი, რომელიც საშუალებას მისცემთ, აქტიური მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეში. უახლოეს მომავალში შეიქმნება სპეციალური მემორიალური კომიტეტი, რომელშიც შევლენ ქართული სათვისტომოს წარმომადგენლები. სწორედ ეს კომიტეტი გადაწყვეტს საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მემკვიდრეობის, ლევილის მამულისა და არქივის საქართველოსთვის გადაცემის საკითხს”, – აღნიშნა ბატონმა ზურაბ ჟვანიამ.

• “საფრანგეთის ქართული სათვისტომოს ინიციატივით 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტის დაბრუნება თბილისში, დღევანდელი საქართველოს რესპუბლიკასა და 1918 წლის რესპუბლიკას შორის აღდგენილი ურთიერთობის ერთიანი სიმბოლო იქნება. ჩვენ მხარს დავუჭერთ საქართველოს პრეზიდენტის ყველა ინიციატივას, რომელიც განამტკიცებს საქართველოს დამოუკიდებლობას”, – აღნიშნა, თავის მხრივ, საფრანგეთში ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარემ ნოდარ ოდიშელიძემ.

ერთიანობისა და თანადგომის იმედით დასრულდა შეხვედრა ლევილის ქართველთა მამულში. 24 მარტის საღამოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას სახელით საქართველოს საელჩოში გაიმართა ოფიციალური მიღება (შდრ. “პარლამენტის უწყებანი”, №004, 04.04.96).

არსებითად, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბ–ნ ზურაბ ჟვანიას მაშინ დაკავებულმა აქტიურმა პოზიციამ და საქართველოს პარლამენტის ავტორიტეტმა გადაწყვიტა ეროვნული არქივის სამშობლოში დაბრუნების ბედი!


საფრანგეთიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ შევეუდეთ მოსამსახდებელ სამუშაოებს ეროვნული არქივის ჩამოსატანად. თითქმის ყოველდღიური კონტაქტები გვექონდა საარქივო კომისიის თავმჯდომარესთან ბატონ მამია ბერიშვილთან და მის ვაჟთან ტიერ ბერიშვილთან ლევილში, აგრეთვე, საარქივო კომისიის წევრთან ბატონ კარლო ინასარიძესთან მიუნხენში.

ამავე პერიოდში საქართველოს პარლამენტის ცხოვრებაში მოხდა ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა:

1996 წლის ნოემბერში საქართველოს პარლამენტში საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს პირველი რესპუბლიკის სახელობის დარბაზი. საზეიმო ცერემონიალში მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ უვანია, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ელდარ შენგელაია, საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეები, დეპუტატები, საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბერნარ ფასიე. პირველი რესპუბლიკის სახელობის დარბაზის ღონისძიების გაჭრა წილად ხვდა ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელს, პარიზში მცხოვრებ სვენს თანამემამულეს ბატონ მამია ბერიშვილს, რომელმაც საქართველოს პარლამენტს გადასცა საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი რელიქვია, დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია, პროექტი, ერთა ლიგის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს აღიარების აქტი და 40-მდე მნიშვნელოვანი დოკუმენტი.

საზეიმო შეხვედრის მონაწილეებს სიტყვით მიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ უვანიამ: “დღევანდელი დღე უმნიშვნელოვანესი მოვლენაა საქართველოსათვის, იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოში ხდება ისტორიული კანონისომიერების აღდგენა. სვენ კიდევ ერთხელ ვაღიარებთ იმას, რომ დღევანდელი ქართული დემოკრატია ეფუძნება პრინციპებს, სასრდლობს ფესვებით, რომლებიც მომდინარეობენ იმ ადამიანების მიერ შექმნილი ტრადიციებისაგან, რომელთა პორტრეტებიც ამჟღავნებს ამ დარბაზს.

სვენ გვეამაყება, რომ ქართველებს შეგვიძლია ვიხმაროთ გამოთქმა – პირველი ქართული რესპუბლიკა, რომელმაც ჩაუყარა საფუძველი ქართული დემოკრატიის არსებობას მსოფლიოს



მამა ბერიშვილი საქართველოს პარლამენტში


მამია ბერიშვილი საქართველოს პარლამენტის ბიუროს წევრებთან შეხვედრის დროს






მამია ბერძენიძე პრეზიდენტ  
ელეონორ შვედენბახთან საქართველოს  
საპატიო მოქალაქეობის  
მიღების დროს

პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დარბაზის გახსნა საქართველოს პარლამენტში





ნოე უორდანიას  
ბარელიეფის გახსნა  
საქართველოს პარლამენტში

დემოკრატებს შორის. სამწუხაროდ, მოგეხსენებათ, რომ პირველი დემოკრატიის ბედი იყო ძალზე ტრაგიკული. ჩვენ დღეს დარწმუნებული ვართ, რომ ბევრად უფრო სიცოცხლისუნარიან დემოკრატიულ სახელმწიფოს ვქმნით, მაგრამ ჩვენი მომავალი წარმატება და წინსვლა წარმოუდგენელი იქნებოდა იმის გარეშე, რომ პატივი არ მიგვეცო ადამიანებისათვის, ვინც დიდებულად გაიარა გზა, რომელ გზაზეც ჩვენ ყველა ერთად მივდივართ”, – განაცხადა ბატონმა ზურაბ ჟვანიამ. შეხვედრის მონაწილეებს მიესალმა ბატონი მამია ბერიშვილი: “ჩემი ცხოვრების უდიდეს დღედ ვთვლი დღევანდელ დღეს, რადგან მედირსა დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტის წევრებთან და თაემჯდომარესთან შეხვედრა. ბავშვობიდან ძალიან დავინახე, რადგან ჩემი სანათესაოდან 76 ადამიანი დაიხვრიტა. მე დღეს ბედნიერი ადამიანი ვარ. პატიოსან სიტყვას გაძღვეთ, რომ ჩემს დარჩენილ წლებს საქართველოს სამსახურს მოვახმარ. გასაკეთებელი ჯერ კიდევ ძალიან ბევრი გვაქვს, მოსაგვარებელია ლევილის მამულის, საქართველოს ეროვნული მთავრობის არქივის საქმეები. გისურვებთ, რომ საქართველო სრულიად დამოუკიდებელი, სრულიად დემოკრატიული და უსრუნველყოფილი

იდგეს მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს შორის”.

შეხვედრაზე მისასაღმებელი სიტყვა მეც წარმოეთქვი.

შეხვედრის დასასრულს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ და დეპუტატებმა დაათვალიერეს პარლამენტის მეორე სართულის ფოიე, სადაც განთავსებულია დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების აქტი. აქვე აღიმართება საქართველოს პირველი პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას ბიუსტი (მდრ. “პარლამენტის უწყებანი”, №25-26, 06.11.96). ბარემ აქვე ვიტყვი, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ვლადიმერ ლომიძემ და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ სურაბ ჟვანიამ პარლამენტის წევრების მონაწილეობით ნოე ჟორდანიას ბიუსტი (მოქანდაკე საქარაია) გახსნეს 1998 წლის 3 თებერვალს.

საფრანგეთში დაბრუნებული ბატონი მამია ბერიშვილი შეუდგა ლევილში არქივის სამშობლოში წამოსაღებად გამზადებას და მისგან თანხმობის მიღებისთანავე 1996 წლის 11 დეკემბერს მე და პარლამენტის წევრი ბატონი დილარ ხაბულიანი ფრანგულის სპეციალისტთან ბატონ ალექსანდრე ბურჯანაძესთან ერთად თბილისიდან პარიზს გაფურინდით.

აქ მკითხველს თავს არ შეგაწყენო, თუ რა წინააღმდეგობების გადალახვა მოგვიხდა ლევილიდან არქივის წამოსაღებად, მაგრამ ერთი კი უნდა ითქვას სრულიად აშკარად და დაუფარავად: თუ არა ბატონი მამია ბერიშვილის და მასთან ერთად, ტიერ ბერიშვილის დიდი მონდომება და მხარდაჭერა, არქივს წყენ იქედან ვერ წამოვიღებდით. სამართლიანობა მოითხოვს ისიც აღვნიშნოთ, რომ ბოლო გადამწვეკტ ეტაპზე წყენსკენ გადმოიხარა ქართული სათვისტომოს თავმჯდომარეც ბ-ნი ნოდარ ოდიშელიძე და მადლობის მეტი რა გვეთქმის!

ასე იყო თუ ისე, 1997 წლის 18 დეკემბერს, დილით, ქართული ავიაკომპანია “ორბის” თვითმფრინავმა სანუკეარი ტვირთით გასი პარიზიდან თბილისისკენ აიღო! წყენთან ერთად მოფრინავდა ბატონი მამია ბერიშვილიც!

გვიან ღამით საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთვარობის ეროვნული არქივი, რომელიც ნახევარ ტონაზე მეტს იწონიდა, უკვე თბილისის აეროპორტში იყო, სადაც პარლამენტის თავმჯდომარემ სურაბ ჟვანიამ, პარლამენტის წევრებმა და ქართველმა სასოგადოებრიობამ გულიდათი შეხვედრა მოგვიწყო! იქვე გაიმართა სახელდახელო ბრიფინგი ჟურნალისტებთან.





Հանրիկ մահու ևս շուտիս պիտուածորնա շրջանցո սրկիյի Կանոցկոսի 1990 Արտի 18 Կանոցկոս  
տնայոսիս պիտուածորնա Կանոցկոս





დასვენა იბიელიძის ეპიტოფები 1996 წლის 18 დეკემბერი  
კათალიკოსი ბერი ივანე საქართველოს კარდინალთან დასვენებულად



პირველი სიტყვა წარმოთქვა ბატონმა ზურაბ ჟვანიამ:

“საქართველოს ეროვნული არქივის დაბრუნებით დაიწყო პროცესი, როდესაც საქართველოს უბრუნდება თავისი ისტორიული მესხიერება. ეს აქტი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური აქტია.

როცა ჩვენ ვამბობთ, რომ დღევანდელი ქართული დემოკრატია არის პირველი ქართული რესპუბლიკის, პირველი ქართული დემოკრატიის მემკვიდრე, ჩვენ ვთვლით, რომ ეს მოვლენა არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიმბოლური გამოხატულება ჩვენი ერთიანობისა”, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ ბრიფინგზე. ბატონმა ზურაბ ჟვანიამ უდიდესი შეფასება მისცა ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლისა და საარქივო კომისიის თავმჯდომარის ბატონ მამია ბერიჭიელისა და მასთან ერთად ჩვენს ძალისხმევას. პარლამენტის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ, მიუხედავად გარკვეული წინააღმდეგობისა, ერთობლივი ძალისხმევით დაძლეულ იქნა სირთულეები, რომლებიც თან ახლდა არქივის პარიზული ნაწილის სამშობლოში დაბრუნებას და იგი მის კანონიერ მფლობელს – ქართველ ხალხს დაუბრუნდა.

“ნაბიჯი, რომელიც ახლა გადაიდგა, თამამად შეიძლება შევადაროთ იმ ნაბიჯს, რომელიც თავის დროზე გადადგა ექვთიმე იაყაიშვილმა და არა მგონია, რომ ეროვნულ არქივს ნაკლები ღირებულება ჰქონდეს, ვიდრე იმ განძს, რომელიც 40-იან წლებში ბატონი ექვთიმე იაყაიშვილის თაოსნობით დაუბრუნდა ჩვენს ქვეყანას”, – აღნიშნა ზურაბ ჟვანიამ.

ჩვენ ბრიფინგზე დეტალური ინფორმაცია მივაწოდეთ საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლებს არქივის საქართველოდან გატანის, მისი ადგილსამყოფელისა და დაბრუნების პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ...

“ეროვნული არქივის ნაწილი, რომელიც საქართველოს დაუბრუნდა, ინახებოდა პარიზში, ნაწილი კი, ჯერ კიდევ ჰარვარდის უნივერსიტეტშია დაცული და უახლოეს ხანში მის კანონიერ მემკვიდრეს – ქართველ ხალხს დაუბრუნდება” – განაცხადავთ ჩვენ.

“მე მსურს გითხრათ, რომ ის მოვალეობა, რომელიც მე საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობამ დამაკისრა, სრულდება და მე ვერაფერს გაეხდებოდი პარლამენტის

თავმჯდომარის ბატონ ზურაბ ჟვანიას და საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის ბატონ გურამ შარაძის გარეშე. ეფიცავ, რომ ჩემი სიცოცხლის დარჩენილ წლებს, რომელიც საქართველოს შევწირე, მასვე მოვახმარ,” – ამ სიტყვებით დაამთავრა თავისი გამოსვლა ბატონმა მამია ბერიშვილმა (შდრ. “პარლამენტის უწყებანი”, №30–31, 25.12.96).

საპატიო ესკორტის თანხლებით ეროვნულმა არქივმა იმავე დამეს ბინა საქართველოს პარლამენტის შენობაში დაიდო!

...სულ რაღაც რამდენიმე დღის შემდეგ, 1997 წლის 22 დეკემბერს, საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა შემდეგი ბრძანებულება:

“საფრანგეთიდან საქართველოში დაბრუნებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის (1918–1921 წწ.) არქივის მიღების, შენახვისა და დაცვის შესაბამისი პირობების უზრუნველსაყოფად შექმნილი სახელმწიფო კომისიის შესახებ:

1. ქართველი ხალხის კანონიერი უფლებით, საფრანგეთში ქართული სათვისტომოს კეთილი ნებით და საქართველოს ხელმძღვანელობის მრავალწლიანი ძალისხმევით საფრანგეთიდან საქართველოში დაბრუნებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918–1921 წწ.) არქივის მიღების, შენახვისა და დაცვის შესაბამისი პირობების უზრუნველსაყოფად შეიქმნას სახელმწიფო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

**გურამ შარაძე** – საქართველოს პარლამენტის მიგრაციისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეების კომიტეტის თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარე.

**ზურაბ მახარაძე** – საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

**ზაზა აღდექსიძე** – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი.

**ანდრია აფაქიძე** – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

**ზურაბ ჟვანია** – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის დირექტორი.

**ილია ტაბაღუა** – ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.



საქართველოს პარტიის ცენტრის  
 მისამართი: 1996 წლის 22 დეკემბერი  
 მისამართი № 23  
 ქ. თბილისი

**საქართველოს პარტიის ცენტრის  
 განცხადება**

1996 წლის 22 დეკემბერი

თბილისი

საფრანგულიდან საქართველოში დაბრუნებული საქართველოს  
 დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის (1918-1921 წწ.)  
 არქივის მიღების, შენახვისა და დაცვის შესაბამისი პირობების  
 უზრუნველსაყოფად შექმნილი სახელმწიფო კომისიის შესახებ

1. ქართული ხალხის კანონიერი უფლებით, საფრანგეთში ქართული სათ-  
 ვისტიკოსო კუთრი ნებით და საქართველოს ხელმძღვანელობის მრავალწლიანი  
 ძალისხმევით საფრანგეთიდან საქართველოში დაბრუნებული საქართველოს  
 დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის (1918-1921 წწ.) არქივის მიღ-  
 ების, შენახვისა და დაცვის შესაბამისი პირობების უზრუნველსაყოფად შე-  
 იქმნას სახელმწიფო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ბერაბ შარაძე - საქართველოს პარლამენტის მიგრაციისა  
 და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა  
 საქმეების კომიტეტის თავმჯდომარე,  
 კომისიის თავმჯდომარე
- ზურაბ შახარაძე - საქართველოს საარქივო სახელმწიფო  
 დეპარტამენტის თავმჯდომარე,  
 კომისიის თავმჯდომარის მოადგილე
- ხახა ბლექსიძე - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
 ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი
- ანდრია ავაქიძე - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
 უცვლელ-პრეზიდენტი
- ზურაბ ვეანიძე - საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო  
 საისტორიო არქივის დირექტორი
- ილია ტაბაღლა - ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო-  
 კულტურული ინსტიტუტის დირექტორი
- ივანე შენგელაია - საქართველოს პრეზიდენტის არქივის უფროსი.

2. კომისიამ არსებული წესით უზრუნველყოს ზემოაღნიშნული საარქივო  
 კულტურული სახელმწიფო დაცვა.

3. კომისიამ თანამშრომლის საფრანგეთში ამ არქივის კომისიის თავ-  
 მჯდომარისა, საქართველოს საპატრიოტო მოღვაწე მამია ბერიძევიდან და  
 საფრანგეთის ქართულ სათვისტომოსთან (პრეზიდენტი ბატონი ნოდარ ოდიშ-  
 ელიძე), რომელთაც დაცვის არქივი და სამშობლოს წებმუნებას

ი შევარდნაძე  
 2 დეკემბერი 1996

პრეზიდენტი ელუარდ შევარდნაძის 1996 წლის 22 დეკემბრის განკარგულება

### შეთანხმება-დადგენილება

ჩვენ, დღევანდელი დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტის ვიცე-პრეზიდიენტი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი მთავრობის ანდერძ-დადგენილების დებულებების მიზანდასრულების მიზნით დასაყრდენებისაგან გადასარჩენად უცხოეთში გახიზნული საქართველოს არქივის ნამდვილი პატრონისთვის - დღევანდელი დამოუკიდებელი საქართველოსათვის დაბრუნების თაობაზე - ყოველგვარანაირ შემსწორების გარეშე ყიდვით საკადრებულოდ და სახელმძღვანელოდ, მისი პირდაპირად შესრულების გარანტიად ყველი პირობის დარღვევის შემთხვევაში წარუდგას საქონლის მფლობელის სასამართლოს წინაშე, როგორც ანდერძის შესრულების დასრულებული ხაზის საპირისპირო დამნაშავე მხარე.

ეს შეთანხმება - დადგენილება ძალაში შედის დღიდან ხელმოწერისა და კონსენსუსის მქონე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის და მკონსენსუსის მქონე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი მთავრობის არქივის შესწავლილი კომისიის თავმჯდომარის მიერ.

საქართველოს პარლამენტის  
თავმჯდომარე

ბ. ჯიჯია

ზურაბ ჟვანია



საქართველოს დემოკრატიული  
რესპუბლიკის ყოფილი მთავრობის არქივის  
შესწავლილი კომისიის თავმჯდომარე

მამია ბერიშვილი

მამია ბერიშვილი

შეთანხმება პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანიას და სარჩეო კომისიის თავმჯდომარე მამია ბერიშვილის შორის. თბილისი, 1997 წლის 27 თებერვალი

ივანე შენგელაია – საქართველოს პრეზიდენტის არქივის უფროსი.

2. კომისიამ არსებული წესით უზრუნველყოს 'ხემალი' მხუდლი ხარკივო დოკუმენტების სახელმწიფო დაცვა.


3. კომისიამ ითანამშრომლოს საფრანგეთში ამ არქივის კომისიის თავმჯდომარესთან, საქართველოს საპატიო მოქალაქე მამია ბერიშვილთან და საფრანგეთის ქართულ სათვისტომოსთან (პრეზიდენტი – ბატონი ნოდარ ოდიშელიძე), რომელთაც დაიცვეს არქივი და სამშობლოს შემოუნახეს.

## ე. შევარდნაძე".

1997 წლის 8 იანვარს მოხდა საქართველოს პარლამენტში საგანგებოდ გამოყოფილ ოთახში დაღუქული ეროვნული არქივის გახსნა. სასეიმო ცერემონიალს დაესწრნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, ბატონი მამია ბერიშვილი, პარლამენტის წევრები, საქართველოს პრეზიდენტის საგანგებო ბრძანებულებით შექმნილი არქივის შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის წევრები...

როგორც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ თავის სიტყვაში აღნიშნა, არქივს, რომლის გარეშეც ვერ დაიწერება მე-20 საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ისტორია, უდიდესი სამეცნიერო ღირებულება აქვს და ეს დღე უბრწყინვალესი ასოებით ნაიწერება საქართველოს ისტორიაში. ბატონმა ზურაბ ჟვანიამ აღნიშნა, რომ კომისია, რომელიც იმუშავებს არქივის აღრიცხვასა და შესწავლაზე, სისტემატურად მიაწვდის ინფორმაციას საზოგადოებას ამ უძვირფასესი მასალების შესახებ.

ნემს გამოსვლაში ვთქვი, რომ უკვე მიმდინარეობს მუშაობა და ახლო მომავალში საქართველოში ჩამოვიტანთ არქივის იმ ნაწილსაც, რომელიც ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში, კარვარდის უნივერსიტეტში ინახება და ამით არქივი საბოლოოდ გამთლიანდება. დამსწრეთ ყურადღება მივაქციე აგრეთვე იმ გარემოებას, რომ, სამთავრობო არქივის გარდა, საქართველოში ჩამოვიტანეთ ქართული მეცნიერების ისეთ კორიფეთა პირადი არქივები და სამეცნიერო მემკვიდრეობა, როგორებიც არიან ვიქტორ ნოზაძე, ზურაბ ავალიშვილი და მიხაკო წერეთელი, აგრეთვე ემიგრაციაში წასული გენიალური ქართველი მწერლის გრიგოლ რობაქიძის არქივის ერთი ნაწილი (მდრ. "პარლამენტის



მამია ბერიშვილი და გურამ შარაძე საქართველოს პარლამენტში არქივის დოკუმენტების გაცნობისას

მამია ბერიშვილი საქართველოს პარლამენტში საარქივო კომისიის წევრებთან ერთად







მამია ბერიშვილი სტუმრად სარჩევო კომისიის წევრებთან

„უწყებანი“, №1-2(33-34), 22.01.97).

საქართველოს პრეზიდენტმა ელეონორე შვედარდნაძემ 1996 წლის 10 ნოემბრის №732 ბრძანებულებით ქართველი ერის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის, რაც გამოიხატა ეროვნული არქივის მოვლა-პატრონობასა და გადარჩენაში, ბატონ მამია ბერიშვილს მიანიჭა საქართველოს საპატიო მოქალაქის წოდება. ამასთან დაკავშირებით ბატონმა პრეზიდენტმა 1997 წლის იანვარში ბატონი მამია ბერიშვილი მიიღო თავის რეზიდენციაში და გადასცა საქართველოს საპატიო მოქალაქის დიპლომი და ოქროს მედალი.



როგორ ჩამოვიტანე ვიქტორ ნოზაძის არქივი

სანამ ერთვნული არქივის კარვარდული ნაწილის საქართველოში ჩამოტანის ამბების თხრობაზე გადავიდოდეთ, აქ ვისაუბრებთ პარიზიდან (ლეველიდან) მთავრობის არქივიდან ერთად ვიქტორ ნოზაძის პირადი არქივის სამშობლოში დაბრუნების შესახებ.

...ემიგრაციაში მოღვაწე დიდი ქართველი მეცნიერი-რუსთველოლოგის და პოლიტიკური მოღვაწის ვიქტორ ნოზაძის (1893–1975 წწ.) არქივის ბედით ჯერ კიდევ 1989 წლიდან დაეინტერესდით, როდესაც სამეცნიერო მივლინებით ჩავედით საფრანგეთში, კერძოდ პარიზსა და ლეველში და შევეუდექით აქაური ემიგრანტული არქივების მოძიებასა და გაცნობას. ამ მხრივ განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა გიორგი და ლიდა ნოზაძეების დახმარება მაშინ უკვე განსვენებული ვიქტორ ნოზაძის არქივის შესასწავლად. აი, რას ეწერდი 1989 წელს ჩემს “ფრანგულ დღიურში”:


“გიორგი და ლიდა ნოზაძეები ცნობილი რუსთველოლოგის ვიქტორ ნოზაძის უმცროსი ძმა და რძალია. ორივე მხნედ და ღამაზად გამოიყურება, მიუღიათ ამას წინათ გასეთ “თბილისში” გამოქვეყნებული ნემი სტატია მათს მოღვაწეობაზე, ძლიერ გახარებით, ქსეროქსით გაუმრავლებიათ და აქაური ქართველებისთვის დაურიგებიათ. ქ-ნი ლიდა ხუმრობდა, გიორგიმ თქვა, ამდენი თუ მქონდა გაკეთებული, აღარც მახსოვდაო. ბ-ნი გიორგი ნოზაძე ქართული ხელოვნების მოყვარული და გულშემატკივარი ბრძანდება. გამოქვეყნებული აქვს წერილები ქართულ ხელოვნებაზე. ცხოვრების გრძელ და საინტერესო გასაზე მათ გამოსწავლილ მხატვართა (დადო გუდიაშვილი, დავით კაკაბაძე, ფელიქს ვარლამიშვილი, ვერა ფაღავა, ვანო ენუქიძე) ნამუშევრების ძვირფასი კოლექცია შეუგროვებიათ...

დიდი ღვაწლი და ამაგი დასდეს ლიდა და გიორგი ნოზაძეებმა სახელოვან მეცნიერსა და პოლიტიკურ მოღვაწეს ვიქტორ ნოზაძეს. ისინი მორალურად და ფინანსურად



ვიქტორ ნოზაძე

ესმარებოდნენ ვ.ნოზაძეს სამეცნიერო მუშაობასა და ნაშრომების გამოქვეყნებაში. ცხადია, დიდი იყო ჩემი ინტერესი ვიქტორ ნოზაძის არქივისადმი. გულუხვნი გამოდგნენ ჩემი მასპინძლები: მათ ერთბაშად გადმომცეს ვიქტორ ნოზაძის პირადი არქივის მათთან დარჩენილი ნაწილი (ხელნაწერი შრომები, სხვადასხვა ავტორთა ლექსების ავტოგრაფები, პირადი წერილები, კერძოდ, რომის პაპის, გრიგოლ რობაქიძის, კალ. საღიას, გ.გამყრელიძის და სხვათა), ვიქტორისეული ბიბლიოთეკის რამდენიმე წიგნი (მთ შორის, ვეფხისტყაოსნის 1957 წლის გამოცემა, რომელსაც ახლავს ვ.ნოზაძის ხელით ფანქრით მიწერილი შესწორებანი, რომლებიც უდავოდ საინტერესო უნდა იყოს რუსთაველის პოემის ტექსტის მეცნიერულად დამდგენთათვის), საოჯახო აღბომის



ლილა შარაშიძე-ნოზაძისა და გიორგი ნოზაძე

გზა ლევილის შატოსაკენ (გ. შარაძის ფოტო)





ვიქტორ ნოზაძე

ფოტოსურათები, ვიქტორისეული სტამბის შრიფტისა და კლიშეების ნიმუშები, აგრეთვე ვიქტორ ნოზაძის მემორიალური ნივთები: ხათვალეები, საწერკალამი, ჩიბუხი, ქარვის მუნდშტუკი, საფულე-პორტმანე. გამადიდებელი შუშა (ღუპა), კალკულატორი... ყველაფერი ეს ვიქტორისეულ ძველ ნემოდანში ჩამოწყვეს და საქართველოში გამომატანეს. მაგრამ ღვევიდში დარჩა ვ.ნოზაძის პირადი ბიბლიოთეკის კეთონილი ბევრი წიგნი, რომლებიც ინახება შატოს სხვენზე და წიგნთსაცავში. ამას გარდა, რაც მთავარია, ვიქტორ ნოზაძის პირადი არქივის დიდი ნაწილი დაცულია ასლახან (1986 წ.) გარდაცვლილი პოეტ გიორგი ყიფიანის ბინაში, რომელიც აქვე, შატოს მანსარდშია და ამჟამად დაღუპულია.


აღბათ, მიზეზს იკითხავს მკითხველი: რა უნდა ვ.ნოზაძის არქივს პოეტ გიორგი ყიფიანის ბინაში, როცა აქვე მისი ძმა და რძალი ცხოვრობენ და რატომ არის ამჟამად დაღუპული?

საქმე ის გახლავთ, რომ ვიქტორ ნოზაძის გარდაცვალების (1975 წ.) შემდეგ მისი უერნალის "კაეკასიონის" გამოცემა იკისრა



ლიდა და გიორგი ნოზაძეების სამხატვრო სალონი ლევილში

სტუმრად ლევილში. მარჯვნიდან: გიორგი ნოზაძე, მიხეილ ვაშაძე, ლიდა ნოზაძე, გურამ შარაძე



პოეტმა გიორგი ყიფიანმა და გამოსცა “კავკასიონის” XVIII (პარიზი, 1976), XIX (პარიზი, 1978), XX (1981) და XXI (პარიზი, 1986) ნომრები, რომლებშიც სხვა მასალებთან ერთად აქვეყნებდა მასალებს ვიქტორ ნოზაძის არქივიდან. ამიტომ ინახებოდა მასთან ვიქტორისეული არქივი. 1986 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა გიორგი ყიფიანი, ოჯახურ პრობლემებთან დაკავშირებით მისი ბინა დღემდე დაღუპულია და სანამ სასამართლო საქმეს არ გადაწყვეტს, შეუძლებელი ხდება ბინაში შესვლა, სადაც თვით ყიფიანის საინტერესო არქივთან ჩარჩა ვიქტორ ნოზაძის არქივიც. ამიტომ ბატონმა გიორგი ნოზაძემ მომცა ნოტარიული წესით დამოწმებული ასეთი შინაარსის დოკუმენტი:

“პარიზი – ლევილი 30 სექტემბერი 1989 წ. საქართველოს რუსკუბლიკის მთავრობას!

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას!

ჩემს უფროს ძმას – ვიქტორ ნოზაძეს, რუსთველოლოგს, დარჩა არქივი, რომლის ჩემთან დარჩენილ ერთ ნაწილს ვატან საქართველოში პროფ. გურამ შარაძეს, რომელიც ამჟამად მივლინებით აქ იმყოფება. არქივის დარჩენილი ნაწილი ინახება აწ განსვენებულ პოეტის გიორგი ყიფიანის ბინაზე, რომელიც ჯერჯერობით დაღუპულია და როგორც ვფიქრობ ამ რამდენიმე თვეში გაიხსნება და გადაეცემა ბატონ გურამ შარაძეს საქართველოში წასაღებად. მასვე ვანდობ მისი შრომების გამოცემას. პატივისცემით გიორგი ნოზაძე”.

ბ–ნმა გიორგი ნოზაძემ არც თავისი პირადი არქივი დაიშურა და გადმომცა თავისი რამდენიმე საინტერესო ხელნაწერი შრომა, მათ შორის, “ათონის მთაზე მოგზაურობის დღიური” და მის მიერ გადაღებული ფერადი დიაპოზიტივები, “დავით გურამიშვილი და მისი დრო”, საკუთარი ლექსები, როგორც ხელნაწერი, ისე დაბეჭდილი მიხეილ წუბინიძის სახელით, ინტერვიუ დავით კაკაბაძეზე და სხვ.

მეორედ ლევილში ჩავედი 1991 წლის ზაფხულში და ბუნებრივია, კვლავ მაინტერესებდა გიორგი და ლიდა ნოზაძეების მხატვრული კოლექციისა და განსვენებულ პოეტ გიორგი ყიფიანის ბინაზე დარჩენილ ვიქტორ ნოზაძის არქივის ბედი.

საქმე ისაა, რომ გიორგი და ლიდა ნოზაძეებმა თავიანთი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე შეაგროვეს პარიზში მოღვაწე



ლიდა შარაშიძე-ნოზაძისა. ლევილი, 1989 (გ. შარაძის ფოტო)

ქართველ მხატვართა (ლადო გუდიაშვილი, დავით კაკაბაძე, ფელიქს ვარლამიშვილი, ვერა ფაღავა, ვანო ენუქიძე) ნამუშევრების მეტად საინტერესო და ძვირფასი კოლექცია, რომელიც მათ ლევილში, თავიანთ სალონში კქონდათ გამოფენილი და ყოველი მნახველის თვალსა და გულს ახარებდა. ცხრა ათეულ წელს მიღწეულმა სათნო მოხუცებმა 1989 წლის შემოდგომაზე ლევილში ერთ-ერთი სტუმრობის დროს გადმომცეს ასეთი შინაარსის დოკუმენტი:

“1 მარტი, 1988 წ. ლევილის ქართული მამული

ჩვენი ანდერძი:

ჩვენ, ქვემოთე ამის ხელის მომწერი ლიდა შარაშიძე-ნოზაძისა და გიორგი ნოზაძე, მცხოვრებნი ლევილის ქართულ მამულში, ვტოვებთ შემდეგი შინაარსის ანდერძს:

ჩვენი გარდაცვალების შემდეგ, ჩვენს ბინაზე არსებულ ავეჯს



ეუტოვებთ ჩვენს ნათესავებს ნიკი მამულაიშვილს და ნინო ალშიბაიას. მათვე ვავალდებულებთ ჩვენს ბინაზე არსებული მხატვრული სურათები, სახელდობრ: 1. გუდიაშვილის “კინტოების ქეიფი”; 2. დ. კაკაბაძის აბსტრაქტული სურათი; 3. ფელიქს ვარლამიშვილის დახატული 4 ფერადი სურათი; 4. ვერა ფადაეას ორი ნახატი; 5. ვანო ენუქიძის აბსტრაქტული სურათი გადასცენ თბილისის ქართულ მუზეუმს. ჩემს მიერ დახატულ თამარ მეფის სურათს ეუტოვებთ ელიან ჯანდიერს და მხატვრულ წიგნებს.

ხელს ვაწერთ გ. ნოსაძე და ლიდა ნოსაძისა”.

ანდერძის გადმოცემის ცერემონიალს მათ ასეთი თხოვნაც დაურთეს: თბილისში დაბრუნებისას ერთი პირი გადამეცა საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექციისათვის (რაც შეეასრულე კიდეც), ხოლო ერთი ჩემთვის დამეტოვებინა და მეზრუნა თავის დროზე მისი სისრულეში მოყვანისათვის, რადგან ჩვენ მოვხუცდით და ბევრი დღე ამ ქვეყნად აღარ დაგვრჩენიაო.

მკითხველი გამოგებს, თუ რა ძნელი მოვალეობა დამაკისრეს ქნმა ლიდა და ბნმა გიორგი ნოსაძეებმა. სამწუხაროდ, მალე ახლა მათი წინასწარმეტყველება. სულ რაღაც წელიწადნახევარში ისინი სამუდამოდ განგვმორღნენ: 1990 წლის იანვარში რომ ქალბატონი ლიდა გარდაიცვალა, ბატონმა გიორგიმ ერთ თვეზე მეტი ვერ გაძლო საყვარელი მეუღლის გარეშე და ორმოცის გადახდამდე ისიც მის საუკუნო გზას შეუღვა.

ლევილის მამულის ეზოში შესულმა გეზი პირდაპირ ნოსაძეების ბინისაკენ ავიღე, რომელიც შატოს პირველ სართულზე კოპწია ბაღის პირდაპირ მეგულებოდა. მასპინძლების მუდამ ღია კარები გულსაკლავად იყო გამოკეტილი. როგორც შემდეგ გავიგე, ლევილის მამულის გამგეობას ნოსაძეების ბინა ჩვენი სახელგანთქმული პარიზელი ბალერინასათვის – ეთერი ფადაეასათვის მიუკუთვნებია სააგარაკოდ, ხოლო საქართველოს ხელოვნების მუზეუმისათვის ანდერძით დატოვებული იშვიათი მხატვრული ღირებულების მქონე სურათების კოლექციამ, რომელიც მფლობელთა თხოვნით, მათი გარდაცვალების შემდეგ, სამშობლოში უნდა ჩამოგვეტანა, მართლაც საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაიდო ბინა!

ახლა ვიქტორ ნოსაძის არქივის იმ ნაწილის შესახებ, რომელიც 1986 წელს მოულოდნელად გარდაცვლილ პოეტ გიორგი ყიფიანის დალუქულ ბინაში აღმოჩნდა. ამ მიზეზის თაობაზე


“ფრანგულ დღიურში” ჩვენ ერთხელ უკვე ვესაუბრეთ მკითხველს და იმედი გვქონდა, ახლა მაინც შევალწვედით იქ, მითუმეტეს, რომ 1989 წლის 30 სექტემბერს, ლევილში შედგენილი მინდობილობით ბ-ნი გიორგი ასეთ მისიას გვაკისრებდა: “...ჩემი უფროსი ძმის ვიქტორ ნოზაძის არქივის დარჩენილი ნაწილი ინახება აწ განსვენებულ პოეტ გიორგი ყიფიანის ბინაზე, რომელიც ჯერჯერობით დაღუპულია და როგორც ვფიქრობ, ამ რამდენიმე თვეში გაიხსნება და გადაეცემა ბატონ გურამ შარაძეს საქართველოში წასადებად, მასვე ვანდობ მის გამოცემას. პატივისცემით, გიორგი ნოზაძე.” აღნიშნულ დოკუმენტს ლევილის გამგეობის ბეჭდის დასმით უსის ასეთი დამოწმება: “ამ მინდობილობის დაწერას დავესწარი, მის უფლება-მოვალეობას ვადასტურებ და ვამოწმებ ლევილის ქართული კერის ასოციაციის პრეზიდენტის თავმჯდომარე მამია ბერიშვილი. 30.9.89”.

ბ-ნი მამია ბერიშვილს კარგად ახსოვს ეს პირობა და მახარა, რომ ფრანგულმა სასამართლომ ამ დღეებში პოეტ გ.ყიფიანის ბინა საბოლოოდ ლევილის მამულის გამგეობას არგუნაო. მაგრამ ჩემი სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა: ბ-ნი მამიას მტკიცებით, თურმე აქაური სასამართლოდან ფოსტით გადაწვევტილების მიღებას კვირეები სჭირდება და ამიტომ გ.ყიფიანის ბინაში ჩარჩენილ ვიქტორ ნოზაძის არქივს ვერ გიხვენებთო. ჩემი ერთოვიანი მივლინების ვადა ისე ამოიწერა, რომ წლების მანძილზე გაჭიანურებული ვიქტორ ნოზაძის არქივის საქართველოში წამოღება კვლავ გადაიდო.

მესამე ცდა ვ.ნოზაძის არქივის დაბრუნებისა საქართველოში წარმატებით დაგვირგვინდა 1996 წელს: ბატონების მამია ბერიშვილისა და კარლო ინასარიძის დახმარებით, ზემოთ მოყვანილი ანდერძის საფუძველზე, ჩვენ გადმოგვეცა გიორგი ყიფიანის ბინაში აღმოჩენილი ვ.ნოზაძის პირადი არქივი, რომელიც საქართველოს ეროვნული მთავრობის არქივთან ერთად ჩამოვიტანეთ თბილისში 1996 წლის დეკემბერში.


წინასწარი მონაცემების მიხედვით ვიქტორ ნოზაძის არქივი შეიცავს დღემდე უცნობ დიდმნიშვნელოვან გამოკვლევებსა და მონოგრაფიებს რუსთაველოლოგიის, ქართული ლიტერატურისა და ისტორიის მეტად მნიშვნელოვან საკითხებზე, აგრეთვე თარგმანებს და მდიდარ ეპისტოლარულ მემკვიდრეობას:

**რუსთაველოლოგიური შრომები:**



ექტორ ნოზაძის კართული სტამბის შენობა ლევილში (გ. შარაძის ფოტო)

ლევილის კართულ სტამბაში (გ. შარაძის ფოტო)



1. “ვეფხისტყაოსნის” მიჯნურთმეტყველება – ავტოგრაფი
2. “ვეფხისტყაოსნის” ტანთმეტყველება – ავტოგრაფი
3. “ვეფხისტყაოსნის” ფსიქოლოგიის მეთყველება – ავტოგრაფი
4. “ვეფხისტყაოსნის” სამართლის მეთყველება – ავტოგრაფი
5. “ვეფხისტყაოსნის” გულთმეტყველება – ავტოგრაფი
6. “ვეფხისტყაოსნის” სასოგადოების სწენი – ავტოგრაფი
7. პარადელები ნიბელუნგებსა და ქართულ ეპოსს შორის – ნაბეჭდი

**საისტორიო შრომა:**

- გარდასულ ჟამთა საქმენი და ამბაენი (1948 წ.) – ავტოგრაფი  
 ძველი და ახალი საქართველო
- ა) ისტორია
  - ბ) ბაგრატიონთა საქართველო
  - გ) საქართველოს ურთიერთობა უცხოეთთან (ევროპა და აზია)
  - დ) საქართველოს სასოგადოება და პოლიტიკური წყობა
  - ე) კანონმდებლობა
  - ვ) ღაშქარი
  - ზ) ჯარი და ა.შ.

**ფილოსოფიური ნაშრომი:**


სოფელი ახალ აღთქმაში – ავტოგრაფი

**ესთეტიკა:**

1. მშვენიერების თეორიები აღ-ღაზაღისა – ავტოგრაფი
2. ესთეტიკური გრძნობანი
3. შვენება ქართველი ქაღისა
4. ფრანგული სიღამა'სე
5. გერმანული სიღამა'სე

ქართულ ლექსიკონთა ბიბლიოგრაფია – ავტოგრაფი,  
 ნაბეჭდი


**თარგმანები:**



ლელოს ქრული ხეობის რეკონსტრუქციის მანქანის ნაქსოვებში ობიექტს „ობიექტი“

ობიექტს „ობიექტის“ კაპიტალის კონსტრუქციის მანქანა





ვიქტორ ნიჭის მკვლავური ნივთები ჩაატყნა თბილისში

დახვდნა ბაიუქის ნივთაგუნში თბილისში „თბილისში“ ვიქტორ ნიჭის მკვლავის ჩაატყნის



დასავლეთ ევროპის შეასაუკუნეების მწერლობა – ავტოგრაფი  
მასალები ქართული ეკლესიის შესახებ – ნაბეჭდი

ვ.ნოზაძის ორი ინტერვიუ რადიო “თავისუფლებაში”  
– ნაბეჭდი

პირადი დოკუმენტები

ჭურნალები – “ადამიანოსანი”, “სამშობლო”, “ივერია”  
გუშაგი”

(ვალკეული ნომრები)

ჭურნალ “კავკასიონის” მასალები

გრიგოლ რობაქიძე, “ივანე ჯავახიშვილი” – ავტოგრაფი

ეპისტოლარული მემკვიდრეობა:

1. მიხეილ დადიანი
2. გიორგი გამყრელიძე
3. დავით საღირაშვილი
4. ირაკლი ბაგრატიონი
5. რევაზ გაბაშვილი
6. კიტა ჩხენკელი
7. რუთ ნოიკომი
8. ლეა ფლური
9. იოლანდა მარშევი
10. ანდრია გუგუშვილი
11. პაატა გუგუშვილი
12. გიორგი ერაძე
13. არსაყან ემხვარი
14. ლევან სურაბიშვილი
15. მიხეილ თარხნიშვილი
16. გიორგი გაბლიანი
17. კარლო ინასარიძე
18. მიხეილ კელია
19. დევიდ ღანგი
20. შალვა მადლაკელიძე
21. ალექსანდრე მანველიშვილი

22. ღიდა და გიორგი ნოზაძეები
23. ნიკო ნაკაშიძე
24. აკაკი და თამარ პაპაძეები
25. გიორგი ნაკაშიძე
26. კალისტრატე საღია
27. ალექსანდრე სულხანიშვილი
28. ფილიპე შარაძე
29. აკაკი ნხენკელი
30. ნოე ცინცაძე
31. გიორგი წერეთელი
32. გიორგი ყიფიანი  
და სხვ.

ეფიქრობთ, ვიქტორ ნოზაძის უცნობი შრომებისა და ეპისტოლარული მემკვიდრეობის გამოქვეყნება დიდი შენაძენი იქნება ქართული მეცნიერებისა და მწერლობისათვის.

P.S. აქვე გვსურს მკითხველს ვაუწყოთ, რომ ვიქტორ ნოზაძის ქართული სტამბა, რომელიც ღვევილის მამულის ერთ-ერთ სათავსო შენობაში იყო მოწყობილი და სადაც იბეჭდებოდა ვ.ნოზაძის შრომები და ჟურნალი “კავკასიონი”, 1991 წლის “საფხულ”ში ნამოუციტანეთ საქართველოში ხმელეთით და ზღვით (მარშრუტი: პარიზი-მარსელი-ბათუმი-თბილისი) და ჯერჯერობით თბილისის უნივერსიტეტში გვაქვს დაცული.





ეროვნული არქივის დაბრუნება ჰარვარდიდან

დადგა 1997 წელი!

ახალ წელს კაცო ახალი ჩანაფიქრით, უამრავი პრობლემით და საჭირობორტო კითხვების გადაწყვეტის იმედით ხვდება ხოლმე! ჩემთვის, პირადად, ეს წელი, პირველ ყოვლისა, ჰარვარდიდან ჩვენი ეროვნული არქივის ჩამოტანის წელი უნდა ყოფილიყო. და მართლაც, ასეთ წლად გამოითენდა იგი!


მაგრამ მანამდე მივეყვით მოვლენათა განვითარებას:

...თავდაპირველად გავეცნოთ ძმებს – გივი და ოთარ ზაღდასტანიშვილებს, რომელთა დახმარებაზეც მქონდა დამყარებული მთავარი იმედი ჰარვარდიდან არქივის სამშობლოში დასაბრუნებლად და რომელთა დიდი დამსახურების გამო საქართველოს საპატიო მოქალაქეობაზე მათ წარდგინებაში საქართველოს პრეზიდენტს ვწერდი:

“ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე ნახევარი საუკუნეა ცხოვრობენ და მოღვაწეობენ ძმები გივი და ოთარ ზაღდასტანიშვილები. ისინი გახლავან გამოსწეილი ქართველი პატრიოტისა და პოლიტიკური მოღვაწის, 1924 წლის სახალხო ამბოხების გამირის სოლომონ ზაღდასტანიშვილის (1891–1941) ძენი.

როგორც ცნობილია, 1924 წლის აგვისტოს აჯანყება დამარცხდა. ბევრი მისი ხელმძღვანელი და მონაწილე ვერ გადაურჩა სისხლიან ტერორს, ბევრიც გააციმბირეს, ნაწილმა მოახერხა საზღვარგარეთ გახვლა (ქაქუცა წოლოყაშვილი და მისი შეფიცულები, ჭიათურის რაზმელები და სხვ.), მათ შორის სოლომონ ზაღდასტანიშვილმა 1924 წლის ნოემბერში ცნობილ ქართველ პოეტ შალვა ამირეჯიბთან ერთად დატოვა სამშობლო და საფრანგეთს შეაფარა თავი, სადაც ცოტა ხნის შემდეგ შეუერთდა ოჯახიც – მეუღლე მარი ხირსელი და ორი ვაჟი – გივი და ოთარი...


ბატონი გივი დაიბადა 1919 წელს თბილისში. იგი 5 წლისა წაიყვანეს საქართველოდან საფრანგეთში, სადაც ჯერ დაამთავრა სკოლა, შემდეგ კი ხორბონის უნივერსიტეტი, მიიღო იურიდიული




პოეტონის ბიბლიოთეკა ქარვარდში (გ. შარაძის ფოტო)



ქარვარდის ძველი უნივერსიტეტის ეზოში  
(გ. შარაძის ფოტო)



ძველი კარვარდი



„კოუტონის ბიბლიოთეკის საცავი

განათლება. ომობდა გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ, ხოლო 1947 წელს დედასთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც მანამდე უკვე გადასული იყო მისი უმცროსი ძმა ოთარი. აქ ბატონმა გივიმ სწავლა განაგრძო პარვარდის უნივერსიტეტში, რომლის დამთავრების შემდეგ, უმთავრესად, ბიზნესს მოჰკიდა ხელი. ბატონ გივის სამი შვილი ჰყავს: თამარი, ნინო და ნიკოლოზი. გივის მეუღლე ქალბატონი მიშლინი ბელგიაში დაბადებული ფრანგია. წელიწადის გარკვეულ დროს ბატონი გივი და ქალბატონი მიშლინი პარიზში და ბელგიაში ატარებენ.


რაც შეეხება ბატონ ოთარ სალდასტანიშვილს, ისიც თბილისშია დაბადებული 1921 წელს. იგი დღესდღეობით ის ქართველია, რომელიც ბ-ნ გივისთან ერთად შეტანილია აშშ-ის განთქმულ საცნობარო ხასიათის წიგნში “ვინ არის ვინ” (Who is Who), სადაც მხოლოდ მსოფლიოში სახელმძღვანელო პიროვნებებს ვხვდებით. ოთარს უმაღლესი განათლება პარიზში აქვს მიღებული, სადაც დაუმთავრებია გზებისა და ხიდების ერთ-ერთი უძველესი სამშენებლო ინსტიტუტი. 1946 წლიდან ბატონი ოთარი დასახლდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, მუშაობდა პარვარდის უნივერსიტეტში მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერებთან და თვითონაც სახელგანთქმული მეცნიერი გახდა აეროდინამიკაში. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი თანამშრომლობა ამერიკაში არანაკლებ ცნობილ სპეციალისტთან აეროდინამიკაში ალექსანდრე ქართველიშვილთან, რომელსაც დიდი დედაწლი მიუძღვის იმ საბრძოლო თვითმფრინავების შექმნაში, რომლებიც გამოიყენეს ამერიკელებმა ფაშისტებთან წინააღმდეგ ომში... ბ-ნ სკორინთელის სიტყვებით რომ ვთქვათ, ოთარ სალდასტანიშვილი პარვარდის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა როგორც პროფესორი, იგი გატაცებული იყო ნიკო მუსხელიშვილისა და ილია ვეკუას შრომებით და ამ ორი დიდი ქართველი მეცნიერის შრომებზე დაყრდნობით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია აეროდინამიკაში, მაგრამ, საბოლოოდ, პრაქტიკულ საქმიანობას მოჰკიდა ხელი და გახდა პრეზიდენტი კორპორაციისა, რომელსაც “სალდასტანი და თანამშემწეები” ჰქვია. ბატონი ოთარი ამ კორპორაციის პრეზიდენტია დღესაც. ამავე დროს კონსულტანტია მრავალი სამშენებლო ფირმისა, მონაწილეობა აქვს მიღებული 1000-მდე პროექტის განხორციელებაში, მის სახელთან არის დაკავშირებული არაერთი მნიშვნელოვანი საინჟინრო გადაწყვეტა, ორიგინალური იდეა, მიღებული აქვს პატენტები აკუსტიკისა და ფოლადის

სოლომონ ჯალდასტანიშვილი

საქართველოს  
1924 წლის  
ამბობებ

(მოგონებანი)

ბიუნხენი  
1956



სოლომონ შალდასტანიშვილი

კონსტრუქციების დამუშავებაში, დაჯილდოებულია მრავალი პრიზით ფოლადისა და ბეტონის მარჯვედ გამოყენებისათვის მშენებლობაში... მას დაუპროექტებია მნიშვნელოვანი ნაგებობები, მათ შორისაა ქალაქ ბოსტონის აეროპორტი, ერთ-ერთი მთავარი მოედანი და სტადიონი ბოსტონში, სასახლეები ვაშინგტონსა და ამერიკის შეერთებული შტატების სხვა ქალაქებში, მაღლივი შენობები საფრანგეთში, ალჟირში, ერაყში და, ბოლოს, მთელი ქალაქი, რომელიც გაშენდა საუდის არაბეთის დედაქალაქის ელრიადის მახლობლად. ბატონ ოთარსაც სამი შვილი ჰყავს – ერთი ვაჟი და ორი ასული.

საგანგებოდ არის აღსანიშნავი გივი და ოთარ შალდასტანიშვილების პატრიოტული მოღვაწეობა ამერიკის შეერთებული შტატების ქართველთა სათვისტომოში.

საერთოდ, ამერიკელ ქართველებს მაღალ შეფასებას აძლევდა ცნობილი ამერიკელი მილიონერი ნელსონ როკველერი – ერთ დროს ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორი. როკველერის სიტყვებით, “ნვენ, ამერიკელები, ვამაყობთ, რომ მრავალმა ქართველმა ღტოლვილმა მიიღო აქ თავშესაფარი. ნვენც



ქართველი ემიგრანტები პარიზში: პოეტი შალვა ამირეჯიბი, სოლომონ ჯალდასტანიშვილი, მარი ხირსელი, გივი და ოთარ ჯალდასტანიშვილები და სხვ.

ვისარგებლეთ მათი მოსვლით. ისინი გახდნენ ჩვენი ღირსეული მეზობლები, ღლიალური, ერთგული და ნაყოფიერი მონაწილეები ნიუ-იორკის შტატის და საერთოდ, ჩვენი ერის ეკონომიკური აღორძინებისა... ქართველები ამერიკის ეკონომიკის და კულტურის ზრდის მნიშვნელოვანი მონაწილეები არიან”.

ნიუ-იორკის მერი რობერტ ვაგნერი კი ასე მიმართავდა ამერიკის ქართულ სათვისტომოს: “ბედნიერი ვარ გიძღვნათ ჩემი საღამო და აღვნიშნო თქვენი რაინდული ცდა, შეინარსუნოთ თქვენი ერის ძველთაძველი ტრადიციები. ცოტანი არიან ქვეყნები, რომ თქვენსავით ოცდასამი საუკუნის ცივილიზაცია ჰქონდეთ. ეს არის განძი, რომლითაც თქვენ და თქვენს ძველ ერს უფლება გაქვთ იამაყოთ”.

აშშ-ის ქართული სათვისტომოს ასეთი მაღალი ავტორიტეტის მოპოვებასა და რეპუტაციის შექმნაში თავიანთი ღირსეული წვლილი აქვთ შეტანილი ძმებს – გივი და ოთარ ზაღდასტანიშვილებს. კერძოდ, გივი და ოთარ ზაღდასტანიშვილები წლების მანძილზე იყვნენ ქართული სათვისტომოს თავმჯდომარეები...

უკანასკნელ წლებში ბატონი გივი ზაღდასტანიშვილი ნაყოფიერად მღვაწეობს საქართველოში როგორც ბიზნესის გამოცდილი სპეციალისტი (კითხულობს თბილისში, უმაღლეს სასწავლებელში ღექციებს), ამასთან, ხელს უწყობს საქართველოს დაახლოებას აშშ-ს ცნობილ ბიზნესმენებთან და საქმიან წრეებთან.

საგანგებოდ არის აღსანიშნავი ბატონი გივი ზაღდასტანიშვილის მღვაწეობა 1921 წელს ბოლშევიკური ოკუპაციის დროს საქართველოდან გატანილი ეროვნული მთავრობის არქივის მოვლისა და დაცვის საქმეში. კერძოდ, ის გახდა ამ კომისიის წევრი-მეთვალყურე ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან. საქმე ისაა, რომ პარიზში შენახული ჩვენი ეროვნული არქივი ამ რამდენიმე ათეული წლის წინ წყაღდიდობის გამო დაზიანდა და დაზიანებული ნაწილი სარესტავრაციოდ გადაეცა პარვარდის უნივერსიტეტს იმ პირობით, რომ 2004 წლამდე იგი დაუბრუნდებოდა მის კანონიერ მფლობელს – საქართველოს. ამჟამად არქივი აღდგენილია და კატალოგიზირებული პროფესორ გიორგი ნაკაშიძის მიერ.

ახლა მთავარი ამოცანაა საქართველოს ეროვნული მთავრობის არქივის პარიზული და პარვარდული ნაწილი გაერთიანდეს და რაც შეიძლება სწრაფად დაუბრუნდეს ქართველ





მიშლინ და გივი ზალდასტანიშვილები

ხალხს, რადგან ამ არქივის გარეშე შეუძლებელია მე-20 საუკუნის საქართველოს ნამდვილი მეცნიერული ისტორიის დაწერა.

დარწმუნებული ვართ, ძმები ზალდასტანიშვილები საარქივო კომისიის თავმჯდომარესთან – ბატონ მამია ბერიშვილთან და კომისიის სხვა წევრებთან – ბატონებთან ლევან ფალავასთან, კარლო ინასარიძესა და გრიშა ლომიძესთან ერთად ყველაფერს იღონებენ ამ ფრიად საშვილიშვილო და ეროვნული საქმის მოგვარებისათვის.

საქართველოს საპატიო მოქალაქეობა კი ახალ ძაღასა და ენერჯიას შემატებს ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე სვენს სასიქადულო თანამემამულეებს – გივი და ოთარ ზალდასტანიშვილებს უფრო მეტი გააკეთონ თავიანთი სამშობლოს საკეთილდღეოდ!”

სვენი წარდგინების საფუძველზე საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 10 თებერვლის ბრძანებულებით ბატონებს გივი და ოთარ ზალდასტანიშვილებს მიენიჭათ საქართველოს საპატიო მოქალაქეობა.



ოთარ ზალდასტანიშვილი ოჯახის წევრებთან ერთად

ახლა საჭირო იყო ჩვენი განსრავების შესახებ საქმის კერძში ჩაგვეყენებინა საქართველოს საელჩო აშშ-ში, რათა დახმარების ხელი გამოეწოდებინათ ჩვენთვის, მაგრამ საელჩოს მრწველმა ბ-ნმა დ.სუმბაძემ ვაშინგტონიდან 1997 წლის 11 თებერვალს ფაქსით გამოგზავნილ პასუხში “შესაშური ოპერატულობით” გვაგრძნობინა ხელი აგველო ჩანაფიქრზე, ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე თვით მაინც, რადგან “პრინციპულ გადაწყვეტილებასა და მის პრაქტიკულ განხორციელებას შორის საკმაოდ დიდი გზაა გასავლელი”.

არადა, ახლოვდებოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბ-ნ ს.ჟვანიას ოფიციალური ვიზიტი აშშ-ში, რომელიც დაგეგმილი იყო 8 მარტიდან 15 მარტამდე. აღნიშნულ საპარლამენტო დელეგაციაში მეც ვიყავი გათვალისწინებული და მსურდა, ეს შემთხვევა გამომეყენებინა პარლამენტის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან ბ-ნ ს.ჟვანიასთან ერთად შესახვედრად და იქ დაცული საქართველოს ეროვნული არქივის უკან დასაბრუნებლად მოლაპარაკების დაწყებისათვის.



მარი ხირსული-ზაღდასტანიშვილისა შვილებთან გივი და ოთარ ზაღდასტანიშვილებთან ერთად

სვენი საელჩოსგან ვერაფერი დამაიმედებელი პასუხი რომ ვერ მივიღე, იძულებული გაეხდი მიმემართა თვითონ პარვარდისათვის. ამიტომ, 1997 წლის 24 თებერვალს პარვარდის უნივერსიტეტის პოეტონის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს ბატონ ჯეფრი პორელს მივწერე:

“ძვირფასო ბატონო პორელ!

საქართველოს პრეზიდენტის ბატონ ედურად შევარდნაძის 1996 წლის 22 დეკემბრის №319 ბრძანებულებით დანიშნული ვარ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის (1918–1921 წწ.) არქივის მიღების, შენახვისა და დაცვის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარედ.

ამ არქივის პარიზული ნაწილი საფრანგეთში შექმნილი საარქივო კომისიის თავმჯდომარის ბატონ მამია ბერიშვილის დახმარებით და უშუალო მონაწილეობით 1996 წლის 18 დეკემბერს ნამოვიტანეთ საქართველოში და დაცულია მისი სამართალმემკვიდრის – საქართველოს პარლამენტის სპეციალურ საცავში, რომელიც გამთავრობის საქართველოს პრეზიდენტმა. ჩემი ხელმძღვანელობით სპეციალისტები უკვე შეუდგნენ მის დამუშავებას და შესწავლას.

გადაუჭრელად რჩება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის (1918–1921 წწ.) არქივის პარვარდული ნაწილის ბედი, რომელიც სათანადო მხარეებს შორის 1974 წელს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე 2004 წლამდე შეიძლება ინახებოდეს პარვარდში და თუ ამ ხნის მანძილზე იგი არ დაუბრუნდება საქართველოს, არქივი ხდება აშშ-ის საკუთრება.

უფიქრობთ, საქართველოში ამჟამად შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობა, მისი სრული დამოუკიდებლობა და სუვერენობა, უკვე იძლევა იმის საფუძველს, რომ შევუდგეთ არქივის პარვარდული ნაწილის საქართველოში დაბრუნებისა და მის ორგანულ პარიზულ ნაწილთან შეერთებისა და გამთლიანების საქმის მოგვარებას.

ამასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 8 მარტიდან 15 მარტამდე დაგეგმილია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბატონ სურაბ ჟვანიას ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამავე პერიოდში გათვალისწინებულია ჩემი ყოფნაც აშშ-ში. გთხოვთ გეცნობოთ, რამდენად მოსახერხებელი იქნება თქვენთვის დროის ამ

საპარლამენტო კომიტეტი ემიგრაციის  
და საზღვარგარეთის ქართველების  
კომპატიოების საკითხებზე

The Committee on Migration,  
Emigration and Issues Related to the  
Compatriots Living Abroad



საპარლამენტო კომისია მიმოსვლის,  
არქივების დაცვისა და დაცვის  
და საზღვარგარეთის ქართველების

State Commission for the Reception,  
Storage and Protection of the  
Archives of the Government of the  
Democratic Republic of Georgia

To Mr Jeffrey Horrell,  
Acting Librarian "The Houghton Library"

Tbilisi, February 24, 1997

Dear Mr Horrell,

According to the order N 319 of 22 December 1996 issued by President of Georgia, Mr Eduard Shevardnadze, I am appointed as the Chairman of the State Commission for the Reception, Storage and Protection of the Archives of the Government of the Georgian Democratic Republic (1918-1921)

Thanks to the kind assistance and participation of Mr Mamia Berishvili, Chairman of the Paris-based Archive Commission, part of this archive, kept in Paris, was brought in Tbilisi on December 18, 1996 and is deposited in the special depository of the Parliament of Georgia, which is legal successor to it. The president of Georgia assigned special group of experts under my leadership to carry out works and research on the archives

The problem of the part of archives of the Government of the Georgian Democratic Republic (1918-1921) kept in the Harvard University, still remains unresolved. According to the agreement of 1974, reached by the sides concerned, archives may be held in the Harvard University until 2004 and after expire of this term, it will become the property of the USA

I think current political situation in Georgia, its full independence and sovereignty serves as a solid ground to start the process of bringing back the part of archives kept in the Harvard University to Georgia

In this context, I would like to inform You that the Chairman of the Parliament of Georgia, Mr Zurab Zhvania is going to visit the United States of America from 8 to 15 March. I will be in the USA at the same time. Please, let us know, if You find it convenient to meet with Mr. Zurab Zhvania and me during our stay in the USA, in order to held negotiations on the issues relating to the return to Georgia these archives.

With deep respect and best wishes,

Professor Gouram Sharadze

Chairman of the Parliamentary Committee on Migration,  
Emigration and Issues Related to the  
Compatriots Living Abroad



საქართველოს პრეზიდენტი  
PRESIDENT OF GEORGIA

President Neil Rudeinstine  
Harvard University  
Cambridge, Massachusetts

March 7, 1997

Dear President Rudeinstine,

Georgia will always be indebted to Harvard University for its stewardship of the portion of the Archives of the First Democratic Republic of Georgia (1918-21) It was saved from damage in the Paris floods 30 years ago, and is now being housed at Harvard for the period of thirty years (1974-2004).

This archives was removed from Georgia in 1921 to save it from destruction by the Bolsheviks. According to the will of that first Republic, upon Georgia's liberation from the Communist regime the Archives was to be returned. In 1996, the first stage of this handover began when the part of the Archives which yet remained in Paris was returned. The rest still resides at Harvard.

I have appointed Professor Guram Sharadze, Chairman of the Parliamentary Committee on Migration and Expatriate Affairs, to be Chairman of the State Commission on the Return and Custody of the Archives of the Democratic Republic of Georgia. He, therefore, is authorised to discuss with you the procedure of transferring the Archives back to Georgia.

Mr. Sharadze will shortly travel to the United States to meet with you. I am certain that your dialogue will be productive, and serve to further strengthen the ties between Georgia and Harvard University.

Accept my thanks in advance, and the assurances of my highest consideration.

Yours truly,

Eduard Shevardnadze

ილუარდ შევარდნაძის 1997 წლის 7 მარტის წერილი მარეარდის უნივერსიტეტისადმი

მონაკვეთში შეხვედრა ბატონ ზ. უვანიასა და ჩემთან, რათა ერთობლივად გაემართოთ მოლაპარაკება საქართველოს კუთვნილი ეროვნული არქივის უკან დასაბრუნებლად.

ღრმა პატივისცემით და საუკეთესო სურვილებით,

საქართველოს პარლამენტის მიგრაციისა და  
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა  
საქმეების კომიტეტის თავმჯდომარე,  
საქართველოს დემოკრატიული  
რესპუბლიკის მთავრობის არქივის  
მიღების, შენახვისა და დაცვის  
სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე

პროფესორი გურამ შარაძე  
თბილისი, 24.02.1997.”

პასუხმაც არ დააყოვნა! სულ რაღაც ათიოდე დღის  
შემდეგ ბატონმა ჰორელმა ფაქსით მაცნობა:

“ჰარვარდის უნივერსიტეტი  
ჰოუტონის ბიბლიოთეკა.  
5 მარტი, 1997 წელი

პროფესორ გურამ შარაძეს,  
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის  
მთავრობის არქივის მიღების, შენახვისა და  
დაცვის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარეს

ძვირფასო პროფესორო შარაძე,  
მადლობას გიხდით თქვენს მიერ 1997 წლის 24 თებერვალს  
გამოგზავნილი ფაქსისათვის, რომელიც ეხებოდა ამჟამად ჰარვარდის  
უნივერსიტეტის ჰოუტონის ბიბლიოთეკაში შენახულ საქართველოს  
დემოკრატიული რესპუბლიკის არქივს.

ჩვენთვის სასიამოვნო იქნება თქვენთან და სხვა  
დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრა არქივის ისტორიის და  
მისი ჰარვარდთან კავშირის განსახილველად, აგრეთვე იმ პირობებზე,  
რომელთა თანახმადაც არის არქივი დაცული აქ და რა საშუალებები  
შეიძლება გამოყენებულ იქნას საქართველოში მის გადასატანად.



აკად. ალბერტ თავხელიძე

აკ. თავხელიძის 1997 წლის 4 ივნისის  
წერილი ქარვარდის უნივერსიტეტისადმი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
პ რ ა ე ბ ი რ ე ნ ე ბ ი

P R E S I D E N T  
Academy of Sciences, Georgia

To the President  
Harvard University

4 June, 1997

Dear Sir,

On behalf of the Georgian Academy of Sciences I wish to express our deep gratitude for preserving archives of the national government of the earlier Democratic Republic of Georgia (1918-1921).

As we have been informed, Officers of the Harvard University have expressed their perfect willingness to return archives to their rightful owners - Georgian people, and are awaiting for the attorney who will act for our party to accomplish this historical mission.

Georgian Academy of Sciences gives the power of attorney for transforming the archives from Harvard USA to Georgia to Professor Guram Sharadze - Member of the Parliament, Chairman of the Parliamentary Committee for the Affairs of the Compatriots Living Abroad, Head of the Department of the Georgian Immigrant Literature of the Rustaveli Institute of Georgian Literature, Georgian Academy of Sciences.

With deep respect,

Sincerely yours,

*A. Tavkhelidze*  
Prof. Dr. A. Tavkhelidze  
President



მე გირჩევდით, რომ ეს განხილვები ჩვენ დაგვეწყო 13 მარტს, სამშაბათს, 4 საათზე, აქ, პოუტონის ბიბლიოთეკაში შეხვედრით. ჩემს გარდა ამ განხილვაში მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი პიროვნებები პარვარდიან:

ქ-ნი ნენსი კლაინი – პარვარდის კოლეჯის როი ი. ლარსენის ბიბლიოთეკის თანამშრომელი

ქ-ნი ლესლი მორისი – პარვარდის კოლეჯის ბიბლიოთეკის მანესკრიპტების კურატორი

პროფესორი რინარდ პაიპსი

ალენ რაიანი – უნივერსიტეტის იურისტი გენერალური საბჭოს ოფისში.

იმედი მაქვს, რომ ბ-ნ გივი ზაღდასტანს, ქართული არქივის კომიტეტის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს, საშუალება ექნება შემოგვიერთდეს.

ქ-ნმა მორისმა მირნია, რომ თქვენ, ისევე როგორც თქვენი მხარის სხვა წევრებს, შეიძლება გაინტერესებდეთ შეხვედრამდე არქივის შემოწმება და ჩვენი კვლევის საშუალებების მონახულება. იგი თავისუფალი იქნება 13 მარტს 3 საათიდან. დაუკავშირდით უშუალოდ მას, გეთაყვა, თუ ეს თქვენთვის საინტერესოა.

ველი თქვენთან 13-ში შეხვედრას.

გულწრფელად თქვენი,

ჯეფრი პორელი

პარვარდის უნივერსიტეტი

კემბრიჯი


მასაჩუსეტსის შტატი 02138

ტელ: 617-495-2441


ფაქსი: 617-495-1376 “.

1997 წლის 8 მარტს უკვე საქართველოს პარლამენტის დელეგაციასთან ერთად თბილისიდან ფრანკფურტის გავლით აშშ-ში გაეფრინდით.

ღამით ნიუ-იორკში ჩავფრინდით. აქედან ჩვენმა საპარლამენტო დელეგაციამ (მ.სააკაშვილი, დონოფრიშვილი, ი.სარიშვილი-ჭანტურია, ზ.ნოღაიდელი) ზ.ქვანიას ხელმძღვანელობით ვაშინგტონისკენ გააგრძელა გზა, ხოლო მე ბოსტონში გაეფრინდი, რათა დათქმული პირობით შეხვედროდი პარვარდის უნივერსიტეტში პოუტონის ბიბლიოთეკის თანამშრომლებს იქ დაცული ქართული ეროვნული



პარეარდის უნივერსიტეტის პოუტონის  
ბიბლიოთეკაში. მარჯვნიდან: ჯეფრი კორელი,  
ლესლი მორისი, გივი ზალდასტანიშვილი,  
გურამ შარაძე, პარეარდი,  
1997 წლის 30 სექტემბერი



გივი ზალდასტანიშვილი და  
გურამ შარაძე  
პოუტონის ბიბლიოთეკაში.  
პარეარდი, 1997 წლის 30 სექტემბერი

არქივის გარშემო მოლაპარაკების დასაწყებად.

თან მიმქონდა საქართველოს პრეზიდენტის ე.შევერდნაძისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკად. ა.თაყველიძის ოფიციალური წერილები ჰარვარდის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისადმი.

ჯერ გაგაცნობთ ბ-ნ ე.შევერდნაძის წერილს:

“ბატონ ნეილ რუდენშტაინს  
ჰარვარდის უნივერსიტეტის პრეზიდენტს  
კემბრიჯი, მასაჩუსეტსი

თბილისი

7 მარტი, 1997 წელი

ძვირფასო ბატონო პრეზიდენტო,

სათანადო შეთანხმების საფუძველზე ჰარვარდის უნივერსიტეტში ოცდაათი წლის ვადით (1974 წლიდან 2004 წლამდე) ინახება საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის (1918–1921 წწ.) მთავრობის არქივის ნაწილი, რომელიც ამ ნახევარი საუკუნის წინ პარიზში წყალდიდობის დროს დაზიანდა და ჰარვარდის უნივერსიტეტმა გადაარჩინა დალუპვისაგან.

საქართველო არასდროს დაივიწყებს ამ სიკეთეს.

თქვენთვის ცნობილია, რომ აღნიშნული არქივი 1921 წელს იქნა გატანილი საქართველოდან, რათა გადარჩენილიყო ბოლშევიკური ოკუპანტებისაგან განადგურებას. მისი ნამდვილი მუპატრონე არის საქართველო და დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ანდერძით კომუნისტური რეჟიმისაგან საქართველოს განთავისუფლების შემდეგ იგი უნდა დაბრუნებულიყო საქართველოში.

1996 წელს განხორციელდა ამ ანდერძის პირველი ნაწილი: საქართველოში დაბრუნდა არქივის პარიზული ნაწილი, სამოსატანი დარბაზი არქივის ჰარვარდული ნაწილი.

საქართველოს პარლამენტის მიგრაციისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეების კომიტეტის თავმჯდომარე პროფესორი გურამ შარაძე მე დაენიშნე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის არქივის მიღების, შენახვისა და დაცვის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარედ. ამდენად იგი უფლებამოსილია გამართოს მოლაპარაკება თქვენთან ჰარვარდის უნივერსიტეტში დაცული ქართული ეროვნული არქივის მისი კანონიერი მფლობელისათვის – საქართველოსათვის

გადმოსაცემად.

ბატონი გურამ შარაძე ამ დღეებში მოემგზავრება აშშ-ში თქვენთან შესახვედრად. დარწმუნებული ვარ, თქვენთან გამართული მოლაპარაკება ნაყოფიერ შედეგებს გამოიღებს და ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნების კეთილგანწყობილი ურთიერთობების გაღრმავებას. წინასწარ გიხდით მადლობას.

პატივისცემით და საუკეთესო სურვილებით,

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე”.

ახლა აკად. ა.თაყხელიძის წერილში ვნახოთ რა ეწერა:

“პარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია გამოხატავს თავის ღრმა მადლიერებას და დიდად აფასებს თქვენს ზრუნვას საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული მთავრობის (1918–1921 წწ.) არქივის მოვლა-პატრონობისა და გადარჩენისათვის.

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, პარვარდის უნივერსიტეტი მზადაა დაუბრუნოს არქივი ქართველ ხალხს, როგორც მის კანონიერ მემკვიდრეს და ითხოვს ჩვენგან ნდობით აღჭურვილ პირს, რომელიც განახორციელებს ამ ნამდვილ ისტორიულ მისიას.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეს ანდობს საქართველოს პარლამენტის წევრს, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ქართული ემიგრანტული მწერლობის განყოფილების ხელმძღვანელს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გურამ შარაძეს.

ღრმა პატივისცემით,

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
პრეზიდენტი, აკადემიკოსი

ა. თაყხელიძე”.



გივი გაბლიანი

დოქტორი სინჯიკაშვილი




გიორგი ნაკაშიძე

გიორგი შარაშიძე





რინარდ კაიხი



გივი ზალდასტანიშვილი

\* \* \*

ამებმა ზალდასტანიშვილებმა ბოსტონში არა მარტო ღირსეული მასპინძლობა და მეგზურობა გამიწიეს, არამედ ერთი ფრიად სასიამოვნო სიურპრიზიც მომიმზადეს: ბატონმა ოთარ ზალდასტანიშვილმა მასთან სახლში სტუმრობისას ამიყვანა მესამე სართულის ვრცელ დარბაზში და მითხრა: აი, აშშ-ის ქართული სათვისტომოსა და ნიუ-იორკში 1960-იან წლებში გამომავალი გაზეთ "ქართული აზრის" რედაქციისა და რედაქტორის დიმიტრის სინჯიკელის (სინჯიკაშვილის) არქივი, რაც მოგეწონება და რასაც შექდებ, მიუქჩნია და საქართველოში წაიღე!

რაღა თქმა უნდა, მასპინძლის წინადადებაზე უარს როგორ ვიტყვოდი - მთელი დამე მოვანდომე არქივის გარჩევას და საქართველოში წამოსაღებად საგანგებოდ შეფუთვის...

ამასობაში 13 მარტიც მოვიდა! ბ-ნი გივი ზაღდასტანიშვილთან ერთად ჰარვარდის უნივერსიტეტის პოუტონის ბიბლიოთეკაში დღის 4 საათზე დანიშნულ შეხვედრაზე გავეშურეთ.

პოუტონის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის ბ-ნ ჯეფრი ჰორელის კაბინეტში უკვე შეკრებილიყვნენ და გველოდნენ: ქ-ნი ნენსი კლაინი, ქ-ნი ლესლი მორისი, ბ-ნი ალენ რაიანი და პროფესორი რინარდ პაიპსი.

შეხვედრამ და მოლაპარაკებებმა უჩვეულო სითბოთი და უროიერთგაგებით წაიარა და შედეგებიც საოცრად ნაყოფიერი აღმოჩნდა. ამერიკულმა მხარემ წამოგვიყენა რამდენიმე აუცილებელი პირობა, რომელთა შესრულების შემთხვევაში ის კისრულობდა ჩვენთვის ეროვნული არქივის უსასყიდლოდ გადმოცემას:

1.საარქივო კომისიის წევრთა (მ. ბერიშვილი, გ. ზაღდასტანიშვილი, კინასარიძე, გ.შარაშიძე, გ.გაბლიანი, თ.ნასყიდაშვილი) აბსოლუტური უმრავლესობისა და თავის დროს (1974 წ.) არქივის პარიზიდან (ლევლიდან) ჰარვარდში გადატანის ინიციატორის პროფ. რ.პაიპსის თანხმობა.

2.საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის თანხმობა ჰარვარდიდან თბილისში არქივის ჩამოტანის საქმის ჩემთვის მონდობის თაობაზე.

3.პარიზიდან (ლევლიდან) 1996 წლის 18 დეკემბერს თბილისში ჩემს მიერ ჩამოტანილი ეროვნული არქივის პარიზული ნაწილის ჩვენი ხარჯებით მიკროფილმების გადაღება, მისი აღწერილობა-კატალოგის შედგენა, ჰარვარდში ჩატანა და პოუტონის ბიბლიოთეკისათვის გადაცემა. ამით ჰარვარდს უკვე ექნებოდა ეროვნული არქივის გამთლიანებული სურათი.

4. ეროვნული არქივის ადგილზე შეფუთვისა და ჰარვარდიდან თბილისში ტრანსპორტირების ხარჯების ჩვენს მიერ დაფარვა.

ჩვენ უყოყმანოდ დაეთანხმდით ამერიკული მხარის მიერ წამოყენებულ ყველა მოთხოვნას და შეეპირდით მათ უპირობოდ შესრულებას... ჩვენის მხრიდან ჰარვარდისადმი საქართველოს მადლიერების გამოხატვის ნიშნად დამატებით ჩვენ ვიკისრეთ ჰარვარდელი კოლეგების ჩვენი ხარჯით მოწვევა საქართველოში

არქივის გადმოტანის დროს.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ჩვენ დავინტერესდით ადგილზე გავცნობოდით ეროვნული არქივის მდგომარეობას, მისი შენახვისა და დაცვის პირობებს. ქნმა ლესლი მორისმა სიამოვნებით იკისრა ჩვენი მეგზურობა...

მეტი გარანტიისათვის ბატონმა ჯეფრი ჰორელმა ამერიკული მხარის მოთხოვნები ოფიციალურად გააფორმა ბატონ გივი სალდასტანიშვილისთვის მიწერილ წერილში:

“20 მარტი, 1997 წელი

ბატონ გივი სალდასტანს  
160 კომინუელის ევინიუ  
ბოსტონი, მასაჩუსეტსი 02116

ძვირფასო ბატონო სალდასტანი,

ქალბატონი მორისი და მე მოხარული ვიყავით, 13 მარტს, ქართული არქივის დაბრუნების საკითხის განხილვისას შეგხვედროდით თქვენ და პროფესორ შარაძეს.

როგორც განვიხილეთ, ქარვარდი მსადაა დაუბრუნოს ხსენებული არქივი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობის მიერ დანიშნული კომისიის წევრების შესაბამისი მითითებების საფუძველზე.

ჩვენს მიმართ იურიდიული ვალდებულებების შესასრულებლად აუცილებელია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა და ჩვენ გთხოვთ ითანამშრომლოთ ჩვენთან ამ საკითხებში.

1. ჩვენ ვურთავთ ექვს მოწმობას ინგლისურად. ეს მოწმობები, თარგმნეთ თუ შეიძლება ქართულად და კომისიის ექვსივე წევრს გაუგზავნეთ ქართული და ინგლისური ვარიანტები.

2. კომისიის ყველა წევრმა, რომელსაც სურს დაავალოს ქარვარდს არქივის დაბრუნება, უნდა მოაწეროს ხელი ამ მოწმობის როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ვარიანტს და ორივე თქვენ გამოგიგზავნოს.

3. ჩვენ ასევე დაგვჭირდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის განცხადება, რომელშიც გამოხატული იქნება პროფესორ შარაძის უფლებამოსილება, რომ აკადემიის ინტერესების შესაბამისად წაიბაროს არქივი. უფლებამოსილება (რომლის ბლანკი დაგიტოვეთ თქვენ და პროფესორ შარაძეს) ხელმწერილი უნდა იყოს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის





## მოწმობა ქარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის

მე ვადასტურებ, რომ ვარ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობის მიერ დანიშნული კომისიის (შემდგომში „კომისია“) წევრი, რომელმაც დაასრულა 1974 წელს ქარვარდის უნივერსიტეტთან დადებული შეთანხმება იმ გარკვეული დოკუმენტების ქარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში შენახვის შესახებ, რომლებიც ცნობილია ქართული არქივის სახელით.

ჩემთვის გასაგებია, რომ ეს შეთანხმება მოიცავს ქარვარდის უნივერსიტეტის მიერ ქართული არქივის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისათვის გადაცემის საკითხს კომისიის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ წერილობითი ინსტრუქციების მიღების შემდეგ.

ჩემი სურვილია, რომ ქარვარდის უნივერსიტეტმა ქართული არქივი გადასცეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას და ამით ეუთოთუბ ქარვარდის უნივერსიტეტს, რომ მოიქცეს ასე.

ხელმოწერა:

სახელი:

თარიღი:

გივი ზაქარაიანი  
გივი ზაქარაიანი უნივერსიტეტი  
4/6/97

ამ თარიღისათვის ხელმოწერა დადასტურებულია

ხელმოწერა:

სახელი:

გვიგენი  
გვიგენი შახიძე

გივი ზაქარაიანი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის

## მოწმობა ქარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის

მე ვადასტურებ, რომ ვარ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობის მიერ დანიშნული კომისიის (შემდგომში „კომისია“) წევრი, რომელმაც ადასრულა 1974 წელს ქარვარდის უნივერსიტეტთან დადებული შეთანხმება იმ გარკვეული დოკუმენტების ქარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში შენახვის შესახებ, რომლებიც ცნობილია ქართული არქივის სახელით.

ჩემთვის გასაკვებია, რომ ეს შეთანხმება მოიცავს ქარვარდის უნივერსიტეტის მიერ ქართული არქივის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისათვის გადაცემის საკითხს კომისიის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ წერილობითი ინსტრუქციების მიღების შემდეგ.

ჩემი სურვილია, რომ ქარვარდის უნივერსიტეტმა ქართული არქივი გადასცეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას და ამით უუთითებ ქარვარდის უნივერსიტეტს, რომ მოიქცეს ასე.

ხელმოწერა:

სახელი: Dr. KARLO INASARIJSE

თარიღი: 17.4.1997

ამ თარიღისათვის ხელმოწერა დადასტურებულია

ხელმოწერა:

Dr. med. W. Tschaidse  
Internist  
Sommerstr. 11, 80331 München  
Tel. 59 26 28, Fax 59 27 67

სახელი:


კარლო ინასარიძის მოწმობა ქარვარდის ბიბლიოთეკისათვის

## მოწმობა ქარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის


მე ვადასტურებ, რომ ვარ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობის მიერ დანიშნული კომისიის (შემდგომში „კომისია“) წევრი, რომელმაც აღასრულა 1974 წელს ქარვარდის უნივერსიტეტთან დადებული შეთანხმება იმ გარკვეული ღირებულების ქარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში შენახვის შესახებ, რომლებიც ცნობილია ქართული არქივის სახელით.

ჩემთვის გასაგებია, რომ ეს შეთანხმება მოიცავს ქარვარდის უნივერსიტეტის მიერ ქართული არქივის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისათვის გადაცემის საკითხს კომისიის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ წერილობითი ინსტრუქციების მიღების შემდეგ.

ჩემი სურვილია, რომ ქარვარდის უნივერსიტეტმა ქართული არქივი გადასცეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას და ამით ეუთოთებ ქარვარდის უნივერსიტეტს, რომ მოიქცეს ასე.

ხელმოწერა:   
სახელი: გიორგი შარამიძე  
თარიღი: 9/6/97

ამ თარიღისათვის ხელმოწერა დადასტურებულია

ხელმოწერა:   
სახელი: ა. გურჯანიძე

## AUTHORIZATION TO THE HARVARD UNIVERSITY LIBRARY

I certify that I am a member of the Commission appointed by the Government of the Independent Republic of Georgia ("the Commission"), which executed an agreement with Harvard University in 1974 for the deposit of certain documents known as the Georgian Archive with the Harvard University Library.

I understand that the agreement provides that Harvard University will transfer the Georgian Archive to the Georgian Academy of Sciences on receipt of written instructions from the Commission or its authorized representative.


It is my desire that Harvard University transfer the Georgian Archive to the Georgian Academy of Sciences, and I hereby instruct Harvard University to do so

Signature 

Name Richard Pipes

Date July 22, 1997

Signature witnessed this date by

Signature: 

Name: IRENE E. PIPES

უმადლესი აღმასრულებელი თანამდებობის პირის მიერ.

4. და ბოლოს, თქვენ უნდა გამოგვიგზავნოთ წერიდი, რომელშიც მოცემული იქნება კომისიის ყველა წევრის ვინაობა. ჩვენი ჩანაწერების თანახმად ისინი არიან: ბატონები გაბლიანი, ბერიშვილი, ინასარიძე, ნასყიდაშვილი, შარაშიძე და თქვენ თვითონ. მაგრამ, ჩვენ არ ვართ დარწმუნებული ჩვენი ჩანაწერების სისწორეში. ამიტომ გთხოვთ მოგვაწოდოთ მათი სახელები.

როდესაც ეს დოკუმენტები ხელთ გვექნება, ჩვენ მზად ვიქნებით დავიწყოთ პროფესორ შარაძისათვის დოკუმენტების გადაცემის პროცესი, როგორც ამაზე შევთანხმდით 13 მარტს.

მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის. გთხოვთ შემატყობინოთ, რაიმე კითხვა თუ წამოგეჭვრებათ ამ პროცედურასთან დაკავშირებით.

გადაეცით, გეთაყვა, ჩვენი საუკეთესო სურვილები პროფესორ შარაძეს.

გულწრფელად თქვენი,

**ჯეფრი ჰორელი**

მთავარი ბიბლიოთეკარის მოვალეობის შემსრულებელი”.

პირველ რიგში, შევეუდექით ემიგრაციაში მყოფ საარქივო კომისიის წევრთა თანხმობის ხელწერილების შეგროვებას.

დამავიწყდა მეთქვა, რომ თანხმობის ხელწერილის ტექსტი (ინგლისურ და ქართულ ენებზე) თვითონ პარვარდმა მოამზადა, რომელშიც ერთი სიტყვის შეცვლა არ შეიძლებოდა და მხოლოდ მასზე უნდა მოეწერათ ხელი ემიგრანტული საარქივო კომისიის წევრებს.

აი, ეს სავალდებულო ტექსტიც (ქართული ვარიანტი):

“მოწმობა პარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის

მე ვადასტურებ, რომ ვარ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობის მიერ დანიშნული კომისიის (შემდგომში “კომისია”) წევრი, რომელმაც ადასრულა 1974 წელს პარვარდის უნივერსიტეტთან დადებული შეთანხმება იმ გარკვეული დოკუმენტების პარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში შენახვის შესახებ, რომელიც ცნობილია ქართული არქივის სახელით.

ჩემთვის გასაგებია, რომ ეს შეთანხმება მოიცავს პარვარდის

უნივერსიტეტის მიერ ქართული არქივის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისათვის გადაცემის საკითხს კომისიის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ წერილობითი ინსტრუქციების მიღების შემდეგ.

ნემი სურვილია, რომ პარვარდის უნივერსიტეტმა ქართული არქივი გადასცეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას და ამით ვუთითებ პარვარდის უნივერსიტეტს, რომ მოიქცეს ასე.

ხელმოწერა: . . . . .

სახელი: . . . . .

თარიღი: . . . . .

ამ თარიღისათვის ხელმოწერა დადასტურებულია

ხელმოწერა: . . . . .

სახელი: . . . . . “.

ახლა საჭირო იყო ამ თანხმობის ხელმოწერების შეგროვება. საქმეს ისიც ართულებდა, რომ კომისიის წევრები საზღვარგარეთ სხვადასხვა ქვეყნებში ცხოვრობდნენ: ბატონები მამია ბერიშვილი და გიორგი შარაშიძე საფრანგეთში – პარიზში, კარლო ინასარიძე გერმანიაში – მიუნხენში, გივი სალდასტანიშვილი და გივი გაბლიანი, აგრეთვე პროფ. რ.პაიპსი – აშშ-ში.

ამის გამო სასწრაფოდ მომიხდა საფრანგეთსა და გერმანიაში გამგზავრება. მალე მამია ბერიშვილის, გიორგი შარაშიძისა და კარლო ინასარიძის თანხმობები ხელთ მქონდა. გივი სალდასტანიშვილმა თავისი და პროფ. რ.პაიპსის თანხმობები ბოსტონში მეორედ ჩასვლისას ადგილზე დამახვედრა, ხოლო გივი გაბლიანი მძიმე ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო ხელის მოწერა. თუმცა, აბსოლუტური უმრავლესობის თანხმობა (გ. სალდასტანიშვილი, რ. პაიპსი, მ. ბერიშვილი, კ. ინასარიძე, გ. შარაშიძე) უკვე მაინც მქონდა და პარვარდის მიერ წამოყენებული პირველი უმთავრესი პირობა შესრულებული იყო!

რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტის ე.შევარდნაძის და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკად.

ათავსებლიდის ნემთვის მოცემულ უფლებამოსილებას, იგი ძალაში რსებოდა.

ერთ-ერთი ყველაზე რთული და მძიმე შესასრულებელი იყო ნემს მიერ ჩამოტანილი ეროვნული არქივის პარიზული ნაწილის აღწერილობა-კატალოგის შედგენა და მიკროფილმირება, მაგრამ ნემი თანამშრომლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დღედაღამ თავაუწყებელი შრომითა და რუდუნებით უმოკლეს დროში კატალოგიც მომსადდა (ც.ბუქურაული, რ.კობახიძე, რ.დაუშვილი, ლ.გედევანიშვილი, ი.ხატისკაცი, ნ.ტიტეინიძე, რ.ნიშნიაძე, ნ.აფაქიძე, გ.კალატოზიშვილი) და მიკროფილმებიც იქნა გადაღებული (რ.საანიშვილი).

რაც შეეხება პარვარდში ნენი ხარჯებით ეროვნული არქივის შეფუთვასა და ტრანსპორტირებას, იგი თავის თავზე აიღო ცნობილმა ამერიკულმა ფირმამ Fine Arts Express-მა, რომელმაც თავდაპირველად ხარჯები 4.250 ამერიკულ დოლარად შეაფასა, რის თაობაზე აღნიშნული ფირმის წარმომადგენელი კრისტა ბალდერაკი პარვარდში ღესლი მორისს ატეობინებდა:

“ფაე უორლდუაიდ, ბოსტონი  
10 აპრილი, 1997 წელი  
პარვარდის უნივერსიტეტი  
პოუტონის ბიბლიოთეკას  
ღესლი მორისს  
ფაქსი 495 1376  
თემა: გამოხმაურება ქართული არქივის შესახებ


ძვირფასო ღესლი,

კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას თქვენი სატელეფონო სარისათვის და “ფაე“-სთვის საქართველოში არქივის დაბრუნების საექსპორტო მომსახურებისათვის საჭირო გაანგარიშებაზე ნების დართვისათვის. მოხარული ვარ განსახილველად მოგაწოდოთ ნენს მიერ გათვლილი ხარჯები:

ექსპორტირება ბოსტონის ლოგანის აეროპორტიდან  
(აშშ დოლარებში):

შეფუთვა და დამხმარე სამუშაო ძალა	1740
პირდაპირი გადატანა ბოსტონიდან (მასაჩუსეტისი)	
ლოგანის აეროპორტში	280
სავარაუდო გადასახადი ტვირთისათვის ბოსტონიდან	





პრეკარში აღმოჩენილი კონსტანტინე გამსახურდიას დიპლომი

ფრანკფურტში	1395
აეროპორტში ზედამხედველობა (მოთხოვნის შემთხვევაში)	300
აეროპორტში დაცვა (მოთხოვნის შემთხვევაში)	300
ლოკუმენტაცია	85
კოორდინაცია და გაძღვლა	85
ტელეფონი/ფაქსი/წერილები	65

#### 4.250

ხარჯების შემცირებისათვის, შეფუთვის ღირებულება გათვლილია სპეციალურ ორმაგი სიმკვრივის მუქას ყუთებზე და არა ხვეულებრივი ხის ყუთების შეკვრაზე. ეს ყუთები მოწონებულია უმთავრესი ავიაკომპანიების მიერ და შეუძლია გაუძლოს 450 კგ-მდე სიმძიმეს.

გაცნობებთ, რომ თუ საქართველოსკენ ეს გადაგზავნა ფრანკფურტის შუალედური რეისის მეშვეობით მოხდება, საჭირო აღარ იქნება გერმანიაში საბაჟო პროცედურების გავლა, რადგან



პარვარდში აღმოჩენილი აკაკი ჩხენკელის დიპლომი თამარ მეფის ორდენის კავალრობაზე



პარვარდულ დოკუმენტებზე მუშაობის დროს

ტვირთი მისწეული იქნება როგორც ტრანზიტული”. მე მადლობელი ვიქნები თუ მომაწვდით ცნობებს საქართველოს საბაჟო ფორმალბებისა და მოთხოვნების შესახებ. ალბათ ძალიან დაგვეხმარება, თუ ხელმისაწვდომია მასალების ამერიკაში გადაგზავნის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი. ამ შემთხვევაში, მოვლენების აღმწერი წერილი პარვარდიდან, ალბათ, ასევე ძალიან სასარგებლო იქნება. ჩვენ ამის შესახებ შეგვიძლია მოგვიანებით მოვილაპარაკოთ, მას შემდეგ, რაც ამ ფაქსს გაეცნობით.

შენიშვნები:

- ეუთობის საგარეულო ზომები (სიმაღლეXსიგრძეXსიგანე): 10 ცალი 36"X19"X26" (91,4სმX48,6სმX66სმ);
- დაზღვევა არ შედის ზემოთმოყვანილ მონაცემებში, მაგრამ ხელმისაწვდომია მოთხოვნის შემთხვევაში;
- აეროპორტში ზედამხედველობისა და დაცვის საფასური შეესაბამება ჩვეულებრივ სამუშაო საათებში გაწეულ მომსახურებას. არასამუშაო საათებში გაწეულ



პრეზიდენტის უნივერსიტეტის პრეზიდენტს ნილ როდენშტაინს გურამ შარაძე სასუქრად გადასცემს ეროვნული არქივის პარალელური ნაწილის კატალოგსა და მიკროფილმებს. პრეზიდენტი, 1997, 2 ოქტომბერი

მომსახურებისათვის სავარაუდოა საფასურის გაზრდა.

თქვენ შეგიძლიათ დამიკავშირდეთ ნებისმიერ დროს თუ გაგინდებთ რაიმე კითხვა ან დაგჭირდებათ დამატებითი ინფორმაცია. ველი ამ ინფორმაციის თქვენთან განხილვას, სანამ დაიწება დაგეგმილი პროცედურების შესრულება.

პატივისცემით,

კრისტინა ბალდერაკი  
საერთაშორისო ვაჭრობის მენეჯერი”.

აქვე შევნიშნავთ, რომ არქივის დაბრუნების შემდეგ Fine Arts Express-მა დამატებით 2.168 დოლარი გადაგვახდევინა არქივის წონაში გაზრდის გამო.

\* \* \*

როდესაც პრეზიდენტის ეველა მოთხოვნა შევასრულე, ამის

შესახებ 21 აგვისტოს ამერიკულ მხარეს დაუყოვნებლივ ვაცნობე, რის საპასუხოდ 1997 წლის 25 აგვისტოს ბ-ნმა ჯეფრი პორელმა მომწერა:

“25 აგვისტო, 1997

ძვირფასო პროფესორო შარაძე,

დიდი მადლობა თქვენს მიერ გამოგზავნილი წერილისათვის და თანმხლები დოკუმენტებისათვის, რომელიც უფლებამოსილს ხდის არქივების დაბრუნებას საქართველოში.

ნვენ სურვილი გვაქვს შევიმოწავოთ არქივების დაბრუნების დეტალური გეგმა, ამას როგორც მოგეხსენებათ სჭირდება გარკვეული დრო და შესაბამისი მომზადება. ქ-ნი ლესლი მორისი, პარვარდის კოლეჯის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა კურატორი, უშუალოდ პასუხისმგებელია ამ არქივების შენახვაზე, ამჟამად დაკავებულია ხელოვნების ექსპრეს-გამოფენით და არ იქნება 22 სექტემბრამდე. მას დასჭირდება გარკვეული დრო, რათა შეასრულოს გარკვეული სამუშაოები და შედამხედველობა გაუწიოს არქივების ნაწყობას და შეფუთვას. ამ მოვლენასთან დაკავშირებით ნვენ ვიმედოვნებთ მოვაწყოთ სპეციალური საღამო და მასზე მოვიწვიოთ პრეზიდენტი ნეილ რუდენშტაინი. ნვენ აგრეთვე დაუცკავშირდებით უნივერსიტეტის პროფესორს პაიპსს და ბ.რაიანს. ყოველივე სემით თქმულიდან გამომდინარე, ნვენ შემოგთავაზებთ რამდენიმე თარიღს ოქტომბრის შუა რიცხვებიდან ოქტომბრის ბოლო რიცხვების ჩათვლით.

მე ვიმედოვნებ, რომ ნენი ეს წინადადება მისაღები და გაგებელი იქნება თქვენს მიერ. მე თქვენ უახლოეს მომავალში კვლავ დაგიკავშირდებით და ვაცნობებთ სუსტ თარიღებს. თუ ნვენს მიერ შემოთავაზებული თარიღი თქვენთვის მისაღები არ იქნება, გთხოვთ გეაცნობოთ.

მოუთმენლად ველი თქვენგან პასუხს.

თქვენი ერთგული  
ჯეფრი ლ. პორელი.”

სიხარულისაგან რაღა გამანერებდა! ფაქსით 1 სექტემბერს პარვარდში ნემს ამერიკელ კოლეგას მივწერე:

“ძვირფასო ბატონო პორელ!

ახალი სიამოვნება მომგვარა თქვენმა ამა წლის 25 აგვისტოს

HARVARD UNIVERSITY  
CAMBRIDGE, MASSACHUSETTS 02138

INSTRUMENT OF TRANSFER AND RECEIPT  
OF THE GEORGIAN STATE ARCHIVE

WHEREAS, a memorandum of agreement was signed by the Director of the Harvard University Library on March 27, 1974 and by the President and the Vice President of the Commission of the Government of the Georgian Democratic Republic on July 16, 1974; and

WHEREAS, by this memorandum of agreement Harvard received from the Commission the collection of documents known as the Georgian State Archive on deposit under the terms and conditions set forth in the memorandum; and

WHEREAS, on February 24, 1997, Professor Guram Sharadze, duly appointed by the President of Georgia as the Chairman of the State Commission for the Reception, Storage and Protection of the Archives of the Government of the Georgian Democratic Republic (1918-1921) requested the return of the Archive from Harvard; and

WHEREAS, on March 7, 1997, the Honorable Eduard Shevardnadze, President of Georgia, requested that Harvard arrange the return of the Archive with Professor Sharadze; and

WHEREAS, a majority of the members of the Commission have authorized and instructed Harvard to return the Archive in accordance with the memorandum of agreement and the request of Professor Sharadze; and

WHEREAS, Harvard has agreed to return the Archive;

NOW, THEREFORE, DO WE, the undersigned representatives of Harvard University and the State Commission for the Reception, Storage and Protection of the Archives of the Government of the Georgian Democratic Republic (1918-1921) acknowledge and certify as follows:


1. Harvard University hereby permanently transfers the Archive to the Commission.
2. The Commission hereby accepts the Archive from Harvard on behalf of the Government and the people of Georgia and undertakes to return the Archive to Georgia at its own risk and expense.
3. The Commission has examined the documents hereby transferred and accepted, and certifies that such documents comprise the original, complete and entire Archive received by Harvard pursuant to the 1974 memorandum of agreement. The Commission hereby releases and discharges Harvard University from any further responsibility in connection with the Archive and the memorandum of agreement.
4. Harvard has made one microfilm copy of the Archives that it shall retain for purposes of research and scholarship on such terms and conditions as it in its sole discretion may decide.

პარაფრაზში 1997 წლის 2 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულება ეროვნული არქივის საქართველოსთვის დაბრუნების შესახებ (1 გვერდი)

5. The Commission conveys to Harvard University its gratitude for Harvard's stewardship of the Archive since 1974, and Harvard University conveys to the Commission its highest wishes that the Archive may serve the interests of the people of Georgia in understanding and appreciating the history of their nation in the twentieth century.

Done this 2nd day of October, 1997, at Houghton Library of Harvard University, Cambridge, Massachusetts.

For Harvard University:




Neil L. Rudenstine, President

For the State Commission for the Reception, Storage and Protection of the Archives of the Government of the Georgian Democratic Republic (1918-1921):




Guram Sharadze, Chairman,  
State Commission for the Reception,  
Storage and Protection of the Archives  
Of the Government of the Georgian  
Democratic Republic (1918-1921)

Witness:



Allan A. Ryan, Jr., University Attorney  
Harvard University

Givi Zaldastani, President  
Commission Appointed by the Government  
of the Independent Republic of Georgia



პარეარდში 1997 წლის 2 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულება ეროვნული არქივის საქართველოსთვის დაბრუნების შესახებ (11 გვერდი)

წერილმა, რითაც ადასტურებთ თქვენს მსადეოფნას საქართველოსათვის მისი კუთვნილი ეროვნული არქივის დაბრუნების თაობაზე.

ჩემს წინა – 1997 წლის 21 აგვისტოს წერილში მოწოდებულ ინფორმაციაზე დამატებით მაქვს პატივი სიამოვნებით გაცნობოთ, რომ როგორც შეგპირდით, ჰარვარდის უნივერსიტეტისთვის უკვე დაგამზადე და საჩუქრად მომაქვს საქართველოს ეროვნული არქივის პარიზული ნაწილის კატალოგი და მიკროფილმები. ამით ჰარვარდის უნივერსიტეტს უკვე ექნება საქართველოს ეროვნული არქივის გამთლიანებული სურათი.

რაც შეეხება ჩვენს თქვენთან ჩამოსვლის თარიღს, გთხოვთ გაგებით მოეკიდოთ ჩემს თხოვნას:

ჩვენ გვესმის თქვენი და კერძოდ, ქალბატონ ლესლი მორისის უკიდურესი გადატვირთულობა, აგრეთვე, თუ რა შრომა სჭირდება არქივის ჩაწობას და შეფუთვას, ამასთან, ხარჯებს, რაც მასთან არის დაკავშირებული.

ამიტომ გთავაზობთ, რომ მე და ჩემი ორი ასისტენტი, თქვენი ნებართვით, ჩამოვალთ 28 სექტემბერს, 10 დღით და მონაწილეობას მივიღებთ არქივის შეფუთვასა და ჩაწობაში და რასაკვირველია, ტრანსპორტირებაში და ამასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯების დაფარვაში იმ ვარაუდით, რომ 7–8 ოქტომბერს თქვენი წარმომადგენლების თანხლებით წამოვიდეთ არქივი საქართველოში.

მოუთმენლად ველი თქვენგან პასუხს.

ღრმა პატივისცემით და თქვენი თანხმობის მიღების იმედით

გურამ შარაძე  
2.09.97".

ჯეფრი ჰორელის საპასუხო ბარათიდან არ დააყოვნა:

“8 სექტემბერი 1997 წელი

პატივცემულო პროფესორო შარაძე,

გმადლობთ თქვენი 2 სექტემბრის ფაქსისათვის. თქვენს მიერ შემთავაზებული პროგრამა და თარიღები სავსებით მისაღებია ჩვენთვის. ჩვენ 2 ოქტომბრისათვის გვაქვს დაგეგმილი მიღება, რომელსაც დაესწრებიან ჰარვარდის უნივერსიტეტის პრეზიდენტი ნეილ რუდენშტაინი, პრორექტორი ჰარვი ფაინბერგი, ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტის დეკანი ჯერემი ნოულსი. აგრეთვე ჰარვარდის კოლეჯის ბიბლიოთეკის

ბიბლიოთეკარი ნენსი კლაინი, პროფესორი რინარდ პაიპსი, ჰარვარდის კოლეჯის ბიბლიოთეკის მანუსკრიპტების კურატორი ლესლი მორისი და ჰოუტონის ბიბლიოთეკის პერსონალი. ბატონმა სალდასტანმა გვამცნო, რომ ისიც დაესწრება ამ შეხვედრას.

ჩვენ Fine Arts Express-თან ერთად, რომელიც განახორციელებს ტრანსპორტირებას, არქივის შეფუთვის დაწყებას ვგეგმავთ 29 სექტემბრისათვის. Fine Arts Express-მა არქივის გადასიღვა ფრანკფურტამდე შეაფასა 4.250 დოლარად. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ფრანკფურტიდან საქართველოში არქივის ტრანსპორტირებას ითავებს საქართველოს ხელისუფლება. Fine Arts Express-ი ითხოვს ამ თანხის წინასწარ გადახდას. თუ შეფასება სედმეტად მაღალია, თანხა დაგიბრუნდებათ, ხოლო თუ დაბალი, საჭირო იქნება დამატებითი თანხები. მათ აღნიშნეს, რომ შესაძლებელია საკრედიტო ბარათებით გადახდა. თუ შეიძლება შემატეობინეთ თქვენი გეგმები ამ საკითხთან დაკავშირებით.

როგორც ჩემთვის ცნობილია, საქართველოში წამოსვლა დაგეგმილი აქვთ მანუსკრიპტების კურატორს ლესლი მორისს და გენერალური საკონსულტოს უნივერსიტეტის ოფისიდან ბატონ რაიანს. ბატონი სალდასტანი და პროფესორი პაიპსი ჩამოვლენ 13-18 ოქტომბერს. გთხოვთ მაცნობოთ ვიზიტის დროს რა შედის მათ, როგორც ჰარვარდის წარმომადგენლების მოვალეობაში და რა შეხვედრები არის დაგეგმილი.

ჩვენ ველოთ თქვენგან ცნობებს ამ საკითხთან დაკავშირებით და შეგატყობინებთ თქვენს ვიზიტთან დაკავშირებულ ყველა სიახლეს. ველით თქვენსა და თქვენი თანმხლები პირების ჩამოსვლას 29 სექტემბერს.

პატივისცემით

ჯეფრი პორელი”.

რა თქმა უნდა, ამ ბარათზე არც მე დავრჩებოდი გულგრილი და უკვე 12 სექტემბერს პასუხიც მზად მქონდა:

“ძვირფასო ბატონო პორელ!


ულრმესი მადლობა თქვენი ამა წლის 8 სექტემბრის წერილისათვის, რომლითაც გამოთქვამთ თქვენს მზადყოფნას ჩვენს მისადგებად 29 სექტემბრიდან და არქივის სამშობლოში დასაბრუნებლად.

გაცნობებთ, რომ ქალბატონი ლესლი მორისისათვის და





სულ რუჯინტანი და გუგამ შარასი ხელს აწერენ ხელშეკრულებას აბრადია, 1997, 2 ოქტომბერი  
სულ რუჯინტანი, რიხარდ ჰაიში გუგამ შარასის გადასცემს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს





არქივის გადმოცემის საზეიმო ცერემონიაზე: გ. ხალდასტანიშვილი, პ. სიხიძე, თ. ჯაფარიძე, გ. შარაძე  
არქივის გადმოცემის საზეიმო ცერემონიაზე პარაფრეზი, 1997 წლის 2 თებერვალი



ბატონ რაიანისთვის შეკვეთილი გვაქვს თვითმფრინავის ბილეთები ბოსტონი – ფრანკფურტი – თბილისი – ბოსტონი 7 ოქტომბერს რეისით ნომერი 420 საქართველოში ერთი კვირით დარჩენის ვადით. გთხოვთ გვაცნობოთ თქვენი თანხმობა.

რაც შეეხება Fine Arts Express-ისათვის 4.250 ამერიკული დოლარის გადახდას არქივის ფრანკფურტამდე ტრანსპორტირებისათვის, ვდგები გარანტად, რომ ამ თანხას ნაღდი ანგარიშით მე გადავიხდი ადგილზე, ბოსტონში, 29 სექტემბერს, დილით.

პროფესორი რინარდ პაიპსის და მისი მეუღლის თვითმფრინავის ბილეთები ასევე შეკვეთილია ფრანკფურტი – თბილისი – ფრანკფურტის მარშრუტზე 13 და 18 ოქტომბერს და გთხოვთ ეს მათ აცნობოთ.

ყველა პარვარდელი სტუმრისათვის გარდა აღნიშნული მგზავრობის ხარჯებისა, უსრუნველყოფილი იქნება ერთი კვირის მანძილზე თბილისში სასტუმრო და სხვა ხარჯები.

ღრმა პატივისცემით და თქვენგან პასუხის მოლოდინით  
გურამ შარაძე  
12.IX.97.”

პასუხად ბ-ნი ჯეფრი პორელი მწერდა:

“15 სექტემბერი, 1997

ბეირფასო პროფესორო შარაძე,

გმადლობთ თქვენი 12 სექტემბრის ფაქსისათვის. ამჟამად მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები 2 ოქტომბრის საღამოს 5 საათზე მიღებისათვის.

Fine Arts Express-ი შეფუთავს არქივებს ოთხშაბათს და ხუთშაბათს – 1-2 ოქტომბერს. ამ ფორმას დაგეგმილი აქვს არქივების ფრანკფურტში გადასიღვა 7 ოქტომბერს, სამშაბათს Lufthansa-ს პირველივე რეისით.

როგორც ბატონი ზაღდასტანისგან გავიგე, ლესლი მორისი და ალან რაიანი გაემგზავრებიან 7 ოქტომბერს და დაბრუნდებიან შაბათს, 11 ოქტომბერს, და არა ერთი კვირის მოგვიანებით. თუ შეგიძლიათ ეს დამიხუსტეთ. აგრეთვე, გთხოვთ დამიხუსტოთ რა ხარჯებს ითავებს საქართველოს ხელისუფლება. თქვენი წერილიდან ეს არ არის ბოლომდე ნათელი. ითვალისწინებს თუ არა ეს ხარჯები თვითმფრინავის ბილეთის, სასტუმროს და სხვა ხარჯებს? წინასწარ გმადლობთ განმარტებისათვის. მოგზაურობის გრაფიკს

დავა'სუსტებ თქვენი პასუხის შემდგომ.

პატივისცემით,  
ჯეფრი ლ. ჰორელი  
მთავარი ბილიოთეკარი.

P.S. Fine Arts Express-ის ხარჯთაღრიცხვა არ ითვალისწინებს და'სდევას ტრანზიტის დროს. თუ თქვენ არ აპირებთ ტერიტორიის და'სდევას ტრანზიტის დროს, გთხოვთ შეგვატყობინოთ მისი ფასულობა და ჩვენ გავარკვევთ რამდენს აფასებს Fine Arts Express-ი მის და'სდევას.”

ბ-ნი ჰორელის ამ კითხვებს სათანადოდ ვუპასუხებთ 17 სექტემბერს:

“17.09.97

ბატონო ჰორელ,

კიდევ ერთხელ გმადლობთ 15 სექტემბრის ფაქსისთვის და ბოდიშს გიხდით ამდენი შეწუხებისთვის.

მე მთლიანად მაკმაყოფილებს Fine Arts Express-ის მიერ არქივის შეფუთვის და ტრანსპორტირების გრაფიკი.

რაც შეეხება ქალბატონ ლესლი მორისისა და ბატონ ალან რაიანის საქართველოში ჩამოსვლის ხარჯებს – თვითმფრინავის ბილეთი, სასტუმრო და სხვა, მთლიანად იღებს თავის თავზე საქართველოს ხელისუფლება. რაც შეეხება მოგ'საურობის გრაფიკს, მოგახსენებთ შემდეგს: ქალბატონი ლესლი მორისი, ბატონი ალან რაიანი და ბატონი გივი ზალდასტანი ბოსტონიდან ფრანკფურტში გამოფრინდებიან ჩვენთან ერთად 7 ოქტომბერს Lufthansa-ს რეისით №421, 21<sup>30</sup> საათზე, ბოსტონის დროით. საქართველოდან უკან დაბრუნების თარიღი უნდა გადაწყვიტონ თვითონ რამდენი დღით სურთ მათ დარჩენა საქართველოში.

რაც შეეხება არქივის შეფასებას და'სდევისათვის, თუ დრო ითმენს, ამ საკითხს გადავწყვეტთ თქვენთან 29 სექტემბერს ყოფნის დროს.

კიდევ ერთხელ გმადლობთ და ველი თქვენგან და'სუსტებულ პასუხს.

პატივისცემით,  
გურამ შარაძე”.

ამას გარდა, ჩვენ მივიღეთ სათანადო ზომები საქართველოს ეროვნული არქივის დიდი მოამაგის პროფესორ რინარდ პაიპისა

## Historical Papers To Be Returned To Georgian Delegation Today

By Ken Gewertz  
Gazette Staff

**R**odney Dennis remembers opening the boxes and seeing a whitish residue shrouding the documents like munge.

"The archive was in terrible shape," Dennis said. "They were the moldiest papers I've ever seen in my life."

Now retired, Dennis was at that time (1974) curator of manuscripts in the Harvard College Library. The dilapidated archive had just been airlifted from Paris, seat of the government-in-exile of Georgia, then a Soviet republic. The displaced Georgian patriots had finally decided that they needed help caring for their precious state papers, and Harvard had come to the rescue.

Today marks the end of Harvard's caretaking responsibilities. At five o'clock, in a private event at Houghton Library under the auspices of Nancy Cline, the Roy E. Larsen Librarian of Harvard College, President Neil L. Rudenstine will

*The archive will be shipped back to the land of its origin, independent again after 70 years of Soviet domination.*


the Georgian ambassador to the U.S., Peter Chikheidze, the

hand over the 62 cartons of papers (in much better shape now than when they arrived) to a delegation of Georgian officials, including Teds Iparidze,

Georgian ambassador to the United Nations, and Guram Sharadze, a member of the Georgian parliament and chair of the State Commission for the Return of the Archives. The archive will then be shipped back to the land of its origin, independent again after 70 years of Soviet domination.

"I feel very good about it," said

*(Continued on page 10)*



From left to right, Guram Sharadzo, a member of the Georgian Parliament; Guvly Zaldastani, chair of the Committee for the Protection of the Georgian Archives; Jeffrey Horrell, Houghton Library's acting librarian and librarian of the Fine Arts Library; and Leslie Morris, curator of manuscripts in the Harvard College Library, look over papers from the archive.

ამერიკული პრესა საქართველოს ეროვნული არქივის პარეარდიან სამშობლოში დაბრუნების შესახებ

# HARVARD MAGAZINE

JANUARY-FEBRUARY 1978 • \$4.00  
ISSN 0017-4894



## Georgia Collects Its History

**A** SMALL GATHERING of Georgians and Harvardians at Houghton Library last fall watched as President Neil L. Rudenstine symbolically gave back to a delegation of officials from the Republic of Georgia 22 cartons of that nation's historical state documents that the University had held since 1921. Most of the Harvardians on hand—librarians, scholars, and administrators—spread their champagne and balanced tax-subsidized napkins on napkins of Georgia's red, black, and white with the benign smiles of people who find themselves present at somebody else's great event. For the Georgians, the occasion was poignant.


Richard Pipes, Harvard professor of history, once experienced the situation at a Harvard Hesperian League dinner. "This is our library and we are the Revolutionary War and the members of the Revolutionary government had gone into exile. All those documents, the Declaration of Independence, the Articles of Confederation, the debts catalogues of the Continental Congress, would be extremely precious, and after nine pandemics had been observed, we would want them to come home."

Pipes had been a key player in the drama of the papers, which unfolded in the following manner: In 1918 the Russian Empire smashed the Georgian Kingdom in the Caucasus, where revolution dated to at least the fifth millennium B.C. and proceeded to Russia the place, by name, into the Red Soviet Revolution and eventually to itself. The Soviets

them. These went by them on a Guggenheim fellowship in Paris in the early 1920's. Pipes was a top member of the Soviet government in exile. Would Harvard take the papers for safekeeping? The offer was asked.

The University librarian was willing and arranged for a government archive to buy the papers in only two days. But at the last moment the Georgians thought better of the plan. The papers continued disappearing in their charge.

In the early 1950's the Georgians reconsidered their fortunes. The documents arrived in London, by sea in 1952 and went straight away to be translated. The deal was that Harvard would give back the papers in 20 years, whether or not Georgia was free. When the Soviet Union disintegrated




Above: President Neil L. Rudenstine, left, and Richard Pipes, Harvard professor of history emeritus, center, hand over the Georgian declaration of independence to Gurm Sharadze, a member of the Georgian Parliament and chair of the State Commission for the Return of the Archives. Left, from left, Sharadze and Gurm Zidzishvili, vice of the Committee for the Protection of the Georgian Archives, with Jeffrey Maxwell, Houghton Library's acting librarian at the time, and Leslie Morris, curator of manuscripts. Harvard retains 204 reels of microfilm of the archive, which will remain at Houghton for the use of scholars.




in 1989, the Soviet Union dissolved itself into 15 republics, including the Georgian Democratic Republic. In 1991, however, Lenin remained. "The red banner flew over the Pitsunda commissariat reported. A Georgian government official fled to Paris, bringing with him the documents he had of their three years of freedom. It was a long and bloody non-mutual treaty. The documents included the papers sent to the French National Library. Last missing from the dump cartons of a Soviet Embassy, where it had and still has to work on

the governments of Georgia and Harvard arranged an acknowledgment. Tolo Japaridze, Georgian ambassador to the United States, and his colleagues took possession of the archive on October 2. At the ceremony Gurm Zidzishvili (MRA '30), a Georgian living in Boston and the most recent chairman of the Committee for the Protection of the Georgian Archives, issued "the most important event and victory in our life," he told a reporter. "We should all be proud of Harvard for protecting and caring for the papers of a foreign government in exile for all these years."


ამერიკული პრესა საქართველოს ეროვნული არქივის პარეარდიდან  
სამშობლოში დაბრუნების შესახებ



## Georgian Archive Returns Home After Years of Harvard Safekeeping



A delegation from Georgia met with Harvard officials for the return of important historical papers, which had been stored at Houghton Library for more than two decades. From left to right: Gussy Zakharia, chair of the Committee for the Protection of the Archives; Alexander Arakelov, Harvard University Professor; Peter Chkheidze, Georgian Ambassador to the U.S.; Tatia Japaridze, Georgian ambassador to the U.S.; Nancy Clay, Amy F. Larson Professor of Harvard University; Harvard President Neil L. Rudenstine; Richard Pipes, Frank B. Rowell Jr. Professor of History; Emmanuil Guram Sharadze, a member of the Georgian parliament and chair of the State Commission for the Return of the Archives; Jeremy H. Knowles, Dean of the Faculty of Arts and Sciences; and Alan Ryan, University Attorney in the Office of General Counsel.



President Neil L. Rudenstine, left, and Richard Pipes, Frank B. Rowell Jr. Professor of History, Emmanuil Guram Sharadze, chair of the State Commission for the Return of the Archives. The Declaration is part of the archive's collection of written records documenting Georgia's three years of self-rule before 70 years of Soviet domination. Pipes was instrumental in bringing the archive to Harvard by initially making contact with the Georgian government in exile.

ამერიკული პრესა საქართველოს ეროვნული არქივის ქარვარდიდან სამსობლოში დაბრუნების შესახებ



# Harvard University Library Notes

Number 1267

October 2, 1997


## Librarians' Position Analysis Steering Committee Report to the ULC

*Statement by Sidney Verba,  
Director of the University  
Library*

The following is the report from the committee set up by the University Library Council to review the PIQ process by which positions are placed into the University's job classification system. The members of the Committee and its Chair, Susan Lee, have worked long and hard on this important task. They have consulted widely and they have received much help and cooperation from members of the Library community and from Human Resources personnel. The ULC has accepted the report with gratitude. It now goes to a steering committee chaired by Barbara Graham to move the process toward implementation. The result will be, we hope, a better recognition of the special nature of librarianship within the job categorizations used at the University.

### *Librarian's Position Analysis Steering Committee Report to the ULC (July 1997)*

In the Fall of 1996, the University Library Council established the



A reception was scheduled for Oct. 2 at 5:00 p.m. at the Houghton Library to transfer the National Archives of Georgia (1918-1921) to the Democratic Republic of Georgia.

In this picture taken earlier, the following representatives of Georgia and of Harvard look over Georgian archives together at the Houghton Library: (l. to r.) Professor Guram Sharadze, Member of the Georgian Parliament and Chairman of the State Commission for the Reception, Storage, and Protection of the Georgian Archives; Guluy Zoidastani, President of the Commission Appointed by the Independent Republic of Georgia for the Care of the Georgian Archives; Jeffrey Hornell, Librarian of the Fine Arts Library and Acting Librarian of the Houghton Library; and Leslie Morns, Curator of Manuscripts in the College Library.

Librarian's Position Analysis (LPA) Steering Committee. The Committee's charge was "to initiate and direct a collaborative Librarian/Human Resources revision of the current position analysis methodology." The initial goals of the Committee were to facilitate the broad dissemination of information and to begin the process of describing more effectively the range

of activities performed by librarians.

During the 1996-97 academic year, the Committee made significant progress toward both these goals. The results of the 1993-94 PIQ process had not been widely disseminated. So, in January 1997, the ULC authorized the creation of the Harvard Librarian's Compensation Page for viewing globally on the Harvard University Library home page. This included a listing of Harvard librarian positions by grade and unit; the Library job family matrices; salary ranges by grade, and

### *In this issue*

Librarians' Position Analysis Steering Committee Report to the ULC. 1  
Harvard Library Calendar ..... 3

*continued on page 2*

ამერიკული პრესა საქართველოს ეროვნული არქივის პარკარიდან  
სამშობლოში დაბრუნების შესახებ



და მისი მეუღლის საქართველოში მოსაპატიუებლად, რაც ვაცნობეთ  
ჰოუტონის ბიბლიოთეკას.

გახარებულმა პროფ. რ.პაიპსმა 17 სექტემბერს მომწერა:

“17 სექტემბერი, 1997

ძვირფასო პროფესორო შარაძე!

როგორც ჰოუტონის ბიბლიოთეკიდან შემატყობინეს ჩემთვის  
და ჩემი მეუღლისათვის ფრანკფურტი-თბილისი-ფრანკფურტი  
მგზავრობის ბილეთები დაჯავშნულია 13 და 18 ოქტომბრისათვის.  
თუ ეს ბილეთები წინასწარ გადახდილია, მოხარული ვიქნებოდი  
თუკი შეძლებდით ჩემთვის მათ გადმოგზავნას შეერთებული  
შტატებიდან ჩვენს გამგზავრებამდე, ანუ 12 ოქტომბრამდე. მოხარული  
ვიქნებოდი აგრეთვე, თუ შემატყობინებდით ნებისმიერ დამატებით  
ინფორმაციას თბილისში ჩვენი გეგმების შესახებ. ჩემი პირადი  
ფაქსის ნომერია 617-661-4580.

პატივისცემით,  
რინარდ პაიპსი”.

ჩემმა 19 სექტემბრის ბარათმა დაამშვიდა ამერიკელი  
პროფესორი:

“ბატონო პროფესორო პაიპს,

მადლობელი ვარ თქვენი გამოხმაურებისა და 17 სექტემბრის  
ფაქსისთვის. პასუხად ვაცნობებთ, რომ მე 27 სექტემბერს უკვე  
ვიქნები ბოსტონში და მე თვითონ პირადად გადმოგცემთ თქვენი  
და თქვენი მეუღლის I კლასის ბილეთებს თვითმფრინავისათვის  
ფრანკფურტი-თბილისი-ფრანკფურტი 13 და 18 ოქტომბრისათვის,  
რომლებიც უკვე გადახდილი მაქვს. გარდა ამისა, თქვენი  
საქართველოში ყოფნის დროს დაგეგმილია თქვენი შეხვედრები  
საქართველოს პრეზიდენტთან, საქართველოს პარლამენტის  
თავმჯდომარესთან და სხვა საინტერესო ღონისძიებები.

ღრმა პატივისცემით

გურამ შარაძე

19.IX.97.”

ამასობაში, 22 სექტემბერს პარვარდიდან მივიღე ბატონ  
ჯ. პორელის ყველაზე მოკლე, ყველაზე საიმედო და სანუკვარი  
წერილი:

ძვირფასო პროფესორო შარაძე,

გაცნობებთ, რომ ყველაფერი დაგეგმილია 1997 წლის 2 ოქტომბერს თქვენი ჩამოსვლისა და დახვედრისათვის.

მოუთმენლად მოვევლი თქვენს აქ ჩამობრძანებას. ბედნიერ მგზავრობას გისურვებთ.

პატივისცემით,  
ჯეფრი ლ. პორელი  
მთავარი ბიბლიოთეკარი”.

1997 წლის 27 სექტემბერს თბილისიდან ფრანკფურტის გავლით ბოსტონს გაუფრინდი ჩემს ორ ასისტენტთან თამარ ჩხეიძესა და გიორგი შარაძესთან ერთად. ამ უკანასკნელს ევალუბოდა ვიდუოფირზე აღებეჭდა ეს ისტორიული დღეები მომავალი ტელეფილმისათვის (პარიზულ ნაწილს იგი ჯერ კიდევ 1991 წლიდან მოყოლებული იღებდა).

ბატონი გივი ზალდასტანიშვილი და მისი მეუღლე ქ-ნი მიშლინი ბოსტონში აეროპორტში დაგვხვდნენ და სასტუმრომდე მიგვაცილეს.


29 სექტემბერს ჰარვარდის უნივერსიტეტის პოუტონის ბიბლიოთეკაში წავედით, სადაც ხელნაწერების კურატორმა ქ-ნმა ლესლი მორისმა გადმოგვცა მემორანდუმი, რომელშიც ვკითხულობთ:

“პატივცემულო პროფესორო შარაძე,

არსებობს არქივთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი, რომელიც განსჯილ უნდა იქნას:

1. ჰარვარდი იტოვებს მიკროფილმს, რომელიც მისაწვდომი იქნება გასაცნობად ჩვენს სამკითხველო დარბაზში. თუ რომელიმე მკითხველი მოისურვებს მის პუბლიკაციას ან ციტატის მოყვანას, ვის უნდა მიმართოს ნებართვის ასაღებად? ჩვენ გვსურს, რომ გვქონდეს სრული ელექტრონული ფოსტის მისამართი.

2. აშშ-ის მთავრობის კატალოგიზაციისა და მიკროფილმების შენახვის პროექტის თანახმად, საქართველოს არქივის მიკროფილმის ერთი ნეგატივი იქნა დამზადებული. ამჟამად მისაღებია ორი ნეგატივის დამზადება, ერთი მათგანი საიმედოდ




პრესკონფერენცია საქართველოს პარლამენტში პარეარდთან ერთად არქივის ჩამოტანასთან დაკავშირებით

დაცული იქნება არქივისათვის, ხოლო მეორე საჭიროების შემთხვევაში გამრავლდება. მე მჯერა, რომ არქივის ნეგატივი უნდა ინახებოდეს პარეარდში. გნებავთ თუ არა თქვენ ნეგატივის დუბლიკატი საქართველოს რესპუბლიკისათვის?

3. ამასთან დაკავშირებით უნდა გაცნობოთ, რომ მე უნდა მივცე სამკითხველო დარბაზში მომუშავე მკვლევარებს მიკროფილმის პოზიტივის ცალკეული ასლების გადაღების უფლება; ეს აადვილებს მათ სამუშაოს. დიდი რაოდენობისათვის გამოცემა უფრო სრული უნდა იყოს. თქვენ გსურთ, რომ პარეარდმა გააგრძელოს ასლების გამოშვება თუ საქართველოს არქივი ითავებს ამას? თუ საქართველო დააპირებს ასლების გამოშვებას, თქვენ დაგჭირდებათ ნეგატივის ასლი.

4. საქართველოს არქივი არის მთლიანად კატალოგიზირებული და გადაღებული. არსებობს რიგი დოკუმენტები, ყუთი 82, იგი შეიცავს დოკუმენტებს, რომლებიც სხვადასხვა პირების მიერ იქნა მოწოდებული კატალოგიზაციის დამთავრების შემდეგ. იგი შეიცავს "საქართველოს პასპორტებს, საქართველოს საელჩოების მასალებს, მაიორ დიმიტრი შალიკაშვილის



პრესკონფერენციის დარბაზში

მემუარებსა და პოლკოვნიკ სიმონ კობიაშვილის მიმოწერას". მასალა გადმოგეცემათ თქვენ უახლოეს დროში, მაგრამ ჩვენ ვისურვებდით კატალოგის ასლს (როდესაც იგი სრული იქნება) და ტექსტების ნაწილის მიკროფილმს, საქართველოს არქივის პარვარდის მიკროფილმების შესავსებად.

5. და ბოლოს, მე მაინტერესებს გამოგადგებათ თუ არა თქვენ ქართული საბეჭდო მანქანა, რომელიც სპეციალურად დამსადებულ იქნა კატალოგიზაციის პროექტისათვის.

ველი თქვენს პასუხს,

პატივისცემით,

ლესლი მორისი

პარვარდის ბიბლიოთეკის ხელნაწერების კურატორი".

მემორანდუმში წამოყენებულ პირობებზე ჩვენ ერთობლივად შეეთანხმდით, ხოლო მე-5 პუნქტში მოხსენიებული ქართული საბეჭდო მანქანა ეკუთვნოდა პროფ. გ. ნაკაშიძეს, რომელსეუდაც იგი ბეჭდავდა

თავის დროს (1970-იან წლებში) პარვარდში ჩამოტანილი ეროვნული არქივის კატალოგს. მისი საქართველოში წამოღება შედგებოდა ნავთვალეთ და სათანადო ხელწერილით გადაცევით აშშ-ის ქართულ სათვისტომოს ბ-ნ გივი ზაღდასტანიშვილის ხელით, რადგან ქართულშრიფტიანი საბეჭდი მანქანა ამერიკაში იშვიათობაა და იგი იქაურ ქართველებს უფრო გამოადგებათ. პარალელურად შეგუდებით FAE-ს თანამშრომლებსა და ჩემს ასისტენტებთან ერთად არქივის შეფუთვას და ყუთებში ჩალაგებას სამშობლოში წამოსადგებად.

\* \* \*

გათენდა ნანატრი 1997 წლის 2 ოქტომბერი! იგი ოქროს ასოებით ჩაიწერება ჩვენს ისტორიაში – სწორედ ამ დღეს შედგა ეროვნული არქივის საქართველოსთვის გადმოცემის სასუბიშრიფტიანი პარვარდში. ვაშინგტონიდან და ნიუ-იორკიდან მასზე დასასწრებად საგანგებოდ გვეწვივნენ ბატონები თედო ჯაფარიძე და პეტრე ჩხეიძე.

აი, ამ ისტორიული მოვლენის ოფიციალურად შედგენილი პროგრამა:

**“საქართველოს ეროვნული არქივის გადაცემა  
პარვარდის უნივერსიტეტი  
ჰოუტონის ბიბლიოთეკა**

ხუთშაბათი, 2 ოქტომბერი, 5.00–6.30

5.15: პარვარდის კოლეჯის ბიბლიოთეკის დირექტორი **ნენსი კლაინი** ესალმება და დამსწრეთ წარუდგენს:

უნივერსიტეტის პრორექტორს დოქტორ **ჰარვი ფაინბერგს**  
ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტის დეკანს  
**ჯერემი ნოულსის**  
პარვარდის უნივერსიტეტის პრეზიდენტს **ნეილ რუდენშტაინს**

5.20: პრეზიდენტი **რუდენშტაინი** წარადგენს:

პროფესორ **გურამ შარაძეს**, საქართველოს დემოკრატიული

რესპუბლიკის მთავრობის არქივის შენახვისა და დაცვის კომისიის თავმჯდომარეს, საქართველოს პარლამენტის წევრს.

(პროფესორი შარაძე პრეზიდენტ ელუარდ შევარდნაძის ოფიციალური წარმომადგენელი გახლდათ პარვარდთან მოლაპარაკების დროს)

ბატონ გივი ზაღდასტანს, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის არქივის შენახვის კომისიის თავმჯდომარეს,

(ეს კომისია დაარსდა საქართველოს განდევნილი ხელისუფლების მიერ პარიზში, სწორედ იქიდან მოხვდა არქივის ნაწილი პარვარდში)

პროფესორ რიჩარდ პაიპსს, ფრენკ ბ. ბარდის სახელობის ისტორიის კვლევითი ცენტრის პროფესორს.

(პაიპსმა პირველმა დაამყარა კავშირები საქართველოს განდევნილ ხელისუფლებასთან და პასუხისმგებელი იყო არქივების შენახვაზე)

პატივცემულ თედო ჯაფარიძეს, საქართველოს ელჩს აშშ-ში

პატივცემულ პეტრე ჩხეიძეს, საქართველოს ელჩს გაეროში.

პრეზიდენტი რუდენშტაინი წარმოსთქვამს მოკლე სიტყვას და როგორც სიმბოლოს არქივის დაბრუნებისა, გადასცემს პროფესორ შარაძეს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის დაბეჭდილ ცალს.

პროფესორი შარაძე გამოდის სიტყვით და ჩუქნის პრეზიდენტ რუდენშტაინს არქივის პარიზული ნაწილის მიკროფილმს და კატალოგს (თვით საბუთები პარვარდში არ ყოფილა; ამგვარად პარვარდს რჩება არქივის სრული მიკროფილმი).

რუდენშტაინი და შარაძე ხელს აწერენ გადაცემის ოფიციალურ დოკუმენტს, რაც მოწმდება ზაღდასტანის და რაიანის მიერ.

მოკლე გამოსვლები:

ბატონი **ზალდასტანი**

საქართველოს ელჩი აშშ-ში **თ.ჯაფარიძე**

საქართველოს ელჩი გაეროში **პ.ჩხვიძე**

პრეზიდენტი რუდენშტაინი წარმოსთქვამს სადღეგრძელოს და ოფიციალური მიღება იწყება.

(შენიშვნა: არქივის დოკუმენტების კრებული გამოფენილი არის ოთახის ბოლოში).

მონაწილეთა ფოტოსურათებზე აღბეჭდვა.

– საქართველოს დელეგაციის ყველა წევრი სათითაოდ იღებს სურათს პრეზიდენტ რუდენშტაინთან (შარაძე, ზალდასტანი და ორივე ელჩი)

– რუდენშტაინი, ნოულსი, ფაინბერგი, კლაინი, ზალდასტანი, ორივე ელჩი.”

დადგა არქივის საქართველოსთვის გადმოცემის აქტზე ხელმოწერის ყველაზე მდელვარე წუთები: ამ ისტორიულ დოკუმენტზე ხელი მოეწერეთ აშშ-ის სახელით – ჰარვარდის უნივერსიტეტის პრეზიდენტმა ბატონმა ნეილ რუდენშტაინმა და საქართველოს სახელით – მე. ხელმოწერები დაადასტურეს ჰარვარდის უნივერსიტეტის ადვოკატმა ალან რაიანმა და საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის სამთავრობო არქივის ამერიკული კომისიის თავმჯდომარემ გივი ზალდასტანიშვილმა.

გთავაზობთ ამ დოკუმენტს:

**“ხელწერილი საქართველოს არქივის გადაცემის თაობაზე**

**რადგანაც** თანხმობის მემორანდუმი ხელმოწერილ იქნა ჰარვარდის ბიბლიოთეკის დირექტორის მიერ 1974 წლის 27 მარტს, ხოლო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამთავრობო არქივის კომისიის თავმჯდომარის და თავმჯდომარის მოადგილის მიერ 1974 წლის 16 ივლისს, აგრეთვე,

**რადგანაც** ამ მემორანდუმის თანახმად, ჰარვარდმა შესანახად მიიღო კომისიისაგან დოკუმენტების კრებული, ცნობილი როგორც საქართველოს სახელმწიფო არქივი;

**რადგანაც** 1997 წლის 24 თებერვალს საქართველოს

დემოკრატიული რესპუბლიკის (1918–1921) არქივების მიღების, შენახვისა და დაცვის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის წარმომადგენელმა პროფესორმა გურამ შარაძემ თხოვნით მიმართა ჰარვარდს არქივების დაბრუნების თაობაზე;

რადგანაც 1997 წლის 7 მარტს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მოითხოვა გადაეცათ არქივი პროფესორ შარაძესათვის;

რადგანაც კომისიის წევრების უმეტესობა თანახმა იყო გადაეცა არქივი პროფესორ შარაძესათვის, თანხმობის მემორანდუმზე დაყრდნობით და მისი თხოვნის გამო;

რადგანაც ჰარვარდი თანახმა იყო არქივის გადაცემაზე;

ჩვენ ჰარვარდის უნივერსიტეტის წარმომადგენლები და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის არქივის (1918–1921) მიღების, შენახვისა და დაცვის კომისიის წევრები ვადგენთ:

1. ჰარვარდის უნივერსიტეტი სამუდამოდ გადასცემს არქივს კომისიას.

2. კომისია იბარებს არქივს როგორც საქართველოს მთავრობისა და ხალხის კუთვნილებას და ვალდებულია დააბრუნოს არქივი საქართველოში საკუთარი ხარჯით.

3. კომისიამ შეამოწმა ზემოაღნიშნული დოკუმენტები და ადასტურებს, რომ ისინი წარმოადგენენ არქივის სრულ და უცვლელ ორიგინალს, რომელიც ჰარვარდმა მიიღო თანხმობის მემორანდუმის შესაბამისად 1974 წელს. ამგვარად კომისია მთლიანად ხსნის ჰარვარდის უნივერსიტეტს პასუხისმგებლობას არქივსა და თანხმობის მემორანდუმზე.

4. ჰარვარდმა დაამზადა არქივის ერთი მიკროფილმი და იტოვებს მას შემდეგი შესწავლისათვის და სამეცნიერო კვლევისათვის.

5. კომისია აფასებს ჰარვარდის უნივერსიტეტის ზრუნვას





ელუარდ შვეარდნაძე და გივი ზალდასტანიშვილი

გივი ზალდასტანიშვილი პრეზიდენტ ელუარდ შვეარდნაძესთან საქართველოს მოქალაქეობის მიღების დროს





ვლად შვეინბახი და  
ნიხაზ ჰაიში

ნიხაზ ჰაიში პრეზიდენტ ვლად შვეინბახისთან საქართველოს საპარლამენტო  
დეპუტატების მღერის დროს



არქივზე მოყოლებული 1974 წლიდან, ხოლო ჰარვარდის უნივერსიტეტი აფასებს კომისიის სურვილს არქივის დაბრუნებისა და სჯერა, რომ არქივი ემსახურება ქართველი ხალხის ინტერესებს და დაეხმარება თავისი ერის მეოცე საუკუნის ისტორიის უკეთ გააზრებაში.

ხელმოწერილია 1997 წლის 2 ოქტომბერს, ჰარვარდის უნივერსიტეტის ჰოუტონის ბიბლიოთეკაში, კემბრიჯი, მასანუსეტსი.

ჰარვარდის უნივერსიტეტი:

ნეილ ლ. რუდენშტაინი,  
პრეზიდენტი

საქართველოს დემოკრატიული  
რესპუბლიკის (1918–1921) არქივის  
მიღების, შენახვისა და დაცვის  
კომისია:

გურამ შარაძე, თავმჯდომარე

დაესწრნენ:

ალან ა. რაიანი

გივი ზალდასტანი


ჰარვარდის უნივერსიტეტი,  
ადვოკატი

საქართველოს დამოუკიდებელი  
რესპუბლიკის სამთავრობო არქივის  
კომისიის თავმჯდომარე”.

აშშ-ის პრესამ და ტელევიზიამ საკმაოდ საინტერესოდ გააშუქა ეს ისტორიული მოვლენა.

\* \* \*

3 ოქტომბრიდან FAE-სთან ერთად გავაგრძელო არქივის შეფუთვისა და ყუთებში ჩალაგების სამუშაოები. 7 ოქ-



პროფესორი რინარდ ჰაიასი პრეზიდენტ ელუარდ შევარდნაძესთან მიღების დროს

ტომბრისათვის არქივი (82 ყუთი, 682 კბ.) უკვე ბოსტონის აეროპორტში იყო გადატანილი. გერმანული ავიაკომპანი “ლუფტჰანზას” თვითმფრინავით არქივთან ერთად ფრანკფურტში გამოუფრინდით. ჩვენთან ერთად მოფრინავდნენ ქ-ნი ლესლ მორისი და ბატონი გივი სალდასტანიშვილი, ხოლო პროფესორ რინარდ პაიპსი მეუღლითურთ ჩვენი მოწვევით რამდენიმე დღი გვიან სამობრძანდა საქართველოში, რომელსაც გულთბილ შეხვედრა მოუწევს საქართველოს პარლამენტში, ხოლო საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ საკუთარ რეზიდენციაში ბატონ რინარდ პაიპსს, ხოლო ცოტა უფრო ადრე ბატონ გივი სალდასტანიშვილს საქართველოს საპატიო მოქალაქის წოდების დიპლომები და ოქროს მედლები გადასცა.

ფრანკფურტის აეროპორტში არქივის ყუთების “ლუფტჰანზას” ავიალაინერიდან “ეარ ჯორჯიას” თვითმფრინავზე გადატანასა და თბილისში გამომგზავრებაში დიდი დახმარება გაგვიწია “ეარ ჯორჯიას” წარმომადგენელმა ფრანკფურტში ბატონმა ნუგზარ ქარსიძემ. ვსარგებლობ შემთხვევით და აქვე მსურს ამ დიდ მამულიშვილურ საქმეში დახმარებისა და თანადგომისათვის დიდ მადლობა გადავუხადო ბატონ კახი ასათიანს და “ეარ ჯორჯიას” გენერალურ დირექტორს ბატონ დემურ ლელაძეს!

...8 ოქტომბერი, გვიანი ღამე... კვლავ თბილისი, კვლავ გულთბილი დახვედრა პარლამენტის, მთავრობის, საზოგადოებრიობი წარმომადგენლებისა აეროპორტში, კვლავ საპატიო ესკორტი და საქართველოს პარლამენტის შენობა, სადაც ეროვნული არქივი პარვარდული ნაწილი შეუერთდა თავის ღვიძლ პარიზულ ნაწილ!

ახე დასრულდა საქართველოს ეროვნული განძის ეს საუკუნო ოდისეა!

\* \* \*

1997 წლის 14 ოქტომბერს, საქართველოს პირველ რესპუბლიკის არქივის სამშობლოში დაბრუნებასთან დაკავშირებით პარლამენტის თავმჯდომარემ ბატონმა ზურაბ ჟვანიამ საქართველო პარლამენტის შენობაში დარბაზობა გამართა...

...ქართველ ერს დაუბრუნდა თავისი ისტორიული მეხსიერებ.

## თავი XI

როგორ ჩამოვიტანე გრიგოლ რობაქიძისა და სხვა  
ქართველ მოღვაწეთა არქივები

აქ, ალბათ, არ არის ადგილი ან აუცილებლობა დაწვრილებით მოკუთხროთ მკითხველს, როგორ ჩამოვიტანე გენიალური ქართველი მწერლის გრიგოლ რობაქიძისა და სხვა დიდ ქართველ ემიგრანტ მოღვაწეთა არქივები თუ არქივის ნაწილები მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტიდან (ევროპა, აზია, ამერიკა)...

შევეცდებით მხოლოდ 'სოგად ხაზებში' გადმოვცეთ რამდენიმე მათგანის ისტორია, კერძოდ, გრიგოლ რობაქიძის არქივის გარდა, შევხერხებით მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერების – ძმები უკანე და ალექსანდრე ნიკურაძეების, გენერალ შალვა მაღლაკელიძის, პროფესორ კირილე ვეკუას არქივებისა და სტამბოლელი ქართველი ჟეცენატის სიმონ საზაძის შემოწირულობათა საქართველოში ჩამოტანასე.

\* \* \*


საინტერესოა, რა ბედი ეწია გრიგოლ რობაქიძის არქივს მისი გარდაცვალების შემდეგ?

ამის შესახებ პირველხარისხოვან ცნობებს გვაწვდის ნინო ალია 1964 წელს გამოქვეყნებულ წერილში:

"1962 წ. 20 ნოემბერს, უენევის პოლიციამ აღმოაჩინა გრიგოლ რობაქიძე გარდაცვლილი მის ბინაზე. რადგან განსვენებული მარტო ვხოვრობდა, სასამართლომ ასეთ შემთხვევებში მიღებული წესისამებრ, ბინა დაბეჭდა.

დასაფლავების შემდეგ, ბუნებრივად დაისვა საკითხი მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ, რომელსედაც პრეტენზიას აცხადებდა გრიგოლის გაზრდილი, მისი მეუღლის დის შვილი, რუსი, რომელსაც სამწუხაროთ, ქართველები არ უყვარდა და ცხადია, გრიგოლის ნაწერებს ის ვერ მოუვლიდა. სკვენ მხარი დაუჭირეთ ბ. ალ. ფანჩულიძეს, რომელსაც განსვენებული 'მორეულ ნათესავად' თვლიდა და თვითონ წარვადგინეთ უენევის სასამართლოში და პოლიციაში, როგორც მემკვიდრე. ბ. ფანჩულიძემ კი თავის მხრივ პირობა დასდო ბ. ბ. ხ. შავიშვილთან, კ. ჩხენკელთან, ნ. ჩხატკასთან

გრეგოლ რობაკიძე



გრეგოლ რობაკიძის  
კარბახელურიანი წიგნები

GRIGOL ROBAKIDSE

Adolf Hitler  
von einem fremden  
Dichter gesehen

EUGEN DIEDERICHS VERLAG

GRIGOL ROBAKIDSE

MEGI

EIN GEORGISCHES MÄDCHEN

ROMAN

HAINER WUNDERLICH VERLAG

TÜBINGEN

GRIGOL  
ROBAKIDSE



DAS  
SCHLANGEN-  
HEMD  
—  
ROMAN

Grigol Robakidse

Kaukasische  
Novellen

Bibliothek Suhrkamp

Grigol Robakidse

Der Ruf der Göttin

Roman



EUGEN DIEDERICH'S VERLAG IN JENA

GRIGOL  
ROBAKIDSE

DIE HÜTER  
DES GRALS


ROMAN







קברית "למרה" (רובכידוה) גריגול





და ნ.მაყაშვილთან (რომელნიც დასაფლავებას დაესწრნენ), რომ თუ იგი გრიგოლის ნივთებს და ნაწერებს მიიღებდა, ქართულ ნაწერებს "ბედი ქართლისას" გადასცემდა, რადგან ასეთი იყო სურვილი განსვენებულისა.

სამწუხაროთ, შვეიცარიის სასამართლომ არ იცნო მემკვიდრეებათ არც გრიგოლის გასრდილი ქალი, რომელიც ოფიციალურად ნაშვილები არ აღმონნდა, არც ბ. ალ.ფანჩულიძე, როგორც ამას ადასტურებს აქვე მოყვანილი საბუთი №1:

"ქენევა, 31 იანვარი, 1963 წელი  
რევიუ დე კარტველოლოჟის"  
("ბედი ქართლისას") რედაქციას  
ბერლიოზის ქუჩა 8  
პარიზი XVI

ბ ა ტ ო ნ ე ბ ო ს

ამით ჩვენ გაცნობებთ, რომ ქენევის სასამართლოს პირველმა ინსტანციამ დაადგინა გააუქმოს მემკვიდრეობის უფლება ბატონი გრიგოლ რობაქიძისა, რომელიც გარდაიცვალა 1962 წლის 21 (უნდა იყოს: 19, გ.შ.) ნოემბერს. დაადგინეს 'ხემოხსენებული მემკვიდრეობა იქნას ოფიციალურად ლიკვიდირებული..."

მომრიგებელი სასამართლოს მისამართი: იუსტიციის მოედანი 48, II სართული. ხელმოწერა".

ამნაირად, შვეიცარიის სასამართლომ, გრიგოლის ნივთებისა და ნაწერების საჯარო ლიკვიდაცია გადაწყვიტა. ახლა კი, რასაკვირველია, ჩვენი მოვალეობა იყო სასწრაფოდ ჩავრეოდით საქმეში და საჭირო ზომები მიგვეღო გრიგოლის არქივის გადასარჩენად. შვეიცარიის ხელისუფლებისათვის ჩვენ უცნობი არ ვიყავით. გრიგოლს დახმარება ეძლეოდა, როგორც კულტურულ მოღვაწეს, და ამ მოღვაწეობის დასამტკიცებლად უწყებებში მიჰქონდა "ბედი ქართლისას"-ს ყოველი ნომერი. ჩვენც წარგვადგინა მათ წინაშე რამოდენიმეჯერ. სათანადო დასაბუთებული თხოვნა გავეუზსავენეთ ბერნში მთავარ დეპარტამენტს, რომელმაც ჩვენი მიმართვა შეიწინარა, მოხსნა "საჯარო ლიკვიდაცია", სპეციალური მოხელე გამოგზავნა ქენევაში, რომელმაც გრიგოლის მთელი არქივი შეაგროვა და ჩააბარა ბერნის სასამართლოსა და პოლიციის დეპარტამენტს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მარტო ვერაფერს

გაეხდებოდათ, თანამემამულეებს რომ არ გაეწიათ საჭირო დახმარება. პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ მეტად კეთილშობილი როლი ამ საქმეში ბ-ნ ხარიტონ შავიშვილისა. შესანიშნავად დასაბუთებული წერილებით მიმართეს აგრეთვე შვეიცარიის მთავრობას: ირაკლი ბატონიშვილმა, გერმანიაში მცხოვრებ ქართველ მეცნიერების (მიხეილ წერეთელი, ვანო ნიკურაძე, მიხ. ახმეტელი) სახელით პროფ. ალექსანდრე ნიკურაძემ, გერმანიაში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარემ ბ. ნიკო ნაკაშიძემ, ინგლისში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარემ ბ. ალექსანდრე ყიფიანმა, ბელგიაში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარემ ბ. ირაკლი ოთხმესურმა, სოშოს (საფრანგეთი) ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარემ ბ. ალექსანდრე შათირიშვილმა, ქართულ ეროვნულ საბჭოს კომიტეტის მდივანმა ბ. ნიკო ურუშიაძემ, მალტის ორდენის რაინდმა ბ. ნიკოლოზ ნხოტუამ, ბ. ნიკოლოზ მაყაშვილმა, ბ. დავით ბერეკაშვილმა და ბ. იოსებ გოგოლაშვილმა. ყველა ეს ორგანიზაციები და პირები სთხოვდნენ შვეიცარიის მთავრობას გრიგოლის არქივი მთლიანად გადაეცა "ბედი ქართლისასთვის"; ჩვენგან კი მოითხოვდნენ: მოგვეულო ამ საქმისათვის, რომ არ დაკარგულიყო ჩვენი დიდი თანამემამულის ნაწერები.

ამ დროს საქართველოდან მივიღეთ გამოხმაურება ამ საქმის შესახებ: "დღეს მობრძანდა ჩემთან გრიგოლ რობაქიძის და, ლიდა ტიტეს ასული რობაქიძისა", - გეწერდა ერთი თბილისელი ვეჟილი, - "მისი სურვილი როდია, შვეიცარიის მთავრობა დაეპატრონოს მისი ძმის ნივთებს და ნაწერებს. როგორც უახლოეს მეგობარს მისი ძმისა, ლიდა რობაქიძე გთხოვთ მიიღოთ ენერგიული ზომები, რათა მას, როგორც კანონიერ და ერთადერთ მემკვიდრეს, არ დაეკარგოს ძმის ნივთები და ნაწერები..."

ჩვენ ვაცნობეთ ქ-ნ ლიდა რობაქიძის ვეჟილს საქმის ვითარება. რამდენიმე ხნის შემდეგ ნოტარიუსისგან დამოწმებული ოფიციალური მინდობილობაც მოგვივიდა გრიგოლის დისგან (აქვეა დაბეჭდილი 1963 წლის 23 აპრილის ეს მინდობილობაც (ფოტოკოპირი) ფრანგულად თარგმნილი, გ.შ.):

### "მინდობილობა

მე, მოქალაქე ლიდა ტიტეს ასული რობაქიძე, მცხოვრები თბილისში, საქართველოს სსრ, ნინოშვილის ქ. №41, ვარ

პირდაპირი მემკვიდრე და ღვიძლი და ქუჩევასში, შვეიცარიაში 1962 წლის 19 ნოემბერს გარდაცვლილი მწერლის გრიგოლ რობაქიძისა, ვაძლევ უფლებამოსილებას აქ წარმოდგენილი დოკუმენტით კალისტრატე სალიას, ჩემი ძმის უახლოეს მეგობარს, მცხოვრებს პარიზში, ბერლიოზის ქუჩაზე №8-ში, შეაგროვოს გერმანიაში დარჩენილი ჩემი ძმის გრიგოლ რობაქიძის ლიტერატურული მემკვიდრეობა და განახორციელოს როგორც დაუბეჭდავი, ასევე სხვადასხვა ენაზე უკვე გამოცემული მისი ნაწარმოებების და შრომების გამოცემა, ასევე მიენიჭოს ყველა საავტორო უფლება მათზე.

**ხელს ვაწერ აქ წარმოდგენილ მინდობილობაზე  
ლიდა ტიტეს ასული რობაქიძე.  
23 აპრილი, 1963 წელი, ქალაქი თბილისი".**

მაგრამ შვეიცარიის მთავრობას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა ბედი გრიგოლის არქივისა იმ დღიდან, რაც ბერნში წაიბარა იგი. აქვე ვაქვეყნებთ საბოლოო დადგენილებას შვეიცარიის მთავრობისა, რომელმაც გრიგოლის არქივი – ბიბლიოთეკით ციურისის "გენეტიური ფილოსოფიის საარქივო დაწესებულებას" გადასცა შესანახად:

**"ბერნი", 14 ნოემბერი, 1963 წელი**

**ბ-ნ კალისტრატე სალიას**

**ბერლიოზის ქუჩა №8**

**პარიზი XVI**

**ბ ა ტ თ ნ ი!**

თქვენს 1963 წლის 10 ოქტომბრის წერილში გვთხოვთ გიპასუხოთ ჩვენს გეგმაზე, თუ სად დაიდებს ბინას ქართველი მწერლის გრიგოლ რობაქიძის არქივი, რომელიც გარდაიცვალა ქუჩევასში 1962 წლის 21 (უნდა: 19) ნოემბერს.

შვეიცარიის ფედერალური ხელისუფლებისადმი არაერთი მიმართვის საფუძველზე, მის მიერ შეძენილი ბ-ნ რობაქიძის დატოვებული ნაწერებისა და თხზულებების საჯარო ლიკვიდაციის დადგენილება გაუქმდა: გადაწყვიტეს, რომ იგი გადასცენ შესანახად "Archive sur genetische Philosophie"-ს Kapfesteig 44, ციურისში, სადაც ის დაცული იქნება და კონსულტაციას გაუწევს იმ პირებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ამ არქივზე სამეცნიერო მუშაობით.

ჩვენ არ შეგვიძლია, ჩვენდა სამწუხაროდ, მივიდოთ თქვენს

თხოვნა და ის საქმე, რომელიც უკვე დამთავრებულია.

### ფედერალური პოლიციის განყოფილება".

ჩვენ კი დაგვიბრუნეს ჩვენი წერილები, 16 წლის განმავლობაში გრიგოლისადმი მიწერილი, აგრეთვე, რამოდენიმე გვერდი რომანისა "დალი", რომელსაც გრიგოლის ხელით აწერია "გადავწყვიტე ნაწვევტებად გავეშვა ჟურნალში"-ო. სამწუხაროდ მარტო 6 გვერდი აღმოჩნდა ამ რომანისა.

თვითონ ჩვენ გვაქვს გრიგოლის მიერ გადმოცემული მისი ბევრი გერმანული გამოუქვეყნებელი ხელთნაწერი. ქართულად კი მხოლოდ მისი პირადი წერილები (450) – მათ შორის, ბევრი მეტად საინტერესო, რომელთა გამოქვეყნება შეიძლება და საჭიროც არის.

საბოლოოდ გრიგოლის არქივი გადაეცემა დიდ პიროვნებათა საარქივო აკადემიას, რომელიც არსდება ციურიხში. როგორც გადმოგვცეს, იქვე დაიდგმება გრიგოლის ბიუსტიც".

უკანასკნელად, გრიგოლ რობაქიძის არქივის ბუდის თაობაზე საყურადღებო მასალას ვპოულობთ აწ განსვენებულ კალისტრატე სალიას 1979 წლის 15 დეკემბრით დათარიღებულ ერთ კერძო წერილში, რომელიც მას დაუწერია გრ.რობაქიძის "კავკასიური ნოველების" დასაუკლეთ გერმანიაში მეორე გამოცემასთან (მაინის ფრანკფურტი, 1979 წ.) დაკავშირებით:

"...რამდენიმე თვის წინათ "სურკამპ-ფერლაგი" შემეკითხა – ვინ არის პატრონი და პასუხისმგებელი გრიგოლ რობაქიძის ნაწერებისთვისო. ციურიხის უნივერსიტეტში, მგონი, რუთ ნოიკომს, მიუთითებია ჩემზე. მე მაშინვე პასუხი ვავეცი და გავაცანი საქმის მდგომარეობა, რომ შევიცარიელებმა მოითხოვეს 67.000 (სამოცდაშვიდი ათასი) შევიცარიული ფრანკი გრიგოლ რობაქიძის შენახვისათვის გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად. მე არ შემეძლო ამ ფულის გადახდა. ამიტომ წაიღეს ყველაფერი, ხოლო მე მოვითხოვე, რომ მათ არ შეეტანათ თავიანთ სიაში, რაც გრიგოლმა გერმანიაში გამოსცა, რომ მათ ეს არ ეხება და სხვა".

ამის შემდეგ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, გრიგოლ რობაქიძის სასოგადოების თავმჯდომარემ, მწერალმა ავთანდილ ნხიკვიშვილმა საქართველოში ჩამოიტანა გრიგოლ რობაქიძის არქივის ერთი ნაწილი, რომელსაც, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ჩვენ არ ვიცნობთ.

ასეთი იყო საქმის ვითარება, როდესაც ჩვენ შეკუდებით მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტული გრიგოლ რობაქიძის

არქივის ნაწილების შეგროვებას, კერძოდ, 1990-იანი წლებიდან მოყოლებული ჩვენ შევძელით ქართველი ემიგრანტი მოღვაწეების მამია ბერიშვილის, კარლო ინასარიძის, ვახტანგ ჩხაიძის, ნინო ვანნაძის და სხვათა დახმარებით მოგვეპოა გიორგი გამყრელიძის, გრიგოლ დიასამიძის, რაუდენ არსენიძის, ალექსანდრე ფანჩულიძის პირად საარქივო ფონდებში მიუნხენში, პარიზსა და ნიუ-იორკში წარსენილი გრიგოლ რობაქიძის საარქივო მასალები, აგრეთვე, შეგვეგროვებინა და ერთად თავი მოგვეყარა გრიგოლ რობაქიძის ყველა გერმანულენოვანი წიგნებისათვის, რომლებიც საქართველოში წამოვიტანეთ და ქართული ემიგრაციის მუზეუმს გადავეცით დასაცავად. გოთავასობ მათ სიას.

### გრიგოლ რობაქიძის გერმანულენოვანი წიგნები:

1. "გველის პერანგი", რომანი, თარგმანი ავტორისა, სტეფან ცვაიგის შესავალი წერილით, იენა, 1928 წ.
2. "შეგი - ქართველი ასული", რომანი, ტიუბინგენი, 1932 წ.
3. "ჩაკლული სული", რომანი, იენა, 1933 წ.
4. "ქაღმერთის ძახილი", რომანი, იენა, 1934 წ. (ფრანგული თარგმანი მათე კერესელიძისა დაკარგულია).
5. "წმინდა გრაალის მკვებელი", რომანი, იენა, 1937 წ.
6. "დემონი და მითოსი", ჯადოსნურ სურათთა რიგი, იენა, 1935 წ.
7. "კავკასიური ნოველები", ლაიფციგი, 1932 წ.; II გამოცემა, მაინის ფრანკფურტი, 1979 წ.
8. "ადოლფ ჰიტლერი".
9. "მუსოლინი".

### გრიგოლ დიასამიძის არქივიდან (ნიუ-იორკი):

გრიგოლ რობაქიძის 5 წერილი გრიგოლ დიასამიძისადმი, გაგზავნილი ჟენევიდან ნიუ-იორკში:

1. 10. IX. 1948, ჟენევა
2. 27. IX, 1948, ჟენევა
3. 30. III. 1949, ჟენევა
4. 27. II. 1950, ჟენევა
5. 14. III. 1950, ჟენევა

## ლევინის არქივიდან:

გრიგოლ რობაქიძის წერილები და ღია ბარათები რაჟდენ არსენიძისადმი

1. 1948 წ. 2 წერილი და ღია ბარათი
2. 1953 წ. 9 წერილი და ღია ბარათი
3. 1954 წ. 7 წერილი და ღია ბარათი
4. 1955 წ. 12 წერილი და ღია ბარათი
5. 1956 წ. 2 ღია ბარათი

გრიგოლ რობაქიძის წერილები სხვადასხვა პირებისადმი

1. ეგბეგი გუგუჭკორისადმი – 1952 წ. (1 წერილი), 1953 წ. (1 წერილი)

2. ნიკო იმნაიშვილისადმი – 1954 წ. (1 წერილი)

3. სანდრო კორძაიასადმი – 1959 წ. (1 წერილი)

4. მაკრინე ჩხენკელისადმი – 1959 წ. (1 წერილი)

წერილები გრიგოლ რობაქიძისადმი

1. რაჟდენ არსენიძისა – 1950 წ. (1 წერილი)

2. ი.იაკოვლევისა – 1954 წ. (1 წერილი, გერმანულ ენაზე)

გრიგოლ რობაქიძის ლექსები

1. "აქლემი", 1918 წ.

2. "ეასაკა", მარტი, 1919 წ., სტამბული.

## გიორგი გამყრელიძის არქივიდან (მიუნხენი):

გრიგოლ რობაქიძის წერილები გიორგი გამყრელიძისადმი

1. 1952 წ. (2 წერილი)

2. 1953 წ. (3 წერილი)

3. 1954 წ. (4 წერილი)

4. 1955 წ. (9 წერილი)

5. 1956 წ. (1 წერილი)

6. 1961 წ. (2 წერილი)

7. 1962 წ. (2 წერილი)

დანარჩენი ორი წერილი უთარიღოა. ყველა ავტოგრაფია.

გრიგოლ რობაქიძის წერილი ნიკო ურუშაძისადმი – 1952 წ. (1 წერილი, ავტოგრაფი).

გრიგოლ რობაქიძის ღია ბარათი კნეინა ვერასადმი (ერისთავი) – 1910 წ., 1912 წ. (თითო წერილი, ავტოგრაფები).

გრიგოლ რობაქიძის ღია ბარათი ბატონ გიორგისადმი



(ერისთავი), ავტოგრაფი.

გრიგოლ რობაქიძის ლექსები - "აქლემი", 1918 წ., "აღლას", 1920 წ., "ვასაკა", 1919 წ., "წმინდა ნინოს", 1954 წ., ავტოგრაფები.

გრიგოლ რობაქიძის სავიზიტო ბარათი, მეორე გვერდზე გრ.რობაქიძის ავტოგრაფით.

გრიგოლ რობაქიძის 2 მოხსენება საბჭოთა კავშირის კულტურისა და ისტორიის შემსწავლელი ინსტიტუტის სხდომაზე, მიუნხენი, 1954 წ.

### ალექსანდრე ფანშულიძის არქივიდან (პარიზი):

გრიგოლ რობაქიძის ლექსები - "ვერის ხიდზე", "ქართველი დედის წერილი ომში გაეყვანილი შეილისადმი", "ღმერთმა მიაფრქვია მადლი საქართველოს", "მიწის რჯული საქართველო".

გრიგოლ რობაქიძის წერილები - ირაკლი აბაშიძისადმი (27 ფ. ავტოგრაფი); ალექსანდრე ფანშულიძისადმი (1955 წ., 1961 წ., 1962 წ., სულ 7 წერილი, ავტოგრაფი).

გრიგოლ რობაქიძე, "გველის პერანგი", ტფილისი, 1926 წ.

გრიგოლ რობაქიძის ქართულ ემიგრანტულ ჟურნალ-გაზეთებში ("ბედი ქართლისა", "თავისუფლების ტრიბუნა") გამოქვეყნებული წერილები.

გრიგოლ რობაქიძისადმი მიძღვნილი გადაცემები რადიო "თავისუფლებაში".

მოსაწვევი ბარათები გრიგოლ რობაქიძის გარდაცვალების ორმოცი დღის აღსანიშნავად.

გრიგოლ რობაქიძისადმი მიძღვნილი გიორგი ყიფიანის ლექსები.

\* \* \*

თანამედროვე მსოფლიო მეცნიერულ სამყაროში თვალსაჩინო ადგილი ეჭირათ გერმანიაში მოღვაწე ძმებს - ივანე და ალექსანდრე ნიკურაძეებს, რომელთა ადამიანური და შემოქმედებითი ბედი რთულად აეწყო...

მათი მამა - ინჟინერი ილია პავლეს ძე ნიკურაძე სამტრედიიაში ცხოვრობდა და რკინიგზის დეპოს უფროსად მსახურობდა. მეუღლის - ელისაბედ გეგიას მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ, მას აღსასრულად დარჩა ექვსი მცირეწლოვანი თბოლი: სილოვანი, ივანე, პავლე, ალექსანდრე,



პროფესორი ივანე ნიკურაძე



პროფესორი ალექსანდრე ნიკურაძე

ლიდა და ლუბა. მეორედ ილია ნიკურაძე დაქორწინდა ნიფადორა ზურაბის ასულ გიორგაძეზე, რომელთანაც კიდევ სამი შვილი შეეძინა – შოთა, ელენე (ფროლენა) და ქეთევანი. ნიფადორა გიორგაძემ ცხრავე და-ძმას ერთგული დედობა გაუწია და სასახელო შვილები გაუზარდა სამშობლოს, მათგან სამი ცნობილი პროფესორი გახდა: სილოვან ნიკურაძე ქირურგი-პროფესორი იყო (გარდ. 1965 წ.), ივანე ნიკურაძე მსოფლიოში სახელგანთქმული პროფესორი ჰიდრაულიკის დარგში, ხოლო ალექსანდრე ნიკურაძე ასევე სახელმწიფო პროფესორი მყარი სხეულების ფიზიკაში...

ძმებმა ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ახლადგახსნილ თბილისის უნივერსიტეტს მიაშურეს. მალე (1919 წ.) პ. მელიქიშვილისა და ივ. ჯავახიშვილის რეკომენდაციით რამდენიმე გამორჩეული ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდა ცოდნის გასადრმავებლად სახელმწიფო ხარჯით გაგზავნილ იქნა სახლდარგარეთ, რომელთა შორის იყო ივანე ნიკურაძეც. მათ რიცხვში თავიდან ვერ მოხვედრილა ალექსანდრე ნიკურაძე. ამიტომ თბილისში წამოსულა ილია ნიკურაძე და უთხოვია რექტორისათვის, სათანადო



სმეზი ივანე და ალექსანდრე ნიკურასეზი



პროექტორი ალექსანდრე ნიკურაძე ოჯახის წევრებთან ერთად

სტუქნად პროექტორ ალექსანდრე ნიკურაძის ოჯახში მიუჩნენი



სახსრებს მე გავიღებ, ოღონდ, ალექსანდრეს ნუ დამიტოვებთო. ასე მოხვდნენ ცოდნას მოწვეურებული ძმები გერმანიაში. მათ იცოდნენ, რომ გამოსწავლილი მათემატიკოსისა და მეცნიერების ორგანიზაციის პროფესორ ფელიქს კლეინეს ინიციატივით გეტინგენში შექმნილი იყო რიგი ინსტიტუტებისა გამოყენებითი მექანიკისა და მათემატიკის დარგში, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ სახელგანთქმული მეცნიერები. მათ შორის იყო გამოყენებითი მექანიკის ინსტიტუტი პროფესორ ლუდვიგ პრანდტლის მეთაურობით, აგრეთვე, პროფესორ რუნგეს გამოყენებითი მათემატიკისა და პროფესორ სიმონის გამოყენებითი ელექტროტექნიკის ინსტიტუტები.

პროფ. ლ.პრანდტლის ხელმძღვანელობით ჩატარებულ საკვლევადიებო სამუშაოები იმ დროისათვის ერთადერთი იყო ჰიდროაერომექანიკის დარგში. ამდენად, პროფ. ლ.პრანდტლინ საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ჰიდროდინამიკას, გაზის დინამიკას და აეროდინამიკას.

ივანე ნიკურაძემ სწავლის გასაგრძელებლად სწორედ გეტინგენი აირჩია. აქ მისი მასწავლებლები იყვნენ პროფესორები პრანდტლი, გილბერტი, როლდი, გრანი, ბორნი, რუნგე. სწავლის დამთავრების შემდეგ ი.ნიკურაძე პრანდტლის ინსტიტუტის თანამშრომელია, სადაც სუფევდა მეცნიერულ-შემოქმედებითი მუშაობის ატმოსფერო. მალე ი.ნიკურაძე პროფ. პრანდტლის უსაყვარლესი მოწაფე გახდა.

1923 წლის 13 მარტს ივანე ნიკურაძემ დიდი წარმატებით დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი გეტინგენის უნივერსიტეტში პროფ. ლ.პრანდტლის ხელმძღვანელობით და მიენიჭა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. ამ დღიდან მას უკვე იოჰან ნიკურაძის სახელით იცნობს მეცნიერული სამყარო.

...პროფესორი ივანე (იოჰან) ნიკურაძე გარდაიცვალა 1975 წლის 18 ივლისს, ქალაქ გეტინგენში. მას დარჩა ვაჟი ალექსანდრე ნიკურაძე და შვილიშვილი – ისიც ალექსანდრე ნიკურაძე.

რაც შეეხება უმცროს ძმას, პროფესორ ალექსანდრე ნიკურაძეს, იგი ოჯახს გვიან მოეკიდა. მან შეერთო გერმანელ ქალი ჰილდე ჰერპიხი, ვისთანაც ეყოლა ერთადერთი ქალიშვილი ელიზაბეტი. ალექსანდრე ნიკურაძე გარდაიცვალა 80 წლის ასაკში, 1981 წლის 13 ივნისს, ქ. მიუნხენში.

თავისი ძირითადი სპეციალობის გარდა (მუშაობდა მეარო სხეულების ფიზიკაში და ენერგეტიკაში, ბოლოს განაგებდა საკუთარ ინსტიტუტს მიუნხენში) ალექსანდრე ნიკურაძე

განსხვავებით თავისი უფროსი ძმის ივანესაგან, გატაცებული იყო პოლიტიკით და კომანიტარული მეცნიერების დარგებით, კერძოდ, საქართველოს ისტორიით, არქეოლოგიით, ლიტერატურით...

აღნიკურაძე უკვე 1928 წლიდან გერმანიის წამყვან მეცნიერულ ჟურნალებში აქვეყნებს თავის სტატიებს... ფიზიკის დარგში მას აქვს დაახლოებით 35-სე მეტი საკუთარი გამოკვლევა, გამოცემული აქვს ორი წიგნი...

არა ნაკლები ღვაწლი მიუძღვის მას ისტორიის დარგშიც, რომელიც მას თავიდანვე აინტერესებდა. იგი იყო დირექტორი მეორე დაწესებულებისა, – კონტინენტალური ევროპის კვლევა-ძიების ინსტიტუტისა, სადაც მან გამოსცა გერმანულ ენაზე ხუთი წიგნი, მათ შორის, "აღმოსავლეთი ევროპა" და "კავკასია", რომელშიც ავტორი დიდ ადგილს უთმობს საქართველოს ისტორიას...

მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერ ძმებს დიდი სურვილი ჰქონიათ, რომ თავიანთი მდიდარი ბიბლიოთეკა და არქივი გადმოეცათ საქართველოსათვის. სამწუხაროდ, ეს განზრახვა მათ სიცოცხლეში ვერ განხორციელდა.

1989 წლის აპრილში, მიუნხენში სამეცნიერო მივლინებით ყოფნის დროს, გერმანიის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარემ ბატონმა ქრისტეფორე კირკიტაძემ დამაკავშირა პროფესორ ალექსანდრე ნიკურაძის ოჯახთან, რომელიც მიუნხენში ცხოვრობს. ალექსანდრე ნიკურაძის ქვრივმა – ჰილდე ნიკურაძემ არანვეულებრივი კულთბილობითა და თავაზიანობით მიმიღო. მან თავისუფლად დამიშვა სამუშაოდ განსვენებული მეუღლის არქივზე, გადმომცა ხელნაწერები და წიგნები, რომლებიც საქართველოში ჩამოვიტანე და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს გადავეცი დასაცავად და სპეციალისტების პიერ უფრო ღრმად შესასწავლად.

ახლა ჯერი პროფესორ ივანე ნიკურაძის არქივზეა, რომელიც ქ. გეტინგენში ინახება და სამშობლოში დაბრუნებას ელის! თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ არქივის ერთი ნაწილის ქსეროასლები 1990 წლის თებერვალ-მარტში გფრ-ში ხელმეორედ მუშაობისას გადმომცა მეცნიერის ვაჟმა – ანიკურაძემ და ისიც ხელნაწერთა ინსტიტუტს ჩაეაბარე.

\* \* \*


თურქეთში, ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე



სტამბოლის ქართული კათოლიკური მონასტრის  
დამარსებელი პეტრე ხარისჭირაშვილი

არსებული ძველი ქართული კულტურის ძეგლები მეტნაკლებად ცნობილია ჩვენი მეცნიერებისა და საზოგადოებისათვის. მაგრამ სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანე, მისი არქივი და წიგნთსაცავი ამ მხრივ სრულიად შეუსწავლელია. ამ ხარვეზის შევსების მიზნით, 1991 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში პროფესორ შუშანა ფუტკარაძესთან ერთად თურქეთს გავემგზავრეთ.

...ქართველ კათოლიკეთა მონასტერი კონსტანტინოპოლში (იგივე სტამბოლში) გასული საუკუნის 50-60-იანი წლების მიჯნაზე დაუარსებია ახალციხელ მღვდელს პეტრე ხარისჭირაშვილს. ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში პეტრე ხარისჭირაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ რამდენიმე სპეციალური შრომა არსებობს (ზ.ჭიჭინაძე, ი.მაისურაძე, დ.კოჟორიძე, ი.ტაბაღუა, შ.ლომსაძე). როგორც ირკვევა, პ.ხარისჭირაშვილისა და მის მიერ კონსტანტინოპოლში (სტამბოლში) დაარსებული ქართული სავანის, და საერთოდ, სტამბოლის ქართული ახალშენის გარშემო ფასდაუდებელი ცნობები მოეპოვებათ იტალიელ ავტორს ევგენი დალეჯიო დ'ალესიოს შრომაში "ქართველები კონსტანტინოპოლში" და მის ქართველ



სტამბოლის ქართული კათოლიკური მონასტერი



სტამბოლის ქართულ  
კათოლიკურ მონასტერთან





სტამბოლელი ქართველი კათოლიკე და  
მონასტრის მხრეზელი ხინზ ზახაძე


მოარგმნელს შალვა ვარდიცხ, რომელმაც რამოდენიმე ათეული წელი დაჰყო აღნიშნულ მონასტერში და ამდენად მას ხანდო პირველწეარობი პქონდა ხელთ, როდესაც ამ ნარკვევს წერდა.

ქართველ კათოლიკეთა მონასტერი სტამბოლის მაშინდელ განაპირა, დღეს კი დიდად პრესტიჟულ უბანში ფერიკოშია აგებული (1859-1861 წწ.) დეითისმშობლის უმანკოდ წასახების სახელობაზე. მონასტერთან არსებულა როგორც მამათა, ასე დედათა სავანე. პხარისტირაშვიდს ეკლესიაში წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე დაუწესებია, აგრეთვე, დაჯარსებია სასწავლებელი, წიგნთსაცავი და სტამბა, შეუქმნია საკმაოდ ვრცელი სამონასტრო წიგნები. მამა პეტრეს მხარში ედგნენ ასაღციხიდან წამოსული მოწაფეები - იოსებ მამეკაშვილი, ივანე გვარამაძე (ვინმე მესხი) და სტეფანე გიორგაძე. სამონასტრო სკოლაში სადმოთო საგნების გარდა ასწავლიდნენ ექიმობას, წამლების კეთებას, უცხო ენებს, მასწავლებლობას... ამ სკოლამ ბევრი სახიქადელი მამულიშვილი გამოზარდა. მათ შორის საკმარისია დაგვასახელოთ საქვეყნოდ ცნობილი ქართველი მეცნიერები მიხეილ თამარაშვილი და მიქელ თარხნიშვილი, აგრეთვე, ერთ დროს აქაური მღვდელი,



სიმონ ზახაძე ოჯახის წევრებთან ერთად

სტუმრად სტამბოლის გაინახიანი: მუმანა ფუტკარაძე, სიმონ ზახაძე, გურამ შარაძე





სიმონ ზაზაძე პრეზიდენტ ელუარდ შევარდნაძესთან საქართველოს  
სამატიო მოქალაქეობის მიღების დროს

უკანასკნელად ბეირუტის უნივერსიტეტის პროფესორი შალვა  
ვარდიძე...

ძლიერ ვართ დავალებული სტამბოლელი ქართველი  
კათოლიკე ბიზნესმენის ბატონ სიმონ ზაზაძისაგან, რომლის უშუალო  
დახმარებით და შემწეობით მოგვეცა საშუალება შეგვეღწია ქართველ

კათოლიკეთა სავანის უმდიდრეს არქივსა და ბიბლიოთეკაში. დღეს სიმონ ზაზაძე ითვლება ამ სავანის მეთვალყურედ და თუ არა მისი ნებართვა, წყენ ვერ შევძლებდით ამ უმდიდრესი ეროვნული საგანძურის გაცნობასა და შესწავლას.

მას შემდეგ ბატონ ასლან აბაშიძის ხელშეწყობითა და დახმარებით მე და ქალბატონ შუშანა ფუტკარაძეს არაერთხელ მოგვიხდა იქ წასვლა და ქართული კულტურისათვის ბევრი უცნობი ძეგლის გამომჩვენება.

ბატონ სიმონ ზაზაძესთან მრავალწლიანმა თანამშრომლობამ და მეგობრობამ ის ნაყოფიც გამოიღო, რომ მან როგორც პატრიოტმა და სასოგადო მოღვაწემ, 1996 წელს საქართველოსთვის სანუქრად გამოგვატანა რამდენიმე ძველი ქართული ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნი, რომლებიც ძვირფასი შენაძენია წყენი ისტორიული წარსულის უკეთ გასაშუქებლად. აი, ისინიც:

1. მარგალიტი, XVI ს.;
2. სახარების საკითხავი, XVII ს.;
3. ქცევითი ღვთისმეტყველება, 1785 წ.;
4. დურბინი, ვითარცა თეატრი ქუეყნისა, XIX ს.;
5. საქრისტიანო მოძღვრება, 1855 წ.;
6. ქება წმიდისა ღვთისმშობელისა, 1855 წ.;
7. წიგნი იესოს შეყვარებისა, 1857 წ.;
8. ცხოვრება იესუბაისი და იგავნი მისნი, XIX ს.;
9. წმ. ფრანჩისკე საღეშინის დარიგებანი, XIX ს.;
10. შემოკლებული ისტორია ძველ ნათესავთა, XIX ს.;
11. ევროპის ქვეყნების ახალი ისტორია 1454 წლიდან, 1853 წ.;
12. სულის მარგებელი სიბრძნე (წლიური სათქმელი), 1859 წ.;
13. რომის ისტორია, XIX ს.;
14. დავითნი, 1711 წ.;
15. კეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა, 1712 წ.

ყველა აქ ჩამოთვლილი ბატონ სიმონ ზაზაძის მიერ საქართველოსთვის შემოწირული ძეგლი 1996 წლის 19 სექტემბერს შესანახად გადაეცით კიკეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს, ხოლო საქართველოს პრეზიდენტმა ელუარდ შევარდნაძემ ქართული კულტურის წინაშე დიდი დამსახურებისა და სტამბოლში ქართული მონასტრის და არქივის გადარჩენისა და მასზე ყოველდღიური ზრუნვისათვის ბატონ სიმონ ზაზაძეს მიანიჭა საქართველოს საპატიო მოქალაქის საპატიო წოდება, რისთვისაც იგი მოიწვია თბილისში და თავის რეზიდენციაში გადასცა შესაბამისი რეგალიები...



პროფესორი კირილე ვეკუა

პროფესორი კირილე ვეკუა  
თავის მოწაფეებთან  
დასავლეთ ბერლინის ინსტიტუტში

\* \* \*

ახლა პროფესორ კირილე ვეკუასა და მისი არქივის შესახებ.  
1966 წელს პარიზში ჩასულ ჩვენი სახელოვანი მათემატიკოსის აკადემიკოს ილია ვეკუასათვის ვიქტორ ნოსაძეს უკითხავს: კირილე ვეკუას თუ იცნობთ, იგი ბერლინში მუშაობს, ამჟამად მოხუცია და წუხს, თავისიანების შესახებ რომ არაფერი იცისო. ილია ვეკუას უპასუხნია: მის შესახებ მსმენია, მაგრამ არ ვიცნობ, ხოლო კარგად ვიცნობდი უფროს ძმას – ვლადიმერ ვეკუას, რომელიც 1945 წელს გარდაიცვალა და მისი ვაჟი ლეო ჩემთან მუშაობს დოცენტად. ბ-ნმა ი. ვეკუამ ბ-ონ ვიქტორ ნოსაძის მეშვეობით მისამართი და ტელეფონის ნომერი ჩამოუტანა საქართველოში კირილე ვეკუას ძმისწულებს და ისინი ბიძას დააკავშირა. ორმოც წელზე მეტი ხნის განმორების შემდეგ კირილე ვეკუამ კვლავ მოაწვდინა ხმა თავის დაკარგულ სამშობლოს...

...ქუთაისის გუბერნიის სუგდიდის მაზრის სუფელ ახუთის (ამჟამად ჩხორთაქუს რაიონშია) მღვდელს მოსე (კონონ) ვეკუას და



მსახე (ველუკი) გოგუას ჰყავდათ სამი ვაჟი: ვლადიმერ, აკაკი და კირილე.

კირილე ვეკუა ძმებს შორის ყველაზე უმცროსი იყო. იგი დაიბადა 1891 წლის 4 (17) მაისს. ჩვენს ხელთ არსებული სიმწიფის მოწმობის მიხედვით, კ. ვეკუას 1915 წელს დაუმთავრებია ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და უმაღლესი განათლების მისაღებად ხარკოვში გამგზავრებულა იქაურ უნივერსიტეტში შესასვლელად, სადაც უსწავლია საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე.

კ. ვეკუა ადრე ჩაბმულა ეროვნულ მოძრაობაში, გამხდარა სოციალ-დემოკრატი, ხარკოვის უნივერსიტეტში სწავლისას რევოლუციურ სტუდენტობას მიემხრო, ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში და დამოუკიდებელი საქართველოს აღმშენებლობით საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა (ერთხანს სამეგრელოს ერთ რაიონში მიწის რეფორმის კომისიას ხელმძღვანელობდა). თავისუფლების დაკარგვისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კ. ვეკუა, როგორც ახალი საოკუპაციო რეჟიმის შეურიგებელი მოწინააღმდეგე, ქართველი ხალხის სხვა მოწინავე შეილებთან ერთად დაუპატიმრებიათ და მეტეხის

ციხეში ჩაუსვამთ. მაგრამ მარიონეტულ ხელისუფლებას დატუსაღებული პოლიტიკური მოღვაწენიც ძიღს უფრთხობდნენ და მოსკოვის მითითებით ჯერ მათი საქართველოდან რუსეთში გადასახლების გეგმა შეიმუშავა, ხოლო ამ ვერაგული ჩანაფიქრის გამჟღავნების შემდეგ, გადაწყვიტა ისინი საქართველოს ფარგლებიდან სტამბოლში ან ევროპის რომელიმე სახელმწიფოში გაეძევიბინა. ასე მოხდა წითელ რუსეთშიც, როცა 1922 წლის სექტემბერში ლენინმა თავიდან მოიშორა "აბესარი ინტელიგენცია" და 75 ცნობილი რუსი ინტელიგენტი პეტროგრადის ნავსადგურიდან უცხოეთს გააძევა და მალე მათ კიდევ 160 გამოჩენილი მოღვაწე მიაყოლა...

თბილისში შექმნილმა საფილტრაციო კომისიამ ს. თოდრიას, ივ. სტურუას, გ. ჩხეიძის შემადგენლობით, რომელსაც ეხმარებოდა არაქელა ოქრუაშვილი, შეადგინა 70 კაცამდე გასაძევიბელთა სია მეტეხის პოლიტპატიმრებიდან და 1922 წლის 10 ოქტომბერს მათ დაატოვიბინეს სამშობლო. 62 გაძევიბულთა შორის იყო კირილე ვეკუაც.

ასე აღმოჩნდა კირილე ვეკუა 1922 წლის დეკემბრის პირველ რიცხვიბში უცხოეთში, კერძოდ, გერმანიაში, ქ. ბერლინში. 1922 წელს მან სწავლა განაგრძო გეტინგენის უნივერსიტეტში, შემდეგ — ბერლინის ფრიდრიხ-ვილჰელმის უნივერსიტეტში, სადაც მან დაასრულა თავისი სწავლა ქიმიურ დარგში და 1931 წელს მიენიჭა ფილოსოფიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი ქიმიის განხრით.

პროფესორ კ. ვეკუას განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ბერლინის ინსტიტუტის საღებაეთა ლაბორატორიის კვლევიბა-ძიების საქმეში, რომელსაც მან ჩაუყარა საფუძვიელი ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დაწვიბამდე.

პროფესორი კ. ვეკუა თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე მრავალი წლის განმავლობაში კითხულობდა ლექცივიბს ქიმიის აღნიშნულ სპეციალობაში და მან ბევრი ახალგაზრდა ქიმიკოსი გამოსარდა ამ საქმისათვის. მისი ხელმძღვიბანელობით შესრულდა 25-ზე მეტი საღიპლომო და სადოქტორო ნაშრომი. პროფესორ კ. ვეკუას ბევრი ყოფილი მოწაფე მუშაობს დღეს გერმანიაში ლაქვიბისა და საღებაეთა ინდუსტრიაში და აგრეოვი მათ მონათესავე მრეწველობაში.

მიუხეღავად იმისა, რომ თითქოს ქიმიკოსი კ. ვეკუა შორს უნდა მღგარიყო პოლიტიკისაგან, იგი ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას იღევიბდა ქართული ეროვნული ემიგრაციის

პოლიტიკურ და სასოგადოებრივ ცხოვრებაში, მუდამ ცდილობდა ეზრუნა ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ხალხის ეკონომიკური და კულტურული დაწინაურებისათვის. ამისათვის იგი არ ერიდებოდა უარი ეთქვა თავის პოლიტიკურ მრწამსსა და მსოფლმხედველობაზე და თუ ამას ქართველი ერის ინტერესები მოითხოვდა, მკაცრად გაეკრიტიკებინა ერთ დროს თავისი პოლიტიკური თანამშრობელები. როგორც ვთქვით, 1922 წელს კირილე ვეკუა საქართველოდან გააძევეს ვითარცა სოციალ-დემოკრატი, მაგრამ 30-იან წლებში მას შეუცვლია შეხედულება თავის პარტიაზე, მის მოღვაწეობაზე საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში და გაზეთ “თეთრი გიორგის” ფურცლებზე დაუბეჭდავს მწვავე კრიტიკა სათაურით “რად არა ვართ თქვენთან?!” (იხ. “თეთრი გიორგი”, №74-75, 76, 78-79. პარიზი 1934 წელი).

1967 წლის ივნისში ლტოლვილ მეცნიერს აუხდა ოცნება კვლავ ენახა თავისი დიდი ხნის უნახავი სამშობლო, ახლო ნათესაეები...

გერმანიაში დაბრუნებული კ. ვეკუა იწერებოდა: “ეს ზაფხული ჩემთვის საოცნებო იყო. როგორ მიხაროდა თქვენთან ყოფნა!..”

დიდხანს ვერ გაძლო უსამშობლოდ მეცნიერის დაღლილმა გულმა: 1968 წლის 28 ივნისს კირილე ვეკუა დასაყვლეთ ბერლინში გარდაიცვალა...

1989 წელს პარიზში სამეცნიერო მივლინებით ყოფნის დროს მიუნხენში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულემ, ცნობილმა პოლიტიკურმა და სასოგადო მოღვაწემ კარლო ინასარიძემ თავისი მანქანით ჩამომიტანა კირილე ვეკუას არქივი სამშობლოში წამოსაღებად. (იხ. ჩემი, ფრანგული დღიური, თბ., 1990, გვ. 38).

საქართველოში ჩამოსვლისთანავე 1989 წლის შემოდგომაზე ჩვენი ღვაწლმოსილი ქიმიკოსის მეტად საინტერესო და მდიდარი მეცნიერული არქივი დასაცავად გადავეცი კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს. ახლა ჯერი ჩვენს მეცნიერ-ქიმიკოსებზეა, რომლებმაც თავიანთი პროფესიული სიტყვა უნდა თქვან ამ არქივში დაცული ორიგინალური მეცნიერული მემკვიდრეობის შესახებ, რათა იგი წადგეს ჩვენი დამოუკიდებელი სამშობლოს ქიმიური მრეწველობის სამსახურში...

\* \* \*

საქართველოში ლეგენდად დარჩა გენერალ შალვა





გენერალი შალვა მადლაკელიძე

მადლაკელიძის სახელი, რომელმაც სიცოცხლის უკანასკნელი წლები სამშობლოში გაატარა და აქვე გარდაიცვალა, მაგრამ მას გერმანიაში, ქმიუნხენში დარჩა ვაჟიშვილი – ერთ დროს ცნობილი ჟურნალისტი და პოლიტიკური მოღვაწე გაიოს მადლაკელიძე და თავისი მდიდარი არქივი.

ამიტომ ვისარგებლე 1989 წელს მიუნხენში ყოფნის შემთხვევით და მიუნხენელ ქართველებთან ერთად სტუმრად ვეწვიეთ ბატონ გაიოს მადლაკელიძეს და მის მეუღლეს ქალბატონ ჰანას. ბატონი გაიოს მადლაკელიძე მაშინ მიძიმე ავადმყოფი გახლდათ, ძლიერ ესიამოვნა ჩვენი ნახვა და ჩვენი წამოსვლიდან მალე გარდაიცვალა კიდევ.

როგორც შემდეგ გამოირკვა, მის თვალში იმდენად დიდი ნდობა დამიმსახურებია, რომ სიკვდილის წინ თავისი მეუღლის – ქალბატონ ჰანასთვის ანდერძად დაუბარებია, რომ მამამისის – გენერალ შალვა მადლაკელიძისა და თავისი არქივი ჩემთვის გადმოეცა საქართველოში ჩამოსატანად.

